


INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

№36-37

2022
2023



კულტურათაშორისი კომუნიკაციები
INTERCULTURAL COMMUNICATIONS
МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ

ISSN 1512-4363

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

ISSN 1512-4363

*საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა
International scientific periodical edition
Международное научно-периодическое издание*

კულტურათაშორისი კომუნიკაციები

INTERCULTURAL COMMUNICATIONS

МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ



№36-37

**თბილისი – Tbilisi – Тбилиси
2022-2023**

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი

ინდირა ძაგანია

Editor-in-chief

Indira Dzagania

Главный редактор

Индира Дзагания

რედაქტორები

Editors

Редакторы

ლირა გაბუნია

Lira Gabunia

Ли́ра Габу́ния

ოლღა პეტრიაშვილი

Olga Petriashvili

О́льга Пётриашви́ли

მარინე ტურავა

Marina Turava

Ма́рина Тура́ва

ირმა ზაკარაია

Irma Zakaraia

И́рма Закара́я

ანა მოსაშვილი

Ana Mosashvili

А́на Мосашви́ли

კომპიუტერული

Computer

Компьютерное

რედაქტირება

Editing

редактирование

რობერტ მესხი

Robert Meskhi

Роберт Месхи

პასუხისმგებელი

Executive

Ответственный

მდივანი

Secretary

секретарь

ლიანა გვასალია

Liana Gvasalia

Ли́ана Гваса́лия

სარედაქციო საბჭო

ვეინ ჯეიკობი (აშშ), იან კე (ჩინეთი), ბილალ დინდარი (თურქეთი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფოგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), ნილაკში სურჯანარაიანი (ინდონეზია), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსტუნერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), მიხეილ ბოგუცკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), ირინა მატიაში (უკრაინა), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშაჰი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლიუტსკანოვი (ბულგარეთი), კამალ მაკილი-ალიევი (შვედეთი), მარია დიმასი (საბერძნეთი), რიტსუკო ინოუე (იაპონია), ალა საინენკო (მოლდავეთი), მანუელ ფილიპე დე კოსტა (პორტუგალია), რომან დიაკონი (ლატვია), რეგინა კარველინე (ლიტუა), ალექსანდრე გრუშა (ბელორუსია), მარია ჯუნკალ გუტიერეს მანგადო (ესპანეთი), გიორგი აგოსტონი (უნგრეთი), ენრიკე კერო ხორვილია (ესპანეთი).

Editorial Board

Wayne Jacoby (USA), Yang Ke (China), Billal Dindar (Turkey), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Neelakshi Suryanarayan (India), Gheorghe Popa (Moldova), Iona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Irina Matyash (Ukraine), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Sweden), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karveliēne (Lithuania), Alexander Grusha (Belarus), Maria Juncal Gutierrez Mangado (Spain), Gyorgy Agoston (Hungary), Enrique Quero Gervilla (Spain).

Редакционный совет

Вэйн Джекоби (США), Ян Кэ (Китай), Билял Диндар (Турция), Эндрю Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Нилакши Сурьянараян (Индия), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтен Мустафаева (Азербайджан), Михаил Богущкий (Польша), Ирэна Кудлинска (Польша), Ирина Матяш (Украина), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Тольсбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Швеция), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия), Мария Хункал Гутierrez Мангадо (Испания), Гиорги Агостон (Венгрия), Энрике Керо Хорвилля (Испания).

EAN 9771512 43 6007

ინდირა ძაგანია
(საქართველო)

**ენა, აზროვნება, კულტურა – თანამედროვე საზოგადოების
უმნიშვნელოვანესი ტრიადა**

ენისა და კულტურის ურთიერთქმედება, მათი ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთკავშირი და ერთმანეთში შეღწევა მეცნიერების რამდენიმე დარგის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა დღეს. ის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მეცნიერებებს შორის საზღვრების შემცირებასთან ერთად (თუნდაც ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებებს შორის) და რაღაც მომენტში კი, ერთმანეთის გადაკვეთისას. იმ დროს, როდესაც კაცობრიობა ცდილობს გადაწყვიტოს ხელოვნური ინტელექტის პრობლემა, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ცნობიერებაში (აზროვნებაში) მიმდინარე პროცესების შესწავლა, ობიექტივაცია და ნიშნების (ენის) დახმარებით „სურათის“ ფორმირება; ამ ობიექტურ მონაცემებში შენახული და გადაცემული ინფორმაციის გამჟღავნება და მისი ადამიანური ბუნება (კულტურა). „ტრიადის“ – ენა, აზროვნება, კულტურა – ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან იზოლირებულად შესწავლა და ობიექტური დასკვნის მიღება, შეუძლებელია. ბევრი მეცნიერი განსხვავებულად განიხილავს დღეს მეცნიერებაში თითოეულ მათგანზე ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. დავიწყოთ ენით. აღნიშნულია, რომ ენა არის: ადამიანებს შორის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალება; მას უწოდებენ სპეციფიკურ საზოგადოებრივ მოვლენას და ხაზგასმულია, რომ ის წარმოიშვა საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად, ვითარდება, უმჯობესდება მასთან ორგანულ კავშირში; უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ვითარდება მასთან დიალექტიკურ ერთობაში. აზროვნების განმარტებისას ხაზგასმულია, რომ ის ორგანულად არის დაკავშირებული მეტყველებასთან (ენასთან) და ეწოდება „შემეცნების პროცესი, რომელიც შედგება სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირებისა და ურთიერთობის განზოგადებული და არაპირდაპირი გააზრებისგან, მათი არსისგან“ [2]. რაც შეეხება კულტურას, საცნობარო ლიტერატურაშიც კი არ არის მისი კონკრეტული განმარტება, უფრო სწორად, მოყვანილ განსაზღვრებებს არ შეუძლიათ მისი არსის გამოვლენა.

ფრანგი კულტუროლოგი ა. დე ბენუა წერს: „კულტურა – ეს ადამიანური საქმიანობის თავისებურებაა, რომელიც ახასიათებს ადამიანს, როგორც სახეობას. უშედეგოა ენის ძებნა კულტურაზე ადრე, მისი გამოჩენა ისტორიულ სცენაზე უნდა განვიხილოთ როგორც კულტურის ფენომენი. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის არსთან, არის ადამიანის, როგორც პიროვნების განსაზღვრების ნაწილი“ [1]. გარდა ამისა, რადგანაც კულტურა არის მეცნიერების სხვადასხვა დარგის (კულტუროლოგია, ფილოსოფია, ისტორია, სოციოლოგია და ა.შ.) შესწავლის ობიექტი, კულტურის ცნება განმარტებულია მკვლევრის ინტერესების სფეროს მიხედვით. არ არსებობს ერთიანი შეხედულება კულტურის ფენომენზე; ასევე, არ არსებობს ერთიანი შეხედულება „ენის“ მისე-

ულ გაგებასა და მისი სემანტიკური შესაძლებლობების შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ენა შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურის ნაწილი, უფრო სწორად, რომ ენასა და კულტურას შორის ურთიერთობა იგივეა, რაც ნაწილსა და მთლიანს შორის; ზოგიც მიიჩნევს, რომ ენა მხოლოდ კულტურის გამოხატვის ფორმაა. სხვების აზრით, ენა კულტურის არც ფორმაა და არც ელემენტი. ამ პრობლემის გააზრებისთვის, განვიხილოთ ორი გამოჩენილი კულტუროლოგის იდიომები.

ამერიკული ეთნოლინგვისტიკის ფუძემდებელი ე. სეპირი მიიჩნევს, რომ „კულტურა – ეს არის ის, რასაც აკეთებს და ფიქრობს ეს საზოგადოება, ხოლო ენა – ეს არის ის, რაზეც ის ფიქრობს“ [3]. რუსული ეთნოლინგვისტიკის ფუძემდებელი ნ. ი. ტოლსტოი კი წერს: „კულტურისა და ენის ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მთელისა და მისი ნაწილის ურთიერთობა. ენა შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურის კომპონენტი ან კულტურის ინსტრუმენტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია სალიტერატურო ენაზე ან ფოლკლორის ენაზე“ [4]. ენათმეცნიერების ეთნო- და ფსიქოლინგვისტურ მიმართულებებში მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ენა, როგორც სოციალური ფენომენი, სულიერი კულტურის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ და მის ერთ-ერთ კომპონენტად მივიჩნიოთ. მაგრამ იმთავითვე შევნიშნავთ, რომ ენის ფუნქცია ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე კულტურის ერთ-ერთი კომპონენტის. ვინაიდან ენა აღწევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფენაში და ეს ფენომენი კულტურაზე ძველია, მისი ასეთ ვიწრო კონტექსტში განხილვა არ შეიძლება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის მიმართულებების ნაწილი, მაგალითად, მუსიკა, ცეკვა, სახვითი ხელოვნება და სხვ., ენასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული. მაგრამ ვინაიდან ისინი აღიქმება ადამიანის გრძნობითი ორგანოებით და აისახება მის გონებაში, როგორც აზროვნების ფენომენი, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ირიბად მაინც, ისინი შედიან ენასთან კონტაქტში. თუ ჩავთვლით, რომ კულტურა არის სულიერი წარმოების პროცესი და მისი პროდუქტი მიმართულია სულიერი ღირებულებების, ნორმების, ცოდნისა და წარმოდგენების შექმნაზე, შენარჩუნებაზე, გავრცელებაზე და გამოყენებაზე, მაშინ უნდა შევთანხმდეთ, რომ სწორედ ენა უწყობს ხელს საზოგადოებისა და ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებას.

ენა მხოლოდ სულიერი კულტურის სფეროს არ ემსახურება; შესაბამისად, ის დაკავშირებულია მატერიალურ კულტურასთან, წარმოებასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, არის კომუნიკაციის საშუალება, ე.ი. სოციალური სფეროს შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ამის მიუხედავად, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს უმეტესად სულიერი კულტურის ფენომენია. ამრიგად, ენა კულტურის ერთგვარი საფუძველია, რადგან კულტურული ნორმებისა და სოციალური როლების ათვისება სწორედ ენის დახმარებით ხდება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის საზოგადოებაში ცხოვრება.

კაცობრიობის გარიჟრაჟიდან მოყოლებული, სხვა ადამიანებთან ინფორმაციის გაცვლის საჭიროება გაჩნდა. სხვადასხვა დროს ამის შესახებ სხვადასხვა თეორია არსებობდა. ყველაზე ცნობილი მათ შორის არის თეორია, რომლის მიხედვითაც, ენა ჩამოყალიბდა ადამიანების ერთობლივი შრომითი საქმიანობის დროს. ამ თეორიის თანახმად, ადამიანებმა კოლექტიური შრომის პროცესში იგრძნეს ერთმანეთისთვის ინფორმაციის გადაცემის საჭიროება. თავდაპირველად ეს ხდებოდა ნიშნების, გარკვეული ქმედებების მეშვეობით, შემდეგ – ცალკეული ხმების, მერე – ბგერების სერიებიდან

წარმოქმნილი სიტყვების საშუალებით, ბოლოს კი – სიტყვების გააზრებული და მოწესრიგებული თანმიმდევრობით. ადამიანებმა დაიწყეს კომუნიკაცია არა მხოლოდ შრომითი საქმიანობის, არამედ, ზოგადად, ერთობლივი საქმიანობის ორგანიზების მიზნით. ამ პროცესში ვითარდებოდა ენა, მასთან ერთად კი – აზროვნება. თანდათან ადამიანებმა დაიწყეს დაგროვილი ინფორმაციის განზოგადება, შენახვა და მომავალი თაობებისთვის გადაცემა; ამ პროცესში ენამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. სწორედ მისი მეშვეობით შეძლო კაცობრიობამ დაგროვილი და სისტემატიზებული ცოდნის კონკრეტული სიტყვებით დაშიფვრა, ანუ საგნებისა და მოვლენებისთვის სახელის დარქმევა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ენისა და აზროვნების განვითარება პარალელურად მიმდინარეობდა, მხარს უჭერდნენ რა ერთმანეთს და შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან განცალკევებულად განხილვა. ენამ, თავისი განვითარების მანძილზე, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, ადამიანებმა ისწავლეს სიტყვების გარკვეული თანმიმდევრობით გამოყენება და მათი გაგება ურთიერთქმედებაში. ეს ადამიანისთვის მეტად მნიშვნელოვანი და სპეციფიკური უნარია. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ დაფიქსირებულა, რომ სხვა ცოცხალ არსებებს ერთდროულად ერთზე მეტი „სიგნალის“ აღქმა შეუძლიათ. ადამიანი, რომელმაც თანმიმდევრული განლაგების პრინციპი აითვისა, იყენებს მას როგორც სიტყვების, ასევე ბგერების წყობაში. შედეგად, ბგერებმა შექმნეს სიტყვები, სიტყვებმა – მეტყველება. საბოლოოდ, მეტყველება გახდა კულტურული ინფორმაციის მატარებელი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ენა, თანამედროვე გაგებით, წარმოიშვა კულტურამდე დიდი ხნით ადრე. კულტუროლოგები ენას ახასიათებენ როგორც კულტურის სარკეს, მასში აირეკლება არა მხოლოდ ადამიანის გარემომცველი რეალური სამყარო, არამედ ხალხის მენტალიტეტი, ე.ი. მისი სპეციფიკური მსოფლმხედველობა, მისი ნაციონალური ხასიათი, ტრადიციები, ზნეობრიობა, წესებისა და ფასეულობების სისტემა, სამყაროს სურათი; ენა არის კულტურის საცავი, საგანძური, რადგანაც ხალხის მიერ დაგროვილი ცოდნა, უნარები, მატერიალური და სულიერი ღირებულებები ინახება მის ენობრივ სისტემაში, მის ზეპირ და წერით მეტყველებაში. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანი ყოველ ჯერზე ახლიდან არ იწყებს განვითარებას, ის ითვისებს წინა თაობების გამოცდილებას; ენა კულტურის მატარებელია, ვინაიდან ენა, მისი ეპისტემური ფუნქციის გამო, თაობიდან თაობას გადაეცემა; როდესაც ბავშვები მშობლიურ ენას ეუფლებიან, ისინი, ამავდროულად, ითვისებენ წინა თაობების განზოგადებულ გამოცდილებას; ენა საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ გარემომცველი სამყაროს ობიექტების იდენტიფიცირება, კლასიფიცირება და მათზე ინფორმაციის მოწესრიგება. ენა უმსუბუქებს ადამიანს გარემომცველ სამყაროში ადაპტაციას; ეხმარება მას სწორად შეაფასოს საგნები, მოვლენები და მათი თანაფარდობა; ენა ეხმარება ადამიანს საქმიანობის ორგანიზებასა და რეგულირებაში; ენა არის კულტურის ინსტრუმენტი, რომელიც აყალიბებს ადამიანის პიროვნებას, სწორედ მისი მეშვეობით აღიქვამს ადამიანი თავისი ხალხის ტრადიციებს, სამყაროს სპეციფიკურ კულტურულ იმიჯს. ენისა და კულტურის ამ ურთიერთქმედებისას შეიძლება გამოიყოს შემდეგი ასპექტები: კულტურა – ეს არის ენაში, ანუ ენობრივ ტექსტებსა და ყველაზე ენობრივ საშუალებებში ეთნოსის მიერ სამყაროს აღქმასთან, ბუნებისა და საზოგადოების სამყაროს მენტალურ კატეგორიზაციასთან, რელიგიასთან და (ან) რწმენასთან დაკავშირებული გარკვეული კულტურული შინაარსის ასახვა; ენა კულტურაში, ანუ ენობრივი ფორმულების, რო-

გორც კულტურული მონაცემების კომპონენტების (მაგალითად, ქცევის ეტიკეტის ფორმულები) გამოყენება; ენა და მეტყველების კულტურა, ანუ ბრძოლა ენის სიწმინდისთვის, რადგან ადამიანის მეტყველება ასახავს მისი სულიერი პიროვნების ორ მხარეს: ენობრივ კომპეტენტურობას, ე.ი. ენის ფლობის დონეს და კულტურულ კომპეტენტურობას, ე.ი. საზოგადოების კულტურული ცხოვრების შემადგენელი კულტურული ნორმების ცოდნის ხარისხს; კულტურის ენა, ანუ საბაზისო ცნებების სისტემა, რომელიც გადის ეროვნული კულტურის ყველაზე მრავალფეროვან მატერიალურ და სულიერ ფორმებს (მაგალითად, სიცოცხლე და სიკვდილი, ომი და მშვიდობა, სიკეთე და ბოროტება და ა.შ.).

კულტურა, როგორც საზოგადოების მატერიალური და სულიერი ფასეულობების ერთობლიობა, გადის ადამიანის გონებრივ საქმიანობაზე, ადამიანის აზროვნებაზე და ამ შემთხვევაში ენა ხდება ადამიანის გონებრივი საქმიანობის ინსტრუმენტი. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა კავშირია ენას, აზროვნებასა და კულტურას შორის? ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ენა აზროვნებაში გადააწყვეტი ფაქტორია და, შესაბამისად, კულტურაში, მაშინ როდესაც სხვა მეცნიერები ენისა და აზროვნების დამოუკიდებლობას ემხრობიან, რადგანაც ენობრივი ერთეულებისა და გრამატიკული კატეგორიების შინაარსი ლოგიკის მიღმა მოქმედებს.

ამერიკულ ეთნოლინგვისტიკაში ის აზრია გაბატონებული, რომ ადამიანები ცხოვრობენ არამხოლოდ მატერიალურ, არამხოლოდ სოციალურ სამყაროში: ყველა მათგანზე დიდწილად დომინირებს კონკრეტული ენა, რომელიც არის გამოხატვის საშუალება ამ ქვეყანაში. წარმოდგენა იმაზე, რომ ადამიანი გარე სამყაროში ენის დახმარების გარეშე მოქმედებს და რომ ენა წარმოსახვის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის შემთხვევითი საშუალებაა, – მხოლოდ ილუზიაა. სინამდვილეში, რეალური სამყარო დიდწილად აგებულია კონკრეტული სოციალური ჯგუფის ენობრივ ჩვევებზე, ამ ენობრივი დანამატის გაცნობიერების გარეშეც კი. აღნიშნულია, რომ გააზრების პროცესში, ენის აქტიური როლიდან და მისი სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, იქმნება სამყაროს ენობრივი სურათი. მრავალი თვალსაზრისით, ძირითად პუნქტებში ის ემთხვევა ადამიანების გონებაში ლოგიკურ ასახვას, ანუ სამყაროს ენობრივი სურათი მთლიანად არ ემთხვევა სამყაროს სურათს, რომელიც აღიქმება აზროვნებაში. სამყაროს ლინგვისტურ სურათში, ამ ცნების შესაბამისად, რჩება საკვანძო სფეროები. სამივე ცნება, როგორც სოციალური ფენომენი, ურთიერთდაკავშირებულია.

სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად განიხილავს ტრიადის საკითხს და მის უკიდურეს გამოვლინებებში არ შეიძლება ჭეშმარიტების ძიება ან საკითხის ერთმნიშვნელოვნად გამარტივება. რა თქმა უნდა, ენა გავლენას ახდენს ჩვენს აზროვნებასა და სამყაროზე წარმოდგენებზე, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ჩვენი იდეების შინაარსს განსაზღვრავს არა ენა, არამედ მათი საგანი. ეს ასე რომ არ იყოს, ჩვენ არასწორად გავიგებდით იმ პირობებს, რომელშიც ვცხოვრობთ და ვერ შევძლებდით გადარჩენას. რადგანაც ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილება გვაიძულებს გამუდმებით გამოვასწოროთ ჩვენი აღქმისა და აზროვნების შეცდომები, როდესაც ისინი ეწინააღმდეგებიან მას, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი ობიექტურ სამყაროში და ვიარსებოთ. ჩვენ მიდრეკილნი ვართ განვაფიქროთ მეცნიერული ცოდნა სამყაროს შესახებ არა იმიტომ, რომ იგი შეესაბამება ლინგვისტურ ნორმებს, არამედ იმიტომ, რომ მი-

სი სისწორე პრაქტიკაში მოწმდება. მაგალითად, სიტყვა „წყლის“ ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ყველამ იცის, რომ ის დასალევი სითხეა, სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანია, მისით შეიძლება საჭმელი მოამზადო, დაიბანო, მასში იცურაო, მაგრამ შეიძლება დაიხრხო კიდევაც და ა.შ. ეს შესაძლებლობას იძლევა ენისა და აზროვნების პრობლემა განვიხილოთ სხვა დონეზე – კონცეპტისა და კონცეპტოსფეროს, დისკურსისა და ენობრივი საშუალებების თვალსაზრისით. ცოდნა გარემომცველი სამყაროს საგნებსა და რეალობებზე მოდის გამოცდილებიდან, გრძნობის ორგანოების, პირველ რიგში, ხელებისა და თვალების გამოცდილებიდან. ეს არის ვიზუალურ-ექსპერიმენტული ცოდნა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში ყალიბდება. სწორედ ამის გამოა, რომ მრავალი ენის მატარებელ ადამიანებს შეუძლიათ კომუნიკაცია. ენასა და სინამდვილეს შორის დგას ენისა და კულტურის მატარებელი, ადამიანი, რომელიც აღიქვამს სამყაროს, აფიქსირებს მას, აჯგუფებს თავისებურად. ყველა ენაში მოსაუბრე განასხვავებს მოქმედების ობიექტს, საგანსა და ნიშან-თვისებას, დროისა და სივრცის ურთიერთობას, შეფასების დადებით და უარყოფით მომენტს და ა.შ. ენის შინაარსობრივი სტრუქტურის საფუძველია აზროვნების ლოგიკურ-გასაგები ბაზა. ეს ზოგჯერ უნივერსალურია და დამოუკიდებელი ეროვნული ენისა და კულტურისგან. მისი უნივერსალურობა გამომდინარეობს ადამიანის ფსიქიკის ერთიანობიდან და, ცხოვრების წესის მიუხედავად, მსგავს კატეგორიებში სამყაროს ასახვის უნარიდან.

ენებს შორის განსხვავება განსაკუთრებით აშკარად შეინიშნება ლექსიკის სფეროში, რადგან ნებისმიერ ენაში არის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც არ აქვთ ურთიერთდამოკიდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ცნებების – ენა-აზროვნება-კულტურა – სემანტიკური შესაძლებლობების დასადგენად, მათში გარკვევის მიზნით, საჭიროა შევთანხმდეთ, რომ ისინი ერთმანეთისგან იზოლირებულად ვერ იარსებებენ: კულტურა არსებობს გარკვეულ ენობრივ გარსში და, ამავდროულად, თუ ეს გარსი არ არსებობს, მის ქვეშ დამალული სამყაროც ვერ იარსებებს. ამის გამო ენისა და მასში გამოხატული კულტურის თანაფარდობა შეიძლება მივიღოთ ფორმისა და შინაარსის თანაფარდობად. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: იმისთვის, რომ კულტურულ მოვლენად იქცეს, სინამდვილის „მომენტები“ აღიქმება გრძნობებით, დაშიფრულია ენით და გადაეცემა აზროვნებას; მეტყველებაში ასახვის შემდეგ კი მატერიალიზდება და ხდება კულტურული მოვლენა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ მიერ განხილული მოვლენები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული.

ლიტერატურა:

1. Alain de Benoist *Penser l'écologie jusqu'au bout*. Greece, 2012;
2. Кононюк А. Е., *Обобщенная теория познания и созидания*. Киев, Освіта України, 2013;
3. Сепир Э., *Избранные труды по языкознанию и культурологии*. М., 1993;
4. Толстой Н. И., *Язык и культура. Язык и народная культура. Очерки по славянской мифологии и этнолингвистике*. М., 1995.

Indira Dzaganja
Language, Thought, Culture – The Most Important Triad of Modern Society
Summary

Today's world is complex and diverse. Modern society has witnessed geopolitical changes, processes directly related to the cultural image of the world. It is from the cultural nature of the world; the linguistic picture reflects the reality. In addition, the triad – language, thought and culture are so closely connected that they practically form a single unit consisting of those components, and none of them can function without each other. Together, they are united in the real world, they oppose each other, they depend on it, they reflect on it and at the same time they shape its vision and attitude toward it.

Индира Дзаганя
Язык, мышление, культура – важнейшая триада современного общества
Резюме

Сегодняшний мир сложен и многообразен. Современное общество является свидетелем геополитических изменений, процессов, имеющих непосредственное отношение к культурной картине мира. Именно через культурную картину мира отражает действительность языковая картина. При этом триада – язык, мышление и культура настолько тесно связаны, что практически составляют единое целое, состоящее из этих компонентов, но ни один из них не может функционировать без двух других. Все вместе они соотносят реальный мир, противостоят ему, зависят от него, отражают и в то же время формируют его видение и отношение к нему.

ლაურა გურული, მარინა ალექსიძე
(საქართველო)

**ეპიკური ჟანრის მცირე ფორმების გამოყენება
რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში**

ცნობილია, რომ რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების მიზნები უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების სოციალურ დაკვეთას და ამავე დროს იყოს რეალისტური, კონკრეტულ სასწავლო პირობებში მიღწევადი, ხოლო სწავლების შინაარსი, მეთოდები და საშუალებები -ადეკვატური მეცადინეობის მიზნებთან და პირობებთან.

რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების პრაქტიკა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოწმობს, რომ ამ სფეროში არაერთი პრობლემა არსებობს, მათ შორის ყველაზე უფრო სერიოზულ პრობლემად მიგვაჩნია სახელმძღვანელოების ნაკლებობა რუსულის, როგორც უცხო ენის ზოგადი შესწავლისათვის და სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის წარმართვისათვის.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა მეთოდურ ლიტერატურაში განიხილება, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის სახეობა, რომელიც ხორციელდება მასწავლებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის.

მასწავლებლის ამოცანაა შეარჩიოს ისეთი დიდაქტიკური მასალა, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ინტელექტუალურ და ზოგადსაგანმანათლებლო დონეს რუსულის, როგორც არამშობლიური ენის ცოდნის დონის გათვალისწინებით.

მოსწავლეთა ენობრივი პიროვნების განვითარებისათვის დიდაქტიკური მასალის ერთ-ერთი მდიდარი წყაროა ვერბალური ხელოვნების ნიმუშები.

ცნობილია, რომ ზღაპრები, იგავები (притчи), იგავ-არაკები (басни), ანდაზები და გამონათქვამები პიროვნების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური საშუალებაა. მათ ჩვეულებრივ აქვთ ფარული მორალი, რაც გულისხმობს თითოეული მსმენელის (მკითხველის) მიერ მათი შინაარსის ინდივიდუალურ გააზრებას. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა თვითშეგნების განვითარებას და არ კარგავენ აქტუალობას როგორც ბავშვებისთვის, ასევე მოზრდილებისთვის.

რა განსხვავებაა ზღაპარსა და იგავს შორის და სწავლების რომელ დონეზე მიგვაჩნია მიზანშეწონილად მათი გამოყენება სასწავლო მასალად?

„ზღაპარი არის უნიკალური ინსტრუმენტი მთელი რიგი მეთოდოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, რომლის გამოყენებამ შეიძლება მრავალმხრივი ეფექტი შესძინოს სტუდენტების კომუნიკაციური კომპეტენციის სხვადასხვა კომპონენტის ფორმირებაში, როგორცაა კულტურულ-ქვეყანათმცოდნეობითი, ლინგვოკულტუროლოგიური, ენობრივი და სამეტყველო“ [3, 28].

ზღაპარი არის გამოგონილი ამბავი, რომელიც ხშირად აღწერს რაღაც არარეალურ მოვლენებს და მას არ აქვს რაიმეს სწავლების განზრახვა: არის ბევრი ზღაპარი, რომელიც ჰგავს თანამედროვე ანეკდოტებს, ანუ ეს არის უბრალოდ მხიარული ცხოვე-

რებისეული ისტორიები. იგავი კი ყოველთვის მიზნად ისახავს აიძულოს ადამიანი დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს და წახალისოს რაიმე ქმედებაზე. იგავები არ გვახვევენ თავს რაღაც დასკვნებს, თვალსაზრისს, არ გვკარნახობენ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, ბრძნული იგავები მხოლოდ საუბრობენ ამა თუ იმ ქცევის შესაძლო შედეგებზე. იგავი იძლევა შესაძლებლობას, შეხედო საკუთარ თავს გარედან, უკარნახო, შესთავაზო და ასწავლო რაიმე.

ზღაპრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტების ენობრივი მომზადების პროცესში. ადვილი მისახვედრია, რომ ზღაპრებში ყოველთვის არის რაღაც აზრი. გარდა ამისა, ზღაპრულ ნაწარმოებს აქვს საგანმანათლებლო ღირებულება: ქცევის ნორმების ჩამოყალიბება, გაფრთხილება მანქანე ჩვენებისა და ქმედებების საშიშროების შესახებ.

ზღაპრების მსგავსად, იგავები ძირითადად ხალხური შემოქმედების ნაყოფია. ხშირად იგავს არ ჰყავს კონკრეტული ავტორი. ეს იმიტომ ხდება, რომ იგავები ვრცელდება ზეპირი მეტყველების გზით (როგორც ადრე ზღაპრები და ახლა – ანეკდოტები). იგავები იბადებიან კონკრეტული კულტურის წიაღში, მათი გადმოცემა და გავრცელება ხდება იმავე კულტურის ფარგლებში, ამ პროცესში იხვეწება მათი სემანტიკური შინაარსი, ზედმეტი, არასაჭირო დეტალები აღმოიფხვრება.

ავტორისეული იგავების ბედი განსხვავებულია. ავტორი მის მიერ გამოგონილ იგავებს ზეპირად კი არ ყვება, არამედ აქვეყნებს მათ. ამიტომ, ყველაზე ხშირად, ასეთი იგავების გადაწერისას დაცულია როგორც ავტორის სახელი, ისე იგავის ავტორისეული ფორმა. თუმცა, ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ იგავის წყარო და ავტორისეულ ისტორიებს გადმოსცემენ საკუთარი სიტყვებით, რის შემდეგაც იგავი კარგავს თავის ყოფილ საავტორო ფორმას და იქცევა ხალხურ ფორმაში [7].

იგავი ახლოსაა იგავ-არაკთან, მაგრამ განსხვავდება მისგან განზოგადების სიფართოვით, იგავში შემავალი იდეის მნიშვნელობით. იგავში არ არის პერსონაჟების მოხაზვა, მითითებები მოქმედების ადგილისა და დროის შესახებ, მოვლენების ჩვენება განვითარებაში: მისი მიზანია არა ამბის გამოსახვა, არამედ მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

იგავი შეიქმნა ხალხის სასწავლებლად. ამაში ის იგავ-არაკს ჰგავს. მხოლოდ იგავ-არაკი, იგავისგან განსხვავებით, ასწავლის ღია ფორმით – ის არის სამოძღვრებო და თვით ტექსტით საუბრობს საკუთარ შინაარსზე, მაგრამ მისი დედააზრის ამოცნობა ყველას არ ძალუძს. შესაძლებელია მხოლოდ იმის გაგება, თუ რა დევს, თითქოს, ზედაპირზე და რა არის მნიშვნელობის ზედა ფენის ქვეშ, მხოლოდ გონებრივად განვითარებულ ადამიანებს შეუძლიათ გაიგონ.

იგავ-არაკისგან განსხვავებით, რომელიც უმაღლეს წარმოგვიდგენს არაორაზროვან, ცალსახა დასკვნა-მორალს, იგავს უფრო თავისუფალი „ღია“ ფორმა აქვს. მსმენელი ან მკითხველი უნებურად გადადის იგავის სიტუაციაში, იკვლევს მის მნიშვნელობას, ცდილობს გაიგოს მისი მორალი. ამაში იგავი გამოცანას ჰგავს. იგავის ამოხსნა, შედარება, თანაშეგრძნება და გაგება უნდა ხდებოდეს ადამიანის დამოუკიდებელი ინტელექტუალურ-ზნეობრივი მუშაობის შედეგად [5, 233].

იგავში, იგავ-არაკისგან განსხვავებით, პერსონაჟები არიან გამოსახული სქემატურად: ვიღაც კაცი, ვიღაც მეფე, ვიღაც ქალი და ა.შ. ეს არის „ადამიანი ზოგადად“. იგავის აზრი ის კი არ არის, თუ როგორი პიროვნებაა მასში გამოსახული, არამედ ის, თუ რა ეთიკურ არჩევანს აკეთებს ადამიანი. ძველ დროში ადამიანის რელიგიურ-მითოლოგიური ცნობიერება ცხოვრებისეულ მოვლენებში, ყოველ ფოლკლორულ და ლიტერატურულ სიუჟეტში ხედავდა, გარდა მისი სიტყვასიტყვითი, პირდაპირი მნიშვნელობისა, ქარაგმულ, ალეგორიულ მნიშვნელობასაც. ამასთან დაკავშირებით, თითქმის ნებისმიერი მოთხრობა, ამბავი იღებდა სამოდღვრებო, დამრიგებლურ განმარტებას, აღიქმებოდა როგორც იგავი.

რაში მდგომარეობს იგავის დედააზრი, რა არის მისი მიზანი? იგავის მიზანია დაეხმაროს მკითხველებსა და მსმენელებს მისგან მაქსიმალურად ყურადსაღები, ჭკუის სასწავლებელი გამოცდილების მიღებაში, რათა სხვების შეცდომებზე სწავლის შემდეგ მათ არ დაუშვან ისინი საკუთარ ცხოვრებაში.

თითოეული იგავი რაღაცას გვასწავლის, შეიცავს გარკვეულ გაკვეთილს, ცხოვრების კანონს. იგავი წარმატებით შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც ვიზუალური სასწავლო მასალა სააზროვნო უნარების განვითარებისთვის.

„რამდენიმე ფრაზისგან შემდგარ ერთ იგავში ზოგჯერ იმდენად ბევრია ნათქვამი, რომ შემდეგ მრავალი საუკუნის განმავლობაში საკმარისია სხვადასხვა ხალხისთვის და სხვადასხვა სოციალური სისტემისთვის. მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგავი შეიცავს კოლოსალურ განმარტებულ მომენტს, რომლის წყალობითაც კონკრეტული, ერთი შეხედვით, შემთხვევა გამოიყენება ათასობით შემთხვევისთვის ყველა დროს და ყველა ხალხში“, – წერდა ცნობილი რუსი მწერალი ვლადიმერ სოლოუხინი [8, 41].

რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების შემდგენელები თანხმდებიან, რომ იგავი ალეგორიული მოთხრობაა. ვ. დალის, თ. ეფრემოვას, ს. ოჟეგოვის, დ. უშაკოვის ლექსიკონები განმარტავენ იგავს, როგორც „დარიგება, ჭკუის სწავლება მაგალითის ფორმით“, „მოთხრობა, რომელიც შეიცავს მორალიზაციას ალეგორიულ ფორმაში“, „დამრიგებლური დასკვნის მქონე ალეგორიული თხრობა“, „მოკლე ალეგორიული ჭკუის სასწავლებელი ამბავი“ და ა.შ. [2; 3; 6; 9].

ითვლება, რომ იგავის უანრი წარმოიშვა ძველ დროში აღმოსავლეთში, სადაც უყვარდათ საუბარი გამოცანებით, ალეგორიებით ან ქარაგმებით. არაბი მეცნიერი და მწერალი აბუ-ფარაჯი იგავებს უწოდებდა ისტორიებს, რომლებიც აცოცხლებენ, ახალისებენ გონებას და გულიდან მწუხარებასა და სევდას აშორებენ.

„დაე იყოს იგავი ნუგეშისმცემელი დაზარალებულთათვის, სამკურნალო ბაღზამი გატეხილი გულისთვის, მეგზური მათთვის, ვისაც უყვარს რჩევა-დარიგება და საუკეთესო მეგობარი მათთვის, ვინც აფასებს სიცილს“, – წერდა ის [10].

იგავის გაჩენა იყო ადამიანისათვის ჩვეული ხატოვანი ტიპის აზროვნების კანონზომიერი გამოვლინება, რომელიც ცდილობდა მიეცა განყენებული აზრისათვის ხატის ან შედარების სახე (იგავს უწოდებენ პარაბოლას, რაც ბერძნულად ნიშნავს „შედარებას“). იგავს არ აქვს მკაფიო უანრული საზღვრები: გარკვეულ პირობებში ზღაპარი, ანდაზა, ლეგენდა შეიძლება აღიქმებოდეს როგორც იგავი [5, 233].

ახალი დროის ლიტერატურაში შესამჩნევად იცვლება იგავის როლი. ცნობილი იგავების სიუჟეტები შეაქვთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში. იგავის უანრს მიმართავენ

და ბევრი უცხოელი მწერალი: ლევ ტოლსტოი, ფრანც კაფკა, ბერტოლდ ბრეხტი, ალბერ კამიუ და სხვა. იგავის ჟანრი ფართოდ გამოიყენებოდა მე-19 საუკუნეში ვ.ა. ჟუკოვსკის, ა.ს. პუშკინის, მ.ი. ლერმონტოვის, ნ.ა. ნეკრასოვის პოეზიაში. ეს ჟანრი თავის შემოქმედებაში გამოიყენა ბევრმა ქართველმა მწერალმა, რომელთა შორის აღსანიშნავია დ. გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები. ფართოდ გავრცელდა რელიგიური შინაარსის იგავეები („მოძღვრებები“), მაგალითად, „სოლომონის იგავეები“, ახალი აღთქმის იგავეები და ა.შ. ბიბლიის ლეგენდები და იგავეები გვასწავლის ვიყოთ გულკეთილები, გულისხმიერები, დავეხმაროთ ადამიანებს, გავუწოდოთ მათ დახმარების ხელი და ვიყოთ ჩვენი მეგობრებისა და საყვარელი ადამიანების ერთგულები. უნდა შეგვეძლოს ყველა წყენის პატიება და არ შევინახოთ ბრაზი საკუთარ თავში. ბიბლიური იგავეები და ლეგენდები ყოველთვის ასწავლიან სიკეთეს და აჩვენებენ, რომ ბოროტება ყოველთვის მარცხდება და იქნება დასჯილი.

იგავეს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ადგილი უკავია სასწავლო პროცესში. იგავი, როგორც მცირე მოცულობის ტექსტი, მრავალი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა – ენობრივი მოვლენების განხილვა, ენის ესთეტიკური ფუნქციის ილუსტრირება-წარმოჩენა, ამავედროულად, იგავი არის ინფორმატული, კომუნიკაციაზე ორიენტირებული. იგავი შეიძლება გახდეს განსაკუთრებული ინფორმაციული, ლინგვისტური და ესთეტიკური შინაარსის მქონე გაკვეთილის ფრაგმენტი.

იგავი ეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის ძირითადი ამოცანების შესრულებაში. ესენია: **საგანმანათლებლო** (აცნობს მოსწავლეებს იგავს, როგორც ლიტერატურულ ჟანრს); **აღმზრდელობითი**, რომელიც მოიცავს მოსწავლის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას; **განმავითარებელი**, რომელიც მიზნად ისახავს ლოგიკური და სივრცითი აზროვნების, შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტის სტუდენტებთან პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენ ხშირად ვიყენებთ ვერბალური ხელოვნების ამ ტიპის ყველა ნიმუშს.

თუმცა, იგავეები, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოითხოვს გარკვეულ ინტელექტუალურ დონეს, ამიტომ მათ ვიყენებთ როგორც ტექსტურ მასალას დისკუსიისა და დამოუკიდებელი საშინაო დავალების შესასრულებლად B1 დონის მოსწავლეებთან, რომელთათვისაც ენის სირთულეები უკანა პლანზე გადადის და წინა პლანზე იგავის ფილოსოფიური მნიშვნელობა წამოიწევა.

მოსწავლეებს ვთავაზობთ რამდენიმე სახის სამუშაოს იგავზე. ტექსტზე მუშაობის ერთი გზა შემდეგია: აუდიტორია ორ ჯგუფად იყოფა. თითოეული ჯგუფი იღებს დავალებას – წაიკითხოს მცირე მოცულობის იგავი, გაიგოს მისი შინაარსი, შეადგინოს კითხვები, ჩამოაყალიბოს იგავში მოცემული მორალი.

შემდეგ პირველი ჯგუფის წევრები ყვებიან თავიანთ იგავს და სთხოვენ მეორე ჯგუფის მონაწილეებს, ჩაწერონ თავიანთი კითხვები მოსმენილი იგავის შინაარსზე და ჩამოაყალიბონ მასში ნანახი მორალი. მეორე ჯგუფის მონაწილეები სთავაზობენ მსგავსი სამუშაოს შესრულებას მათი იგავის მიხედვით.

ამის შემდეგ იგავის „მსმენელი“ ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად პასუხობენ პირველი ჯგუფის წევრების კითხვებს „მათი“ იგავის შინაარსზე, რის შემდეგაც ჯგუფები იცვლიან როლებს. შემდეგ პირველი ჯგუფის ერთ-ერთი მოსწავლე კითხულობს

მისი ჯგუფის მიერ შედგენილ კითხვებსა და მორალს, ხოლო მეორე ჯგუფის წევრი ახმოვანებს მათი ჯგუფის მიერ შედგენილ კითხვებსა და მორალს. ამის მეორე ხდება სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეთა კითხვებისა და მორალის ერთმანეთთან შედარება, ვლინდება მსგავსება და განსხვავებები. ამრიგად, თითოეული მოსწავლე ჩართულია აქტიურ სამეცნიერო და გონებრივ აქტივობაში. მასწავლებელი აკვირდება პროცესს და აცხადებს გამარჯვებულს.

ამ ტიპის სამუშაო ხელს უწყობს არა მხოლოდ გონებრივი აქტივობის განვითარებას და მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გაფართოებას, არამედ მათ მიერ მოსმენისა და წერის უნარ-ჩვევების შექმნასა და განმტკიცებას.

შემდეგი დავალება: სანამ ერთი ჯგუფი თავის იგავს ყვება, დანარჩენები ამ იგავისთვის მორალს ირჩევენ რამდენიმე აფორიზმიდან, რომელიც თითოეულმა წინასწარ მიიღო მასწავლებლისგან იგავისგან ცალკე და რომელიც, მათი აზრით, შეესაბამება წაკითხული იგავის შინაარსს. ამრიგად, B1 დონის ჯგუფში ერთ გაკვეთილზე შესაძლებელია მცირე მოცულობის 3-4 იგავის დამუშავება. როგორც წესი, ამ ტიპის ამოცანები იწვევს მოსწავლეებში დიდ ინტერესს და ხელს უწყობს არა მხოლოდ მათი შემეცნებითი აქტივობის გაძლიერებასა და ლექსიკური მარაგის შევსებას, არამედ აძლევს მასწავლებელს საშუალებას მოამზადოს ჯგუფი დისკუსიისთვის იმ თემაზე, რომელსაც თავად მოსწავლეები ასახელებენ იგავების წაკითხვის შემდეგ.

მასწავლებელი სთავაზობს სტუდენტებს რამდენიმე აფორიზმს, მაგალითად: *არ გადადო არაფერი „მერესთვის“; საუკეთესო რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ თქვენთვის ძვირფასი ადამიანებისთვის, არის გახდეთ ბედნიერი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; არ არის აუცილებელი გჯეროდეს კეთილი საქმეებისა, კეთილი საქმეები უნდა აკეთო; იყავი კმაყოფილი აწმყოთი, მაგრამ ისწრაფე საუკეთესოსკენ.*

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება მოიძიონ ინტერნეტში და წაიკითხონ 2-3 ანალოგიური მორალის მქონე იგავი ან შესთავაზონ დასკვნების საკუთარი ვერსიები და გამოიყენონ საკუთარი მაგალითები მომდევნო გაკვეთილის დისკუსიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების პროცესში ჩვენ აქტიურად ვიყენებთ ანდაზებსა და აფორიზმებს, ამიტომ სტუდენტების მიერ დაგროვილი ცოდნის შესამოწმებლად ვაძლევთ მათ დავალებებს, სადაც უნდა აირჩიონ მოცემული იგავისთვის შესაფერისი ანდაზა და აფორიზმი და გამოიყენონ იგავის მორალის ფორმულირებისათვის; მოიგონონ ამა თუ იმ იგავისთვის, რომელსაც, როგორც წესი, არ აქვს სათაური, სახელწოდება; იპოვონ განსხვავები მსგავსი შინაარსის მქონე იგავებს შორის; შეადარონ ესა თუ ის იგავი ზღაპარს და ა.შ.

ამ გზით მოსწავლეები ერთვებიან დამოუკიდებელ აქტივობებში, რომლის განხორციელების პროცესში ხდება სწავლების ძირითადი ფუნქციების რეალიზება – ახალი ცოდნის მოძიება და შექმნა, მისი განმტკიცება და გადაყვანა სტაბილურ უნარ-ჩვევებში, მათ შორის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

მასწავლებლის ამოცანაა სწორად წარმართოს სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობა, რომელსაც ისინი დამოუკიდებლად ასრულებენ; ანუ მასწავლებელმა უნდა შექმნას განვითარების ისეთი სიტუაცია, რომელიც მოსწავლეს აძლევს თავისუფლებას და აკისრებს პასუხისმგებლობას გადაწყვეტილების არჩევისა და მიღებისას, მოქმედების

დამოუკიდებლობას საგანმანათლებლო პრობლემების გადაჭრაში, შედეგზე პასუხისმგებლობის აღებასთან ერთად.

მასწავლებლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეში ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი პროდუქტიული საგანმანათლებლო და შემეცნებითი საქმიანობის საჭიროება და კულტურა, ანუ ასწავლოს მოსწავლეებს სწავლა [4, 18]. ამაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერბალური ხელოვნების ნიმუშებმა შეიძლება დიდი დახმარება აღმოგვიჩინოს.

ლიტერატურა:

1. Барсукова-Сергеева О. М., Русская народная сказка как инструмент формирования коммуникативной компетенции иностранного учащегося // Русский язык за рубежом, 2013, №4;
2. Даль В. И., Толковый словарь живого великорусского языка. В четырех томах. М., Прогресс, 1994;
3. Ефремова Т. Ф., Современный толковый словарь русского языка. М., АСТ, 2006;
4. Мильберт Г. Е., Научная обоснованность процесса организации самостоятельной работы студентов в овладении иностранным языком // Современные методы и технологии преподавания иностранных языков: сб. науч. ст. // Чуваш. гос. пед. ун-т: Чебоксары, 2019;
5. Новиков В. И., Энциклопедический словарь юного литературоведа. М., 1988;
6. Ожегов С. И., Шведова Н. Ю., Толковый словарь русского языка. М., «Азъ», 1992;
7. Остапенко В. А., Особенности жанра притчи в современной литературе. URL <https://school-science.ru/3/10/33187> (дата обращения: 23.01.2023);
8. Солоухин В. А., Камешки на ладони. URL https://m.tululu.org/author_ (дата обращения: 28.01.2023);
9. Ушаков Д. Н., Толковый словарь современного русского языка. М., Аделант, 2014;
10. Якушев Б., Абуль-Фарадж. URL <https://pritchi.ru/news> [к 16-летию сайта] (дата обращения: 15.01.2023).

Laura Guruli, Marina Aleksidze

Use of Small Forms of the Epic Genre in Russian as a Foreign Language Classes **Summary**

The article discusses the role and importance of small forms of the epic genres for the development of students' self-awareness in the process of teaching Russian as a foreign language. In all these examples of verbal creativity there is a hidden morality, which each student must identify and comprehend, while showing individuality and activity. Parables occupy a special place. They differ in the breadth of generalization, the significance of the idea contained in them. The article presents some types of practical work using the parable as a textual material.

Лаура Гурули, Марина Алексидзе
Использование малых форм эпического жанра на занятиях по РКИ
Резюме

В статье рассматривается роль и значение малых форм эпического жанра для развития самосознания обучающихся в процессе преподавания РКИ. Во всех этих образцах вербального творчества бывает скрытая мораль, которую каждый учащийся должен выявить и осмыслить, проявив при этом индивидуальность и активность. Особое место занимают притчи. Они отличаются широтой обобщения, значимостью заключённой в них идеи. В статье представлены некоторые виды практической работы с использованием притчи в качестве текстового материала.

მაია მარღანია, მაია ჩქვანავა, მაკა კაჭარავა
(საქართველო)

კორონავირუსული პანდემიის ეპოქის ნეოლოგიზმები
ქართულ-ინგლისურ-რუსულ ენებში

2019 წლის ბოლოს დედამიწას მოულოდნელად თავს დაატყდა უხილავი მტერი ახალი ამოუცნობი ვირუსის სახით. მას **COVID-19** უწოდეს. ეს აკრონიმია და ნიშნავს **CO**rona**V**irus **D**isease **2019** – კორონავირუსულ დაავადებას.

2020 წელს მსოფლიოში პანდემია გამოცხადდა, რამაც ჩვენი ცხოვრების წესი შეცვალა. კორონავირუსულმა პანდემიამ დიდი გავლენა იქონია პლანეტის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე: ჯანდაცვაზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ბიზნესზე, განათლებასა თუ სპორტზე, მეცნიერებასა თუ კულტურაზე. ფაქტობრივად, დედამიწაზე არ დარჩენილა ადამიანური მოღვაწეობის არც ერთი დარგი, რომელსაც არ შეეხო კოვიდ-19. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ COVID-19-მა ლინგვისტიკაზეც იმოქმედა, კერძოდ, ეტიმოლოგიაზე. სულ მოკლე ხანში მსოფლიოს ენათა ლექსიკურ ფონდში პანდემიამ დიდი ცვლილებები გამოიწვია, განსაკუთრებით, მეტყველებასა და მასმედიაში.

ნაშრომის მიზანია ახალი ლექსიკის, ნეოლოგიზმების შესწავლა ქართულ-ინგლისურ-რუსულ ენებში კორონავირუსული (COVID-19) პანდემიის პერიოდში და მათი შეპირისპირებითი, აღწერითი, ლექსიკურ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი.

ნაშრომი ეყრდნობა მასმედიის საშუალებებს, ქართულ და ბრიტანულ გაზეთებს, სატელევიზიო გადაცემებს, ინტერნეტგვერდებს, სოციალურ ქსელებს, ინტერნეტმომხმარებლების კომენტარებსა და მიზნობრივად მოპოვებულ მასალას, ბრიტანელი ლექსიკოგრაფის, ტონი თორნის მიერ შეგროვებულ კორონავირუსული ნეოლოგიზმების კოლექციას. ანალიზისათვის მოხმობილია მონაცემები ინგლისური განმარტებითი ლექსიკონებიდან **Oxford Learner's Dictionary**, **Cambridge Dictionary**, **Urban dictionary**, **Collins Dictionary**, **Macmillan Dictionary**, **Merriam-Webster Dictionary**. სტატიაში მაგალითები დაფიქსირებულია ე.წ. „კორონავირუსული“, ახალი ლექსიკის გამოყენების თვალსაზრისით.

2020 წლის პირველივე ნახევარში გაჩნდა უამრავი ახალი სიტყვა, რომლებმაც თანამედროვე რეალობაში ახალი მნიშვნელობა შეიძინა ან მოხდა ზოგიერთი ძველი სიტყვის გადააზრება, სემანტიკის შეცვლა. სიტყვათა ნაწილის მნიშვნელობა გაფართოვდა ან დავიწროვდა. მათი გაჩენა შეიძლება მივაწეროთ როგორც ყოველდღიური გამოყენების აუცილებლობას, ასევე ადამიანთა ინდივიდუალურ გონებამახვილობას. ახალი ლექსიკა ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივი მუდმივი თანამდევია გახდა.

ცხადია, კორონავირუსმა ნეოლოგიზმებით მსოფლიოს ყველა ენა გაამდიდრა. ცნობილია, რომ ნეოლოგიზმები ენაში წარმოიშობა სიტყვაწარმოებითი საშუალებებით, რაც ძირითადად, მიმდინარეობს კომპოზიტების შექმნით, აფიქსების დართვითა და შემოკლებებით. ქართულ ენაში ახალ ლექსიკაში სწორედ კომპოზიტები ჭარბობს. მათგან უმრავლესობა ერთცნებიანი კომპოზიტია და ამიტომ, წესით, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს. ამ რიგისაა ის სიტყვები, რომლებიც თითქმის ყველა ენაში წარ-

მოიშვა: კოვიდერა, კოვიდკლინიკა, კოვიდპაციენტი, კოვიდსასტუმრო, კოვიდვითარება, დეზობარიერი, კოვიდდადებითი, კოვიდუარყოფითი, კოვიდინფიცირებული, კოვიდრეგულაციები, ეპიდსიტუაცია, ეპიდმაჩვენებლები, ეპიდაფეთქება, თვითიზოლაცია, კოვიდკვება, კოვიდმენჯმენტი, კოვიდიზოლაცია, კოვიდფსიქოზი, კოვიდპასპორტი, კოვიდქრონიკა, კოვიდსტატისტიკა, კოვიდრეალობა, კოვიდკონტაქტი, კოვიდკვება, კოვიდჰიგიენა, პოსტკოვიდური, კოვიდექიმი, კოვიდკრიზისი, კოვიდუსაფრთხო, კოვიდსალამი, კოვიდამბავი, კოვიდმატარებელი, კოვიდგამარჯვებული, კორონოპანიკა, კორონომანია, კორონადამოკიდებული და სხვა.

როგორც ვხედავთ, ამ ტერმინთა უმრავლესობა შეიცავს თვით შემოკლებულ სიტყვა კოვიდს, ამიტომ ეს კომპოზიტები ჩვენს ენაში არსებული კომპოზიტებისაგან განსხვავებით, უფრო რთული წარმოშობისაა. აღსანიშნავია, რომ ამ რთულ სიტყვათა მეორე კომპონენტი ან საკუთრივ ქართული სიტყვაა, ან – უცხოური (ნასესხებია). ამათგან ნაწილი ენაში დამკვიდრებული და მიღებული ტერმინებია, ნაწილი კი – ბარბარიზმი. მაგალითად, **კოვიდკლინიკა** – ამ კომპოზიტში მეორე კომპონენტია სიტყვა **კლინიკა**, რომელიც საერთაშორისო ტერმინია, მაგრამ არა ბარბარიზმი. იგი ქართულ ენაში ჩვეულებრივ გამოიყენება. ასევე, კომპოზიტთა შემადგენლობაში შემავალი სიტყვები: **ინფიცირებული, მენჯმენტი, პასპორტი, რეალობა, სტატისტიკა, ჰიგიენა, პაციენტი, ქრონიკა, კრიზისი** – ყველა უცხოური ტერმინია, მაგრამ ჩვენს ენაში დამკვიდრებული. რაც შეეხება კომპოზიტს **კოვიდიზოლაცია**, მისი მეორე კომპონენტი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ცალკე გამოყოფას, განცალკევებას, გამიჯვნას. რადგან ჩვენს ენაში შესატყვისი მოგვეპოვება, აქედან გამომდინარე, **იზოლაცია** ბარბარიზმად უნდა შეგვერაცხა. ქართულად კი სწორი ვარიანტი იქნებოდა **კოვიდგამიჯვნა**, მაგრამ მსგავსი ტერმინი არავის მოაფიქრებოდა, რადგან სიტყვა **იზოლაცია**ც ჩვენში უკვე დამკვიდრებულია.

მაგრამ სიტყვა **თვითიზოლაცია, თვითიზოლირება (self-isolation)**, სინონიმი – **self-quarantine (თვითკარანტინი)**, შედარებით ახალია და მოიაზრება, როგორც საკუთარი თავის გამოკეცვა, (კარ)ჩაკეტილობა. Oxford Learner's Dictionary-ის მიხედვით, სხვა ადამიანებთან კონტაქტისა და ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება. მაგალითად, ფრაზა **თვითიზოლაციაში ვარ, თვითიზოლაციაში გადავიდა**, თავიდან შეიძლება ხუმრობით ნათქვამს ჰგავდა, რამდენიმე თვეში კი ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. მოგვიანებით, მან ირონიული დატვირთვა დაკარგა.

ასევე, საინტერესოა კომპოზიტი **პოსტკოვიდური**. მისი პირველი ნაწილი ლათინური წარმოშობის თავსართია და ნიშნავს *რისამე მომდევნოს, შემდეგს*. მაგალითად, პოსტფაქტუმ, პოსტსკრიპტუმ. ამ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა ქართულად შეგვექმნა კომპოზიტი **კოვიდშემდგომი** და არა **პოსტკოვიდური**. თუმცა არც ეს ტერმინი ჩაითვლება ბარბარიზმად, რადგან თავსართი „**პოსტ**“ ჩვენს ენაში დამკვიდრებულია და საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

ამ ბოლო ხანს გაჩნდა კომპოზიტი **Covider – კოვიდერი**. იგი **კოვიდის** და **პროვაიდერის** შერწყმითაა მიღებული, მისი მეორე კომპონენტი ინგლისურია, უფრო სწორად, ინგლისურ ენაში ლათინურიდანაა შესული და ნიშნავს *ამა თუ იმ მომსახურების მიმწოდებელს (პირს ან კომპანიას)*. აქედან გამომდინარე, ეს კომპოზიტი შეიძლებოდა ქართულად გვეთარგმნა, როგორც „კოვიდმომსახურე“. საინტერესოა, რომ საქართველოში

შექმნეს ფეისბუქის ახალი პლატფორმა **კოვიადერი**, რომელიც მორიგი ნეოლოგიზმია. ამ გვერდს კი სრულიად შესაფერისი სახელი – **COVID ახისტენტი – კოვიდასისტენტი** უწოდეს. ამ კომპოზიციის ორივე კომპონენტი, ასევე, უცხოურია.

ზოგიერთმა სიტყვამ უფრო ვიწრო მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ჰქონდა. მაგალითად, მედიცინაში კორონავირუსი უამრავია. ახლა კი, როცა ეს სიტყვა გვესმის, ვხვდებით, რომ საუბარია მხოლოდ COVID-19-ზე.

სიტყვა **კორონავირუსი** (ინგ. **Coronavirus**) ახალი არ არის. თუკი ადრე ეს ტერმინი მხოლოდ სპეციალისტებისთვის იყო ცნობილი, ახლა იგი ყველამ იცის. იქიდან გამომდინარე, რომ კომპოზიტი **კორონავირუსი (coronavirus)** საზოგადოებისათვის ნაცნობი სიტყვებისაგან შედგება (**კორონა** და **ვირუსი**), თავიდან ის უფრო სწრაფად დამკვიდრდა, ვიდრე **COVID-19**. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ სრულიად გაუგებარი იყო, რადგან მას უფრო მეცნიერულად აღიქვამდნენ. აღსანიშნავია, რომ რთულ სიტყვათა უმრავლესობა წარმოიქმნება ძირისაგან **კორონა**, რომლებიც გამოხატავენ ადამიანების ემოციურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ასეთებია: **კორონაპანიკა, კორონაფობია, კორონამანია, კორონაფრონტი, კორონაფეიკი, კორონავირუსგადატანილი, კორონასექტიკოსები, კორონასტრესი** (პანდემიით გამოწვეული სტრესი) და ა.შ. მანანა ტაბიძე აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებით ხშირია დღეს წინადადებაში სიტყვათა მექანიკური შერწყმა, რაც უფრო მედიის ენისათვისაა დამახასიათებელი“. „უნდა ითქვას, რომ დღეს ე.წ. ფსევდოკომპოზიტურმა დაწერილობებმა არნახულ რაოდენობას მიაღწია; დღეს აერთიანებენ ისეთ ფორმებსაც, როგორცაც წარსულში ერთიან სემანტიკურ წყვილადაც კი არ მოიაზრებდნენ“ [1, 87]. მაგ.: „**კორონავირუსგადატანილ** პაციენტებს იმუნიტეტი მაინც ექნებათ“ [„კვირის პალიტრა“, 6-12 აპრილი, 2020].

უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი გახდა ზოგი ისეთი ტერმინი, რომელთა გამოყენებაც ადრე მხოლოდ ვიწრო პროფესიულ გარემოში ხდებოდა. ახლა კი ამ სიტყვებმა ადამიანების აქტიურ ლექსიკაში დროებით გადაინაცვლა. შეიძლება ითქვას, რომ მოხდა მათი დეტერმინოლოგიზაცია. მაგალითად, **ანამნეზი, ვირუს-ლენტური, სატურაცია, რესპირატორი, პნევმონია** და სხვა. ვითარებიდან გამომდინარე, ადამიანებს მოუწიათ გარკვეულიყვნენ ისეთ მნიშვნელოვან სამედიცინო ტერმინებსა და მათ შორის არსებულ განსხვავებებში, როგორებიცაა: **ეპიდემია/პანდემია, კარანტინი/ოზოლაცია, რესპირატორი/ვენტილაცია, ანტიგენი/ანტისხეულები, დაავადებული/დაინფიცირებული**.

არის მთელი რიგი ინგლისურიდან ნასესხები სიტყვებისა, რომლებიც, ასევე, ვირუსის გავრცელების შედეგად აქტუალური გახდა და კონოტაციური მნიშვნელობა შეიძინა. ესენია: **ლოკდაუნი, კლასტერი, სპრედერები**. განვიხილოთ თითოეული მათგანი: **ლოკდაუნი** (ინგ. **Lockdown**) – ეს კომპოზიტი დროებით ჩაკეტვას, თავისუფალი გადაადგილების აკრძალვას ნიშნავს. მაკმილანისა და ვებსტერის ლექსიკონების მიხედვით, მოცემული სიტყვა განიმარტება, როგორც მთავრობის მიერ დაწესებული ექტრემალური ღონისძიება ან დროებითი შეზღუდვა; იზოლაციის მკაცრი რეჟიმის შემოღება ეპიდემიის აფეთქების თავიდან ასაცილებლად. მაგ.: „**გამოცხადდება თუ არა მესამე ლოკდაუნი?**“ [„კვირის პალიტრა“, 19-25 აპრილი, 2021]. ქართულად ეს სიტყვა შეგვეძლო, ასევე, გვეთარგმნა ან მოგვეშველიებინა სხვა ტერმინებით, მაგ.: სრული ჩაკეტვა, სრუ-

ლი უძრავობა, სრული (ან მკაცრი) შეზღუდვა. Collins-ის ლექსიკონმა მოცემული ტერმინი 2020 წლის სიტყვად დაასახელა.

კლასტერი (ინგ. **Cluster n.**) – ესაა რიგი (ხეებისა), ჯგუფი (ერთგვარი ხალხისა), გროვა ერთგვარი საგნებისა, მაყურებელთა ჯგუფები, კონა, შეკვრა. რა თქმა უნდა, ამ მნიშვნელობებიდან პანდემიისთვის შესაფერისია „ჯგუფი ერთგვარი ხალხისა“. ასევე, შეიძლება კლასტერის ნაცვლად გვეხმარა **ჯგუფი ან დაჯგუფება**. მაგალითად, **აჭარის ჯგუფი (დაჯგუფება), ბოლნისის ჯგუფი (დაჯგუფება), საქართველოს ბანკის, საბურთალოს ჯგუფი (დაჯგუფება)**. ინგლისური ენის მაკმილანის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **კლასტერი** განმარტებულია როგორც: ერთისა და იმავე ტიპის მოვლენათა სერია, მაგალითად, დაავადების შემთხვევები, რომლებიც ყველა ერთსა და იმავე ადგილას და დროს ხდება. ვფიქრობთ, ქართული მასმედიის სივრცეში ტერმინი **კლასტერი** შეიძლება ჩაითვალოს 2020 წლის სიტყვად.

სიტყვა **სპრედერ(ები)** (ინგ. **Spreaders**) – ქართულად მისი შესატყვისია **გამავრცელებლები** და ასეც უნდა გამოვიყენოთ; ასევე, **სუპერსპრედერი**, რომელიც ინგლისურ ენაში გვხვდება ორნაირი დაწერილობით – დეფისით და ერთად (ინგ. **super-spreader, superspreader**). ქართულ ენაში პრეფიქსს **super** თავისი სინონიმი მოეძებნება – **ზე-, ზედა-** და აქვს იგივე სემანტიკური დატვირთვა, რაც ინგლისურში. ვებსტერისა და მაკმილანის ლექსიკონების მიხედვით, ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება დაავადების აღსანიშნავად, ესაა „ადამიანი, რომელიც ძალზე გადამდებია და შეუძლია დაასნებოვნოს საკმაოდ დიდი რაოდენობის არაინფიცირებული ხალხი“ [13;14].

ეს სიტყვები ნამდვილად ბარბარიზმებია, რადგან ყველა მათგანს შესაბამისი ქართული ეკვივალენტი გააჩნია. თუმცა, პანდემიის ფენომენის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, სიტყვები: **ლოკდაუნი, თვითიზოლაცია, კარანტინი, სოციალური დისტანცია** შეიძლება მივაკუთვნოთ ინტერნაციონალიზმებს. ამ სიტყვებს ახლა მსოფლიოში თითქმის ყველა ენაში იყენებენ. ზოგიერთი მათგანი უფრო აქტუალური გახდა, მათი მნიშვნელობა გაფართოვდა და ახლებურად განიმარტება, ანუ ამჟამინდელი პანდემიური რეალობების შესაბამისად [5, 140].

რაც შეეხება ნეოლოგიზმებზე მაწარმოებლების დართვით მიღებულ ტერმინებს, ისინიც მრავლადაა. მაგალითად, „კოვიდიანი“ – აქ გამოყენებულია ქონების აღმნიშვნელი **იან** ბოლოსართი; „კოვიდური“ ან „ანტიკოვიდური“ – ამ სიტყვას აწარმოებს საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი უცხოური თავსართი „**ანტი**“ და წარმოშობის აღმნიშვნელი ქართული ბოლოსართი **-ურ**.

სხვადასხვა ტიპის ნეოლოგიზმთა გაჩენაში დიდი წვლილი შეიტანა ინტერნეტმა. ქართველთა გონებამახვილობით შექმნილ აფიქსალურ ტერმინებს ხშირად ვხვდებით სოციალურ ქსელებში. მაგალითად, ვინც კოვიდი გადაიტანა, თავის თავს უწოდებს **პოსტკოვიდურს**, ხოლო ვისაც ჯერ არ გადაუტანია ვირუსი – **პრეკოვიდურს**. ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ლათინური წარმოშობის თავსართები. „**პოსტ**“ ნიშნავს რისამე მომდევნოს, შემდეგს, ხოლო „**პრე**“ – რისამე წინარეს.

ჩვენს სიტუაციაში საინტერესო ისაა, რომ ადამიანები არსებულ სინამდვილეს იუმორით ხვდებიან და სიტყვებით თამაშს იწყებენ. ასე შეიქმნა ორიგინალური, ექსპრესიული ერთგნებიანი **კორონასიტყვები, კორონალექსიკა**, სახელწოდებები და ტერმინები. სოციალურ ქსელებზე დაკვირვებისას და კომენტარების გადაკითხვისას დავაფიქსი-

რეთ შემდეგი კომპოზიციები ელემენტით **კოვიდი: კოვიდგამოვლილები, კოვიდმოხდილი, კოვიდგადატანილი, კოვიდგადარჩენილი** [Facebook, 2020].

ღიმილის მომგვრელი კომპოზიცია **კოვიდსტუმრები** – სტუმრად მოსული კოვიდიანი ან კოვიდგადატანილი ხალხი [Facebook, 2021]. სიტყვა **მოკოვიდებული** (ანუ კოვიდგადატანილი) იყო ნახსენები გადაცემაში „ღამის შოუ გოირგი გაბუნიასთან ერთად“, 2021. მსგავსი სიტყვაა: **ნაკოვიდარი**, ხოლო **საკოვიდარი**, ვისაც კოვიდი ჯერ კიდევ არ გადაუტანია. სახალისოა, აგრეთვე, ფამილიარული და ფიგურალური გამონათქვამები: **მივაკარანტინეთ, კოვიდი დავიჭირე, კორონა შემემთხვა, კოვიდმა მიპოვა, კოვიდი გაგაცილე** [Facebook, 2021].

მოიფიქრეს, აგრეთვე, ზმნაც **„გადაკოვიდდნენ“**. საუბარია კოვიდსასტუმროებზე, სადაც ინფიცირებულთა მზარდი დინამიკის გამო მსუბუქი და უსიმპტომო პაციენტები სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ ან სჭირდებოდათ იზოლაცია.

ლექსიკური ინოვაციის საინტერესო მაგალითია სიტყვა **მასკნე**, რაც სალექსიკონო განმარტებით, პირბადის ტარებისაგან გამოწვეულ აკნეს ნიშნავს. ეს ტერმინი მომდინარეობს ინგლისური ენიდან და არის სიტყვების **face mask (პირბადე)** და **acne (აკნე)**-ის ნაზავი, შემოკლებით **maskne**. მოცემული სიტყვა 2020 წლის 18 აპრილს შეიქმნა [12].

ვემსრობით იმ მოსაზრებას, რომ „ამ ახალ სიტყვას ინტერნაციონალური სტატუსი მიენიჭოს, რადგან ის ბევრ ენაში გვხვდება“ [5, 142], მათ შორის, ქართულშიც [გადაცემა „ღილის შოუ“, რუბრიკაში ბიუთი ბოქსი, 2021].

საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში გააქტიურდა და გავრცელდა ვაქცინაციასთან დაკავშირებული სიტყვებისა და ტერმინების გამოყენება, რამაც გამოიწვია ადამიანების დიფერენცირება მათი ვაქცინაციისადმი დამოკიდებულების მიხედვით. ამ მხრივ საინტერესო ტერმინებია **ანტივაქსერები და პროვაქსერები** (ინგ. **anti-vaccinationists, pro-vaccinationists**). ვაქცინაციის მოწინააღმდეგეებს **ანტივაქსერები** უწოდეს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ტერმინები საკმაოდ თანამედროვედ ჟღერს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს **ანტივაქსერები** – ესაა მტკიცე ადამიანების რაღაც ნოვატორული, უახლესი მოძრაობა, რომლებიც იმუნიზაციისადმი უნდობლობით გამოირჩევიან. ვაქცინის მომხრეებს კი პროვაქსერები უწოდეს, ირონიით **ვაქსერუშკები** და **კორონამადიდებლები, კორონამიმდევრები** შეარქვეს. ნეოლოგიზმი **ვაქსერუშკები** რუსული ენის ზეგავლენით შეიქმნა [facebook, 2021] და ის კინობით-ალერსობით ფორმას წარმოადგენს. საინტერესო კონტამინაციის, ბლენდინგის ნიმუშად ქართულ ენაში შეიძლება ჩაითვალოს სიტყვა **შხამქცინა** და მისგან ნაწარმოები **შხამქცინაცია, შხამქცინერი**, რომლებიც მიღებულია სიტყვებიდან **შხამი** და **ვაქცინა** [facebook, 2021].

რა თქმა უნდა, კორონავირუსის პანდემიამ სხვა ენების ლექსიკაშიც შეიტანა ცვლილებები. ცნობილია, რომ ნებისმიერი ენის ლექსიკური შემადგენლობა ენის ყველაზე დინამიკური და ცვალებადი ნაწილია. იგი სწრაფად რეაგირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა იმ მოვლენაზე, რაც რეალურად სამყაროში ხდება.

ცხადია, ნეოლოგიზმები ისე სწრაფად ვერ აისახება ლექსიკონებში, როგორც ეს ზეპირი თუ წერიტი მეტყველების შემთხვევაშია. მაგრამ ინგლისური ენის ისეთი განმარტებითი ლექსიკონების შემდგენლებმა, როგორებიცაა: Urban Dictionary, Merriam Webster, Oxford Learner’s Dictionary, Macmillan Dictionary მსოფლიოში გავრცელებულ ვი-

რუსთან დაკავშირებული ნეოლოგიზმების დიდი ნაწილი მალევე შეიტანეს ონლაინ ვერსიებში.

ბრიტანულ მასმედიას, აგრეთვე, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ნეოლოგიზმების შექმნასა თუ გავრცელებაში. მაგ.: "New **Covid crackdown** begins: Four people are fined for 'going to McDonald's' together, officers stop CARS to quiz drivers and **masked cops** arrest 28 activists for 'breaking lockdown rules' during London protests" [7]. "I'm afraid this virus is out of control", Khan said, after declaring a major incident with the capital's hospitals struggling to cope with **coronavirus patients** [8].

ინგლისური ენისათვის, კერძოდ კი, მასმედიისათვის, დამახასიათებელია შემოკლებისაკენ მისწრაფება. სიტყვათა შემოკლების გზები ნაირგვარია: ერთ-ერთი გავრცელებული ტიპია კონტამინაცია (ბლენდინგი), ინგ. **Blending, blend** (აგრეთვე, ტელესკოპური ან პორტმანტო (**portmanteau**) სიტყვები), რომელიც სიტყვაწარმოების ორ მეთოდს (შემოკლებასა და კომპოზიციას) აერთიანებს და მიღებულია ორი ან მეტი ძირის შეკვეცილი ფორმის შეერთებით ან შერწყმით. იგი გამოირჩევა ექსპრესიულობით, ორიგინალურობითა და სიტყვათა თამაშის მაღალი სიხშირის გამოყენებით კორონავირუსის პანდემიის ეპოქაში. ბლენდინგის უჩვეულო ფორმა ხელს უწყობს ადრესატის მხრიდან მის მარტივ დეკოდირებასა და დამახსოვრებას. კონტამინაციის (ბლენდინგის) მეთოდის გამოყენებით შეიქმნა ისეთი სიტყვები, რომლებმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ამ რიგისაა: **doomscrolling, Zooming, covidiot, covidivorce, coronoya**.

მთელ მსოფლიოში კორონავირუსის პანდემიამ ადამიანები სახლებში გამოკეტა. ამიტომ გულის გადასაყოლებლად და ინფორმაციის მისაღებად ყველამ ინტერნეტის აქტიური გამოყენება დაიწყო. ადამიანები მუდმივად ცდილობენ გაიგონ, თუ რა ვითარებაა მსოფლიოში ვირუსის გავრცელების მხრივ. ისინი ბევრ ნეგატიურ ინფორმაციას იგებენ. სწორედ ამ ქმედებას უწოდეს ინგლისური ტერმინი **doomscrolling**. ეს კომპოზიტი მიღებულია სიტყვებიდან **doom** (ბედისწერა) და **scrolling** (ეკრანზე ტექსტის გამოსახულების აწვეწამოწვევით თვალიერება). სალექსიკონო დეფინიციით **doomscrolling** განიმარტება, როგორც ნეგატიური ინფორმაციის ხანგრძლივი კითხვა სოციალურ ქსელებში [11, March 24, 2020]. ამ ნეოლოგიზმს უკვე აქტიურად იყენებენ ინტერნეტმომხმარებლები.

პანდემიის პერიოდში, ასევე, გაიზარდა სხვადასხვა პლატფორმის გამოყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ერთ-ერთი მათგანი არის **Zoom** პლატფორმა, რომელიც გამოიყენება ონლაინგაკვეთილებისა და ვიდეოკონფერენციისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში **Zoom**-ზე ასეთმა მოთხოვნამ ავისმქმნელნიც მიიზიდა. ისინი თვითნებურად ერთვებოდნენ და შეუფერებელი საქციელით ხელს უშლიდნენ სხვათა კონფერენციებსა და მეცადინეობას. ამგვარ ქმედებას დაარქვეს (ინგ.) **Zooming**. მოცემული ნეოლოგიზმი მიღებულია სიტყვებიდან **zoom** და **bombing** (დაბობვა), რაც თარგმანით ნიშნავს „ზუმში დაბობვას“, „ზუმში შეჭრას“.

ყველაზე საინტერესო კომპოზიტია **Covidivorce** (ინგ.) – **კოვიდივორსი**, რომელიც წარმოქმნილია სიტყვებიდან **COVID-19** (**კოვიდი**) და **divorce** (**დაშორება**). ამ ინგლისური ტერმინით გადმოცემულია ვირუსის დროს კარანტინის პირობებში მყოფი ოჯახების ან წყვილების ბედი. ხანგრძლივმა ერთად ყოფნამ ხშირ შემთხვევაში გამოიწვია მოსიყვარულე ადამიანთა დაშორება, განქორწინება. თუკი ქართულად ვთარგმნით, შედეგად

შეიძლება მივიღოთ ასევე კომპოზიტი **კოვიდდაშორება** ან **კოვიდგანხეთქილება**, ან სულაც სხვა სიტყვებიც – **კოვიდდაშორებულები**, **კოვიდგანქორწინება** ან **კოვიდგანქორწინებულები**. სალექსიკონო განმარტებით, **covidivorce** ნიშნავს განქორწინებას, რომელიც განაპირობა კოვიდით გამოწვეულმა შინაპატიმრობამ.

მსგავსი სიტყვებია: **Coronaverse** – კორონასამყარო (**corona + universe** - სამყარო) – the name given to human society in a post Covid-19 world, (Guardian). ნეოლოგიზმი, რომელიც ეწოდა პოსტკოვიდური სამყაროს კაცობრიობას. **Coronoya** (კორონოია) – the constant fear of the COVID-19 mostly caused by the media and governments. პანდემიით გამოწვეული პარანოია. ეს არის სიტყვების **კორონასა** და **პარანოია**-ს ნაზავი. **COVIDeos (COVID+video)** – videos watched during the COVID-19 pandemic to help stay sane typically though quarantaining. COVID-19 პანდემიის დროს ნანახი ვიდეოები [11, April 20, 2020]. **Infodemic** (ინფოდემია) – (**information + epidemic**) – the accelerated spread of disinformation. დეზინფორმაციის სწრაფი გავრცელება, **Coronaphobia** (Daily Mail), კორონაფობია (**corona+phobia**). **Coronasomnia** – კორონასომნია – (**corona +insomnia**) – sleeplessness as a result of anxiety related to the coronavirus pandemic პანდემიით გამოწვეული უძილობა [4].

პანდემიის დასაწყისშივე გაჩნდა და გავრცელდა სხვა ენებშიც კიდევ ერთი საინტერესო ინგლისური სიტყვა **covidiot n. (კოვიდიოტი)**, რომელმაც ირონიული ელფერი შეიძინა და გამოიყენება არაოფიციალურ საუბარში. ის მიღებულია სიტყვებისაგან (**COVID -19 + idiot**) – **კოვიდი** და **იდიოტი**. Macmillan, Oxford learner’s dictionary-ის მიხედვით, კოვიდიოტს იმ ადამიანებს უწოდებენ, რომლებიც ვერ აცნობიერებენ კორონავირუსის (COVID-19) საშიშროებას და საერთოდ უგულვებელყოფენ გაფრთხილებას ჯანმრთელობის შესახებ, სოციალურ დისტანციასა და სხვა აუცილებელ მოთხოვნებს. ურბანულ ონლაინლექსიკონში მოცემული სიტყვა დამატებით განმარტებულია შემდეგნაირად: ადამიანი, რომელიც კორონავირუსის გამო მდაბიებს აცარიელებს თვითიზოლაციის შიშით. ეს სიტყვა 2020 წლის 16 მარტს შეიქმნა [12].

მოიფიქრეს ისეთი სინონიმური კომპოზიტებიც, როგორებიცაა **Coronapocalypse** და **Coronogeddon**. მათ ერთმანეთთან დააკავშირეს სიტყვები: კორონა, აპოკალიპსი და არმაგედონი. ეს კი ადამიანების მხრიდან სიტყვაწარმოქმნის კრეატიულობის პოტენციულზე მიუთითებს.

რაც შეეხება რუსულ ენას, აქაც საკმაოდ საინტერესო ცვლილებები გამოიწვია კორონავირუსმა. ადამიანებმა რუსეთშიც გამოიჩინეს გონებამახვილობა და რუსული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, შექმნეს ნეოლოგიზმები, კომპოზიტები, მყარი სამეტყველო კონსტრუქციები. უამრავი კალამბური გაჩნდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანები ახალ სიტუაციას ეგუებიან, ესაა ენობრივი თამაში. მაგალითად, შეიქმნა ვირუსის აღმნიშვნელი ახალი სიტყვა **ковидло (ковид+повидло)** – ხილფაფა სუნისა და გემოს გარეშე და სლენგი **застряны** – ასე უწოდებენ მათ, ვინც უცხოეთში ჩარჩა (**застрял**) და ვეღარ ახერხებს დაბრუნებას. საინტერესოა, ასევე, ტერმინი **Карантикулы**, რომელიც მიღებულია **კარანტინი (Карантин)** და **არდადეგებისაგან (каникулы)**. ამ კომპოზიტისაგან მხოლოდ რუსულად გამოდის კალამბური, რადგან რუსულ ენაში სიტყვა არდადეგები ასე ედერს: **каникулы**. ასევე – **коронаоке (коронавирус+караоке)**. ეს სიტყვები შექმნილია რუსული ენისთვის ნაკლებად დამახიასიათებელი სიტყვათწარმოქმნის საშუალებით – **blending**-ით.

რუსული სპეციფიკისაა სინონიმები **удаленка** (удаленная работа) და **дистанционка**, რაც ნიშნავს დისტანციურ სწავლებას. პანდემიის გამოცხადებამდე სახლიდან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მუშაობდა, ეს სიტყვა პროფესიული ჟარგონი იყო, მაგრამ როდესაც პანდემიის გამო თითქმის ყველა დისტანციურ სამუშაოზე გადავიდა, სიტყვა **დისტანციური** – ვიწროპროფესიული ჟარგონი, საყოველთაოდ გამოყენებულ ფრაზად იქცა.

ყველაზე განსაკუთრებული კი არის რუსული გამონათქვამი **Коронованая Особа** და **Коронованный**. ასე უწოდებენ ისინი ვირუსის მქონე ადამიანს. ზუსტი თარგმანი ასეთია: **გვირგვინდადგმული პირი**. ასევე, გადააზრებულია სიტყვა **Коронация**. საერთოდ, ამ სიტყვებით გამოიხატებოდა მონარქის მეფედ კურთხევა. პანდემიის პირობებში კი ამ გამონათქვამმა ფიგურალური და ამავე დროს ირონიული ელფერი შეიძინა.

შეზღუდვათა რეჟიმმა რუსეთში გააჩინა ისეთი ნეოლოგიზმები, როგორებიცაა **безмасочники** (ისინი, ვინც პირბადეს არ ატარებენ), **сидимцы** (ვინც, ძირითადად, სახლში ზის) და **погулянцы** (ვინც შეზღუდვებს არ იცავს და სეირნობას ამჯობინებს).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ენებში სიტყვაწარმოქმნის პროცესი შეუწყვეტელი მიმდინარეობს.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვიინდა, რომ კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიას, გლობალურ ცვლილებებს ენამ უპასუხა პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მექანიზმების გააქტიურებით (კომპოზიტები, რთული სიტყვები, დერივაცია, კონტამინაცია (ბლენდინგი)), სემანტიკური ტრანსფორმაციით, ლექსიკური ინოვაციებით, რაც ინგლისური, ქართული და რუსული ენების ლექსიკის სწრაფ განვითარებაში აისახა.

როგორც დავაკვირდით, ახალწარმოებული კომპოზიტებიდან რთული არსებითი და ზედსართავი სახელები ჭარბობს. **კოვიდ** ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები უფრო მეტია, ვიდრე **კორონავირუსი** ან **კორონა** ძირისაგან. მათი შექმნის რაოდენობა, ფაქტობრივად, შეუზღუდავია. ენაში გაჩნდა ინდივიდუალურ-ავტორისეული, ოკაზიური ნეოლოგიზმები, ანუ ოკაზიონალიზმები, რომლებიც გამოყენებული იყო გარკვეულ კონტექსტში, გარკვეული სტილისტური მიზნებით, როგორც ემოციურობის, ექსპრესიულობისა და შეფასების გამომხატველი საშუალება.

2020 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გამდიდრდა არა მხოლოდ ადამიანების ყოველდღიური ლექსიკა, არამედ ახალი სიტყვები უკვე ოფიციალურ დონეზე დაფიქსირდა, რადგან ეს წელი ლექსიკური აქტივობით გამოირჩეოდა. კორონავირუსის პანდემია ლექსიკონების შევსების გამომწვევი მიზეზი იყო, რამაც მრავალი გამონათქვამი გააჩინა და შეცვალა მანამდე არსებული სიტყვების სემანტიკა, ანუ მოხდა მათი გადააზრება, ძველი სიტყვების აქტუალიზება ან ახალი მნიშვნელობის შექმნა. თუმცა, ზოგიერთი ლინგვისტი აღნიშნავს, რომ ყველა მათგანი დიდხანს ვერ ან არ დარჩება ლექსიკაში. ვფიქრობთ, ნეოლოგიზმთა ნაწილი მაინც დაიმკვიდრებს ადგილს ლექსიკურ ფონდში, ნაწილი კი ერთჯერად წარმონაქმნებად დარჩება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კორონავირუსის (COVID-19) პანდემია, უდავოდ, დატოვებს კვალს ენის განვითარების ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. ტაბიძე მ., კომპოზიტების მართლწერისათვის, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007;
2. Burrige K., Manns H., 'Iso', 'boomer remover' and 'quarantini': how coronavirus is changing our language. Published: May 10, 2020. <https://theconversation.com/iso-boomer-remover-and-quarantini-how-coronavirus-is-changing-our-language-136729>;
3. Gramley S., Patzold Kurt M., A survey of Modern English. Second Edition. Routledge London and New York, 2004;
4. Thorne T., #CORONASPEAK-the language of Covid-19 goes viral - 2. Published online: April 15, 2020. <https://language-and-innovation.com/2020/04/15/coronaspeak-part-2-the-language-of-covid-19-goes-viral>;
5. Романик А., Лексические новации русского языка в период пандемии коронавируса. Новые слова и словари новых слов. Сборник научных статей. Отв. ред. Н. И. Козловская. Ин-т лингв. Исслед. РАН. 2020;
6. კვირის პალიტრა, 2020-2021. <https://www.kvirispalitra.ge/>;
7. The Daily Mail 6 January, 2021. <https://www.dailymail.co.uk/news/worldnews/index.html>;
8. The Guardian 8 January, 2021- <https://www.theguardian.com/theguardian/2021/jan/08>;
9. <https://www.gazeta.ru/tech/2020/04/20/13055605/coronawords.shtml>;
10. <https://iz.ru/1027932/olga-kolentcova/bolnoi-iazyk-kak-covid-19-obogatit-slovarnyi-zapas>;
11. Oxford Learner's Dictionary. <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>;
12. Urban Dictionary. <https://www.urbandictionary.com/>;
13. Macmillan Dictionary. <https://www.macmillandictionary.com/>;
14. Merriam Webster Dictionary. <https://www.merriam-webster.com/>.

Maia Marghania, Maia Chkvanava, Maka Kacharava
Neologisms of the Coronavirus Pandemic Era in the Georgian,
English and Russian languages
Summary

The paper deals with comparative, descriptive, lexical-semantic and etymological analysis of the neologisms created in the period of the coronavirus COVID-19 pandemic. It discusses the examples of composites, blending, semantic transformations and lexical innovations based on the Georgian, English and Russian mass media as it has a significant role in creating and spreading neologisms.

The conducted research has revealed that the languages of the world have been significantly enriched with new vocabulary. Language has responded to these changes through productive word-formation methods. Therefore, the pandemic will undoubtedly leave traces in the history of language development.

Майя Маргания, Майя Чкванавა, Мака Качарава
***Неологизмы эпохи пандемии коронавируса в грузинском,
английском и русском языке***
Резюме

В статье проводится сравнительный, описательный, лексико-семантический и этимологический анализ неологизмов, возникших в период пандемии коронавируса COVID-19. В ней рассматриваются примеры композитов, смешения, семантических трансформаций и лексических новаций на основе грузинских, английских и русских средств массовой информации, так как они играют значительную роль в создании и распространении неологизмов.

Проведенное исследование выявило, что языки мира значительно обогатились новой лексикой. Язык отреагировал на эти изменения продуктивными способами словообразования. Поэтому пандемия, несомненно, оставит следы в истории языкового развития.

მადონა შელია
(საქართველო)

ფონოლოგიის აქტუალური პრობლემები

მარცვლის ონტოლოგიას მეცნიერები სხვადასხვა მხრივ სწავლობენ. წინამდებარე ნაშრომის ჩანაფიქრის თანახმად, მარცვალი, პირველ ყოვლისა, სიტყვის ნაწილს წარმოადგენს. ამიტომაც ჩვენ, ბუნებრივია, ვცდილობთ, გავარკვიოთ თანაფარდობა მარცვალსა და სიტყვის იმ სხვა კომპონენტებს შორის, რომლებიც ენათმეცნიერული კვლევის სხვადასხვა დონეებისადმი კუთვნილებაზე აცხადებენ პრეტენზიას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყურადღების ცენტრში ექცევა საკითხი სიტყვას, მორფემას, ფონესტემასა და მარცვალს შორის ურთიერთქმედების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფონესტემას, რომელიც, როგორც გვეგონია, მთლიანად მარცვლებს ეფუძნება. ჩვენ ვცდილობთ პარონიმული ატრაქციის შინაგანი მექანიზმის მოძებნას და მარცვალთა „ფონესტემური“ გაცოცხლების მეტისმეტად თავისებურ მეთოდს მივმართავთ. ამასთან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის გარკვევა, რომ ფონესტემა მარცვლის გარეშე არსებობს ე.წ. "consonant clusters"-ის (თანხმოვანთა ჯგუფების ან „კონების“) შემადგენლობაში.

თუკი ჩვენ ამოცანად დავისახავთ ფონესტემათა ონტოლოგიის შესწავლას მეტყველებაში, მაშინ ბგერისა და ბგერათშეთანხმების შემთხვევითი და არაშემთხვევითი გამეორების გამოქვინის აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდებით [1]. მაგალითად:

In the flickering green of the square below some children were flitting about like white butterflies, and the pavement was crowded with people on their way to the Park.

წინადადების პირველ ნახევარში [fl] ბგერათშეთანხმების გამეორება გამოხატავს სისწრაფეს, სიმსუბუქეს, რომლითაც ბავშვები გადაადგილდებიან სკვერში, წინადადების მეორე ნაწილში კი [p] ბგერის არაერთგზის წარმოთქმა ერთგვარად ხაზს უსვამს ტროტუარზე მდორედ მოძრავი ბრბოს სიმჭიდროვეს.

Her post contained not bills for dresses, but solicitations to feed, frizz, fur, flower, feather, furbelow, and photograph her.

თუმცა, ერთი შეხედვით, ავტორის მიერ ბგერათა განმეორების საშუალებით დახატული სახეები საკმაოდ ინდივიდუალურები არიან, მაინც არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, არსებითად, აღნიშნულ შემთხვევებში საუბარია ერთსა და იგივეზე – განმეორებად მოქმედებაზე. სწორედ სახის ეს ელემენტი ძლიერდება თანხმიერებათა დახმარებით. როდესაც ავტორს სურს ნათქვამის შინაარსის გაძლიერება, ყურადღების კონცენტრირება რაიმეზე, იგი ცდილობს აკინძოს ფონესტემები მეტყველებათა ჯაჭვის რგოლებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად არსებობს ყველანაირ ფონესტემათა მთელი სიები, რომლებსაც შინაარსის გარკვეული ელემენტები მიეწერებათ. ასე, მაგალითად, სიტყვები, რომლებიც შეიცავენ შექდერებას [gl] – glimmer, gleam, glare, glance სინათლის ცნებას უკავშირდება; ბგერათშეთანხმება [fl] ტრადიციულად უკავშირდება მოძრაობის ცნებას – flip, fly, flee; [sl] უკავშირდება რაიმე გლუვს და სველს – slide, slip, slash; [cr] ხმაურიან დარტყმას ან შეჯახებას – crack, crash; [sn] ხმაურიან სუნთქვას – snore, sniff; ან სწრაფ მოძრაობას – snatch, snap [2]; ამის გარდა, ცნობილია, რომ გარკვეულ პირობებში

ცალკეულ ბგერებსაც გააჩნიათ „განსხვავებული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და ამიტომ სრულიად გარკვეული სულიერი მდგომარეობის გადმოცემა შეუძლიათ“. მაგალითად, [b] უკავშირდება „ყრუ, უეცარ და ძლიერ დარტყმას“ – bat, bang; [dz] – მოძრაობას ზემოდან ქვემოთ – jounce, jump; [r] გვხვდება მოძრაობის, მღელვარების აღმნიშვნელ სიტყვებში; [l] – სიტყვებში, რომლებიც რბილის, გლუვის იდეას გამოხატავენ. ეს იდეები კარგად არის ცნობილი და დღეს ისინი დეტალურად და ყოველმხრივ შექდებიან ფონოლოგიის (ენათმეცნიერული ციკლის მეცნიერება, რომელიც ბგერასა და მნიშვნელობას შორის კავშირს იკვლევს) ფარგლებში. სინესთეზიის სახელწოდებით ცნობილ ანალოგიურ მოვლენებს განიხილავენ, აგრეთვე, ნეიროფსიქოლოგებიც – მაგალითად, ითვლება, რომ ფონემატიკურ ოპოზიციებს შეუძლიათ ისეთი ურთიერთობების გამოხატვა, რომლებიც მუსიკალურ, ფერთა, ყნოსვით, ტაქტილურ აღქმასთან არიან დაკავშირებული.

საჭიროა გაირკვეს, თუ ინგლისური მარცვლის როგორ სახესხვაობებს შეუძლიათ პარონიმული ატრაქციის წარმოქმნა. არსებობს რაიმე სახის შეზღუდვები მისი კავშირისას ძლიერ მახვილიან მარცვალთან, ან სიტყვიერი მახვილის შემცველ მარცვალთან, თუ პარონიმული ატრაქციის შემადგენლობაში „მუშაობს“ ნებისმიერი, ყველანაირი მარცვალი.

მიემართოთ მასალას. პირველ ყოვლისა, გამოიჩინეთ პარონიმული ატრაქციის ისეთი სახესხვაობა, რომელიც დაიყვანება იმ ბგერების ან ბგერათშეთანხმებების გამეორებად, რომლებიც ძლიერი სიტყვითი მახვილის ზეგავლენას განიცდიან. თუმცა, აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ აქ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ზოგიერთი წმინდა ენობრივი შეზღუდვა, რომლებიც მდგრადი იდიომატიური გამოთქმების, ანდა აფექტთა მარცვლოვანი ფონეტიკისთვის დამახასიათებელი სრულიად განსაკუთრებული შეთანხმებების ერთი რიგის მოვლენებად განხილვის საშუალებას არ იძლევიან.

"... than in circles; rights and wrongs fought it out..."

"... Sir Winston Churchill, soldier, statesman and citizen".

მიუხედავად იმისა, რომ ფონესტემიკის თვალსაზრისით ამ ორ ნაწევრს შორის შეიმჩნევა გარკვეული მსგავსება – ერთ შემთხვევაში ყველაფერი ეფუძნება ბგერას [r] – "wrongs and rights", მეორეში – ბგერას [s] – "statesman, soldier and citizen", ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მიუვითოთ მათ არსებით განსხვავებაზე. მეორე ნაწევრში ხდება თანხმიერი სიტყვების დაახლოება ეფექტთა მარცვლოვანი ფონეტიკის საფუძველზე, რომელიც განსაკუთრებული სახის ფონეტიკურ მოვლენებს განეკუთვნება და გულისხმობს მარცვალთა უჩვეულო გამოყოფას მეტყველების ნაკადში, რაც გამონათქვამის შინაარსის-განზრახვის ოპტიმალურ გადმოცემას ემსახურება.

რაც შეეხება პირველ ნაწევრს, აქ აღვიღოთ აქვს ბგერათა გამეორებას მდგრადი იდიომატიური გამონათქვამის შემადგენლობაში, რომელიც მეტყველებაში დამატებით მეტაშინაარსს არ იძენს და განსაკუთრებულ ფონეტიკურ და პროსოდიულ გაფორმებას (მარცვალთა დონეზე) არ მოითხოვს.

ჩვენს ბევრად დიდ ინტერესს იწვევს მეორე მაგალითის მსგავსი ისეთი სიტუაციები, როდესაც გამოცდილი ორატორები ქლერადობის თანხვედრებს იყენებენ რაიმე გარკვეული მიზნით და როდესაც ეს თანხვედრები ვერ თავსდება ფორმალური აღწერის

ფარგლებში. ნათქვამი სრულად მიესადაგება, მაგალითად, შემდეგ ნაწევებს: "... in new ways – Leisure, pleasure, sport and travel – all these are big business today".

ამ ერთი ფრაზის საზღვრებში ფონეტიკური გამეორების ორი სრულიად განსხვავებული შემთხვევა აღინიშნება, თუმცა წმინდა ფორმალური მხრივ ისინი ერთად ფიგურირებენ. ყველაფერი ეფუძნება ბგერათა გამეორებას ბგერათშეთანხმებაში ძლიერი სიტყვიერი მახვილის გავლენით: "leisure – pleasure" და "big business". მართალია, ზემოთ განხილული მეორე მაგალითისაგან განსხვავებით, აქ შეიმჩნევა გარკვეული კანონზომიერება, რამდენადაც თანხმიერი წყვილების გაჩენა უკავშირდება საკმაოდ მდგრადი ასოციაციების გამოყენებას. მაგალითად, "leisure" და "pleasure" წარმოადგენენ, როგორც წესი, ძალიან ახლომდგომ ცნებებს, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ. "Big business", ასევე, განეკუთვნება მდგრადი გამოთქმების რიგს, რომლებიც მეტყველებაში გამოიყენებიან როგორც ერთი მთლიანობა.

მოვიყვანოთ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე ტიპური, თუმცა კი ყველაზე ელემენტარული (რამდენადაც სიტყვათა ფონეტიკური დაახლოება ბგერებს ემყარება) შემთხვევებიდან, მარცვლებში ძირითადი სიტყვიერი მახვილის მქონე პარონიმული ატრაქციის გამოყენებისა.

"... the ozone layer, marine pollution, toxic waste, acid rain, global warming – these rather faithful phrases have gradually become part of our daily lives".

მოცემულ ნაწევებში (ზემოთ განხილულისგან განსხვავებით), უჭკველია, ადგილი აქვს ეფექტთა მარცვლოვან ფონეტიკას. პარონიმული ატრაქცია იგება ღრუსმიერი (ხვრელისმიერი) ფრიკატული [f]-ს გამეორებაზე ისეთ მარცვლებში, რომლებიც ხასიათდებიან ძირითადი მარცვლოვანი პარამეტრების ერთნაირი შეთანხმებით – ორივე მარცვალს ახასიათებს მელოდიური მრუდის მკვეთრი ცვლილება, რასაც თან ახლავს წარმოთქმის მომატებული ინტენსიურობა და ხანგრძლივობა. ერთგვარი განსხვავება მარცვალთა ხანგრძლივობას შორის „თანაბრდება“ საწყისი ფრიკატული [f]-ის „ზეძლიერად“ წარმოთქმის ხარჯზე, რომლითაც უღერადობის ინტენსიურობით აღემატება ამ მარცვლებში შემავალ ხმოვან ბგერებს. ამგვარად წარმოთქმული ორივე მარცვალი (თუმცა მათ რაიმე საკუთარი საგნობრივ-ნივთობრივი მნიშვნელობა არ გააჩნიათ) დამატებით წონასა და გამსაკუთრებულ გამომსახველობას იძენს და გამოიყენება მოსაუბრის შემფოთებისა და მღელვარების გადმოსაცემად იმ მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის გამო, რომელიც კაცობრიობას ემუქრება.

უფრო მეტ ყურადღებას, ჩვენი აზრით, იმსახურებს პარონიმული ატრაქციის ისეთი შემთხვევები, როდესაც მთავარმახვილიან ფონეტიკურ მსგავსებებზე აძლიერებს მორფოლოგიური თანხვედრები სიტყვის ბოლოს სუსტმახვილიან ან სრულიად უმახვილო მარცვლებში. ამგვარი სიტუაცია, მაგალითად, საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსის, სიტყვის ისეთი უბადლო ოსტატის ნაწარმოებებში, როგორიცაა ჯონ გოსზუორთი:

"... the rain slashing and sluicing".

"... came gliding and glowing in. His hair slipping back, his eyes sliding off".

"Out into soundless, scentless, touchless, sightless space!"

ეს ნაწევებები ცდადყოფს, რომ დამატებითი ფონესტიმური წონა შეიძლება შეიძინოს არა მარტო მთავარმახვილიანმა მარცვლებმა, არამედ, ასევე, სუსტმა და უმახვი-

ლო მარცვლებმაც, რომლებიც სიტყვების და მორფოლოგიურ დანაწევრებას ემთხვევიან. ისინი თითქოს ხელს უწყობენ ისეთი განსაკუთრებული ასოციაციური რიგის შექმნას, რომელიც წარმოიქმნება სიტყვების "slashing" და "slicing", "gliding" და "glowing", "slipping" და "sliding", "soundless", "scentless", "touchless" და "sightless" თანამდებარეობისას. ასე, მაგალითად, ფონესტემიკის „ფერწერული“ როლი, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს სიტყვების – "gliding" და "glowing" შინაარსობრივ გაერთიანებას, არამედ ხაზს უსვამს აღსაწერი მოვლენის ნიშან-თვისებებს (ამ შემთხვევაში შენელებული, აუჩქარებელი სიარულის მანერა) დამატებითი ფონესტემური გამოყოფის დახმარებით, რომელსაც ორივე შემთხვევაში იძენს სუსტმახვილიანი, მორფემასთან თანხვედრილი ბოლო მარცვალი – "ing".

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ისევე, როგორც საკუთრივ ფონესტემების [gl] და [sl] შემთხვევაში, ფონემის [s] გამეორებისასაც, პარონიმული ატრაქცია კვლავ ურღვევად უკავშირდება მარცვალს და მთლიანად ეფუძნება თანამდებარე სიტყვების ერთი ტიპის მარცვლოვან აგებულებასა და ძირითადი მარცვლოვანი პარამეტრების უწყველო გაძლიერებას.

საინტერესოა, რომ მეტყველების ზეპირ ფორმაში ფონესტემები თავისთავად პრაქტიკულად არ გამოირჩევიან და არ აღიქმებიან მოსაუბრეთა და მსმენელთა მიერ აფექტთა მარცვლოვანი ფონეტიკის გარეშე.

გვინდა საგანგებოდ შეგვიხსენოთ პარონიმული ატრაქციის გამოყენების მრავალრიცხოვან შემთხვევებზე, რომელიც წარმოიქმნება როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური მსგავსებით და რომელიც ხასიათდება თანაუღერადობათა დამაგრების არარსებობით ამა თუ იმ ტიპის მარცვალთან. მაგალითად:

"... all over the world from Finland to Philadelphia, from Jordan to Jakarta, from Monacco to Mongolia, from San Marino to Switzerland!"

ერთი შეხედვით, ამ ნაწყვეტსა და ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევებს შორის, რომლებიც ჩვენ პარონიმული ატრაქციის ყველაზე დაბალ ან ელემენტარულ დონეს მივაკუთვნეთ, რაც სიტყვის დასაწყისში ცალკეული ბგერების გამეორებით გამოიხატება, უეჭველი მსგავსება არსებობს. აქ სიტყვები ცალკეული ბგერების საფუძველზე უახლოვდებიან ერთმანეთს: [F] – სიტყვებში "Finland" და "Philadelphia"; [dz] – სიტყვებში "Jordan" და "Jakarta"; [m] – სიტყვებში "Monacco" და "Mongolia"; [s] – სიტყვებში "San Marino" და "Switzerland". თუმცა აქ პარონიმული ატრაქციის მოვლენა ეფუძნება არა მარტო იმ მარცვლებს, რომლებზეც ძირითადი სიტყვიერი მახვილი მოდის, არამედ მეორეხარისხოვან მახვილიან ან სრულიად უმახვილო მარცვლებსაც: [ja] სიტყვაში "Jakarta"; [mo] – სიტყვებში "Monacco" და "Mongolia"; [sen] – სიტყვაში "San Marino".

მასალა, რომლის განხილვაზეც ახლა გადავდივართ, ავითარებს მარცვალთა კონტრასტული ფუნქციონირების იდეას, რომლის წყალობითაც ხორციელდება და გადაიცემა შესაბამისი შინაარსი, მიუხედავად იმისა, თუ როგორები არიან მარცვლები თავდაპირველად – ძლიერი თუ სუსტი, მოდის თუ არა მათზე მთავარი სიტყვითი მახვილი, მაგალითად:

"... was not exported from Ireland; it was deported".

"... in the prosecution and persecution of unions".

"... refers to cytology not to histology".

"... what you pretend, it's what you intend".

"... was not regiment but regimen".

დუაიტ ბოლინჯერის [3] სტატიაში მოყვანილი ყველა ეს მაგალითი საინტერესოა, ვინაიდან ისინი ემყარებიან ისეთი მარცვლების კონტრასტს, რომლებზეც არ მოდის მთავარი სიტყვიერი მახვილი. სიტყვებში "exported" და "deported", "prosecution" და "persecution", "cytology" და "histology", "pretend" და "intend", "regiment" და "regimen", სიტყვითი მახვილი სულაც არ მოდის იმ მარცვალზე, რომელსაც მოსაუბრე გამოარჩევს თავის მეტყველებაში. მიუხედავად ამისა, თუმცა მთავარი მახვილი სრულიად სხვა ადგილას იმყოფება, პარონიმული ატრაქცია მაინც მთლიანადაა უზრუნველყოფილი.

მეტყველებაში სიტყვებით "export" და "deport" ერთგვარი „თამაში“ (მათი უჩვეულო გამოყენება) უეჭველად კომიკური ეფექტის შექმნაზეა გათვლილი, ვინაიდან მოსალოდნელი "import"-ის ნაცვლად გვაქვს სიტყვა "deport"-ის უჩვეულოდ წარმოთქმა პირველი მარცვლის "de"-ს ძლიერი გამოყოფით.

ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ყოველ მოსაუბრეს, თუკი მას ნათელი და ზუსტი წარმოდგენა აქვს მარცვლის ბუნების შესახებ, შეუძლია, ფაქტობრივად, საკუთარი სურვილით, ნებისმიერი მარცვლის გამოყოფა მელოდიური კონტურის შეცვლის, ქდერადობის ინტენსიურობის გაძლიერებისა და ხანგრძლივობის (ან გაგრძელების) გაზრდის საშუალებით.

მასალა დაბეჯითებით ადასტურებს იმას, რომ მეტყველებაში მიმდინარე მარცვლოვანი პარამეტრების გარდაქმნა მთლიანადაა დამოკიდებული მეტყველების განმარტვილებელი პირის ინტენციაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამის გარდა, ზოგჯერ ერთ-ერთი მარცვლის დამატებით გამოყოფა მეტყველებაში ხორციელდება მხოლოდ ერთი მარცვლოვანი პარამეტრის ცვლილების საფუძველზე, მაშინ როდესაც დანარჩენები უმოქმედოდ არიან. მაგალითად: "Did you say Cath-er-ine or Kathryn?"

ამ მაგალითის ანალიზისას ბოლინჯერი ყურადღებას აქცევს იმას, რომ უმახვილო მარცვალი "-er" სიტყვაში "Catherine" გამოიყოფა მხოლოდ და მხოლოდ მარცვლის ხანგრძლივობის გაზრდის გამო, მაშინ როდესაც მახვილის გადანაცვლება არ ხდება.

პარონიმული ატრაქციის შემდეგი ჯგუფი, რომელსაც ჩვენ მასალის კვლევისას გამოვყოფთ, მოიცავს ისეთ შემთხვევებს, სადაც სიტყვათა ფონეტიკური და მორფოლოგიური მსგავსება გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სუსტი ან უმახვილო მარცვლების დამატებითი გამოყოფის საფუძველზე, მაგალითად:

"... is housing minicipalized, industry nationalized, the police service politicized, the judiciary radiocalized, and above all and most serious of all, our defences neutralized".

ორივე შემთხვევაში ბოლო ჩვეულებრივ სუსტმახვილიანი მარცვლები "-lized" და "-oized" პარონიმული ატრაქციის საფუძველს წარმოადგენს. მათი დახმარებით რეალიზდება სიტყვათა ფონესტიმური დაახლოების პრინციპი, ყალიბდება შესაბამისი ასოციაციური რიგი.

მარცვლის შესახებ ფუნქციონალური სწავლების თვალსაზრისით პარონიმული ატრაქციის ცნება და ფონესტიმიკა როგორც მისი ყველაზე არსებითი ნაწილი ჩვენ წარმოგვიდგება ცოდნის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან სფეროდ, რომელიც ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს. მარცვალთა გამოყოფას და მასზე და-

ფუნქციური მოსაუბრის უნარს – დამატებით გამოარჩიოს მარცვლები, ეჭვგარეშეა, ფუნქციური მნიშვნელობა აქვს სამეტყველო შემოქმედების ყველა სახესხვაობაში, რამდენადაც სწორედ მარცვალს შეუძლია შემოქმედება ურთიერთობის სტილზე, მისთვის ახალი და განსაკუთრებული ხასიათის მინიჭება.

პარონიმული ატრაქციის მასალა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება, ერთი მხრივ, ნებისმიერი (თვით ყველაზე სუსტი) მარცვლის უჩვეულო „ფონესტემური“ გამოცოცხლება, ხოლო მეორე მხრივ – თუ როგორ ენიჭება გადამწყვეტი როლი მარცვლებს (მათი სწორად და მარჯვდამოყოფისას) გამონათქვამის შინაარსის-განზრახვის (ჩანაფიქრის) გადმოცემისას. ამასთან, კეთდება მითითება მარცვლისთვის დამახასიათებელი სემიოტიკური ხასიათის საერთო თვისებებზე და ისეთ უმნიშვნელოვანეს, ფუნქციურად მნიშვნელოვან ერთეულზე პარონიმული ატრაქციის შედგენილობაში, როგორცაა ფონესტემა.

ლიტერატურა:

1. Firth J.R., Modes of Meaning // Papers in Linguistics. London, 1957;
2. Bloomfield L., Language, 1935;
3. Bolinger D., Intonation and its Uses, 1989;
4. Katamba F., English Words: Structure, History, Usage, 2nd ed. Routledge, 2005;
5. Burridge K., Blooming English: Observations on the Roots, Cultivation, and Hybrids of the English Language. Cambridge University Press, 2004;
6. Concise Encyclopedia of Semantics, ed. by Keith Allan. Elsevier, 2009.

Madona Shelia ***Actual Problems of Phonosemantics*** **Summary**

The article deals with the problem of phonosemantics (a science that deals with the relationship between sound and meaning). By using the material of paronymic attraction, it is shown how, on the one hand, the unusual "phonestheme" of any syllable is revived, and, on the other hand, how syllables are assigned a decisive role in conveying the content-intention of the utterance. At the same time, reference is made to the general properties of the semiotic feature characteristic of the syllable and to such a functionally important unit as the phonestheme as part of the paronymic attraction.

Мадона Шелия ***Актуальные проблемы фоносемантики*** **Резюме**

В статье анализируется проблема фоносемантики (наука, изучающая отношения между звуком и значением). На материале паронимической аттракции показан как, с одной стороны, оживляется «фонестема» любого слога, а с другой стороны, как слогам отводится решающая роль в передаче содержания-замысла. При этом делается ссылка на общие свойства семиотического признака, характерного для слога, и на такую функционально важную единицу, как фонестема, в составе паронимической аттракции.

ქეთო გალობერი, თამარ გალობერი
(საქართველო)

მვროპული მხატვრული თარგმანის ისტორია მსსამე პერიოდში

მსსამე პერიოდს შედარებით ნაკლები დრო უკავია, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ის საკმაოდ აღემატება წინა პერიოდებს. ამ დროს საბოლოოდ ფორმულირდა და დღის წესრიგში დადგა კვლევის ყველა პრობლემა და მხატვრული თარგმანის მეთოდები; ასევე, მისი თეორია, როგორც მეცნიერება, რომელიც დაკავშირებულია ესთეტიკურ მსოფლმხედველობასთან და მხატვრული პრაქტიკის ევროპული კლასიკისა თუ რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლებთან, ანუ იმ დროსთან, როდესაც ვითარდება გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

უშუალოდ ამ გაგებით აღნიშნავდა ევროპული კლასიკა და რომანტიკული მოძრაობა მე-18 ს.-ის ბოლოსა და მე-19 ს.-ის პირველ ნახევარში უზარმაზარ წინსვლას, რომელიც თავისი მნიშვნელობით უდრიდა აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქებს ერთად აღებულს, ხოლო თავისი ისტორიულობით აღემატება კიდევ მის ბოლო წლებს. ამ პერიოდის საუკეთესო წარმომადგენლებსაც კი უჭირდათ უარყოფითი მხარეების და-ნახვა მაშინდელ საზოგადოებაში. ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანის ბუნება და მისი თვისებები რჩება უცვლელი საუკუნეების განმავლობაში. ამ პერიოდში აღინიშნება ახალი ნიშნები ენებისა და ლიტერატურების განვითარებაში: 1. კლასიკოსთა გაცნობა და განსაკუთრებით, რომანტიკოსთა ხალხურ შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირი, რამაც უჩვეულოდ გაამდიდრა ნაციონალური ლიტერატურები და ხელოვნება (მუსიკა, ფერწერა და სხვ.) ახალი ნიშნებით მხატვრულ ფორმებსა და შინაარსში;

2. განმანათლებლობის ეპოქაში უკვე განიხილებოდა მოსაზრება იმაზე, რომ ევროპაში არ არსებობს თავისთავში ჩაკეტილი ნაციონალური ლიტერატურა, რომ ევროპული ლიტერატურები შეადგენენ ერთ მთლიან ერთეულს, რაც გახდა საფუძველი მსოფლიოს ნაციონალური ლიტერატურების ურთიერთობებში;

3. რომანტიზმის ფესვებიდან იზრდება კრიტიკული რეალიზმი, რომელიც ნიშნავს მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების არაჩვეულებრივ აღორძინებას შემდეგ ათწლეულებში. უფრო მკაფიოდ, ვიდრე წინა პერიოდებში, იხვეწება და მყარდება მხატვრული აზროვნების სხვადასხვა ტიპი: 1. რაციონალური ტიპი (იდეის უპირატესობა გამოსახულებაზე), რომელიც განსაკუთრებით გავრცელებული იყო მეორე, ანუ საშუალო პერიოდში;

2. სუბიექტურ-ექსპრესიული (გამოსახულების უპირატესობა იდეაზე), რომელიც გავრცელდა განსაკუთრებით რომანტიკოსთა ხელოვნებაში და ზოგიერთ ანტირეალისტურ მიმდინარეობაში;

3. მხატვრულ-ანალიტიკური (გამოსახულების, იდეისა და სინთეზის, კონკრეტულ-მგრძობელობითი და ანალიტიკური ელემენტების ერთიანობა), რომელიც მნიშვნელოვნად გავრცელებული იყო კრიტიკული რეალიზმის ხელოვნებაში და მოგვიანებით იკავებს მთავარ პოზიციას სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში;

4. კლასიკოსთა და რომანტიკოსთა წყალობით საგანგებოდ ვითარდება ნაციონალური ენები, როგორც ლიტერატურული ენა. მათმა უდიდესმა ყურადღებამ მხატვრული ნაწარმოებების ენისადმი გახსნა სიტყვის მოქმედების ჩარჩოები. ახლა ის არა მარტო აზრის გამომხატველია, არამედ ადამიანის ყველანაირი განცდების, ადამიანის შინაგანი სამყაროსა და ფასეულობების გამომხატველია;

5. ძალიან დიდი შიშები იყო ჯერ ფრანგულ, ხოლო შემდეგ ინგლისურ და ბოლოს გერმანულ ლიტერატურაში ეროვნული ენების დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, თარგმანის შედეგად უცხო ენებზე მხატვრული ნიმუშების მოზღვაებასთან დაკავშირებით. მე-18 ს.-ის ბოლოსთვის ეს შიში გაქრა. თარგმანში უკვე აღარ ხედავდნენ საფრთხეს და თამამად, ხმამაღლა საუბრობდნენ თარგმანთა დამსახურებაზე ენის განვითარებაში და ა. შ. აღიარებული მწერლები ირწმუნებოდნენ თავიანთი ენების სიძლიერეზე, ვინაიდან დიდი შრომა ჰქონდათ გაწეული მათი განვითარებისთვის. ამასთან დაკავშირებით, ყველასთვის ღოზუნგი გახდა გოეთეს სიტყვები – „ენის სიძლიერე მდგომარეობს არა იმაში, რომ ის უარყოფს უცხოს, არამედ იმაში, რომ ის მას ნთქავს“.

მესამე პერიოდში ყოველ ეროვნულ ლიტერატურაში მხატვრული აღმავლობის კულმინაცია აღინიშნება. მეორე პერიოდისგან განსხვავებით, სადაც ჯერ კიდევ თარგმანი არ იყო განცალკევებული საკუთარი შემოქმედებისაგან, ხოლო მთარგმნელი თავის თავს მწერალთა გარემოსგან არ გამოჰყოფდა, მესამეში ხდება სათარგმნი ლიტერატურის სრული განცალკევება ორიგინალისგან; ასევე – მთარგმნელებიც გამოეყვნენ მწერლებს და შექმნეს საკუთარი გარემო.

ისევე, როგორც წინა პერიოდებში, მესამეშიც მიმდინარეობს ბრძოლა სიტყვასიტყვითი და თავისუფალი სახის თარგმანებს შორის. საკუთარი თარგმანის თეორია და პრაქტიკა ისევ ისე ირიყება სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისგან. ამ ბრძოლაში სულ უფრო ერთგებიან მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები; ხოლო ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად, იმ დროის დიდი ლინგვისტებიც, მაგრამ უმთავრესად ერთგებიან ისინი, ვინც უშუალოდ იყო დაკავებული მხატვრული თარგმანით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველანი ჯერ კიდევ შორს იყვნენ იმისგან, რომ ეკვლიათ თარგმანის არსი, როგორც პროცესის, რომელიც დამოკიდებული იყო განსაზღვრულ ფაქტორებზე. მესამე პერიოდშიც ავტორები არ გამოდიან პრობლემათა ზოგადი დებულების ჩარჩოდან ფილოსოფიურ-ლინგვისტური და ლინგვო-ესთეტიკური მიმართულებით, რომელიც ძირითადად წყვეტს ტრადიციულ-ნორმატიულ საკითხებს, არკვევს ხარისხის კრიტერიუმებს და გამოჰყავს კარგი თარგმანის პრინციპები, რაც შეიძლება ჩაითვალოს მესამე პერიოდის მნიშვნელოვან დამსახურებად. ამ პერიოდის თავისებურებები მკვეთრად ჩანს გერმანიაში, სადაც, სხვებთან შედარებით, ევროპულ მთარგმნელობით ტრადიციას უფრო მეტი მიღწევები ჰქონდა მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკაში. გერმანიაში, მაშინდელი პოეტებისა და მოაზროვნეების ქვეყანაში, თარგმანის პრობლემატიკის ახლებური ხედვა (გაგება) მომზადდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, რომელიც დაიწყო კლოპშტოპის მიერ. ის ითხოვდა ორიგინალის სულის შენარჩუნებას. მან გერმანულ ენაში აღმოაჩინა გამოხატვის სრულიად ახალი საშუალებები და ამბობდა, რომ მთარგმნელი უნდა გადასცემდეს თავის თარგმანში ორიგინალი ენის სულს. ამ მოსაზრებას უფრო აღრმავებენ მაშინდელი ცნობილი მოღვაწე-

ები: ჰერდერი, შლეგელი, გოეთე, ჰუმბოლდტი და სხვ. რაც შეეხება ტერმინებს, მე-12 საუკუნის ბოლოდან *მთარგმნელს* საფრანგეთში უწოდებდნენ *droguement*-სა (*dru- guement*) და *trucheman*-ს (*truchement*), ხოლო იტალიაში *drogomanno*-ს (და *trucimanno*), რომელიც ნასესხებია სირიულიდან (*targmana*) და ბიზანტიურიდან (*dragoumanos*). ამავე პერიოდში ფრანგულ ენაში ლათინური სიტყვებიდან – *translation* (გადატანა, მეტაფორა) და *translator* (გადამტანი რამის ვინმეზე) იქმნება სიტყვები – *translation* და *translateur* მნიშვნელობით „თარგმანი“ და „მთარგმნელი“, რომლებიც ათვისებულ იქნა სხვა ევროპული ენების მიერ. მთარგმნელობით საქმიანობას სტიმული მისცა წიგნის ბეჭდვამ. ზუსტად მაშინ წარმოიშვა თანამედროვე ტერმინებიც. 1539 წელს ჩნდება ზმნა – *traduire* (თარგმნა), ხოლო 1540 წ. ფრანგმა ჰუმანისტმა და მთარგმნელმა ე. დოლემ ერთ-ერთ თავის ტრაქტატში გამოიყენა ტერმინები – *traduction* (თარგმანი) და *traducteur* (მთარგმნელი). კლასიციზმის ბატონობის პერიოდის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევენ ორიგინალის თავისუფალ ტრანსკრიბებას, რაც ზოგჯერ მიდიოდა ორიგინალურ ტექსტში პირდაპირ ჩარევამდე. ეს ლოგიკურად გამოდიოდა კლასიციზმის ესთეტიკის ნორმებისა და წესებისგან. პრინციპი – *plaire au lecteur et perfectionner son auteur* (მკითხველის გულის მოგება და ავტორის სრულყოფილება) გამოიყენებოდა სხვადასხვა ეპოქის მწერლებთან მიმართებაში – ანტიკური კლასიკოსებიდან შექსპირამდე და სერვანტესამდე. ამ მხრივ, მე-18 ს.-ის ფრანგი მთარგმნელებისგან გამოირჩეოდა პ. ლატურნერი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა ე. იუნგის პოეზიაზე საუბრისას, რომ მის მიზანს წარმოადგენდა ინგლისელი იუნგისგან გამოეყვანა ფრანგი იუნგი, რომელიც მოეწონებოდა ფრანგებს, რომელსაც წაიკითხავდნენ და არც კი დაფიქრდებოდნენ, ორიგინალი იყო თუ ასლი. მისი კოლეგა ფლორიანი, ასევე, აღნიშნავდა, რომ ორიგინალისადმი მონური ერთგულება მანკიერებაა და ამიტომ ის მიიჩნეოდა, რომ რომანის ტექსტიდან ამოეღო „ზედმეტობები“ და ის ეპიზოდები, რომლებშიც ჩანს „ცუდი გემოვნების ნიშნები“. თარგმანის თეორიული პრობლემებისადმი ყურადღებამ ამ ეპოქაში მიიღო სახელწოდება *La querelle des anciens et de modernes* (ძველების დავა ახლებთან). ამის მოთავე იყო ფრანგი მწერალი შარლ პერო. 1687 წელს გამოვიდა მისი პოემა „ლუდოვიკო დიდის საუკუნე“, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ ფრანგებს ხვდათ ბედნიერება ყოფილიყვნენ „მეფე მზის“ ხელქვეითები, ისინი არაფერში არ ჩამოუვარდებიან ბერძნებსა და რომაელებს, უფრო მეტიც, ბევრ რამეში უსწრებენ კიდევაც მათ. ამგვარად, ეჭვქვეშ იქნა დაყენებული კლასიციზმის ერთ-ერთი პოსტულატი – ანტიკურობის აღიარება აბსოლუტურ იდეალად. თუმცა პეროს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კლასიციზმის ცნობილმა წარმომადგენლებმა – ბუალომ და რასინიმ. დავა გაგრძელდა შემდეგ ასწლეულშიც. თუმცა პეროს მრავალწლიანი დავის დაწყებამდე, 1661 წელს საფრანგეთში გამოვიდა ლათინური ტრაქტატი, ტრადიციული, რომელიც იწვება რენესანსის ეპოქიდან, სახელწოდებით – „თარგმანის საუკეთესო ხერხის შესახებ“. ავტორი იყო პიერ დანიელ უე (1630-1721). სწორედ მას თვლიან ამ ეპოქის ფრანგული მთარგმნელობითი აზროვნების უმაღლეს მიღწევად, რომელმაც ერთ მხარეზე დააყენა ავტორები, მეტ-ნაკლებად ცნობილი თეორეტიკოსები, დაწყებული ლუთერიდან დემდე. უეს მიხედვით, საუკეთესოდ ითვლება მეთოდი, რომლითაც მთარგმნელი, პირველ რიგში, გადმოსცემს ავტორის აზრებს, მეორე მხრივ, მეტად ეყრდნობა ავტორის სიტყვებს, რამდენადაც ეს შესაძლებე-

ლი იქნება ენებს შორის. ის თვლის, რომ თარგმანი არის ნამდვილი ხელოვნება, უნდა გადმოვცეთ ორიგინალის ბუნებრივი თავისებურება და თავს არ უნდა მივცეთ უფლება, ან მოვაკლოთ, ან დავამატოთ მას რამე თვითნებურად.

ამგვარად, ევროპული ლიტერატურის ისტორიის რამდენიმე ეპოქის მანძილზე, თარგმანმა გაამარტივა ტრადიციებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების კავშირი ენებს შორის, შეიტანა ინოვაციები და არსებითად კულტურების მოდიფიცირება მოახდინა იმ ენებში, სადაც იგი გამოიყენებოდა.

ლიტერატურა:

1. Van Hoof H., Histoire de la traduction en occident. Paris, 1991;
2. Gary E., Pour une théorie de la traduction. Diogene, Paris, 1992.

Keto Galoberi, Tamar Galoberi ***History of European Literary Translation in the Third Period*** **Summary**

The third period of the history of translations of European literature is distinguished by the greatest progress in the theory and practice of literary translation compared to other periods. It reflected the deep transformations that took place in this field under the influence of the ideology of the French Revolution.

The most important thing for the theory and practice of translation in the third period was the struggle for the actual artistic translation, which with the greatest consistency and perseverance took place in Germany. At the same time, in Roman, Anglo-Saxon countries, as well as in many other countries with European translation traditions, was established and as before preference was given to free translation and its theories which had a great influence on such a famous French translator as Gerard de Nerval (1805-1855), who with great success translated Goethe's "Faust" and Heine's lyrics into French.

Кето Галобери, Тамар Галобери ***История европейского художественного перевода в третьем периоде*** **Резюме**

Третий период в практике и теории художественного перевода означал огромный сдвиг по сравнению с предыдущим вторым периодом. Он отразил те глубокие преобразования, которые и в этой области совершались так или иначе под влиянием и на уровне задач французской революции. Преобладающим для теории и практики этого периода была борьба за собственно художественный перевод, которая проводилась с наибольшей последовательностью в Германии, где впервые стала фактом наиболее тесная связь между теоретическими воззрениями на перевод и его практикой. В романских, англосаксонских странах, а также и во многих других странах европейской переводческой традиции по-прежнему господствовали вольный перевод и его теория. Они оказали влияние даже на такого выдающегося переводчика Франции, как Жерар де Нerval (1805-1855), который с успехом перевел «Фауста» Гете и лирику Гейне на французский язык.

მადონა შელია
(საქართველო)

ტოლმნიშვნელოვნობა პრაგმასტილისტიკაში

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს იმ საკითხის შესწავლას, თუ როგორ და რატომ ხდება შესაძლებელი ერთსა და იმავე ენაში ერთი და იგივე შინაარსის გადმოცემა სხვადასხვა ხერხებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე ეხება გამოხატვისა და შინაარსის პრობლემას. საკითხი ლიტერატურული პაროდის შესახებ – ესაა საკითხი მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ცალკე სახესხვაობისა და, მაშასადამე, ფილოლოგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილის შესახებ. ლიტერატურული პაროდია – ესაა სერიოზული ტექსტი, შედგენილი იმგვარად, რომ ამა თუ იმ ავტორის სტილის თავისებურებათა გამოკვეთით შეიქმნას მეტყველების პრაგმატინგვისტური მოდელირების წესების მიხედვით შესრულებული ნაწარმოები. ფილოლოგიის უმნიშვნელოვანესი, სასიცოცხლო საკითხების შესწავლისას ავტორს შეეძლო შემოფარგვლა მხოლოდ ორი სტილით: ინტელექტური მეტყველებისა და მხატვრული ლიტერატურის სტილით. უკვე დიდი ხანია აუცილებელი გახდა „მესამე სტილის“, ანუ „პრაგმატინგვისტური“ რეგისტრის დამუშავებაც. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ტექსტი იქმნებოდა არა მარტო მეცნიერული ინფორმაციის გადასაცემად, არამედ ამა თუ იმ ენის ამა თუ იმ თავისებურებათა გამოსავლენად დიდაქტიური მიზნებისთვის, იმისთვის, რათა ადამიანებს ესწავლათ ამ ენის რაც შეიძლება სრულყოფილად ხმარება ზეპირ და წერით მეტყველებაში.

ამ სფეროში უკანასკნელ მიღწევას წარმოადგენდა ინგლისური პაროდების დიდი მასალის ორგანიზება, რამაც განაპირობა საკითხის დაყენება „პრაგმასტილისტიკის“, როგორც პრაგმატინგვისტიკის ნაწილის შესახებ. არსებითად ყველა არსებული ლიტერატურული პაროდია – ესაა მზა პრაგმასტილისტური მასალა. აქ მთავარ პრობლემას წარმოადგენს საკითხი პაროდული ტექსტების იმ ორიგინალებთან მიმართებისა, რომელთა საფუძველზეც დაიწერა ეს ტექსტები. ცხადია, ეს სამუშაო უნდა წარიმართოს ტოლმნიშვნელობის ზოგადი საკითხების კონტექსტში. ლიტერატურული პაროდია სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს. მასში აისახა ურთიერთობანი სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებებსა ან ცალკეულ მწერლებს შორის. განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ არსებობს სასარგებლო და მნიშვნელოვანი დაკვირვებები ლიტერატურული პაროდების სახეებსა და სახესხვაობებზე. ნაჩვენებია, რომ სახეებისა და ქვესახეების მრავალგვარობა მოცემული ლიტერატურული ჟანრის ფარგლებში კოლოსალურად დიდია.

პაროდის სახესხვაობებია: პაროდია ცალკეულ ლექსებზე; პაროდია პოეტის შემოქმედებაზე მთლიანად; პაროდია მთელ ლიტერატურულ მიმართულებაზე; პაროდია, რომელიც აერთიანებს მწერლებს ერთი თემატური ნიშნის მიხედვით. ჩამოთვლილი პაროდის სახეობებიდან ტექსტის პრაგმასტილისტური მოდელირება ორიენტირებულია მხოლოდ ცალკეული ლექსის პაროდიაზე, პოეტის მთელი შემოქმედების პაროდიაზე და, აგრეთვე, ისეთ პაროდიაზე, რომლებიც აერთიანებენ მწერლებს ერთი თემატური ნიშნის მიხედვით. ჩვენთვის ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს ლიტერატურული პაროდია – ესაა განსაკუთრებული ლიტერატურული ჟანრი, რომელიც პირველყოფლისა

დაკავშირებულია განსაზღვრული პერიოდის ლიტერატურული პროცესების ხასიათთან. ამიტომ ჩვენ ყოველთვის ამოდ ვცდილობთ მკვეთრი ზღვარის გაგლებას ლიტერატურულ პაროდიასა და სხვადასხვაგვარ კარიკატურებს შორის.

დადგენილია, რომ ლიტერატურული პაროდია, როგორც თავისებური ფილოლოგიური მოვლენა, მოითხოვს არა მარტო მის ლიტერატურულ შესწავლას, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული, არამედ მეტყველებისმცოდნეობით ლინგვისტურ ანალიზსაც. საქმე ისაა, რომ პაროდიაში შესწავლაში დავენერგოთ ბუნებრივი, ცოცხალი ადამიანების მეტყველების კვლევის მეთოდიკა.

კვლევის ძირითადი ხაზი აქ ბუნებრივია, მეტყველების სხვადასხვა ტემბრის მკვეთრად გამიჯვნაზე გადის. ამ ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს ორი ძირითადი ტემბრის – „სერიოზულის“ და „პარადოქსულის“ (რომელთაგან თითოეულს სავსებით გამოკვეთილი პროსოდიული ბუნება აქვს) შეპირისპირება. მრავალფეროვანი მასალის ვრცელმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ „სერიოზული ტემბრი“ იზღუდება ინტელექტური მეტყველებით, მაშინ როდესაც მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედება გულისხმობს „პარადოქსულ ტემბრს“, რომელიც მრავალფეროვან და რთულ სახეცვლილებებს განიცდის ლიტერატურის სახეობის შესაბამისად.

ტექსტის ამა თუ იმ ფილოლოგიური კატეგორიისადმი მიკუთვნების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მეტყველების მოცემული ნაწარმოების პროსოდია – ის, თუ როგორ ტემბრში აისახება იგი მკითხველის შინაგან მეტყველებაში და როგორ ტემბრს გამოიყენებს იგი ბგერითმეტყველებაზე.

ყოველგვარი ტექსტი ექვემდებარება ანალიზს ექვსი ძირითადი პროსოდიული პარამეტრის ტერმინებში: ტონის მოძრაობის, დიაპაზონის, ხმის სიმაღლის, ტემპის, პაუზაციის და ხმის ხარისხის (მჟღერობა/არა მჟღერობა) ტერმინებში.

მაგალითისთვის მოვიტანოთ ნაწყვეტი გოლზუორთის "The rainbow"-დან და დ. ლოჯის პაროდია მასზე. დავიწყოთ ორიგინალით:

"They took the uder of the cows, the cows yielded milk and pulsed against the hands of the men ; the pulse of the blood of the teats of the cows beat into the pulse of the hands of the men. They mounted their horses, and held life between the grip of their knees, they harnessed their horses at the wagon, and, with hand on the bridle rings, drew the heaving of the horses after their will".

დ. ლოჯის პაროდია:

"The dome looked down at the scholars, and the scholars looked down on their books; and the scholars loved their books, stroking the pages with soft pale fingers. The pages responded to the fingers' touch. And yielded Their knowledge gladly to the scholars, who collected it in little boxes of file-cards..."

თუ თითოეულს ამ ორი ტექსტიდან გარკვეულ კონტექსტში წავიკითხავთ, ცხადი გახდება, რომ არ არსებობს მეცნიერული საფუძველი იმისათვის, რომ პირველი ტექსტი განვსაზღვროთ როგორც „სერიოზული“ – ესაა წაკითხვა ზუსტად სასვენი ნიშნების მიხედვით და მეტი არაფერი. როგორც კი ჩვენ მხატვრულ ლიტერატურას მივმართავთ, მაშინვე ჩნდება „პარადოქსული“ ტემბრი, ე.ი. აღმოჩნდება, რომ იმის გარდა, რაც სასვენი ნიშნებითაა აღნიშნული, ხდება საინტონაციო კონტურების უნებლიე გამრავლება. მხატვრულ ლიტერატურაში ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრები სხვადასხვა და, ჩვეუ-

ლებრივ, მოულოდნელ შეთანხმებებში გვხვდება. გამოირკვა, რომ როდესაც მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ნაწარმოების ტექსტს ვკითხულობთ, ჩვენ უკვე ჩვენთვის ხმით ვამუღავნებთ, რომ წაკითხული არ არის ცნობა რეალურად მომხდარი ფაქტის შესახებ, არც რაიმე ცოდნის შესახებ, რისი გადაცემაც სურს წამკითხველს მსმენელისათვის. პროსოდია უნდა გვიჩვენოს, რომ ამ შემთხვევაში ეს ისაა, რასაც ინგლისურად უწოდებენ "fiction". მას იმიტომ ეწოდება "fiction", რომ ეს გამონაგონია, ესაა რაღაც ისეთი, რასაც თვით მოსაუბრე ქმნის მის წარმოსახვაში წარმოქმნილი სახეების შესაბამისად იმ შინაგანი „სურათებით“, რომელთა დახმარებითაც მას სურს ზემოქმედება მოახდინოს მსმენელზე, გამოიწვიოს მასში ესა თუ ის ემოციები. მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ნებისმიერ ნაწარმოებში მკითხველი თავისი შინაგანი მეტყველების საშუალებით აღიქვამს, შეიგრძნობს (და შეუძლია ხმით გადმოსცეს) სხვადასხვა კონტურის გაცილებით უფრო დიდი მრავალფეროვნების არსებობას. მისი ხმის ტემბრი ამუღავნებს, რომ ესაა მხატვრული ნაწარმოები. ამ ზოგად საფუძველს საჭიროებისამებრ ეფინება „პარადოქსული“ ტემბრების კიდევ უფრო დიდი მრავალფეროვნება.

ქართული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ აქაც იგივე კანონზომიერებას აქვს ადგილი. ორიგინალური მხატვრული ტექსტის წაკითხვა ხასიათდება მრავალფეროვანი პროსოდიული კონტურების მნიშვნელოვანი ვარიაციებით, ანუ „პარადოქსული“ ტემბრით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო „სერიოზულ“ ტემბრთან. პაროდია იკითხება ორიგინალისთვის დამახასიათებელი პროსოდიული კონტურების განზრახ უტრირებით – „პაროდიული“ ტემბრით, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს, აგრეთვე, გამონაგონთან (fiction).

ინგლისური მასალის სავსებით ანალოგიურ სურათს ვხვდებით საკუთრივ ლიტერატურული პარადიის შემთხვევებში, რომელიც ხასიათდება ტექსტის ერთგვარი „შექცევადობით“. „პარადოქსული“ ტემბრით წაკითხვისას იგი აღიქმება როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები, ხოლო „პაროდიული“, უტრირებული ტემბრით წაკითხვისას – პაროდიად იქცევა.

შევადართო მურმან ლებანიძის ლექსი მასზე შეთხზულ პაროდიას:

საუფროსო საკარცხულში მახვილით ვზივარ,
გვართ ლებანიძე, სახელით მურმანი ვარ,
აინტერესებთ – რა ვარ და ვინ ვარ,
რამხელა ამბავია სტუმარი ვარ... (მ. ლებანიძე).

გ. მელიას პაროდია:

პოეტთა სიაში პოეტად ვწერივარ,
გვართ ლებანიძე, სახელით მურმანი ვარ;
ჩემი ხმა მიყვარს და ჩემი ხმით ვმღეროვარ,
სიმღერის უღმერთოდ მწყურვალი ვარ!

პაროდია აბსოლუტურად უცხოა „სერიოზული“ ტერმინებისათვის. თავისი აზრით, იგი, როგორც მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ნაწარმოები, წარმოადგენს „პარადოქსულ“ ტემბრს, რომელიც განასხვავებს მხატვრულ ლიტერატურას ინტელექტურ მეტყველებისაგან. პაროდია, ამასთან, ითვალისწინებს მოსაუბრის ან მკითხველის უნარს – შექმნას „პაროდიული“ ტემბრის სხვადასხვა ვარიანტები და სახესხვაობები.

ჩვენთვის ფილოლოგიური გამოკვლევა მხოლოდ იმ პირობით იქნეს გარკვეულ აზრს, თუკი ხდება მნიშვნელოვანი და არსებითი და თუკი ჩვენ ვხედავთ გაკეთებული დასკვნების დანერგვის გზებს ჩვენს „მრეწველობაში“ (ფილოლოგიის სწავლება უმაღლეს სასწავლებელში), თუ გვესმის, როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული ყველაფერი ეს ჩვენს რეალურ სინამდვილეში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ ახლა მივმართავთ ფილოლოგიური ცოდნის სრულიად ახალი სფეროს მიღწევებს, რომელსაც პრაგმასტილისტიკა ეწოდება. პირველად პრაგმალინგვისტიკის ცნებებისა და მეთოდების გამოყენება პაროდიასთან მიმართებით ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით მოხდა მაშინ, როდესაც ყურადღება მიექცა იმას, რომ კაცობრიობის ხელით უკვე არსებული მთელი უზარმაზარი მარაგი, მთელი ვეებერთელა საგანძური ურიცხვი და მრავალფეროვანი პაროდიებისა წარმოადგენს საფუძველს პრაგმალინგვისტიკის იმ ნაწილისათვის, რომელსაც პრაგმასტილისტიკა ეწოდება. პრაგმასტილისტიკა მოითხოვს, რომ მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ნაწარმოებთა საფუძველზე შედგეს, გამოიყოს და მოიძებნოს ტექსტები, რომლებიც არ წარმოადგენენ ესთეტიკური ზემოქმედების საშუალებას, მაგრამ რომლებიც ფონეტიკის, გრამატიკის, მორფოლოგიისა და ენის სხვა ასპექტების ანალოგიურად ავლენენ მეტყველებითი შემოქმედების მოცემული სახესხვაობის ტექნიკას.

პრაგმასტილისტიკა (შემდგომ კი – პრაგმაპოეტიკაც) შეისწავლის ლიტერატურულ პაროდიას მხოლოდ როგორც მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ისეთ სახესხვაობას ("a literary or artistic work"), რომელიც უზრუნველყოფს პრაგმასტილისტიკის დამუშავების შესაძლებლობას მასში გაერთიანებული ენის ასპექტთა სისტემაში ენობრივი საშუალებების მეტასემიოტური გამოყენების ნიმუშების ჩათვლით.

პაროდია ობიექტურად არ არსებობს, თუ კი არ არიან ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან ის ტექსტები, რომლებზეცაა მიმართული იგი. იმის გასაგებად, თუ როგორ აღწევს პაროდია თავის მიზანს, საჭიროა ზედმიწევნით გეჭონდეს შესწავლილი ორიგინალი. ამიტომ შეიქმნა ახალი მიმართულება პრაგმასტილისტიკის ეგიდით, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი ტექსტების შექმნის უზრუნველყოფას, რომლებიც ინფორმაციის გადაცემასა და ესთეტიკური შთაბეჭდილების მოხდენას კი არ მოემსახურებიან, არამედ სრულიად გარკვეულ პრაგმატულ მიზნებს – ლინგვისტილისტიკის არსის საუკეთესო გზებით ჩვენებასა და განმარტებას. პრაგმაპოეტიკა და პრაგმასტილისტიკა სწორედ იქითკენ არიან მიმართული, რომ გვიჩვენონ მათი მეთოდოლოგია შემოქმედებაში.

ლიტერატურული პაროდიის ნაწარმოებთა შესწავლა არა მარტო თვალნათლივ გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ შესწავლას ტოლმნიშვნელოვნობის ზოგადი თეორიის განვითარებისათვის, არამედ განაპირობებს პრაგმასტიკისტიკის, როგორც თანამედროვე პრაგმალინგვისტიკის ახალი ნაწილის შექმნას. აქამდე პრაგმალინგვისტიკა საკმაოდ დამაჯერებლად იყო გამოსატყული თავის ძირითად ნაწილებში – პრაგმაფონეტიკა, პრაგმალექსიკოლოგია, პრაგმაგრამატიკა. საჭიროა მივადწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენი მუშაობა მიმართული იყოს სტუდენტების ფილოლოგიური დონის ამაღლებისაკენ, იქითკენ, რომ გავადვიდოთ მათში ფილოლოგიური ცოდნისადმი ინტერესი და განვუვითაროთ ტექსტზე ანალიტიკური მუშაობის ჩვევა.

അിക്രക്ര:

1. Intercultural Communication and Language Pedagogy. Zsuzsanna I. Abrams, 2020;
2. The Cambridge Handbook of Sociopragmatics. Michael Haugh, Daniel Z. Kadar, 2021;
3. Cross-Cultural Pragmatics. Juliane House, 2021;
4. Parody. Professor Simon Dentith, 2002.

Madona Shelia
Equivalence in Pragmastylistics
Summary

The paper deals with the problems that contribute to the development of the field of pragma-linguistics called pragmastylistics. The article studies literary parody, which is based on the presumption of the sameness (or peculiar equivalence) of the original text and the styles of the parody made on it. Our work is aimed at raising the philological level of students, to awaken in them the interest in philological knowledge and the habit of analytical work on the text.

Мадона Шелия
Эквивалентность в прагмастилистике
Резюме

В статье рассматриваются вопросы, способствующие развитию области прагмалингвистики, именуемой прагмастилистикой. Здесь речь идет об изучении литературной пародии, в основе которого лежит презумпция тождества (или своеобразной эквивалентности) оригинального текста и пародии, сделанной на него. Наша работа направлена на повышение филологического уровня учащихся, пробуждение в них интереса к филологическим знаниям и привитие привычки к аналитической работе над текстом.

მაია მარტანია
(საქართველო)

სიტყვაწარმოქმნითი კონტამინაცია
კორონავირუსული პანდემიის პერიოდში

საგულისხმოა, რომ კორონავირუსული პანდემიის პერიოდი გამოიჩინა ახალი სიტყვების, სიტყვაწარმოქმნითი პროცესების გააქტიურებით ენაში და ამ თვალსაზრისით ნეოლოგიზმებს ყველა ენაში გარკვეული სიახლეები შეაქვს. ყოველდღიურად შექმნილი ახალი სიტყვები და მათი რაოდენობა ინგლისურ ენაში სწრაფად მზარდია.

სტატია ეყრდნობა ინგლისურ განმარტებით ლექსიკონებს – Cambridge Dictionary, Urban dictionary, Collins Dictionary, Macmillan Dictionary და ბრიტანელი ლექსიკოგრაფის, ტონი თორნის მიერ შეგროვებულ კორონავირუსული ნეოლოგიზმების კოლექციას.

„თანამედროვე ინგლისური ენისათვის, კერძოდ კი, მასმედიისათვის, დამახასიათებელია შემოკლებისაკენ მისწრაფება. შემოკლება წარმოადგენს სიტყვაწარმოების ერთ-ერთ პროდუქტიულ საშუალებას. სიტყვათა შემოკლების გზები ნაირგვარია: ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტიპია კონტამინაცია (ბლენდინგი), ინგ. Blending, blend, რომელიც სიტყვაწარმოების ორ მეთოდს (შემოკლებას და კომპოზიციას) აერთიანებს და მიღებულია ორი ან მეტი ძირის შეკვეცილი ფორმის შეერთებით ან შერწყმით [8]. იგი პოპულარული მეთოდია ჟურნალისტიკასა და სასაუბრო ენაში სიტყვის ვარიანტების შესაქმნელად; ანუ მოცემული დერივაციის მეთოდის არსი მდგომარეობს ახალი ლექსემების შეგნებულ ან უნებლიე გაერთიანებაში ორი ან სამი სრულმნიშვნელოვანი, სინტაგმატიკურად დაუკავშირებელი სიტყვების მეშვეობით, რის შედეგადაც ჩნდება ახალი საკომუნიკაციო ერთეული. კონტამინაცია, ძირითადად, არაოფიციალურ რეგისტრს განეკუთვნება. იგი გამოიჩინა მკაფიო სტილისტური შეფერილობით, ექსპრესიულობით, ორიგინალურობით, ემოციური კონტაქტითა და სიტყვათა თამაშის მაღალი სიხშირის გამოყენებით, განსაკუთრებით, კორონავირუსის პანდემიის ეპოქაში. ამ მეთოდითაა ნაწარმოები ისეთი ცნობილი სიტყვები, როგორებიცაა: **slanguage** (slanguage=slang+language), **motel** (motel=motor+hotel), **smog** (smog=smoke+fog), **bruch** (brunch=breakfast+lunch). აქედან გამომდინარე, ბლენდინგის ნიმუშებში შემდეგი სტრუქტურულ-სემანტიკურ ტიპები გამოვყავით:

1. როდესაც შეკვეცილია პირველი კომპონენტის ბოლო ნაწილი და მეორე კომპონენტის დასაწყისი):

ტერმინი **Quarantini** არის სიტყვების – **კარანტინისა (quarantine)** და **მარტინის (martini)** ნაზავი (**quarant+tini**), რაც სალექსიკონო განმარტებით ნიშნავს ძლიერ ალკოჰოლურ სასმელს, რომელსაც ადამიანები იმზადებდნენ და იყენებდნენ მკაცრი იზოლაციის პერიოდში [Urban Dictionary].

Pancession მიღებულია **pandemic** და **recession** სიტყვების შერევით (**pan+cession**). მოცემული ტერმინი განიმარტება, როგორც პანდემიასთან დაკავშირებული ფართო ეკონომიკური ვარდნა (a pandemic-associated widespread economic recession).

ტერმინი **Infodemic** არის სიტყვების – **information** და **epidemic (info+ demic)** კომბინაცია. The spread of incorrect information, especially online [5]. ნიშნავს ყალბი ამბების, დე-

ზინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, განსაკუთრებით ონლიან, სტრესული სიტუაციის შექმნის მიზნით.

2. **შენარჩუნებულია პირველი კომპონენტი, ხოლო მეორე წევრი შეკვეცილია:**

Coronacation წარმოადგენს სიტყვების – **corona** და **vacation (corona+cation)** შერწყმას. მოცემული სიტყვა სალექსიკონო განმარტებით ნიშნავს პანდემიით გამოწვეულ ხანგრძლივ შეგუბლებას ხელფასის შენარჩუნებით [Urban dictionary].

Flubro კომპოზიტი მიღებულია სიტყვებიდან – **flu** და **brother (Flu+bro)** და ნიშნავს მამაკაცების იმ კატეგორიას, რომლებიც უარყოფენ კორონავირუსის არსებობას და თავის მეგობრებს უმტკიცებენ, რომ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი გრიპია. A male coronavirus denier, from their assertion. "It's just the flu, bro" [5].

3. **ნაწილობრივი შეკვეცა, სადაც შეკვეცილია პირველი კომპონენტის ბოლო ნაწილი, ხოლო მეორე ელემენტი შენარჩუნებულია:**

ტერმინი **Quaranteam** მიღებულია სიტყვებიდან – **quarantine** და **team (quarant+team)**. ნიშნავს მეგობრებისა და ოჯახის წევრების ჯგუფს, რომელთანაც ადამიანებს უწევთ კარანტინის პერიოდის ერთად გატარება.

Isodesk (Australian) isolation desk – იმპროვიზირებული სამუშაო ადგილი, რომელსაც იყენებენ იზოლიაციის დროს (a workplace improvised or used in confinement).

ტერმინი **covidiot (slang.)** წარმოქმნილია სიტყვებიდან – **Corona Virus Disease=covid** და **idiot (covid+iot)**. ასე უწოდებენ ადამიანებს, ვინც პანდემიის დროს უგულვებელყოფს უსაფრთხოების ყველა წესს [6]; ირონიულად **კოვიდიოტს** ისეთ ადამიანს უწოდებენ, ვინც არაადეკვატურად იქცევა და პანიკაში ყიდულობს ზედმეტ საყოფაცხოვრებო ნივთებს და აცარიელებს მაღაზიის თაროებს.

კოვიდიოტის საპირისპირო ტერმინია **Covident**, რომელიც მიღებულია სიტყვებიდან – **Covid** და **obedient (covid+ient)** და განიმარტება, როგორც მორჩილი ადამიანი, რომელიც იცავს მთავრობის ყველა რეგულაციას კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (a person who follows all government rules and regulations related to the coronavirus pandemic) [6].

საინტერესო ტერმინია **Covexit**, რომელიც არის სიტყვების – **covid** and **exit** კომბინაცია (**cov+exit**). მოცემული ტერმინი ნიშნავს მთავრობის მიერ დაწესებული საზოგადოებრივი ცხოვრების შეზღუდვების თანდათანობით შემსუბუქებას ან გაუქმებას. "The process of easing the restrictions on public life imposed by the covid-19 pandemic" [Urban Dictionary]; an exit strategy permitting relaxing of confinement and economic recovery following coronavirus-related restrictions [5]. მსგავსი სიტყვებია **Brexit** და **Mexit**. განვიხილოთ თითოეული მათგანი: როდესაც დიდი ბრიტანეთმა, რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ, ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს ჯერ კიდევ ვერ ხერხდებოდა, ინგლისურ ენაში გაჩნდა იუმორისშემცველი სიტყვა **Brexit**. ტერმინი ნაწარმოებია სიტყვებიდან – **Britain** და **exit** (გასვლა) და გამომშვიდობებას გულისხმობს. მაკმილანის ლექსიკონის მიხედვით, მოცემული ტერმინი განიმარტება, როგორც გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროკავშირის დატოვების შესაძლებლობა. ხოლო, როდესაც დიდი ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ და მისმა მეუღლემ მეგან მარკლმა ოფიციალურად უარი განაცხადეს სამეფო ოჯახის წევრების უფლებამოსილებაზე, გაჩნდა ნეოლოგიზმი (ზმნა) **to meghanmarkle** (შემოკლებული ფორმა **Mexit**).

მოცემული ტერმინი არის **meghanmarkle** და **exit** სიტყვების ნაზავი. სალექსიკონო განმარტებით, ნიშნავს იმ ადგილის დატოვებას, სადაც სათანადოდ არ გაფასებენ, ან არსებობს საშიშროება ოჯახის წევრებისთვის (to leave the place where you are not respected enough or feel uncomfortable or there is a threat to your health or your family).

4. რთული სიტყვა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი მოკვეცილი ფუძეა. მსგავსი სიტყვები შედარებით ნაკლებია:

Locky D – lockdown (ლოკდაუნის ფამილიარულად მოხსენიება). მსგავსი ქღერადობის სიტყვაა **Lady Di**, რომელიც მიღებულია **Lady Diana**-ს სახელისაგან.

გაზეთის ფურცლებზე გვხვდება შემოკლების ისეთი სახეობა, როგორიცაა კლიპინგი. შემოკლების ისეთ ოპერაციას, რომელიც სიტყვიდან ნაწილის მოკვეცას მოიცავს, კლიპინგი ეწოდება [2; 8]. მაგალითად: **Sanny**-handsanitizer, **Iso-** (self-) isolation, **the rona**, **roni** – the coronavirus, **the Pandy** – the global pandemic, **The pando**-the coronavirus pandemic (კნინობითი ფორმების დიმინუტივების (diminution) ვარიანტები).

არსებითი სახელი **coronavirus** – **კორონავირუსი** მასმედიაში მეტად გავრცელდა და ფართო მოხმარების გახდა, რასაც ხელი შეუწყო მისმა მრავალგზის შემოკლებამ სასაუბრო ენაში. ამგვარად, მნიშვნელოვნად გახშირდა მისი შეკვეცილი ფორმა **კორონა**, რომელიც დამოუკიდებელ ლექსებად იქცა. შემდგომ კი სამეტყველო ენაში (არაოფიციალურ კომუნიკაციაში) შეიმჩნევა მისი განმეორებით შემოკლება (**the**) **rona** – coronavirus და მისი ვარიანტები: **rone**, **roni**. აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვა **the Rona** ხშირად გვხვდება მთავრული ასოთი და მისი მოდიფიცირებული მიმართვისა და ზედმეტსახელების ფორმები: **Rona**, **Lady Rona**, **Miss Rona**, **Mrs Rona**, **Mum Rona**, **Aunt Rona** [5]. დაავადების სახელწოდება გადმოცემულია ქალის სახელით კნინობითი-სააღერსო ფორმით და შეხამებულია სიტყვებთან – **Lady**, **Miss**, **Mrs**, **Mam**, **aunt**.

სიტყვის ეს ძირი სიტყვაწარმოქმნისას საკმაო პროდუქტიულობას იჩენს. მაგალითად, მისგან წარმოიქმნება დერივატები – **de-roning**-attempting to remove traces of coronavirus by cleaning/disinfecting items that have recently entered the home (ნივთების დეზინფექცია ან დასუფთავება შესაძლო ვირუსთან კონტაქტის შემდეგ) და **ronavation** (კონტამინაცია **rona+renovation**) ბინის რემონტი პანდემიის პერიოდში) **რემონტოვირუსი**.

როგორც დავაკვირდით, სიტყვების შერჩევისას ვირუსს რომ არ ერქვას მისი ნამდვილი სახელი, ადამიანები სასაუბრო ენაში, განსხვავებით ოფიციალური ინგლისურისა, მიმართავენ სხვადასხვა ხერხს და ეფემისტურად გამოხატავენ სათქმელს, რათა თავი აარიდონ ვირუსის ექსპლიციტურად დასახელებას. მაგალითად, ვირუსს პოპულარული ამერიკელი მომღერლის **მაილი საირუსის (Miley Cyrus)** სახელი უწოდეს. მაგრამ იმის გამო, რომ მომღერლის გვარი როგორც სიტყვა **კორონავირუსი (coronavirus)** ქღერდა, იგი მეტყველებაში ვერ დამკვიდრდა და დაავადებას მხოლოდ მომღერლის სახელით – **მაილი (Miley)** მოიხსენიებდნენ.

როგორც შევნიშნეთ, დაავადება პერსონიფიცირებულია (გაპიროვნებულია) ზოგადად ქალთან ან ახლო ნათესავთან (უსულო საგნის თვისებები გადატანილია სულიერზე) და სიტყვა იძენს ახალ მნიშვნელობას. ვირუსის სახელწოდების არაერთი შეკვეცა და მეტაფორული გადააზრება, გარდა სიტყვათა თამაშისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე ემსახურება კიდევ ერთ მიზანს – ერთგვარ მისწრაფებას, რათა ადამიანებმა თავი აარიდონ დაავადების პირდაპირ დასახელებას, როგორც „აბსოლუტური ბორო-

ტების“ განსახიერებას და ამით ქვეცნობიერად შეამცირონ მისი საშიშროება, დუღილის ტემპერატურის ხარისხი და სიტყვას დადებითი კონოტაცია შესძინონ.

კვლევამ ცხადყო, რომ ენათა განახლებისა და შევსების პროცესი შეუწყვეტლივ მიმდინარეობს. კორონავირუსული "COVID-19" პანდემიის პერიოდი კი სიტყვაწარმოებითი პროცესების აქტიურობით გამოირჩევა, განსაკუთრებით, შემოკლება (კონტამინაცია-ბლენდინგი), რომლებიც გვევლინება როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები თავისი გარკვეული სემანტიკურ-სტრუქტურული მოდელებით. ზემოთ დასახელებული სიტყვების უმრავლესობას აქვს ოკაზიონალური ხასიათი, რომლებიც მეტყველებაში ხასიათდება როგორც ემოციურობის, ექსპრესიულობისა და შემფასებლურობის გამოხატვის საშუალება.

ლიტერატურა:

1. Burridge K., Manns H., ‘Iso’, ‘boomer remover’ and ‘quarantini’: how coronavirus is changing our language. Published: May 10, 2020. <https://theconversation.com/iso-boomer-remover-and-quarantini-how-coronavirus-is-changing-our-language-136729>;
2. Gramley S., Patzold Kurt M., A survey of Modern English. Second Edition. Routledge London and New York, 2004;
3. Fitria T., Word Formation Process of Terms in COVID-19 Pandemic. AAS Indonesia, Surakarta, Central Java, Indonesia, 2020;
4. Huddleston R., Pullum G., The Cambridge Grammar of the English Language. Cambridge University Press, 2003;
5. Thorne T., # CORONASPEAK - the language of Covid-19 goes viral- 2. Published online: April 15, 2020;
6. Jain S., Covidiot to Zumping: A Guide to Coronavirus Slang Terms. NDTV.Com. 2020, April 20. <https://www.ndtv.com/offbeat/covidiot-to-zumping-a-guide-to-coronavirus-slang-terms-2215014>;
7. Романик А., Лексические новации русского языка в период пандемии коронавируса. Новые слова и словари новых слов. Сборник научных статей. Отв. ред. Н.И. Козловская. Ин-т лингв. Исслед. РАН. 2020;
8. მარღანია მ., ჩქვანავა მ., კაჭარავა მ., „კორონავირუსული პანდემიის ეპოქის ნეოლოგიზმები ქართულ-ინგლისურ-რუსულ ენებში“, ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, 2022-2023, №36-37.

Maia Marghania

Word-forming Ccontamination in the Period of Coronavirus Pandemic

Summary

The article deals with new words that appeared in the lexical system of the English language during the coronavirus pandemic period as a result of word-formation contamination (blending) and are used in colloquial speech, as well as in mass media. On the basis of structural and semantic analysis, the main structural models have been identified, according to which contaminated lexemes (blend words) are formed.

Майя Маргания

Словообразовательная контаминация в период пандемии коронавируса

Резюме

В статье рассматриваются новые слова, появившиеся в лексической системе английского языка в период пандемии коронавируса в результате словообразовательной контаминации (блендинга) и употребляющиеся в разговорной речи, а также в массмедиа. На основе структурно-семантического анализа выделены основные структурные модели, по которым образуются контаминированные лексемы.

ირა ხეჩავა
(საქართველო)

**მეტაფორა, როგორც კოლოკვიალიზმების წარმოქმნის ერთ-ერთი
ხმარება აბათა კრისტის ნაწარმოებების დიალოგში**

სტატიაში აღწერილია მეტაფორის ყველა შემთხვევა, რომელიც დარეგისტრირდა აბათა კრისტის განხილული ნაწარმოებების დიალოგში.

აზრი იმის შესახებ, რომ მეტაფორიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი გზაა სიტყვათა მნიშვნელობის შესაცვლელად და ენის შემადგენლობის გასამდიდრებლად, უკვე დიდი ხანია საყოველთაოდ მიღებულ აზრად იქცა. ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს არაერთი ნაშრომი მიძღვნილი მეტაფორის, როგორც ლექსიკონის შევსების ერთ-ერთი გზისადმი ან კიდევ – ამა თუ იმ მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურებათა გამოვლენისადმი (მეტაფორის, როგორც მხოლოდ სტილის კაზმულობის განხილვით).

როგორც ტ. კიანენკო აღნიშნავს, „პრაქტიკულ ოპერაციათა იზოფორიზმი საგანთა გაიგივების ლოგიკური და გნოსეოლოგიური ოპერაციების საფუძველად გვევლინება. დასკვნა ანალოგიის შესახებ არის საგნის, მოვლენისა თუ მოქმედების სახელის გადატანა. სწორედ ასეთი გზით იბადებოდა მეტაფორა ენის განვითარების ადრეულ სტადიებზე. ასე, მაგალითად, პირველყოფილი ადამიანები ამბობდნენ: „მზე – ბორბალი“, რაც მეტაფორას“ ნიშნავს [9, 131-132]. ამ დროს ბუნებრივი საგანი უიგივებოდა იმ საგანს, რომლის თვისებებიც ადამიანმა უკვე შეიცნო შრომის პროცესში. ის სპონტანურად წარმოიშვება სალაპარაკო ენაში, სიტყვა *ცნობიერება* ყველა თავისი მნიშვნელობით არსებობს, – ფარული თუ შესაძლებლობითი, – რომელიც მზადაა პირველივე საბაზისის პოვნისას ამოტივტივდეს, ეს წარმოქმნის ობიექტურ საფუძველს ადამიანის მუდმივი ფსიქოლოგიური მზაობისათვის, რათა საჭირო მეტაფორა შექმნას. ამიტომ, როდესაც ამა თუ იმ კონკრეტული მეტაფორის გაჩენას განვიხილავთ, ჩვენ აუცილებლად მივმართავთ ფსიქოლოგიას. მაგრამ მეტაფორას, როგორც ენობრივ მოვლენას გნოსეოლოგიური საფუძველი გააჩნია, წარმოადგენს რა ენობრივ ფორმას ლოგიკური ოპერაციების - გაიგივების, ექსტრაპოლაციის, ანალოგიის – გამოხატვისა, რომლებიც განასახიერებენ ადამიანის აზრის ბუნებრივ მოძრაობას [9, 132].

ტ. კიანენკო აღნიშნავს, რომ „პოლისემია წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ თვისებას, იგი გამსჭვალავს თანამედროვე ენათა ლექსიკას“ [9, 48].

თავდაპირველად პოლისემია არ შეიძლება განეხილათ როგორც მეტაფორა. მეტაფორისათვის დამახასიათებელია სიტყვის გამოყენება ახალი მნიშვნელობით. ხოლო პოლისემია დაკავშირებულია გადატანასა და მიბაძვასთან. მაშასადამე, მსგავსება პოლისემიასა და მეტაფორას შორის არსებობს [9, 133]. ნ. შანსკი წერს, რომ „სიტყვათა პოლისემიური მოვლენა წარმოადგენს ... შედეგს გადატანისა ერთი საგნიდან მეორეზე“ [14, 3536]. ამ აზრს იზიარებს რ. ბუდაგოვიც: „ფიგურალური მნიშვნელობები ხელს უწყობენ სიტყვის პოლისემიის განვითარებას“. ყოველივე ეს აფართოებს მთლიანობაში ენის სიტყვობრივი შემადგენლობის გამომსახველობით შესაძლებლობებს [4, 40]. ტ. კიანენკო თვლის, რომ პოლისემია წარმოქმნის მხოლოდ მეტაფორირების პრინციპულ

მნიშვნელობას. მეტაფორირება სიტყვის მნიშვნელობათა ველს აფართოებს, მნიშვნელობათა ველის გაფართოება, თავის მხრივ, ქმნის ახალ შესაძლებლობებს მეტაფორირებისათვის [9, 133].

საკითხი სიტყვასა და მეტაფორის საკითხზე საზოგადოებრივ პრაქტიკასთან გარკვეულია. ბ. მეილახი წერდა, რომ „მეტაფორა – ეს არის მოვლენა, არა მხოლოდ მხატვრული აზროვნებისა, არამედ, საერთოდ, ადამიანური აზროვნებისა, ეს არის ენის როგორც პრაქტიკული ცნობიერების ერთ-ერთი კატეგორია“ [10].

გ. გაკის წიგნში „შეპირისპირებითი ლექსიკოლოგია“ საუბარია, რომ მეტაფორას ექვემდებარება ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ საგნებს, ადამიანის სხეულის ნაწილებს, ნათესაურ კავშირსა და ყოველდღიური მოხმარების საგანთა სახელებს. შუა საუკუნეებში, როდესაც ნადირობა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო, სწორედ ამან დატოვა ენაში მრავალი მეტაფორული გამოთქმა. თანამედროვე ეპოქაში კი, როცა ტრანსპორტი უზარმაზარ როლს ასრულებს ცხოვრების მსვლელობისას, მეტაფორათა დიდი ნაწილი წარმოქმნილია ადამიანური საქმიანობის სწორედ ამ სფეროს მიერ [5, 113-114].

მეცნიერები დღესაც მსჯელობენ მეტაფორის კლასიფიცირებაზე. ასე, მაგალითად, ო. ახმანოვა განმარტავს მეტაფორის ხუთ ტიპს: ჰიპერბოლური, ლექსიკური, ტენილი, თანმიმდევრობითი და პოეტური [2, 231-232].

ბ. ტომაშევსკიმ მეტაფორა დაყო სტილისტიკურ და ენობრივ ტიპებად [13]. ა. ბელსკი მეტაფორას პოეტურ და რიტორიკულ ტიპებად ყოფს [3]. ი. იაზიკოვა, ეთანხმება რა ბ. ტომაშევსკის კლასიფიცირებას (ენის მეტაფორა და სტილის მეტაფორები), ენობრივ მეტაფორათა ჯგუფში განასხვავებს გენეტიკურ მეტაფორებს (კარის სახელური, სავარძლის ზურგი), რომელთაც ა. ახმანოვა ლექსიკურებს ეძახის, და გადატანითი მნიშვნელობის მქონე მეტაფორებს (აზნაურთა ბუდე, ოქროს ხასიათი) [15, 154]. ა. ბელსკი მათ სტილის რიტორიკულ მეტაფორებს უწოდებს [3, 1954].

ა. კალინინი მეტაფორათა კლასიფიცირებას შემდეგნაირად ახდენს: მეტაფორა-სახელწოდებები, ზოგადსტილისტიკური მეტაფორები და ინდივიდუალური მეტაფორები [7, 28-29]. მეტაფორა-სახელწოდებებს, რომლებიც უკვე აღარ აღიქმება ხატოვან გამოთქმებად, ა. კალინინი „მშრალ მეტაფორებს“ ეძახის (კომეტის კუდი, გემის ცხვირი, a coat of dust – მტვრის ფენა; the smile died – ღიმილი გაქრა).

ხატოვანი ხასიათი იგრძნობა შემდეგ საუბარში (პურის ზღვა; heart of a city – ქალაქის გული).

ა. კალინინის სიტყვით, ავტორის ინდივიდუალური სტილის მეტაფორები – ეს ხატოვანი მეტაფორებია (მეტყველებითი ან მხატვრული მეტაფორები). ისინი საერთო-სახალხო ენის ფაქტები კი არ გამხდარა, არამედ განეკუთვნება მწერლის მეტყველების თავისებურებებს. ლექსიკონებში მათი ასახვა არ ხდება. „ცის მოჩითვა“, „კენკრის სისხლცვარი“, the faces are the guardians of their thoughts – სახეები მათი აზრების მებადრატენი არიან [11, 38].

მეტყველებითი (ასევე ხატოვანი, ასევე – მხატვრული) მეტაფორა წარმოადგენს შედეგს აზრის ზუსტად, ადეკვატურად გამოთქმისა. ის ამიტომ თავისი ბუნებით არის პრედიკატიული და მოდალური. მეტყველებითი მეტაფორა ყოველთვის ორიგინალური (ახალი) უნდა იყოს, ენობრივი მეტაფორა კი დაშტამპულობის ელფერს იძენს. მეტაფო-

რის პირველი ტიპი, ჩვეულებრივ, არის ავტორის შემოქმედებითი წარმოსახვის ნაყოფი, მეორე ტიპი კი ენის გამომსახველობითი საშუალებაა.

როგორც დაშტამპული, ასევე ორიგინალური მეტაფორებიც წარმოადგენენ სტილისტიკური ანალიზის საგანს. მათი ლინგვისტური ბუნება ერთი და იგივეა, მაგრამ ფუნქციები განსხვავდება [6, 125-130].

სხვაობა ენობრივ მეტაფორასა და მხატვრულ (მეტყველებით) ან მწერლის ინდივიდუალური სტილის მეტაფორას შორის შეიძლება დაიყოს.

სემანტიკური განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი მეტაფორა ასახავს აშკარა ნიშან-თვისებას (კისელი – წებოვანი ჭუჭყი), ანდა გამოხატავს „მოარულ კონოტაციებს“ (ვირი – ჯიუტი ადამიანი) [1, 288]. მხატვრულ (მეტყველებით) მეტაფორაში იგრძნობა დაშორებულ არსთა დაახლოება, დგინდება მათი არატრივიალური თანადობა (რამდენადაც გარემომცველი სინამდვილის ელემენტთა შორის არსებული ურიცხვი კავშირებიდან აირჩევა ყველაზე არაცხადი კავშირები), რაც ამგვარ მეტაფორას ალოგიკურ ხასიათს ანიჭებს და სემანტიკური ანომალიის შთაბეჭდილებას ქმნის... განსხვავებანი ნომინატიურ ასპექტში ასეთია: ენობრივი მეტაფორა აღსრულდება ხოლმე; მაშინ, როცა მხატვრული (მეტყველებით) მეტაფორა წარმოადგენს სახელდების ცალკეულ აქტს. ეს განაპირობებს მათსავე ფუნქციონალურ განსხვავებებს: ენობრივი მეტაფორა ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას, მხატვრული კი – ესთეტიკურს.

უკანასკნელ ათწლეულებში ენობრივი მეტაფორა ლინგვისტთა კვლევის საგანს წარმოადგენს. როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთულ გამოკვლევებში ყურადღებას იპყრობს შეხედულება მეტაფორაზე, როგორც არასტანდარტულ ენობრივ მოვლენაზე, რომელიც წინ აღუდგება სტერეოტიპულობას და არ ემორჩილება ლოგიკას. მეტაფორული დაახლოებანი, ჩვეულებრივ, ემყარება ბუნდოვან ანალოგიებს, ზოგჯერ – სრულიად ალოგიკურებსაც. ნ. არუთუნოვაც ახასიათებს ენობრივ მეტაფორას, როგორც „ენაში ალოგიკურობის მუდმივ საშენს“ [1, 170]. ხ. კასარესმა აღწერა ფიგურალური გამოთქმები ლექსიკონში, აღნიშნა მეტაფორული გადატანითი და ალოგიკური ხასიათი [8, 124]. გენერატიულ სემანტიკაში, ლოგიკურ-ლინგვისტიკური ანალიზის თვალსაზრისით და რეფერენციის თეორიის პოზიციებიდან, მეტაფორა, საერთოდაც, განეკუთვნება „ანომალიათა“ და „არანორმატიულ“ სემანტიკურ მოვლენათა რიცხვს.

ანალოგიის შეგრძნება ადამიანს აიძულებს, ეძიოს მსგავსება ერთმანეთისგან განსხვავებულ არსთა შორისაც კი: აღნიშნოს კონკრეტულ საგნებსა და ცნებებს შორის მსგავსებაც [12, 59]. როგორც გ. სკლიაროვსკაია ამტკიცებს, ვერ ხერხდება კანონზომიერების აღმოჩენა თითოეული კონკრეტული მეტაფორის ჩამოყალიბების პროცესის მსვლელობაში. თუმცა, შემდეგ გ. სკლიაროვსკაია წერს: „როგორც ჩანს, ამა თუ იმ ნიშან-თვისების ამორჩევისათვის ობიექტური მიზეზები მაინც არსებობს, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა ახსნა მეტაფორის უნარისა, გამოხატოს „მდგრადი მსგავსება“, რომელიც ერთნაირად აღიქმება ენობრივი კოლექტივის ყველა წევრის მიერ, – მაგრამ ეს მიზეზები არ დევს ზედაპირზე, ისინი საგანთა არსშია დაფარული“ [12, 59].

ენობრივი მეტაფორა ფართოდ არის წარმოდგენილი განმარტებით ლექსიკონებში: ლამის ყოველი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა შეიცავს გადატანით მნიშვნელობებსა და ელფერებს (ცნობილია, რომ მონიშვნის ლექსიკოგრაფიული ტრადიციის მიხედვით, „გადატ.“ დაისმის არა გადატანათა ნებისმიერი სახის შემთხვევაში, არამედ მხო-

ლოდ მეტაფორული გადატანებისას). შესაბამისად, ლექსიკონში აღწერილობის შემდეგ ენობრივი მეტაფორა უკვე სისტემატიზებული და კლასიფიცირებულია, ლექსიკონს ხომ არც ერთი თავისი ელემენტის დატოვება არ შეუძლია სისტემატიზაციის გარეშე [12, 60].

ჩვენი ამოცანაა, აღმოვაჩინოთ და აღვწეროთ გადატანათა მიმართულებების ყველა შესაძლო ტიპი აგათა კრისტის დიალოგში, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების დადგენით. ამისათვის გამოყენებულ იქნა ინგლისური განმარტებით ლექსიკონთა მასალები, ასევე – დიდი ინგლისურ-რუსული ლექსიკონების მასალები. განხილულია მეტაფორული არსებითი სახელები.

ასოციაციურ ნიშანს, რომელიც მეტაფორად გვევლინება, ჩვენ გადატანის სიმბოლოს ვუწოდებთ. ეს სამუშაო ტერმინი მოხერხებულია იმიტომ, რომ ერთმანეთთან აკავშირებს სუბიექტსა და ობიექტს და წარმოგვიდგენს მთლიანობაში. ის ნიშან-თვისება, რომელიც თავდაპირველი სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში კონოტაციურია და არსებობს „პოტენციური სემის“ სახით, მეტაფორულ სიტყვაში წინა პლანზე წამოიწევს ხოლმე და ხდება წამყვანი დიფერენციალური სემა. ამგვარად, გადატანის სიმბოლო – ეს არის თავდაპირველი სიტყვის კონოტაციური ნიშანი, გარდაქმნილი მეტაფორის განმსაზღვრელ ნიშნად მეტაფორის პროცესის მსვლელობისას.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ აგათა კრისტის ენაში მეტაფორული გადატანა ემორჩილება საკმაოდ ხისტ კანონზომიერებას და ხორციელდება გარკვეული მიმართულებით, ერთი სემანტიკური სფეროდან მეორისაკენ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ა. კრისტის დიალოგებში აღმოჩენილი მეტაფორული გადატანის ტიპების ხვედრითი წონები.

| მეტაფორული გადატანის ტიპები | მეტაფორული გადატანის ცალკეული ტიპების ხვედრითი წონა (პროცენტებში) |
|--------------------------------------|---|
| საგანი → საგანი | 6,7 |
| ადამიანი → ადამიანი | 9,2 |
| ცხოველი → ადამიანი | 37,0 |
| საგანი → ადამიანი | 24,0 |
| საგანი → განყენებული ცნება | 14,3 |
| განყენებული ცნება → ადამიანი | 0,8 |
| ფიზიკური მოვლენა → ადამიანი | 1,3 |
| ფიზიკური მოვლენა → ფიზიკური მოვლენა | 1,3 |
| ფიზიკური მოვლენა → განყენებული ცნება | 3,0 |
| ფიზიკური მოვლენა → ფსიქიკური მოვლენა | 1,6 |
| ცხოველი → განყენებული ცნება | 0,8 |

მეტაფორული გადატანის ტიპთა ხვედრითი წონები
ა. კრისტის დიალოგებში

მეტაფორირების ყველაზე ელემენტარული შემთხვევა – დასახელების ერთი საგნიდან მეორეზე გადატანა, როცა გადატანის სიმბოლო ასახავს ემპირიულ ნიშანს, აღმნიშვნელს ფორმისა, ზომისა, ფერისა, კონსისტენციისა და ა. შ., აყალიბებს გადატანის ტიპს – **საგანი —> საგანი**.

მოვიყვანო მაგალითებს:

1) dib, n – მონეტა, ფული.

All we need the dibs, my dear. I shall be a very rich man when the old fellow pops off.

2) bean, n – ფული, გროშები.

Nice couple of children – probably haven't got a bean between them. Shall I tell you what I think, Gerald? (2,122)

3) block, n – თავი, გოგრა.

He said: "If you're saying that I tampered with that, I'll knock your ruddy block off".

გადატანის წინა ტიპთან ახლოსაა (თუმცა არც ისე პროდუქტიულია) მეორე ტიპი: ადამიანი —> ადამიანი. ნიშან-თვისება პიროვნებისა, რომელიც რაიმე თავისებურებით გამოირჩევა, გადატანილია სხვა პირზე და ახასიათებს მას.

მოვიყვანო მაგალითებს:

1) customer, n – ტიპი, სუბიექტი, ექსცენტრიული, ახირებული, თავხედი.

The three men looked at each other. Weston said.

"Cool customer. Not giving anything away, is he? What do you make of him, Colgate?"

2) quack, n – შარლატანი, თაღლითი, მატყუარა, ყალთაბანდი, გაიძვერა.

That is how many a quack makes a fortune. He encourages patients to come and sit and tell him things. (5,165)

3) tartar, n – ველური, აულაგმავი ზნის ადამიანი; ფეთქებადი, გამაღიზიანებელი კაცი.

"Whew!" I said. "What a tartar! I admire her, though, don't you?"

შემდეგ ჯგუფში მეტაფორის სუბიექტი და ობიექტი, ასევე, საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სემანტიკურ წყობას განეკუთვნება: ადამიანი ხასიათდება ცხოველის ნიშან-თვისებით. მეტაფორის ტიპი – „ცხოველი —> ადამიანი“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ექსპრესიული საშუალების როლს ასრულებს ენაში. ჩვეულებრივ, ასეთი დასახელება-დახასიათებები მიმართულია დისკრედიტაციისკენ, მეტყველების საგნის მკვეთრი დადაბლებისკენ და აქვს მკაფიო პეიორატიული (დამამცირებელი) ელფერი.

მოვიყვანო მაგალითებს:

1) wolf, n – მკაცრი, გულქვა, უღმობელი ადამიანი.

He'd got it into his thick head that I should be a lamb among the wolves.

2) filly, n – მკვირცხლი, მარდი გოგონა

Major Bary said appreciatively: "Good-looking fillies, some of" em. But on the thin side, perhaps.

3) dog, n – ბიჭი.

"You will no longer be "poor dear old Reggie". You will be "that sly dog Reggie". All the difference in the world!"

აბსტრაქტიზმის შემდგომ გზაზე გადატანის სიმბოლო საბოლოოდ „წყდება“ თავდაპირველ რეალობას და სხვა სემანტიკური კატეგორიის რეალობას „მიემაგრება“ – უსულო საგნის ნიშან-თვისება გამოიყენება ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური ან მორალური თვისების შესაფასებლად. ხდება საპირისპირო პერსონიფიკაციის პროცესი, როდესაც უსულო ბუნების ფიზიკური თვისებები მიეწერება ადამიანის არა მხოლოდ გარეგან (როგორც მოსალოდნელი იქნებოდა), არამედ სულიერ სამყაროსაც. ასე ყალიბდება გადატანის ტიპი – საგანი → ადამიანი.

საგნის ნიშან-თვისება ხშირად გამოიყენება ადამიანის ფსიქიკური ანდა მორალური თვისების დასახასიათებლად:

1) brick, n – ვაჟკაცი, კარგი, სანდომიანი ბიჭი.

"Albert", cried Tuppence, "You're a brick. If it hadn't been for you we'd have lost her".

2) peach – ლამაზი, ტურფა.

"But she's a stunner to look at, ain't she?"

"She's some peach", allowed Tuppence carelessly.

3) big gun – მედიდური, თავმომწონე პიროვნება, დიდი ვინმე.

The people there last night were all big guns; they were none of them close friends of hers".

საგანი → განყენებული ცნება

1) nose, n – ალღო, მიხვედრილობა, ყნოსვა.

"He's got brains, you know. If you ask me, he was jockeying her along very nicely. Got a nose for money, that man".

2) hole, n – გამოუვალი მდგომარეობა, ძნელი, გაჭირვებული მდგომარეობა.

"There was fog at Geneva and that upset people's plans. Somebody was in a nasty hole".

3) guts, n – ვაჟკაცობა, მამაცობა, ნებისყოფა.

"Young bellows nowadays are all the same – no guts – no stamina".

განყენებული ცნება → ადამიანი

1) bore, n – მოსაწყენი, მომაბეზრებელი ადამიანი.

The Chief Constable said:

"Yes, we can't take him off the list. Not that I seriously believe he's implicated. Dorens of old bores like him going about.... Still he's a possibility".

2) cuss, n – ჭაბუკი, ახალგაზრდა, ბიჭი.

"He's a queer little cuss, isn't he? D'you know what he asked me day before yesterday?"

ფიზიკური მოვლენა → ადამიანი

1) a big noise – მედიდური, თავმომწონე პიროვნება, „დიდი ვინმე“.

When they were alone together, Luke said, "You're rather a big noise to be sent down on a case like this".

2) flop, n – უბედო, უიღბლო, მარცხიანი ადამიანი.

"That was the producer and Mrs. Shake was a bit of a flop in the play-but that makes it go all the better".

ფიზიკური მოვლენა → ფიზიკური მოვლენა

1) bust-up, n – სკანდალი, ჩხუბი.

"There's been the most awful row! It was a real old bust-up. I do wish I knew what it was all about".

2) dust-up, n – სკანდალი, ხმაური, აღიაცოთი, აურზაური, ერთმანეთის ღანძღვა.

After our little dust-up on Saturday, I suppose I ought to clear out of her.

3) spin, n – მოკლე გასეირნება ან მოგზაურობა სიამოვნების მისაღებად.

"Good-by. I'm taking an afternoon off from business. Going for a spin in the country".

ფიზიკური მოვლენა → განყენებული ცნება

1) toss-up, n – თანაბარი შანსები, შესაძლებლობები.

"I hoped you might feel that way, but it was a toss-up".

2) wheeze, n – 1. სიბასრე, სიმახვილე; 2. სიმძაფრე; ოინი, ეშმაკობა; ხუმრობა, ოხუნჯობა.

I don't mind admitting that for once you've scored handsomely".

"Good wheeze, wasn't it?"

3) bunkum, n – სისულელე, ჩმახი.

"The servants would hardly notice their going and coming..."

"Bunkum!" said Mr. Coleman.

ფიზიკური მოვლენა → ფიზიკური მოვლენა

1) twitter, n – აგზნება, აღელვება, მღელვარება.

"I've been in a twitter all the evening. They're a funny crowd, you know".

2) flap, n – პანიკა, შოთოვა, დეღვა, ძრწოღვა; განგაში.

"No end of a flap about this fellow. I don't know why. Even the hush-hush boys are in a flap".

3) thrill, n – რაღაც სენსაციური, ამადელვებელი.

"He got a thrill out of seeing people quail and flinch".

ცხოველები → განყენებული ცნება

1) pigeon, n – საქმე, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, საზრუნავი; მზრუნველობა.

a) Strictly speaking, he's your pigeon, sir. Name of Basil Blake. Lives near Gossington Hall".

b) "I don't know where the Admiralty comes in – not quite our pigeon".

2) cock, n – უაზრობა, აბდაუბდა, ჩმახი, სისულელე, უგუნურება.

"Lot of cock", thought Shriverham disrespectfully. "These VIPs think their potty affairs are what makes the world go round".

ასე რომ, ენობრივი მეტაფორების ანალიზი აგათა კრისტის პერსონაჟთა დიალოგურ (სასაუბრო) მეტყველებაში დაგვეხმარა მეტაფორული გადატანის შემდეგი სახეობების აღმოჩენაში:

1) საგანი → საგანი;

2) ადამიანი → ადამიანი;

3) ცხოველი → ადამიანი;

- 4) საგანი → ადამიანი;
- 5) საგანი → განყენებული ცნება;
- 6) განყენებული ცნება → ადამიანი;
- 7) ფიზიკური მოვლენა → ადამიანი;
- 8) ფიზიკური მოვლენა → ფიზიკური მოვლენა;
- 9) ფიზიკური მოვლენა → განყენებული ცნება;
- 10) ფიზიკური მოვლენა → ფსიქიკური მოვლენა;
- 11) ცხოველი → განყენებული ცნება.

განხილულ მასალაში მეტაფორული გადატანის ყველაზე ხშირ სახეობად გვევლინება „ცხოველი → ადამიანი“, შემდეგ მოჰყვება სახეობები: „საგანი → ადამიანი“, „საგანი → განყენებული ცნება“, „ადამიანი → ადამიანი“, „საგანი → საგანი“.

მეტაფორული გადატანის ჩამოთვლილი სახეობები მახასიათებელი ფუნქციის დამადასტურებელია. ხასიათების მოპოვება ხდება საგნების, ცხოველების სფეროდან, ასევე იმ პიროვნებათა სფეროდან, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური თვისებები ან თავისებურებანი, გამოწვეული სოციალური მდგომარეობით, პროფესიით, ასაკითა და, ასევე – სიტუაციით.

ლიტერატურა:

1. Арутюнова Н. Д., К проблеме функциональных типов лексического значения. В сб.: Аспекты семантических исследований. М., 1980;
2. Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов. М., 1969;
3. Бельский А. В., Метафорическое употребление существительных. Ученые записки И МГПИИЯ, 1954, т. 8;
4. Будагов Р. А., Введение в науку о языке. М., 1965;
5. Гак В. Г., Сопоставительная лексикология. М., 1977;
6. Гальперин И. Р., Очерки по стилистике английского языка. М., 1958;
7. Калинин А. В., Лексика русского языка. Издательство МГУ, 1966;
8. Касарес Х., Введение в современную лексикографию. М., 1958;
9. Кияненко Т. Ф., Теоретико-познавательная интерпретация метафоры как фигуры речи. В сб.: Системное описание лингвистических явлений германских языков. Куйб., 1980;
10. Мейлах Б. С., Вопросы литературы и эстетики. Л., 1958;
11. Складчикова Н. В., Анализ перевода индивидуально-стилистических метафор в романе Голсуорси «Собственник». В сб.: В помощь преподавателям иностранных языков. Вып. 7. АН СССР, Сибирское отд., Нов., 1976;
12. Складчикова Г. Н., Языковая метафора в словаре. Опыт системного описания. В ж.: «Вопросы языкознания», 1987, №2;
13. Томашевский Б. В., Теория литературы. Поэтика. М.-Л., 1930;
14. Шанский Н. М., Лексикология современного русского языка. М., 1964;
15. Язикова Ю. С., Анализ метафор стиля повести М. Горького «В людях». Ученые записки ДВГУ, 1962, вып. 5.

აგათა კრისტის გამოყენებული მხატვრული ნაწარმოებების სია:

1. Christie A., The Murder of Roger Ackroyd. Fontana/Collins, 1978;
2. Christie A., They Came to Baghdad. Pan Books. Ltd. London and Sydney. 1974, 0 330 240 188;
3. Christie A., Ten Little Niggers. Karo. 2007. ISBN: 978-5-89815-930-6;
4. Christie A., Evil under the Sun. Harper Collins Publishers. Lnd., 1993. ISBN 0006170048;
5. Christie A., Death in the Clouds. St.-Pet., 2007. ISBN: 978-5-9925-0004-2;
6. Christie A., 13 at Dinner. A Dell Book. N.Y., 1975. Dell Publishing Co., Inc.;
7. Christie A., The Seven Dials Mystery. Bantam Books, 1981. ISBN: 0-553-14039-6;
8. Christie A., Case of the Discontented Husband. In: Christie A. Masterpieces in Miniature. St. Martin's Minotaur. N.Y., 2005, ISBN: 0-312-34938-6;
9. Christie A., The Secret Adversary. Tb., 2012;
10. Christie A. Dumb Witness. Cox and Wyman LTD, Lnd., 1978, ISBN: 0330 023349;
11. Christie A. Passenger to Frankfrut. Fontana/Collins, 1972;
12. Christie A., Four and Twenty Blackbirds. In: Christie A, Masterpieces in Miniature. St. Martin's Minotaur. N Y., 2005, ISBN: 0-312-34938-6;
13. Christie A., Easy to Kill. Pocket Book Edition. N.Y., 1968;
14. Christie A., After the Funeral. William Collins Sons Co. Ltd. Glasgow, 1989;
15. Christie A., The Mysterious Affair at Styles, Tb., 2012;
16. Christie A., Murder in Mesopotamia. Pan Books Ltd, Cavaye Place, Lnd., 1981. ISBN: 0330 263226;
17. Christie A., Sanctuary, In: Christie A. Double Sin. A Dell Mystery. N. Y., 1964;
18. Christie A., The Body in the Library. Lnd., 1989. Willian Collins Sons Co. Ltd. Glasgow.

Ira Khvichava

The Metaphor as One of the Methods of Formation of Colloquialisms in the Dialogues of the Novels and Stories by Agatha Christie

Summary

The article is devoted to the description of the metaphors registered in the dialogues of the investigated novels and stories by Agatha Christie. The metaphor is the most productive method of changing the meaning of stylistically low units in the process of lexical-semantic formation in the dialogues by Agatha Christie. The aim of the article is to discover and describe all the possible types of transfer in the dialogue language of Agatha Christie their interaction and interrelation.

The analysis of the factual material has shown that metaphorical transfer in the language of Agatha Christie is subjected to a very strict regularity and is realized in the specific direction from one semantic area to another. As a result of the analysis of the language metaphor there have been identified 11 types of transfer in the dialogues of Agatha Christie's characters from which the most frequent ones have been distinguished: an animal > a man; an object > a man; an object > an abstract notion; a man > a man; an object > an object.

The discovered varieties of the metaphorical transfer confirm the particular characteristic functions of the metaphor itself. The characteristics are obtained from the spheres of objects, animals as well as from the sphere of individuals who have certain physical, mental and moral features or peculiarities engendered by the social position, profession, age and situation.

Ира Хвичава

***Метафора как способ образования коллоквиализмов
в диалогах романов и рассказов Агаты Кристи***

Резюме

Статья посвящена описанию метафор, зарегистрированных в диалогах исследуемых романов и рассказов Агаты Кристи. Метафора является наиболее продуктивным методом изменения значения стилистически низких единиц в процессе лексико-семантического образования в диалогах Агаты Кристи. Цель статьи – выявить и описать все возможные виды переноса в диалогическом языке Агаты Кристи, их взаимодействие и взаимосвязь.

Анализ фактического материала показал, что метафорический перенос в языке Агаты Кристи подчинен очень строгой закономерности и осуществляется в определенном направлении из одной смысловой области в другую. В результате анализа языковой метафоры выявлено 11 типов переноса в диалогах персонажей Агаты Кристи, из которых выделены наиболее частотные: животное – человек; предмет – человек; предмет – абстрактное понятие; человек – человек; предмет – предмет.

Обнаруженные разновидности метафорического переноса подтверждают определенные характерные функции самой метафоры. Характерные черты выявлены из сферы предметов, животных, а также из сферы индивидов, обладающих определенными физическими, психическими и нравственными чертами или особенностями, порожденными социальным положением, профессией, возрастом и ситуацией.

ნანა არახამია
(საქართველო)

ხალხური თქმულება – ვაჟა ფშაველას
შემოქმედების უშრეტო წყარო

ვაჟა ფშაველა იყო და რჩება ღრმა ინტელექტისა და არაორდინალური აზროვნების ხელოვნად. მისმა ლიტერატურულმა ნარატივმა ქართულ სინამდვილეში დიდი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. განსაკუთრებით ეს ეხება კლასიკოსის ეპიკური ჟანრის თხზულებების ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა საკითხს. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოითქვა საინტერესო და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დიდი კლასიკოსი თავისი თხზულებების შესაქმნელად იყენებს ხალხურ შემოქმედებას, ასევე მითოსურ ელემენტებსაც, რომლებიც შემოქმედის ხელში დიდ მხატვრულ ექსპრესიას განიცდიან. არსებობს ისეთი თხზულებები, რომლებზეც ვაჟა ფშაველამ სიცოცხლეშივე ისაუბრა და განმარტა მათი წარმოშობის ისტორია. განსაკუთრებით ეს ეხება „სტუმარ-მასპინძელს“, „აღუდა ქეთელაურს“, „გველისმჭამელს“ და სხვ. მხედველობაში გვაქვს საყოველთაოდ ცნობილი ვაჟა ფშაველას წერილი „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“. ჩვენი ინტერესის სფეროს განსაზღვრავს პოემა „გველისმჭამელის“ წყაროთა საკითხი, რომელიც გაჯერებულია კრიტიკულ აზრთა მრავალფეროვნებით. მკვლევრები ცდილობენ, დაადგინონ პოემის ლიტერატურული თუ ფოლკლორული წყარო და მათი წარმოსახვის შესაბამისად დააწვილონ ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები, ზოგ შემთხვევაში – ხალხური თქმულება პოემა „გველისმჭამელთან“.

ვაჟა ფშაველა ის მწერალია, რომელმაც ქართული ლიტერატურა ყველაზე მეტად დააახლოვა და დაუკავშირა ფილოსოფიას. აქ, უპირველესად, მხედველობაში გვაქვს პოემა „გველისმჭამელი“, რომელიც სამეცნიერო სივრცეში თითქმის ერთხმადაა აღიარებული ფილოსოფიური ხასიათის, მარადიული ღირებულებების მქონე პოემად. სწორედ, რომ პოემა „გველისმჭამელი“ შეიქნა საბაბი ძველი და ახალი დროის მკვლევრებისთვის ემსჯელათ ვაჟა ფშაველას შემოქმედებითი მიმართების შესახებ ინდივიდუალისტურ-ფილოსოფიურ თეორიებთან. საიდან იღებს მგოსანი მასალას ტიპთა მისაღებად? როგორია მისი დამოკიდებულება მის მიერვე შექმნილი სახეებისადმი? რაში მდგომარეობს მისი ფენომენი? მაინც რა შეიძლებაოდა გამხდარიყო ვაჟასთვის შემოქმედებითი იმპულსის საგანი, როცა იწერებოდა პოემა „გველისმჭამელი“? ლეგენდა? გამოგონილი ამბავი? თუ რელიგიებში, მითოლოგიასა და ზღაპრებში, ასევე ფილოსოფოს მოაზროვნეთა მხერაში არეკლილი ხატ-სიმბოლოები? ამ საკითხებზე მსჯელობით განისაზღვრება ჩვენი კვლევის არიალიც ნაშრომში.

კ. კაპანელის აზრით, „გველისმჭამელი“ ფილოსოფიური პოემაა ტანჯვისა, შემეცნებისა, სიყვარულის ტრაგედიისა“ [1, 238].

ვ. კოტეტიშვილი წერს: „მინდია შემოქმედი იყო პირდაპირ უპოვარი, ვიდრე ინდივიდუალიზმის მწვერვალზე იდგა, სადაც ადამიანი მსოფლიოს უერთდება, როგორც სიცოცხლის ერთი ნაწილი“ [2, 609].

ს. დანელიას თვალთახედვით, „ვაჟა აყენებს საკითხს სად არის ინდივიდუალიზმის ბოლო. ვაჟას აზრით, ბოლო ინდივიდუალიზმისა არის პიროვნების გამოსვლა ადამიანობიდან. ასეთი ადამიანობიდან გამოსვლის მხატვრულ დახასიათებას გვაძლევს თავის პოემაში „გველისმჭამელი“ [3].

დ. წოწკოლაური ფიქრობს, რომ პოემა „გველისმჭამელში“ ვაჟამ წინა პლანზე წამოსწია „პიროვნების თვითშემეცნების დრმა ფილოსოფიურ-ფსქოლოგიური პრობლემები“ [4, 329].

გ. რობაქიძე ვაჟას „გამოუცნობ“ პოეტს უწოდებს, ხოლო მისი „შემოქმედებითი ცნობიერება შესაძლოა განისაზღვროს – როგორც მითოლოგიური“ [5].

განსხვავებულად უდგება საკითხს ს. დანელია ნაშრომში „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“. ავტორი ვაჟას მსოფლმხედველობაზე საუბრობს და წერს: „ვაჟას დამოკიდებულება კულტურასთან ემსგავსება ჰერაკლიტეს, ძენონ სტოელის, ჟან-ჟაკ რუსოს, ლევ ტოლსტოის დამოკიდებულებას. იმ ლევ ტოლსტოისა, რომელიც მერუჟოვსკის საყურადღებო დაკვირვებით წარმართია ახალი დროისა“. მკვლევრის აზრით, ვაჟა გვერდით უდგას გოეთეს, შოპენჰაუერს, ნიცშეს, ტოლსტოს [6, 23].

ი. ეგვანიძე ერთ-ერთ თავის კვლევაში „ვაჟა ფშაველას მრწამსის საკითხი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში“ განიხილავს ს. დანელიას ზემოთ მოტანილ შეხედულებას და წერს: „ს. დანელია შეეცადა მოექცია ვაჟა ახალი დროის დიდ „წარმართა“ გვერდით“ [7, 298]. ამ შემთხვევაში იგი იზიარებს და მთლიანად ეყრდნობა გრ. კიკნაძის თვალსაზრისს, რომელმაც სხვა მკვლევართაგან განსხვავებით მართებულად გაიგო ს. დანელიას მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება. გრ. კიკნაძე წერს: „ს. დანელიას ზემოთ დასახელებულ შეხედულებებში... ლაპარაკია არა ვაჟას აზროვნებაზე, არამედ ვაჟას შემოქმედებაზე. ე.ი. ვაჟას შემოქმედების მხატვრულ პროდუქციაზე... და ეს მოსაზრება ვაჟას პირველყოფილ ადამიანობას კი არ ნიშნავს... არამედ, გენიალურ უნარს, რომლის მეოხებით, ვაჟას ძალუძს თავის შემოქმედებაში ისეთი მხატვრული სტილის გამჟღავნება, რომლის შესაბამისად გამოიხატებოდა პირველყოფილი ადამიანების განცდები“ [8, 204-205].

თავის მხრივ, ი. ეგვანიძე ფართოდ და მეტად საინტერესოდ მსჯელობს ვაჟა ფშაველას მიმართების შესახებ ფ. ნიცშეს ეთიკურ კონცეფციასთან პოემა „გველისმჭამელზე“ დაყრდნობით [9, 385-389].

კ. გამსახურდია თვლიდა, რომ „ვაჟა თავისი გაგებით გოეთეს მსოფლმხედველობას უახლოვდება“ [10, 320]. თვალსაზრისი გოეთესა და ვაჟას სახელების დაწვევილებისა მსოფლმხედველობრივ-მხატვრულ კონტექსტში უფრო ადრე გ. რობაქიძესთან გვხვდება [11, 62]. მომდევნო თაობის ლიტერატურათმცოდნეებმა (ა. გაწერელია, გ. ასათიანი, ლ. თეთრუაშვილი და სხვ.) აღნიშნული თვალსაზრისები გაიზიარეს და ფაქტების სიუხვით გაამდიდრეს.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ვაჟა ფშაველას შემოქმედებამ მისცა გარკვეული საფუძველი მკვლევრებს ემსჯელათ: ადამიანის შესაძლებლობათა, ცოდვამადლის, სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების, სილამაზისა და სიმახინჯის, წუთისოფლის, სიკვდილ-სიცოცხლის ზოგადკაცობრიულ პრობლემებზე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოემა „გველისმჭამელში“ ყველაზე მძაფრად გამოვლინდა ამ უკვდავი კლასიკოსის შემოქმედების ეს ძირითადი ასპექტები და კონცეფციები.

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი დიდი კლასიკოსის მრწამსისა და მსოფლმხედველობის ირგვლივ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დახვეწებული კვლევები დასტურია ფაქტისა, რომ ქართულ სინამდვილეში ვაჟა ფშაველამ, როგორც ხელოვანმა, ურთულეს ლიტერატურულ-ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობის პრეცედენტი შექმნა. გვახსენდება ერთი ცნობილი ფრაზა – „ენა მაშინ აღწევს თავისი განვითარების მწვერვალს, როცა ის ფილოსოფიის შემოქმედებას იწყებს“ (ფილოსოფოსობსო). ქართულ სინამდვილეში ეს მისია სწორედ, რომ ვაჟა ფშაველამ იკისრა და ქართული ჰუმანიტარული აზროვნების განვითარებას გარკვეული სიღრმე და განი მისცა, ღრმა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობას გარკვეული ტრადიცია შეუქმნა. ასეთი მაშტაბის პოეტებს შეუძლიათ შექმნან პოემა „გველისმჭამელის“ სადარი მსოფლიო მნიშვნელობის შედეგები.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ხშირად ვხვდებით მოსაზრებებს ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილისა“ და ვაჟა ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ სიახლოვის შესახებ. პირველმა ა. გვენცაძემ აღნიშნა, რომ „ვაჟას თავისი დიდი წინაპარი ჰყავდა ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ სახით. განდეგილის რწმენა სრულიად შეუსაბამო იყო საზოგადოებრივი პროგრესისათვის ადამიანთა საარსებო ძალ-ღონისათვის. ამიტომ მართებულად მოიქცა მწერალი, როცა ცხოვრების მიერ მიგზავნილ მწყემს ქალთან შეხვედრისას მწირი სასტიკად დაამარცხა. ღვთაებრივი ძალით აღჭურვილი მინდიას რწმენაც ამ მიზნით იქნა ძლეული“ [12, 521]. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ა. გვენცაძის თვალსაზრისს.

ამავე საკითხზე გამოთქმულია მოსაზრება კ. მეძველიას მიერ. მისი თვალთახედვით, ორივე პოემა „ღრმა ფილოსოფიური შინაარსისაა და ორივე თხზულებაში ერთნაირად დგას საკითხი მისტიკურ და რეალურ სამყაროს იდეათა შეჯახებისა“ [13, 205-209].

საგულისხმოა ვ. გოგუაძის დაკვირვებები ამ პოემათა სიახლოვის შესახებ. ავტორი თავისი ვრცელი ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „ღვთაებრივი სიწმინდისაკენ ღტოლვა წარმოშობს ასკეტიზმს, რისთვისაც აუცილებელია ყოველგვარი საამქვეყნო ღვაწლისგან განდგომა. მაგრამ დიდი ხელოვანის მიერ ეს პრობლემა გაშუქებულია მისი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ჭეშმარიტად ევროპელი მწერლის დონით. ვაჟასთან, ციურ ფიქრთა შინაგანი ენერგიით ამოაფრქვია ცნობის ჟინმა ევროპული ლიტერატურის, ხელოვნების, უღრმეს, უმდიდრეს პრობლემასთან, რაც სიბრძნის წყაროსთან ფაუსტურ გარიგებაში გამოიხატებოდა. „გველისმჭამელში“, რომელიც დემონურ-ასკეტურის პრობლემას აშუქებს, ავტორი ბრწყინვალედ გვიხატავს, რომ არა მხოლოდ ღვთაებრივი სიწმინდისაკენ ღტოლვა წარმოშობს ასკეტიზმს, არამედ „სიბრძნის წვდომა, სამყაროს იდუმალების გონებით წვდომაც თავისებურ ნაცვალებას ითხოვს“ [14, 157].

ვაჟას „გველისმჭამელისა“ და ილიას „განდეგილს“ შორის არსებულ პარალელთა გამო თავისი შეხედულებები გამოთქვა მ. შენგელიამ. იგი პოემა „გველისმჭამელის“ ვრცლად მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ ამ პოემებს გაცილებით უფრო მეტი რამ აქვთ საერთო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ილიას განდეგილის და ვაჟას გველისმჭამელის დამარცხების მიზეზი მათი პირადი ინტერესებია, რომელსაც ვერ აღუდგენენ წინ თხზულების გმირნი. „პირველმა ვერ შეძლო უარყო ცხოვრება, მეორემ კი ვერ მოახერხა მთლიანად საზოგადოების კუთვნილება ყოფილიყო – სწორედ შუალედია მათი გზა.

მათთვის საზოგადოებაც აუცილებელია და არც მარადიულობა უნდა დაკარგოს ერთმა, მეორეს კი „ქვეყნის ბედნიერება“ ვერ დაუთმია და კვლავაც იმ დონეზე რჩებიან „უშთავრესთა ბრიყვთა და უზრუნველთა ხვედრად, რომ მიიჩნია ვაჟას“ [15, 124].

ფიქრობთ, რომ ზემოთ განხილული შრომები იყო ერთგვარი ბიძგი მ. შენგელიასათვის, რომ უფრო ფართოდ გაეშალა მსჯელობა „გველისმჭამელისა“ და „განდევლის“ მსგავსების შესახებ. მან ფაქტებით გაამდიდრა არსებული თვალსაზრისები და უფრო მკაფიო გახადა მათი სისწორე.

მსგავსება განდევლისა და მინდიას შორის, ნ. გრიგალაშვილის მოსაზრებითაც, იმაში მდგომარეობს, რომ ორივენი ღვთის რჩეულნი არიან. განდევილი ასკეტური ცხოვრებით აღწევს იმას, რომ იმ მყინვარებში სახლობს, სადაც „აჩრდილის“ მიხედვით საქართველოს ბედის თანამდევნი ერის უკვდავი სულია დამკვიდრებული. ხოლო მინდია აქციდენტის წყალობით აღწევს ამას. ღვთის რჩეულთ უწვევთ რჩეულთა გზის განვლა, მაგრამ ისინი მარცხდებიან, რადგან მათ უპირისპირდება არა ბოროტი, არამედ ჩვეულებრივი ამქვეყნიური ყოფა, მრავალთათვის სავალდებულო გზა [16, 160].

ჩვენი ფიქრით, ზემოთ წარმოდგენილი მკვლევართა მსჯელობა ამ ორი პერსონაჟის სიახლოვის შესახებ სრულიად სამართლიანია, რადგან სახელოვანი კლასიკოსები ცდილობენ ადამიანის ფსიქიკური საფუძვლების გადმოშლას, ორივე პოემაში შინაგანი დინამიკის საფუძვლად პერსონაჟთა ხასიათისა და განცდების წინააღმდეგობრივი ბუნებაა წარმოჩენილი, ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა ფშაველამ სუბიექტურ და ობიექტურ საწყისებად პიროვნების გაორებული „მე“ წარმოაჩინეს. პოემებს აახლოებს ის ფაქტიც, რომ ავტორებმა პიროვნების გრძნობისა და გონების ჰარმონიის ფუნდამენტალური მნიშვნელობა გამოკვეთეს. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული ილიას პოემა „განდევილი“ ყოფილიყო ერთ-ერთი მუხტი მწერლის შემოქმედებითი იმპულსისათვის „გველისმჭამელის“ შესაქმნელად. თუ გავითვალისწინებთ თვით ვაჟა ფშაველას სიტყვებს: „უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმც არავითარი მსგავსება არ არსებობს და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს, „მოხუცის ნათქვამსა“ და თ. ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს“ ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმას“ [17, 180].

როგორც ვხედავთ, ვაჟა ფშაველა თვითონვე აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებები ქცეულა მისთვის შემოქმედებით მომენტებში მასტიმულირებელ მასალად. ლიტერატურული ინტერესებით ვაჟას შემოქმედებით პროცესთან ახლოს მდგომი ფილოსოფიური ხასიათის პოემა „განდევილი“ (დაიბეჭდა 1883 წელს), რატომღაც გამორიცხული, მივიჩნით იმ ლიტერატურულ ნაწარმოებად, რომელმაც გარკვეული შემოქმედებითი მუხტი მისცა ვაჟა ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ შესაქმნელად?!

გრ. რობაქიძე მიიჩნევდა, რომ ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“ შესაძლებელია ლიტერატურულად დავაწყვილოთ ნორვეგიელი დრამატურგის ჰენრიკ იბსენის დრამასთან „პერ გიუნტი“. მწერლის აზრით, ფშავის მთებში შობილ მინდიას საკმაოდ ბევრი საერთო აქვს ნორვეგიის ფიორდებში დაბადებულ პერ-გიუნტთან. აი, რა პარალელეს გვთავაზობს დიდი კლასიკოსი: „გუნტის მხატვრულ სახეში, პირველ ყოვლისა, მოცემულია ადამიანი, ვის არსებაშიც ორი ძალა იბრძვის დასაბამიდან: ბუნებრივი და

ზებუნებრივი... იგი ტროლების სამეფოში კარგავს თავის მეობას, რჩება საუთარი თავის გარეშე და რა მიიღწვის იმისკენ, რადაც შექმნა უზენაესმა, პოულობს კიდევ საკუთარ თავს... ამ ძალთა ორთაბრძოლაა მთელი დრამა, სადაც მტანჯველი პროცესია ასახული პიროვნების ჩამოყალიბება-ხორცშესხმისა“. სიყვარულის გრძობა ესმარება მას იპოვოს საკუთარი თავი. მაგრამ ვაი, რომ ეს ყოველივე გუნტს სიცოცხლის ფასად უჯდება. იგემებს რა თვითდამკვიდრების ბედნიერებას, კვდება კიდევ.

მსგავსებასთან ერთად გრ. რობაქიძე საუბრობს პოემათა განსხვავებულ დრამაზე. გუნტმა სოლვეიგისადმი ტრფიალში იპოვა თავისი თავი, მინდია მამყაროს მიმართ სიყვარულში ჰპოვა თავისი „მე“. გუნტი მოკვდება თვითგასრულების მომენტში. მინდია ისწრაფვის, იპოვოს თვითგასრულება სამყაროულ მთლიანობაში. „იქ, სადაც გუნტის დრამა მთავრდება, იწყება მინდიასი და, ამ აზრით, პოემა „გველისმჭამელი“ თითქოსდა გაგრძელებას წარმოადგენს პოემა „პერ გიუნტისა“ [18].

ჩვენ არ ვეთანხმებით გრ. რობაქიძის თვალსაზრისს ჰენრიკ იბსენის დრამა „პერ გიუნტის“ და ვაჟა ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ სიახლოვის შესახებ. თუმცა, პოემა „პერ გიუნტი“ ქრონოლოგიურად ბევრად უსწრებს წინ პოემა „გველისმჭამელს“, 1867 წელსაა შექმნილი. ლიტერატურული ინტერესებით ვაჟასთან ახლოს მდგომ ჰენრიკ იბსენის დრამას „პერ გიუნტი“ სავსებით შესაძლებელია იცნობდა დიდი კლასიკოსი; მაგრამ, პერ გიუნტის ნაკლებად ცნობილ პოემასთან „გველისმჭამელის“ დაწვეილება მაშინ, როცა თვითონვე მიუთითებს გრ. რობაქიძე პოემათა განსხვავებულ სიუჟეტურ ხაზზე, მეტად საეჭვოდ მიგვაჩნია. ამ თხზულებებს აერთიანებს ფილოსოფიურ-სიმბოლიური თემატიკა. იბსენი თავის ნაწარმოებებში ცდილობდა ადამიანის მაქსიმალურ ემანსიპაციას. ადამიანის შესაძლებლობათა საკითხი გახლდათ ვაჟა ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა და ამ საკითხის გარკვევას ცდილობს პოეტი პოემა „გველისმჭამელშიც“. მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს უფლებას, „პერ გიუნტისა“ და პოემა „გველისმჭამელის“ ლიტერატურული დაწვეილებისა.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობში გამოთქმულია მრავალგვარი, ზოგჯერ ურთიერთ-გამომრიცხავი მოსაზრებები პოემა „გველისმჭამელის“ ფოლკლორულ წყაროთა შესახებ. მათ შორის საყრდენ თვალსაზრისებად შეიძლება მივიჩნიოთ გ. თევდორაძის [19, 97-102], მ. ჩიქოვანის [20, 70], ა. გაჩეჩილაძის [21, 27] თვალსაზრისები, რომლებზედაც დაყრდნობით ვითარდება აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სამეცნიერო სივრცეში. ჩვენ ეს მასალები მათი სიდიდს გამო არ მოგვაქვს ნაშრომში.

„გველისმჭამელის“ წყაროსა და შემოქმედებითი ისტორიის თაობაზე ვაჟა ფშაველამ ორჯერ გამოთქვა აზრი. 1911 წელს მწერალმა პირველად დაახასიათა საკუთარი პოემის წყარო, ხოლო მეორედ 1914 წელს პასუხი გასცა კრიტიკოს იპ. ვართაგავას მცდარ მოსაზრებებს ხალხურ წყაროებთან ვაჟა ფშაველას დამოკიდებულების შესახებ. პოეტი არ დაეთანხმა „სტუმარ-მასპინძლისა“ და „გველისმჭამელის“ ხალხურ წყაროებთან მიმართების თაობაზე კრიტიკოსის მიერ გამოთქმულ აზრს. მან გამოყენებული ხალხური მასალა წარუდგინა საზოგადოებას, ლიტერატურის კრიტიკოსებს და გარე სინამდვილესთან, წყაროებთან, პოეტური მიმართების ბუნებაც დაუხასიათა [22, 364].

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ თქმულის მერე საკითხის ასე დაყენება – თუ რომელ მასალას ეყრდნობოდა მწერალი? ან როგორი იყო მისი შემოქმედებითი პოზიცია ხალ-

ხური წყაროს მიმართ? რომელი ლეგენდა თუ ხალხში გაგონილი ამბავი უდევს საფუძვლად „გველისმჭამელს“? ჩვენც არასწორად მიგვაჩნია. დ. წოწკოლაურმა საკმაოდ შრომატევადი საქმე გასწია ამ კუთხით. მან მკვლევართა მიერ დასახელებული თქმულებები შეადარა „გველისმჭამელს“ და დაასკვნა, რომ „თქმულების არც ერთი ვარიანტის ცნობით, არ კარგავს მინდია სიბრძნეს. მთქმელისთვის კითხვის დაყენებაც ვაჟას პოემის სიუჟეტით არის განპირობებული. როცა ეს გადმოცემები ჩაიწერა პოემა „გველისმჭამელის“ შინაარსი მთელმა ქვეყანამ იცოდა“ [4, 332]. სრულიად სამართლიანად და მისაღებად მიგვაჩნია პროფესორის ის თვალსაზრისიც, რომ „ვაჟა ფშაველამ ხალხური შემოქმედების ნიმუშების ჩამწერით შორის პირველმა მოახდინა ფიქსაცია „გველისმჭამელის“ შესახებ არსებული გადმოცემისა. მან ეს გადმოცემა სალიტერატურო კრიტიკას 1914 წელს გააცნო და აღნიშნა, რომ ამ მასალას იყენებდა პოემის წერის დროს, ე.ი. 1901 წელს. მაშასადამე, მწერალმა ჯერ კიდევ 1901 წლამდე მოპოვებული მასალა წარუდგინა მკითხველს. ეს მასალა ერთადერთი ძველი ნიმუშია და თანაც ხალხური სიტყვიერების საერთო ბუნების დიდი მცოდნისგან შემონახული. თხზულების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლისას, უწინარეს ყოვლისა, მწერლის მიერ მოწოდებული ხალხური წყარო უნდა იქცეს დაკვირვების საგნად. ამასთანავე, შემოქმედებითი მიმართების რაობის დახასიათებისას უნდა დავეყაროთ მწერლისეულ თვითგანმარტებას“.

ამდენად, ვაჟა ფშაველას „გველისმჭამელის“ ერთადერთ სანდო წყაროდ შეიძლება დავასახელოთ თვითონ პოეტის მიერ გამოთქმული არაკი. მკვლევართა ცდები, მიუხედავად ავტორის განცხადებისა, მაინც დაადგინონ პოემა „გველისმჭამელის“ ხალხური წყარო, ცარიელ განცხადებად რჩება. რაც შეეხება შემოქმედებითი იმპულსების, ბიძგის მომენტს პოემა „გველისმჭამელის“ წერის პროცესში, არ არის გამორიცხული მეცნიერ-მკვლევართა მიერ ზემოთ დასახელებული თხზულებები გამხდარიყო. ჩვენ, ამ თხზულებათა შორის პოემა

„განდევილს“ მივიჩნევთ მწერლის შემოქმედების იმპულსად, გამაღიზიანებლად პოემა „გველისმჭამელის“ შექმნის პროცესში. თვითონ ვაჟაც ხომ აღიარებს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ბევრჯერ გამხდარა მისთვის შთაგონების წყარო.

ჩვენ წარმოვაჩინეთ ლიტერატურული აზრის დინამიკა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებულ ძირითად მოსაზრებებზე ვაჟა ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა შესახებ, რომელთანაც უშუალოდ გადაჯაჭვულია მგოსნის მსოფლმხედველობისა და მრწამსის საკითხები. რა შეიძლება ითქვას ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა და ამგვარი პარალელების დაძებნის წყურვილით სავსე მკვლევართა მიმართ? რამდენად მართებულია და დამარწმუნებელი მათი ძიებები? რამდენად საჭიროა მსგავსი ოპერაციების ჩატარება? მკვლევართა გადამეტებული სურვილი – დაიძებნოს უხვი მაგალითები, რომ ერთი მწერალი ბაძავს მეორეს, უშუალოდ იღებს მასალას მეორისაგან; ან როცა თავისუფალ ასოციაციებზეა მსჯელობა აგებული, თურმე ილიასთან ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობს ბერი და ასკეტურია თავისი ბუნებით, მაგ., „გველისმჭამელის“ პერსონაჟის ცხოვრებაც, ჯერ კიდევ არ ნიშნავს გავლენის ფორმათა რეალური საფუძვლის პოვნას. ასეთი მომენტებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ პოემა „განდევილი“ იქნება ეს თუ სხვა თხზულებები, რომლებიც ავლენენ ლიტერატურულ ნათესაობას პოემა „გველისმჭამელთან“.

მხოლოდ პოეტური იმპულსის, ბიძგის მიმცემია ვაჟა ფშაველასთვის პოემა „გველის-მჭამელის“ შექმნის პროცესში. ვაჟას უსაზღვროდ ფართო შემოქმედებითა ინტერესებმა მისცა გარკვეული საფუძველი მკვლევრებს ემსჯელათ „ვაჟას ჰომეროსისებურ მხატვრულ ხედვაზე, მის პერსონაჟთა შექსპირისეულ ვნებებზე, ნიცშეანურ ინდივიდუალიზმზე ... და რელიგიური უნივერსალიზმის ინტელექტისა და ინტუიციის პრობლემებზე, გოეთესებურ ფაუსტურ ძიებებსა და მითოსური ხილვის არსზე“ [23, 371].

მაშასადამე, დიდი მგონის ამ საოცრად ფართო შემოქმედებითა ინტერესებმა, რომელიც ისრუტავდა კაცობრიობის გრძობა-გონების საუკეთესო მონაპოვარს, მისცა საფუძველი ძველი და ახალი დროის ავტორებს აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები.

ლიტერატურა :

1. კაპანელი კ., ქართული სული ესთეტიურ სახეებში, თბ., 1926;
2. კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (19 საუკუნე), თბ., 1959;
3. დანელია ს., ინდივიდუალიზმის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. www.spekali.tsu.ge;
4. წოწკოლაური დ., ვაჟა-ფშაველა (თეორიულ-ლიტერატურული ნააზრევი), თბ., 2008;
5. რობაქიძე გ., ვაჟა ფშაველა. <https://burusi.wordpress.com/2009/05/30/grigol-robakidze-vajapshavela/>;
6. დანელია ს., ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი, თბ., 1927;
7. ევგენიძე ი., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 2009;
8. კიკნაძე გ., ვაჟა ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957;
9. ევგენიძე ი., ვაჟა ფშაველა, თბ., 1989;
10. გამსახურდია კ., ვაჟა ფშაველა, რჩეული თხზულებანი, ტ. 6, თბ., 1963;
11. რობაქიძე გ., „ენგადი“, ჟურნ. „მნათობი“, 1987, №8. გადმობეჭდილია ჟურნ. „ბელი ქართლისა“, №10-11;
12. გვენცაძე ა., „გველისმჭამელი“, თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1959, №3;
13. მეძველია კ., „განდევილი“ და „გველისმჭამელი“, წიგნში: კ. მეძველია, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1967;
14. გოგუაძე ვ., „განდევლობის იდეა ქართულ პოეზიაში“, წიგნში: ვ. გოგუაძე, ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, თბ., 1980;
15. შენგელია მ., „უცნაური პოემა“, ჟურნ. „ცისკარი“, 1982, №5;
16. გრიგალაშვილი ნ., „გზა ხსნისა“, ჟურნ. „ცისკარი“, 1984, №3;
17. ვაჟა ფშაველა, „pro domo sua“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 9, თბ., 1964;
18. რობაქიძე გ., ვაჟა ფშაველა. <https://burusi.wordpress.com/2009/05/30/grigol-robakidze-vajapshavela/>;
19. თევდორაძე გ., ხუთი წელი ფშავ ხევსურეთში, წიგნი 2, თბ., 1939;
20. ჩიქოვანი მ., ვაჟა ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956;

21. განჩილაძე ა., გადმოცემა „ხოვას მინდიაზე“ და პოემა „გველისმჭამელი“, თბ., 1959;
22. ვაჟა ფშაველა, „კრიტიკა ბ. ი. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 9, თბ., 1964;
23. ევგენიძე ი., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2003.

Nana Arakhamia

*Literary and Philosophical Heritage and Vazha Pshavela
Concept Formation of Folklore Materials*

Summary

The article highlights existed in Georgian literary criticism key considerations and beliefs of Vazha Pshavela ideology in poem "The Snake-Eater". Taking in philosophical nature, eternal values is an evergreen classic author's peak of creation, poem vividly demonstrate the main aspects of all mankind problems in Vazha Pshavela creativity: human capacity, sin - grace, beauty and ugliness, extinction, living-dying. In the work introduced old and new generation researchers views with the poem (K. Kapaneli, V. Kotetishvili, S. Danelia, D. Tsotskolauri, I. Evgenidze, G. Kiknadze, K. Gamsakhurdia, G. Robakidze and others), about Vazha Pshavela addressing to individual philosophical theories. Great classics world view and beliefs of around host of studies give us reason to say that Ilia Chavchavadze's "The Hermit" and Vazha Pshavela's "The Snake-Eater" exact writings, followed with difference opinions and criticism reflexions in Georgian literary studies. In respect to basic viewpoint of existed Georgian literary studies about pairing of Vazha Pshavela's "The Snake-Eater" and Ilia Chavchavadze's "The Hermit" (A. Gventsadze, K. Medzvelia, V. Gogvadze, M. Shengelia, N. Grigalashvili) we fully agree with the views of researchers and think the Ilia Chavchavadze's "The Hermit" – one of power of creative impulse source of Vazha Pshavela "The Snake-Eater"'s creating process. The paper also discusses the writer Gr. Robakidze's ideology about literary nearness with "The Snake-Eater". It is quite possible great classicist got acquainted with dramatic poem Henrik Ibsen "Peer Gynt", moreover, that poem "Peer Gynt" created in 1867, earlier than "The Snake-Eater". Perhaps "Peer Gynt" with similar literary value was known to Vazha Pshavela.

In the article we bring up poem folkloric sources issues (G. Tevdoradze, M. Chikovani, A. Gachechiladze, D. Tsotskolauri). Express the attitude of the issues and state our points of view. We express the attitude to issues and remark our ideology.

Нана Арахамия

*Литературно-философское наследие и формирование концепции
Важа Пшавела на фольклорных материалах*

Резюме

В статье освещаются существовавшие в грузинском литературоведении основные положения идеологии Важа Пшавела в поэме «Змеед». Принимая в философском контексте вечные ценности – вечнозеленую классическую авторскую вершину творчества, поэма ярко

демонстрирует в творчестве Важи Пшавелы основные стороны общечеловеческих проблем: человеческие способности, грех – благодать, красоту и уродство, угасание, жизнь-смерть. В работе представлены взгляды исследователей старого и нового поколения с поэмой (К. Капанели, В. Котетишвили, С. Данелия, Д. Цоцколаури, И. Евгенидзе, Г. Кикнадзе, К. Гамсахурдия, Г. Робакидзе и др.) о Важа Пшавела, обращаясь к отдельным философским теориям. Мировоззрение великих классиков и ученых дают нам основание утверждать, что «Отшельник» Ильи Чавчавадзе и «Змеед» Важи Пшавелы являются важными произведениями, за которыми последовали разногласия и критические размышления в грузинском литературоведении. Относительно основной точки зрения существующих грузинских литературоведческих исследований о связи «Змееда» Важи Пшавелы и «Отшельника» Ильи Чавчавадзе (А. Гвенцадзе, К. Медзвелиа, В. Гогуадзе, М. Шенгелия, Н. Григалашвили) мы полностью согласны с мнением исследователей и считем «Отшельник» Ильи Чавчавадзе одним из источников силы творческого импульса в процессе создания Важи Пшавелы «Змеед». В статье также рассматривается идеология Гр. Робакидзе и его литературная близость с «Змеедом». Вполне возможно, что великий классик познакомился с драматической поэмой Генрика Ибсена «Пер Гюнт», причем эта поэма «Пер Гюнт» создана в 1867 году, раньше, чем «Змеед». Возможно, «Пер Гюнт» с аналогичным литературным значением был известен Важе Пшавеле.

В статье мы поднимаем вопросы фольклорных источников поэмы (Г. Тевдорадзе, М. Чиковани, А. Гаччиладзе, Д. Цоцколаури). Этим мы выражаем отношение к проблеме и излагаем нашу точку зрения.

ციცინო ანთაძე
(საქართველო)

ტოტალიტარიზმის ეპოქის სკოლა
ბოლშევიკი ჩოხელის „ლუპას სახარების“ მიხედვით

მეოცე საუკუნე მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის მიჯნაა. ამ პერიოდმა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი კვალი დატოვა. ლიტერატურაში არსებული ნებისმიერი წინა მიმართულება ტრადიციისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრებოდა. კლასიკოსებისთვის ანტიკურობა (რენესანსიც მათ შორის, როგორც ანტიკურობის გამოცოცხლების პერიოდი ხელოვნებაში) იყო დაპირისპირების წყარო, როგორც რომანტიკოსებთან შეიმჩნევა შეუსაუკუნეებისადმი დაპირისპირება. მოდერნიზმის „შემოჭრის“ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, რადგან მანამდე არსებულ ყველა ლიტერატურულ პერიოდს ხშირად „კლასიკურს“ უწოდებენ, ანუ ამ ერთ სახელში აერთიანებენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებას და გამოდის, რომ ამ ეტაპზე მსოფლიო ლიტერატურა ორ ძალიან ფართო მოვლენად შეიძლება დაიყოს: მოდერნამდე და მოდერნის შემდეგ. მოდერნიზმი პირველი კულტურული და ლიტერატურული ხანაა, რომელმაც ძველი მემკვიდრეობა დაასრულა და მარადიულ შეკითხვებს რადიკალურად განსხვავებული, სრულიად ახალი პასუხები გასცა.

მე-20 საუკუნე ტრავმების საუკუნეა, მსოფლიოს მრავალი ერისთვის (ებრაელები, ბოშები, იუგოსლავიისა თუ საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხები, კოლონიზირებული ხალხები აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა თუ აზიაში) ტრავმების მიზეზი ძალადობა, ომი, სოციალური ტრანსფორმაცია, რევოლუციები, ტექნოლოგიური ინოვაციები და ა.შ. იყო. მაგალითად, ე.წ. „საბჭოთა ადამიანი“, თვითგამორკვევასთან ერთად, ტრავმებს იშუშებდა. კომუნისტური მარწუხების უეცარმა მოსხნამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხალხებს დიდი დარტყმა მიაყენა, რამაც თავისი გამოძახილი ხელოვნებაშიც ჰპოვა. საბჭოთა კავშირში გაზრდილი ადამიანებისთვის ასეთი მასშტაბის, სწრაფი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილება სტრესული აღმოჩნდა.

ტერმინი *სტრესი* პირველად უნგრული წარმოშობის კანადელმა ფიზიოლოგმა ჰანს სელიემამ გამოიყენა. სელიეს თანახმად, სტრესი ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია. სტრესის განვითარება ზოგჯერ ადამიანის მობილიზაციასა და ცვალებად გარემოსთან შეგუებას უწყობს ხელს, მაგრამ თუ სტრესი ძლიერი და გრძელვადიანია, მაშინ ადამიანი ვერ ახერხებს ტრავმული სიტუაციიდან თავის დაღწევას, რასაც იგი ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ პრობლემებამდე მიჰყავს. სელიე აღნიშნავს, რომ ხშირად ძალადობის, ახლობლის სიკვდილის, საკუთარი მიწა-წყლის დატოვების ფაქტები არის ტრავმული გამოცდილება, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორზე. ის თანდათან ჩნდება, ხანგრძლივია და ზოგჯერ ადამიანში პიროვნულ ცვლილებებს იწვევს [5]. ამ რეალობაში მწერლობა და ხელოვნება მეთოდოლოგიური დილემის წინაშე დადგა, კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა გარესამყაროს ასახვის შესაძლებლობები, მით უფრო მაშინ, როდესაც პოზიტივისტურად გაგებულ ემპირიული რეალობა არ აღმოჩნდა დასრულებული და

თვითკმარი სინამდვილე.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო *იდენტობის კრიზისის* სახელით ცნობილი პროცესი; ტრავმის მიზეზი სწორედ ამ პროცესის თანმხლები დისკომფორტი იყო. მრავალი ადამიანი იძულებული გახდა ცხოვრების ახალი გზა მოეძებნა, რადგან დაკარგა სამუშაო, პროფესია, სოციალური სტატუსი და ახალ გარემოში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა. ამან საზოგადოებისა და მთლიანად სისტემის შეცვლა გამოიწვია, რასაც მოყვა მოსახლეობის დაბნეულობა, ნიჰილიზმი, უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ცვლილებები უკავშირდებოდა კოლექტიურ ემოციას. შეიქმნა გაურკვევლობისა და დაუცველობის ატმოსფერო; უნდობლობა, როგორც კონკრეტული ადამიანების, ასევე ინსტიტუციების მიმართ; ზოგადი აპათია და პასიურობა, პესიმიზმი და წარსულის ნოსტალგია. საქართველოს შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა პერიოდის სირთულეებს აღრმავებდა ისეთი მტკივნეული მოვლენები, როგორებიც იყო სამოქალაქო ომი, რთული საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან, ეკონომიკური კრიზისი – ეს მოვლენები საყურადღებოა კოლექტიური ტრავმის, კოლექტიური მეხსიერების თეორიის თვალსაზრისით, რადგან მათი გააზრება მნიშვნელოვანია პოსტტრავმული სინდრომის დასაძლევად.

აღსანიშნავია ფროიდის რამდენიმე დებულება კოლექტიურ ტრავმასთან დაკავშირებით – მათზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა პოსტტრავმული სტრესის შემცველი ნარატივის გამოყოფა და მათი დაჯგუფება. ფროიდმა ტრავმის კვლევა ინდივიდუალური დონიდან დაიწყო. მისი აზრით, ტრავმაზე პასუხის გაცემა ყველა ინდივიდს შეუძლია, თუმცა ტრავმულ მოვლენას ხანგრძლივი ეფექტი აქვს ინდივიდის ცხოვრებაზე. ფროიდის აზრით, ტრავმული მოვლენა იწვევს ემოციების გადაჭარბებულ გამოხატვას; თავდაპირველად, ინდივიდი ტრავმის საწინააღმდეგოდ ფსიქოლოგიურ ფარს აღმართავს, ამ დროს იგი ყურადღებას სხვა რამეზე მიმართავს. ამ პროცესში პათოლოგიური დაცვის ინსტინქტი ყალიბდება. ფიზიკურად კი ეს შეიძლება დეპრესიაში გადაიზარდოს. თუ ინდივიდი ემოციის ჩახშობას გადაწყვეტს, ის განწირულია ტრავმასთან დასაბრუნებლად. ფროიდის აზრით, ინდივიდის მეხსიერებაში ტრავმული მოვლენა სამუდამოდ ილექება და ემოციური რეფლექსების დათრგუნვით მსხვერპლი მუდმივად უბრუნდება მომხდარ მოვლენებს. მეხსიერება ტრავმულ მოვლენას ისტერიკულს ხდის. ამის შედეგად ჩნდება შიში და სხვადასხვა ტიპის ფობია.

პროფესორი მანანა თანდაშვილი აღნიშნავს, რომ „კოლექტიური მეხსიერების შექმნა ინდივიდუალური მეხსიერების სოციალიზაციის გზით მიიღწევა. ინდივიდუალური მეხსიერების (მრიცხველის) მათემატიკური შეკრება იფილტრება და დაიყვანება მეხსიერების საერთო „მნიშვნელზე“, რომელიც კოლექტიური მეხსიერების სახით განაგრძობს არსებობას. ინდივიდუალური მეხსიერების მატარებელი არის თავად ინდივიდი, კოლექტიური მეხსიერების მატარებელი კი კოლექტივია. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივი ინდივიდთა კრებულს, ერთგვარ მათემატიკურ ჯამს წარმოადგენს, კოლექტიურ მეხსიერებასა და ინდივიდუალურ მეხსიერებათა მათემატიკურ ჯამს შორის ტოლობის დასმა დაუშვებელია – კოლექტიური მეხსიერება ინდივიდუალური მეხსიერებების არაინდივიდუალური კომპონენტების ნაკრებია. კოლექტიური მეხსიერება არ მოიცავს სპონტანურ მომენტებს. იგი საგანგებოდ შექმნილი და სიმბოლური კონსტრუქტია, რომელიც ნებელობით ხასიათდება და ამდენად, სასურველი მეხსიერებაა. კოლექ-

ტიური მეხსიერების განსახიერებას წარმოადგენს ეროვნული მეხსიერება და რადგან შესაძლებელია კოლექტიური მეხსიერებისათვის კონტროლის გაწევა, ეროვნული მეხსიერების მართვაც შეიძლება საზოგადოების შეგნებული გადაწყვეტილების შედეგად“ [6]. სწორედ ამ ფენომენმა გამოიწვია პოსტსაბჭოტა ლიტერატურის ფორმაციაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

პირველმა მოდერნისტულმა თაობამ მწვავედ იგრძნო რეალისტური თხრობის ფორმების ამოწურვა, რადგან მათთვის „რეალიზმის“ ცნება სამყაროს დამოუკიდებლად გააზრების მცდელობის ნაკლებობას, ზედაპირულობას, ბუნდოვანი აღწერილობების მოწყენილობას გულისხმობდა. მოდერნისტები, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოს ინდივიდუალურ მხატვრულ ხედვას აფასებდნენ. მათ მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროებს ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმა აქვს, თითოეული მათგანი ძლიერი შემოქმედებითი ინდივიდუალურობით გამოირჩევა. ამ პროცესს მნიშვნელოვანი ძვრები უსწრებდა წინ; მოდერნისტები იმ დროს ცხოვრობდნენ, როდესაც ტრადიციული ჰუმანისტური კულტურის ღირებულებები ჩამოიშალა. პირველი მსოფლიო ომის სისხლიანმა ხოცვამ, რომელშიც პირველად გამოიყენეს მასობრივი განადგურების იარაღი, ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი ღირებულება აჩვენა.

ამ ეპოქის ავტორების აღქმაში ყოფიერების პირველსაწყისს თავისუფალი ნება წარმოადგენს. მოდერნისტულ მწერლობაში ადამიანი უკვე აღარაა ყოფიერების ცენტრი, იგი იმთავითვე აღმოჩნდება ყოფიერების გარეგან, ისტორიულ ძალთა გადაკვეთის კონფლიქტის არეალში, რაც გარემოს ზემოქმედებას აღნიშნავს ადამიანზე. მოდერნისტულ ტექსტში იმთავითვე დარღვეულია სტრუქტურა, იგი ღიაა: სიუჟეტი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე სტიქიურად და არათანმიმდევრულად ვითარდება, არაა ორიენტირებული ლოგიკურ ფინალზე, დასასრული არ ანიჭებს მოქმედებას აზრს, ვინაიდან მოქმედება არ შეიცავს განვითარებას და პოტენციაში ნებისმიერი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მოდერნისტულ ტექსტებში ენა რადიკალურად განსხვავებულად ვლინდება, წინარე ლიტერატურული მიმდინარეობისგან განსხვავებით, წინა პლანზე ენის არა ამსახველი, არამედ სისტემური თვისება გამოდის.

ევროპის პარალელურად საქართველოში შემზადდა ნიადაგი იმისთვის, რომ ქართული მოდერნისტული პროზა გაჩენილიყო და შექმნილიყო რადიკალურად განსხვავებული ნაწარმოებები. საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ პროზაში მძლავრობდა რეალისტური ნაკადი, მაგრამ თანდათან მოხდა გადახალისება – გაჩნდა მოდერნისტული ტენდენციები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო: „ვასილ ბარნოვის მიერ პროზის ერთგვარი რეფორმაცია. მის რომანებში შემოიჭრა პოეტური ელემენტები. ქარაგმული, სტილიზებული მეტყველება, მეტაფორების სიჭარბე, უცნაური პერსონაჟები უკვე ქმნიდნენ სრულიად ახალ მხატვრულ გარემოს, რომელშიც სამყაროს ძველი ტკივილები ახლებურად ხმიანდებოდა. ქართულ პროზაში მომხდარი ცვლილებების ძირები ძვეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც. მან სოციალურ-ეთიკური პრობლემები განაზოგადა და გარდატეხა ფილოსოფიურ-რელიგიურ ასპექტში. მის შემოქმედებაში გამოვლინდა ქვეცნობიერის დიდი ინტერესი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მითის აღორძინება. მისი პერსონაჟების აზროვნებაზე თანაბრად ზემოქმედებდა რეალური და მითური სინამდვილე. მნიშვნელოვანი იყო ჭოლა ლომთათიძის პროზაში შემოჭრილი სიახლეები – ლირიკული წიაღსვლების სიჭარბე, ემოციების სი-

უხვე, ასოციაციური აზროვნების ელემენტები. ტრადიციული თხრობის რღვევა, ადამიანის უჩვეულო სულიერი მდგომარეობის დეტალური ანალიზის ცდა. შიო არაგვისპირელის ცალკეულ ნოველებში წარმოჩენილი სამყაროს განსხვავებული ხედვა, სულის უცნობ სიღრმეთა მხატვრული ინტერპრეტაციები და სხვა“ [3, 5]. შემდეგ ეტაპზე პროზაში ჩნდებიან ისეთი ავტორები, რომლებიც ტექსტის ლაკონიურობას, ლაპიდარულ სტილს აქცევენ ყურადღებას, აქ მნიშვნელოვნად ვითარდება გამომსახველობითი ენა.

საქართველოში მოდერნიზმის თეორიულმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ის შეიძლება იყოს აღქმული, როგორც მეთოდი, რომელსაც, ევროპული გამოცდილებისგან განსხვავებით, მეტად მძლავრი პოლიტიკური სარჩული არ ჰქონია. მას არ ჰქონდა ყოველდღიური ფასეულობების შეცვლის პრეტენზია. „ქართულ მოდერნიზმს, ისევე როგორც სხვა ლიტერატურულ მოძრაობებს, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ტრადიციის, მენტალობის, მხატვრული აზროვნების მრავალწლიანი ნიადაგი დახვდა და ამ ნიადაგზე ყოველგვარმა მაქსიმალისტურმა ტენდენციამ, რადიკალიზმმა, კატეგორიულობამ ერთგვარი სახეცვლილება განიცადა და ნაციონალურ-ლიბერალური ელფერი მიიღო, არა მხოლოდ როგორც მსოფლმხედველობამ, არამედ როგორც მხატვრულმა მეთოდმა“ [4]. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში კრიტიკა მეტად მძლავრი იყო ქართული მოდერნიზმის მისამართით, რომელსაც სხვადასხვა გამოხატულებები ჰქონდა დადაიზმის, იმპრესიონიზმის და მისთანების მეოხებით, ის მაინც ქართული ლიტერატურის განვითარების ბუნებრივ საფეხურად მიიჩნევა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სანთელივით გამოანათა სუფთა და წრფელმა შემოქმედებამ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების სახით. როგორც ყველა მწერალი, ისიც მკითხველში სხვადასხვა განცდებსა და ემოციებს ტოვებს, მაგრამ ძნელია არ დაინახო მისი განსაკუთრებული, ამადლებული სამწერლობო ენა, ყველას სულის სიმებს რომ არხევს. გოდერძი ჩოხელი იმ ქართველ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მეოცე საუკუნის ქარტეხილებით სავსე ლიტერატურულ, და არამხოლოდ ლიტერატურულ, ცხოვრებაში მკვეთრი ინდივიდუალიზმი შემოიტანეს. ასეთი გულწრფელი, ზღაპრული, ამავედროულად რეალისტური და სიმბოლისტური ნაწარმოებები იშვიათია თვით მსოფლიო ლიტერატურისთვისაც კი. მის თხზულებებში იკვეთება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული, და არა მხოლოდ ქართული, ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ძირითადი ტენდენცია – იქნება ეს მკვეთრად გამოხატული მითოლოგიზმი, დრმა ფსიქოლოგიზმი, რელიგიურობა თუ მაგიური რეალიზმითა და ზღაპრული ელემენტებით გაჯერებული გულწრფელი წერის სტილი. ის ყველაზე სევდიან და ამავე დროს მართალ შემოქმედად არის მიჩნეული. მისი ნაწარმოებები ადამიანთა განუზომელი სევდის მატარებელია.

სოციალისტურმა წყობამ სამოცდაათი წლით უკან ჩამოტოვა ქვეყნის განვითარება; იმ დროში ნაცხოვრები ადამიანები ამას დიდხანს ვერ ვგრძნობდით, განვითარებასთან ერთად იზღუდებოდა თავისუფლება, იკრძალებოდა რწმენა, რაც უზნეობას შობდა; რელიგია და რწმენა აშინებდა ურწმუნო ბრბოს; ბიბლია, მიუწვდომელ საიდუმლოებასთან ერთად, ძალის დახმარებით გაბატონებულ ხელისუფლებას შიშის ზარს სცემდა, ამიტომაც მასში გადმოცემულ სიბრძნეს ანადგურებდნენ, რაც უფრო დევნიდნენ რწმენას, მით უფრო ძლიერდებოდა სარწმუნეობა. სწორედ ამ დიქტატურის საპირწონედ ჩნდება მწერალი, რეჟისორი, სცენარისტი, რომელიც ტაბუდადებულ თემებზე

მუშაობს, რომელთა ცოდნაც, გაგებაც, გაზიარებაც, შეგრძნებაც ადამიანებს იმაზე უფრო მეტად სჭირდებათ, ვიდრე ოდესმე.

„ლუკას სახარება“ – რატომ აირჩია მწერალმა ოთხი სახარებიდან ლუკას თავები? რით განსხვავდება ლუკას სახარება დანარჩენებისგან? სახარების მთავარი თემა იესო ქრისტეს, ძე ღვთისას, ცხოვრება და ქადაგებანია. სახარება დაიწერა ქრისტიანთათვის და მიმართულია თეოფილეს და წმ. პავლეს მიერ დაფუძნებული ახალი ქრისტიანული საზოგადოების მიმართ. სახარების რიგი თავისებურებები გამომდინარეობს მისი დანიშნულებიდან, რომელიც მიმართული იყო ყოფილ წარმართთა მიმართ. მახარებელი ცდილობს დეტალურად აღწეროს ებრაული ტრადიციები, თავი აარიდოს სიტყვა „წარმართის“ უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას, რათა არ მოხდეს არასწორი გაგების შედეგად წარმოქმნილი გაუგებრობა. მაგალითად, ფრაზა ქრისტეს მთაზე ქადაგება, რომელიც მათეს სახარებაში შემდგენიარად ქდერს „ანდა თუ მოიკითხავთ მხოლოდ თქვენს მოძმეთ, უჩვეულოს რას სჩადიხართ? განა ასევე არ იქცევითან წარმართნიც?“, ლუკასთან ასეთი ფორმა აქვს მიცემული: „და თუ კეთილს უყოფთ თქვენს კეთილისმყოფელთ, რას მიითვლით მადლად? რადგან ცოდვილნიც ასევე იქცევიან“ [2, 33]. ლუკა, ძირითადად, ქრისტეს ცხოვრების ისტორიულ მხარეს აღწერს, შესაბამისად, მისი სახარება ახალი აღთქმის ყველაზე დიდი წიგნია. თხრობა იწყება ყველაზე ადრეული მოვლენების აღწერით, კერძოდ: იოანე ნათლისმცემლის მამის ზაქარიას შესახებ ცნობებით და თავად იოანეს მომავალი დაბადებიდან. სხვა სახარებები იწყება ქრისტეს დაბადებიდან (მათე) ან უკვე იოანე ნათლისმცემლის ქადაგებიდან (მარკოზი და იოანე). მხოლოდ ლუკას სახარებაში ვხვდებით ინფორმაციას იოანე ნათლისმცემლის მშობლების შესახებ, მის დაბადებასთან დაკავშირებულ მოვლენებსა და ქალწულ მარიამის ელისაბედთან, იოანეს დედასთან სტუმრობაზე. მხოლოდ აქ ვხვდებით ინფორმაციას ახალდაბადებული ჩვილისადმი მწყემსთა თაყვანისცემის, ასევე 12 წლის იესოს ტაძარში ყოფნის შესახებ.

ლუკა მახარებელი ხაზს უსვამს სახარების უნიკალურობას და მის გახსნილობას ყველა ადამიანისთვის; ყურადღებას ამახვილებს ადამიანებსა და მათზე მიმართულ ღვთაებრივ სიყვარულზე. ის არა მხოლოდ ზუსტი ლიტერატურული ენით აღწერს ყველაზე განსხვავებულ ადამიანთა ხასიათებს, არამედ განსაკუთრებული სახით ხაზს უსვამს ქრისტეს მზრუნველობას უბრალო ადამიანების მიმართ. ძნელი არ არის იმის გარჩევა, რომ მათეს სახარებაში, მაგალითად, ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია ზეციურ სასუფეველზე, ლუკას სახარებაში მეტია იგავები კონკრეტულად ადამიანებსა და მათ ამქვეყნიურ ურთიერთობებზე. სახარების ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მონანიეთა შემწყნარებლობაზე ამახვილებს.

გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარება“ ყველაზე მეტად ეხმაურება ადღგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ავტორი/ნარატორი მოგვითხრობს მესამე პირში და დინამიკურად გვიხატავს ერთი პატარა სოფელი ბიჭის ამბებს; ნელ-ნელა გამოდგობულ სოფელში თითქოს არც არაფერი ხდება განსაკუთრებული, ბებია ბიჭს სკოლაში წასვლას აჩქარებს, ბიჭი კი ისე სასიამოვნოაა ჩართული ოჯახის ყოველდღიურ რუტინაში, რომ არ ჩქარობს. პირველ აბზაცში ბიჭის ბევრი დადებითი თვისება იკვეთება. ბებიასა და შვილიშვილის საუბარს მეზობლის (მიხო პაპას) დიალოგი ენაცვლება. დიალოგი ხუმრობანარევი, რადგან ორივეს ხარი 3 ყავს და ლუკა თავის ნიკორას გამორჩეუ-

ლად აქებს; აქვს ამის მიზეზიც, ნიკორა მისი გაზრდილია (თავის სარჩენად მისი დათმობა მოუწევს); დიალოგში დირექტორიც იხსენიება, რაც შემდგომ მოთხრობის მთავარ ამბად და უბედურების მიზეზად წარმოგვიდგება; პატარა სოფლის სკოლის დირექტორი დიდ მონსტრად ქცეულა, ისეთად, რომ ყველას შიში ზარს სცემს, ლუკა სკოლაში მისვლამდე სასაფლაოს ჩაირბენს, ერთ-ერთ საფლავთან ჩერდება, ეტყობა, რომ იქ მისი დედ-მამაა დასაფლავებული.

სკოლა ტიპურია, არაფრით გამორჩეული, მაგრამ საშინელი წესებისა და რეჟიმის მატარებელი. სიმაღლის მიხედვით სამხედრო წესზე ჩამწკრივებულ ბავშვებს მასწავლებლებიც უერთდებიან; რეჟიმის მკაცრი ხელი მასწავლებლებსაც მისწვდომია და ისინიც მორჩილად დგანან. გამოდის დირექტორი – სამოც წელს მიღწეული, მაღალი, გამხდარი, ბრაზიანი კაცი, მისი ყველა მოქმედება სისასტიკით გამოირჩევა, ის არავის არაფერს პატიობს, არც ავადმყოფობას.

ზოგადად, სამაგალითო დასჯა ძალადობრივი რეჟიმის შემადგენელი ნაწილია და მასების საყოველთაო დამორჩილებას ემსახურება. დირექტორის არაადამიანური სიმკაცრეც, აღზრდის მეთოდი კი არა, პარტიული დავალების განხორციელებაა. მოთხრობაში დირექტორის სიმკაცრის მაჩვენებელი ბევრი ეპიზოდია, რომლებსაც მკითხველი პროტესტამდე მივყავს, მაგრამ ყოველგვარ ზღვარს სცილდება სარწმუნოების წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკე. მოთხრობის კულმინაციაა ლუკას მიერ სკოლაში წადებული მამის ნაქონი „ლუკას სახარების“ ჩანთაში აღმოჩენა. დირექტორი „მროზგველ“ აფციაურს ლუკას გაროზგვას უბრძანებს. ლუკას ოცდაათ როზგს ურტყამენ. ნააცემი, ნამტირალევი ლუკა დირექტორისგან დიდხანს ითხოვს მამის სახსოვარი წიგნის დაბრუნებას, მაგრამ ქვად ქცეული ტირანის გული არ ღებება.

სკოლის დირექტორი კაცთმოძულეობის, არაჰ უმანურობის, სადიზმის სახე და პროტოტიპია, მისი გაზრდილი თაობები სულიერად ტრავმირებულები იქნებიან. ლუკას ბებია გარდაეცვლება და მძიმე ტკივილს ცხოვრების ერთადერთი ნათელი წერტილი – ხარი – უმსუბუქებს, რომელიც გაჭირვების გამო გაყიდეს, მაგრამ უკან ბრუნდება. ბერი მძიმე და ცრემლისმომგვრელი ეპიზოდის შემდეგ, მწერალი მოთხრობას იმედისმომცემად ამთავრებს. ქართული ზღაპრიდან გადმოსული წიქარას გულწრფელობა და სიყვარული ამ ძალადობრივი სამყაროს ერთადერთი საპირწონე და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ნიშანია; ცხოველისა და ადამიანის ერთიანობა კი ის მითოსური, საკრალური თემა, რომელსაც გოდერძი ჩოხელი ახალი ძალით წარმოგვიდგენს თანამედროვე ტექსტებში.

ლიტერატურა:

1. ჩოხელი გ., ლუკას სახარება, პროზა, პოეზია, წერილები, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2017;
2. ლუკას სახარება, ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1993;
3. ჯალიაშვილი მ., ქართული მოდერნისტული რომანი, თბ., 2011;
4. პაიჭაძე თ., მოდერნიზმი საქართველოში – სისტემური გააზრებისთვის. https://old.tsu.ge/data/image_db_innova/PaichadzeN1.pdf;

5. მამასახლისი ელა, სტრესი ჰანს სელიეს მიხედვით.
[https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/63931-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97/89/;](https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/63931-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97/89/)
6. თანდაშვილი მ., დიგიტალური ჰუმანიტარიის არსი, დიგიტალური ქართველოლოგია. <http://tandaschwili.com/>.

Tsitsino Antadze
The School of the Totalitarianism Era
According to Goderdzi Chokheli's "Lukas Sakhareba" (Gospel of Luke)
Summary

In the second half of the 20th century, Goderdzi Chokheli's bright and linear creativity shone like a candle. Goderdzi Chokheli belongs to the number of Georgian writers who brought a sharp individualism to the literary and not only literary life of the 20th century. Such sincere, fabulous, at the same time realistic and symbolic works are rare even for the world literature.

Almost all the main tendencies characteristic of the Georgian literature in the second half of the 20th century – Strongly expressed mythology, deep psychology, religiosity or a sincere writing style saturated with magical realism and fairy-tale elements can be seen in his compositions. He is considered the saddest and at the same time righteous creator. His works are the bearer of immeasurable human sadness.

In "Lukas Sakhareba" (The Gospel of Luke) the author on the one hand presented us-the strictness of the totalitarian regime and the Soviet school, the cruelty of fighting against the faith, and on the other hand-the sincere emotions and harmony with the world of a simple village boy. After many hard and tearful episodes, the writer ends the story on a hopeful note.

Tsykara's sincerity and love from the Georgian fairy tale is the only counterweight to this violent world and a sign of the victory of good over evil; The unity of animals and humans is the mythical and sacred theme that Goderdzi Chokheli presents to us with a new force in contemporary texts. He is considered the saddest and at the same time righteous creator. His works are the bearer of immeasurable human sadness.

Цицино Антадзе
Школа эпохи тоталитаризма
по произведению Годердзи Чохели «Евангелие от Луки»
Резюме

Во второй половине XX века как свеча озарило светлое и искреннее творчество Годердзи Чохели. Он принадлежит числу тех грузинских писателей, кто в полной бурных изменений литературной и не только литературной жизни XX века, внесли острый индивиду-

лизм. Такие искренние, сказочные, в тоже время реалистичные и символические произведения редки даже для мировой литературы. В его произведениях можно увидеть почти все основные тенденции, характерные для грузинской литературы второй половины века, – будь то сильно выраженный мифологизм, глубокий психологизм, религиозность или искренний стиль письма, пропитанный магическим реализмом и элементами сказки. Он считается самым грустным и одновременно праведным творцом. Его произведения – носители безмерной человеческой печали.

В «Евангелии от Луки» автор представил нам, с одной стороны, строгость тоталитарного режима и советской школы, жестокость борьбы с верой, а с другой – искренние эмоции простого деревенского мальчика и гармония с миром. После многих тяжёлых и печальных эпизодов писатель заканчивает рассказ на обнадеживающей ноте. Искренность и любовь Цикары из грузинской сказки – единственный противовес этому жестокому миру и знак победы над злом, а единство животных и людей – это та мифологическая, сакральная тема, которую с новой силой представляет нам Годердзи Чохели в современных текстах.

ქეთევან ყველიაშვილი
(საქართველო)

მინიატურის ჟანრის ისტორიიდან (მსპიზი)

მინიატურა ლიტერატურულ ჟანრთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია. ლაპიდარული, ლაკონური ნარატივი უვიწროეს სივრცეში ახერხებს სათქმელის აკუმულირებას, მეტიც, საოცარი შთაბეჭდილების, ემოციური უკუგების გამოწვევას. სონეტის დარად, ამ უვიწროეს ლიტერატურულ ლოკალში იწინება კონკრეტული ეპოქა, კონკრეტული პერსონაჟის თუ, ზოგადად, იმპერსონალური განცდები, რაც, რასაკვირველია, განაპირობებს ჟანრისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველ და, მით უმეტეს, თანადროულ ეპოქაში, როდესაც, სამწუხაროდ, ვრცელი ნარატივებისადმი ინტერესი ერთგვარად ინაველება (მიზეზთაგან ერთ-ერთი, რასაკვირველია, ჟამის ჟამიანობის ერთ-ერთი მახასიათებელი – უდროობაა, დროის არქონა). ტექსტის სიმოკლე-ლაპიდარულობა არ გულისხმობს მის ზედაპირულობას, სწორედაც პირიქით. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ არა მხოლოდ შაირში/შაირით, არამედ მინიატურაშიც/მინიატურითაც, თანაც – „სიტყვა ნაწვევტი გამოვიცხადებს უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა“ (გალაკტიონი) – მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის დროის კონცეფციის გათვალისწინებით. ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ერთგვარად, ვალშია ამ რაფინირებულ ჟანრთან მიმართებით. ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ 1992 წელს გამომცემლობა „ლომისის“ მიერ დასტამბული ანთოლოგია – „ქართული მინიატურული პროზა“, რომელსაც ახლავს შემდგენელ-რედაქტორის – ლიტერატურათმცოდნე როსტომ ჩხეიძის უაღრესად საგულისხმო წინათქმა, ფაქტობრივად, მონოგრაფიული კვლევის სინოპსისი, რომელშიც ლაპიდარულადაა წარმოდგენილი ქართული მინიატურის (როგორც ჟანრის) ჩასახვა-განვითარების უარსებითესი ეტაპები, თავისებურებანი, მახასიათებლები.

ფართო გაგებით, ტერმინი „მინიატურა“ (*ლათ., ფრ., იტალ. – სინკური, სურინჯი*) პატარა ზომის, დახვეწილი და ფაქიზი ხელწერით შესრულებულ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებს აღნიშნავს და, ძირითადად, წიგნის მინიატურასთან მიმართებით გამოიყენება.

ლიტერატურული მინიატურის განსაზღვრება ქართულ ენციკლოპედიაშიც ლაპიდარულია – „მცირე ფორმის, კომპოზიციურად და შინაარსობრივად დასრულებული უმცირესი (*ხაზი ხვენია – ჯგ.*) ზომის ლიტერატურული თხრობითი ჟანრი, სადაც მოქმედება ვითარდება დინამიკურად და ლაკონურად. სტრუქტურით ნოველაზე მარტივი და შეზღუდულია. ქართულ ლიტერატურაში ცნობილია ნიკო ლორთქიფანიძის, სანდრო ცირეკიძისა და შალვა დადიანის მინიატურები. მინიატურული ნაწარმოებებით იქმნება მინიატურების თეატრების რეპერტუარი (პიესა, ინტერმედია, ვოდევილი, სკეტჩი)“ [3, 713].

კომპოზიციურად, ერთი შეხედვით, მარტივი ჟანრი ფილოსოფიური განზოგადებისა და განსახოვნების სიმკვეთრით გამოირჩევა. მინიატურა პროზაული ჟანრია, მაგრამ – პოეტური მინარევით, რაც სხვადასხვა მონუმენტურ გამოცემაში ფიქსირებული დეფინიციებით/განსაზღვრებებით/განმარტებებით ცნაურდება.

ლიტერატურის ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტებით [6, 294], ახალ დროებადის პროზა სიტყვიერი ხელოვნების პერიფერიაზე ვითარდებოდა, განსაზღვრავდა მწერლობის ნახევრადმხატვრულ თუ მხატვრულ მოვლენებს (ისტორიულ ქრონიკებს, ფილოსოფიურ დიალოგებს, მემუარებს, ქადაგებებს, რელიგიურ თხზულებებს, ასევე – „დაბალ“ ჟანრებს (ფარსი, მიმი...).

პროზა, აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული, პრინციპულად განსხვავდება სიტყვიერების წანამდვარ ფორმათაგან, რომელნიც, გარკვეულწილად, „ამოვარდნილნი“ არიან ლექსტექნიკის პროცესიდან. თანამედროვე *მცირე პროზის* სათავეებთან დგას აღორძინების ეპოქის იტალიური ნოველა, სერვანტესის, დეფოს, პრევოს ნარატივი, შეგნებულად უგულვებელყოფელი სალექსო ფორმისა, სუვერენულ, თვითმკმარ სახელოვნებო ფორმად ქცეული.

ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე პროზა *წერილობითი*, მეტიც, *ბეჭდური* მოვლენაა, განსხვავებული როგორც პოეზიის/პოეტურ ფორმათაგან (ფორმატისაგან), ასევე – თავად ადრეული პროზის ზეპირი ნარატივისაგან.

თავდაპირველად, პროზაული (ისევე, როგორც პოეტური) ნარატივი მისწრაფვოდა ყოფილიყო განსხვავებული ჩვეულებრივი, ყოფითი მეტყველებისაგან, იღვწოდა სტილისტიკური დახვეწილობისაკენ. მხოლოდ რეალიზმის ლიტერატურულმა სკოლამ, რომელსაც „თავად ცხოვრებისეული ფორმები“ ხიბლავდა, აქცია ესთეტიკურ კატეგორიებად ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა „ბუნებრიობა“, „უბრალოება“, რომელთა მიდევნება/დაცვა არანაკლებ რთულია, ვიდრე პოეტური ნარატივის ურთულეს ფიგურათა შექმნა.

პროზის უბრალოება არა მხოლოდ გენეტიკურად (წარმოშობით), ე.წ. ტიპოლოგიური იერარქიის თვალსაზრისითაც უსწრებს (როგორც მიიჩნეოდა) პოეტურ სირთულეს, არამედ წარმოადგენს გვიანდელ, მიზანმიმართულ რეაქციას მასზე. პროზის წარმოშობა-განვითარება, საერთოდ, მიმდინარეობს პოეტურ ნარატივთან მუდმივ თანაფარდობაში (კონკრეტული ჟანრებისა და ფორმების მიღებითა თუ უგულვებელყოფით).

მხატვრული პროზის ბუნების შესწავლა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო. პროცესი გააქტიურდა მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეებში. გამოიკვეთა და განზოგადდა უარსებითი პრინციპები, რომელნიც ერთმანეთისაგან განასხვავებს პოეტურ და პროზაულ ნარატივებს.

პროზაულ სიტყვას (სიტყვას პროზაულ ტექსტში) პრინციპულად გამომსახველობითი/ექსპრესიული ხასიათი აქვს, ნაკლებადაა კონცენტრირებული „საკუთარ თავზე“, საკუთარ პერსონალურ მნიშვნელობაზე, განსხვავებით პოეტური (განსაკუთრებით, ლირიკული) სიტყვისაგან. უფრო ზუსტი განმარტებით, პროზაული სიტყვა ჩვენ თვალწინ წარმოადგენს/წარმოაჩენს *სიუჟეტს* (თანმიმდევრობას მოვლენებისა, ფაქტებისა, რომლებთაგანაც იქსოვება ხასიათი, ზოგადად, ტექსტის მხატვრული სამყარო). არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პროზაული სიტყვა იქცევა „გამოსახვის საგნად“ – „სხვის“ სიტყვად, რომელიც არ ემთხვევა ავტორისეულს/ავტორისას მაშინ, როდესაც პოეზიისათვის ნიშნულია ავტორისა და ლირიკული პერსონაჟის სიტყვათა/მეტყველებათა თანხვედრა – პოეზია მონოლოგურია, პოეტური ნარატივი მონოლოგია, პროზაული კი, ძირითადად – დიალოგური, ითავსებს განსხვავებულ, ხშირად – არათავ-

სებად ხმებს (ამ საკითხების შესახებ გამოწველილვით მსჯელობს მიხაილ ბახტინი ქრესტომათიულ ნაშრომში „დოსტოევსკის პოეტიკის საკითხები“ [5, 309]).

მხატვრულ პროზაულ ტექსტში ავტორ-მთხრობლისა და პერსონაჟის/პერსონაჟთა „ხმების“ რთული ურთიერთ(ზე)მოქმედება სიტყვას მრავალწახნაგოვნებას, მრავალმნიშვნელოვნებას სძენს, რომელიც, თავის მხრივ, განსხვავებულია პოეტური სიტყვის მრავალაზროვნებისაგან (*ანუ, თეორეტიკოსთა დაკვირვებით, პროზაული სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია, პოეტური – მრავალაზროვანი – ქ.ყ.*)

პროზა, ისევე, როგორც პოეზია, გარდასახავს/გარდაქმნის რეალურ ობიექტებს და ქმნის საკუთარ მხატვრულ სამყაროს, რასაც აღწევს მოქმედებაში საგანთა და მოვლენათა განსაკუთრებული ურთიერთგანლაგებით, მიედტვის რა ნაგულისხმევი აზრის ინდივიდუალიზირებას, კონკრეტიზაციას.

ლიტერატურის ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, არსებობს ე.წ. *შუალედური ფორმები* პროზასა და პოეზიას შორის:

1. ლექსი პროზად – ფორმა, რომელიც სტილისტიკით, თემატიკით, კომპოზიციურად (ოღონდ – არა მეტრის თვალსაზრისით) უახლოვდება ლირიკულ პოეზიას;
2. რიტმული პროზა – ფორმალურად, მეტრული თვალსაზრისით, პოეტურს მიახლოებული ნარატივი (ხანდახან მკვლევართ ამავე სივრცეში შემოჭრავთ თავისუფალი ლექსიც);
3. ლირიკული პროზა – როდესაც პროზაულ-პოეტური ნარატივი ერთმანეთსაა გადაწნული.

პროზაულ სტილთა წარმოშობა-ჩამოყალიბება, პროზის რიტმი, სპეციფიკური გამომსახველობითი ბუნება, მხატვრული ენერჯის „გამოთავისუფლება“ განსხვავებულ სამეტყველო შრეთა შერწყმით პროზის მეცნიერული თეორიის შესაქმნელად კარდინალური წანამდგრებია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ლიტერატურის ენციკლოპედიური ლექსიკონი შუალედური (ერთდროულად, პოეტურ-პროზაული) ფორმების დეფინირებისას, პედალირებს, ასევე, *თავისუფალ ლექსსა და ლირიკულ პროზას*, რომელთაც ცალკე პარაგრაფებად განსაზღვრავს.

თავისუფალი ლექსი (ვერლიბრი), რომელსაც არც მეტრი აქვს და არც რითმა, ენციკლოპედიის განმარტებით, პროზისაგან განსხვავდება მხოლოდ «наличием заданного членения на стиховые отрезки – отмеченного в письменном тексте обычно графическим расположением строк, в устном – напевом» [6, 371]. თავისუფალი ლექსი, ლიტურგიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი, ააღორძინეს გერმანელმა პრერომანტიკოსებმა, განავითარეს უოლტ უიტმენმა, ფრანგმა სიმბოლისტებმა, მეოცე საუკუნეში კი აღნიშნულმა ფორმამ მასობრივი გავრცელება პოვა.

ლირიკული პროზა ლექსიკონში განისაზღვრება, ზოგადად, მხატვრული პროზის სტილისტურ ნაირსახეობად, რომელიც სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს აერთიანებს. ლირიკულ პროზაში იკვეთება როგორც ეპოსის, ასევე ლირიკის არსებითი ნიშნები.

ეპოსის ნიშანთაგან, ლირიკულ პროზას ახასიათებს გამოკვეთილი ფაბულა, პერსონაჟის/პერსონაჟთა ხასიათის მრავალწახნაგოვნება/მრავალმხრივობა, ქარაქტეროლოგიის ელემენტები, იშვიათად – არარიტმიზებული მეტყველება, ლირიკის მახასიათებელთაგან კი – მთხრობლის/ავტორის/ლირიკული პერსონაჟის (თხრობის სუბიექტ-

ტის) არსებობა, დეტალის, ცალკეული სიტყვის პედალირება, ლაიტმოტივის განსაკუთრებული ობერტონი, რომელთაც, ფაბულის არაკონკრეტულობის გამო, არცთუ იშვიათად, ტექსტის მორგანიზებელი ფუნქცია ეკისრება(თ). მთხრობლის პერსონა ტექსტის კომპოზიციურ ცენტრს ქმნის. ეპიკური ასპექტები (მოვლენები, ხასიათები) ერევა ასოციაციების, ლირიკული ინტერმეცოების, წიაღსვლების ნაკადს, ექცევა მთხრობლის ცნობიერში, მისითაა განსაზღვრულ-დასაზღვრული, თუმცა ეპიკურისა და ლირიკულის თანაფარდობა არაა კონსტანტური – *სუბიექტური ეპოსის* ნიმუშად ლიტერატურის ენციკლოპედიურ ლექსიკონში დასახელებულია მარსელ პრუსტის ნარატივი, ხოლო პროზაულ ტექსტში პოეტურ ჩანართად მოყვანილია ტურგენევის *Senilia*, ასევე – ოლგა ბერგოლცის „დღის ვარსკვლავები“ – ლირიკული ავტობიოგრაფია.

ლექსი პროზად, როგორც ავტონომიური კატეგორია, ცალკე სტატიადაა გამოყოფილი ქართულ (საბჭოთა) ენციკლოპედიაშიც და განსაზღვრულია, როგორც ლირიკული ხასიათის მცირე ზომის პროზაული ნაწარმოები, რომელიც რიტმის ემოციურობით მეტრულ მეტყველებას უახლოვდება. მასში ჭარბობს არა თხრობითი, არამედ – სუბიექტურ-შეფასებითი მომენტი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების ემოციურ შეფერილობას, რიტმულ-ინტონაციურ სტრუქტურას, უსიუჟეტო კომპოზიციას. გრაფიკული ნიშანია პატარა აბზაცებად დაყოფილი ტექსტი, რითაც ლექსის სტროფებს ემსგავსება [3, 207]. უცხოური ლიტერატურიდან ნიმუშად მოყვანილია ბოდლერის მინიატურების კრებული „ლექსები პროზად“, ქართულიდან – სანდრო ცირეკიძისა და ტერენტი გრანელის ცალკეული ნაწარმოებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხატვრული პროზის ბუნების შესწავლა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო («Изучение природы художественной прозы началось лишь в 19-м веке и развернулось в 20-м» [6, 294]).

მიშელ ფუკო, ეპისტემოლოგიური კონცეფციის ავტორი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მეოცე საუკუნის ჰუმანიტარული ცოდნის განვითარებაზე. კონცეპტუალურ ნაშრომში – „სიტყვები და საგნები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა არქეოლოგია“ იკვლევს ცოდნის იმ სამი სფეროს პარალელურ ისტორიას, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა *ფილოლოგიის (ხაზი ჩვენია - ქ.ე.)*, პოლიტიკური ეკონომიისა და ბიოლოგიის სახით.

ფრანგი მოაზროვნე საუბრობს შემეცნების სამ ველზე ანუ ეპისტემაზე:

1. აღორძინების ეპოქა; 2. კლასიკური რაციონალიზმი; 3. თანამედროვეობა.

ფუკოს მიხედვით, ეპისტემებს აერთიანებს ორგანიზების ხერხი – სიტყვებისა და საგნების სემიოტიკურ დამოკიდებულებათა ესა თუ ის ტიპი.

აღორძინების ეპოქის ეპისტემა ეფუძნებოდა წრიულ პრინციპს – სიტყვები ემყარებოდა საგნებს და პირიქით – საგნები „ამოიკითხებოდა“ სიტყვებით;

კლასიკური რაციონალიზმის ეპისტემაში *სიტყვებისა და საგნების კავშირის სფეროა არა ონტოლოგია, არამედ აზრობრივი წარმოდგენების სამყარო*, რომელიც ასაბუთებს შემეცნების შესაძლებლობას – ენა აღარ ერწყმის საგანთა სამყაროს, შემეცნებისას მხოლოდ შუამავლის ფუნქციას ასრულებს.

მორიგი სემიოტიკური პრინციპი იკვეთება თანამედროვე ეპისტემაში – წარმოდგენის ერთიანი სივრცე, რომელიც კლასიკურ ეპისტემაში ერთმანეთთან აკავშირებდა სიტყვებსა და საგნებს, ადგილს უთმობს ცხოვრების, ენის, შრომის ონტოლოგიურ ფაქ-

ტორებს – ზემოაღნიშნულ კატეგორიათა (ცხოვრება, ენა, შრომა) ენობრივ მდგენელამდის დაყვანა შეუძლებელია – ენამდე მათი დაყვანის შეუძლებლობის გამოვლენა თანამედროვე ფილოლოგიის (*ისევე როგორც პოლიტეკონომიისა და ბიოლოგიის, ფუკოს მიხედვით - ქყ*) საფუძველია [2, 154].

აქედან – ნახევარტონების, ობერტონების სიჭარბე ისეც მინიმალისტურ ჟანრში – მინიატურაში, მით უმეტეს – პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, ეპისტემაში, რომელიც რაციონალიზმის თავდაჯერებულობას, პათოსს აბსოლუტური გულგრილობით ეკიდება.

მინიატურის ჟანრის ფუძემდებლად ევროპულ ლიტერატურაში შარლ ბოდლერი მიიჩნევა – ფრანგული სიმბოლიზმის კონცეპტუალური პერსონალია.

სიმბოლისტის ქრესტომათიული ტექსტი, მინიატურების კრებული – „ლექსები პროზად“/„პარიზული სკლინი“ (მთარგმნელი – ზვიად გამსახურდია) არსენ ჰუსესადმი მიძღვნილ იწყება. ჟანრს ბოდლერი „დიდებულ, მისტერიულ მოდელად“ [1, 7] ნათლავს, გაენდობა მეგობარს: „რომელ ჩვენგანს არ ჰქონია ამბიციური ოცნება *პოეტური პროზის* სასწაულის შექმნისა, რომელიც მუხიკალური იქნება მეტრისა და რიტმის გარეშე, ამასთან – იმდენად მოქნილი, რომ გადმოსცემს ღირიულ მოძრაობებს სულისას, ოცნების ქროლას, სინდისის ქენჯნას?!“ [1, 6].

მიძღვნაში ბოდლერი ლაპიდარულად საუბრობს თავისი ტექსტის მხატვრულ სტრუქტურაზე, *მცირე ნაწარმოებად* იხსენიებს და სთხოვს მეგობარს, ნუ იტყვის, რომ ამ ტექსტს არც თავი გააჩნია, არც „კული“ (*დასასრულის დეფინიცია ბოდლერისეულია - ქყ*), რადგან თითოეულ ნაწილს (ანუ – როგორც ექსპოზიციას, ასევე ფინალს) ერთმანეთის მაგივრობა შეუძლია გასწიოს, თანაც – კომპოზიციურადაც საინტერესო და კომფორტულია – ავტორს ნებისმიერ წამს შეუძლიაო ტექსტის წერის შეწყვეტა, მკითხველს – კითხვისა, ხელნაწერის გადათვალიერებისა.

მწერალი ნააზრევის ფაქტურას მეტაფორული სახელით ნათლავს – ხან „ხერხემალს“, ხანაც „გველს“ უწოდებს: „არ შემიკრავს მისი (*ტექსტის - ქყ*) თვითარსული ნება რთული ინტრიგის ძაფით – ნებისმიერი მაღა ამ ხ ე რ ხ ე მ ლ ი ს ა რომც ამოიღოთ, ამ ნატიფად წნული ფანტაზიის სხვა ნაწილები კვლავ შეერთდება. დაკეპეთ იგი ნაწილ-ნაწილად და დაინახავთ, რომ ყოველი მონაკვეთი იცოცხლებს თვითმყოფადად. ვიმედოვნებ, რომ ზოგი ამ ნაწილთაგანი იმდენად ცოცხალი აღმოჩნდება, დაიმსახურებს თქვენს მოწონებას. ამიტომაც ვკადნიერდები და გიძღვნით ამ გ ვ ე ლ ს მთლიანად“ [1, 5-6].

პასაჟში ხაზგასმულია კრებულად წარმოდგენილი მინიატურების კრებულის ოქსიმორონული ბუნება – ლაპიდარულ-ლაკონიური ტექსტები, ერთდროულად, თვითმკმარიცაა და ერთიანი მხატვრული სივრცის ორგანული, განუყოფელი, ავტონომიური ნაწილი.

მინიატურების ქრონოტოპი მისტიკურ დროსივრცულ მოდელს ქმნის (მოდელს მინიატურების სათაურების ციტაციით აღვადგენთ/წარმოვადგენთ – დრო „მიმწუხრიდან“ „ღამის პირველ საათამდეა“, სივრცე კი – „ორმაგი ოთახიდან“ – „ნავსადგურამდე“).

ევროპული მინიატურის დაბადება-განვითარებამდის, ჟანრის წანამძღვრები თუ ავტონომიური მოდელები აღმოსავლურ ლიტერატურებში გვხვდება, მათ შორის, ქრისტიანულ პატერიკებსა თუ აპოფთეგმატურ კრებულებში (ხაზგასმით აღვნიშნავთ ზე-

მთი გამოყენებულ დეფინიციებს – „წანამძღვრები“, „ავტონომიური მოდელები“, რაც ზემოაღნიშნულ მოდელებს განსხვავებულობას პედალირებს).

ლიტერატურა:

1. ბოდლერი შ., ლექსები პროზად (პარიზის სკლინი), მინიატურები, თბ., 1991, თარგმანი ზ. გამსახურდიასი;
2. ლომიძე თ., სტრუქტურალიზმი წიგნში ლიტერატურის თეორია. მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბ., 2008;
3. ქართული ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1983, 713;
4. Бахтин М., Вопросы литературы и эстетики, М., 1975;
5. Бахтин М., Проблемы поэтики Достоевского, М., 1972;
6. Литературный энциклопедический словарь, М., 1987.

Qetevan Kveliashvili *From the History of the Genre of Miniature* **Summary**

In the beginning Poetry was a name of the whole art of the literary word. The miniature as a genre is a very small painting/description of a person or a landscape. Until the New Age there were a rhythmical-intonational forms called as A Poetry, and A Prose was the name of all non-fictional genres (philosophy, scientific texts, essays, informative narratives...).

Miniature could transform usual word into literary speech – prose into poetry. Unusual organization of speech was reflected in the literary form of the miniature. Text goes out of the frames of prose - written language in the form used in conversation. A Miniature reflects a quality of beauty, grace and deep feeling as well as an intonation and voice of the author. We have underlined these characteristics of the genre.

Кетеван Квелиашвили *Из истории жанра миниатюры* **Резюме**

Первоначально поэзией именовалась искусство слова вообще, поскольку в нем вплоть до Нового времени преобладали стихотворные и близкие к ней ритмико-интонационные формы, прозой же называли все нехудожественные словесные произведения – философские, научные, публицистические, информационные, ораторские.

Миниатюра была уникальным инструментом превращения слова в искусство – прозы в поэзию. Необычная организация речи, присущая стиху, выявляла особую значимость и специфическую природу высказывания. Миниатюра обладает повышенной емкостью всех составляющих ее элементов. Текст как бы выходит из рамок прозы, всесторонне организует материю речи, придает ей ритмическую завершенность. Миниатюра, также, как и стихотворные формы, способна воссоздавать живой поэтический голос автора, субъективную интонацию. В статье подчеркнуты вышеупомянутые свойства жанра.

შორენა ჯიშკარიანი
(საქართველო)

ალექსანდრე აბაშელის ერთი ლექსის ანალიზი
(„პოეტებს“ – კრიტიკა და თვითკრიტიკა)

კულტურულმა ერებმა იმთავითვე იცოდნენ, რომ ადამიანის ოცნებებისა და იდეალების ასრულების მოკლე გზა არ არსებობს, გარდა ხელოვნებისა, მაგრამ ცოდნაც ძველდება წინაპრების ფარდაგივით, ვერცხლის სურასავით და თვით ერივით, რომელსაც განახლება სჭირდება. სწორედ ამიტომ ძიება, სიახლის სურვილი, ნოვაციებისკენ სწრაფვა ქართული ლიტერატურის მარადიული მდგომარეობა იყო. ერის ისტორიული მეხსიერება, შემოქმედი სული მრავალი ასწლეულის მანძილზე ქმნიდა და ასაზრდოებდა მწერლობას. საუკუნეების განმავლობაში პოეზია ლიტერატურის აღმატებულ ჟანრად ითვლებოდა, ასე იყო და არის დღესაც. ქართული ლექსიც, „ეროვნულ ძირებზე ამოზრდილი და მსოფლიო კულტურასთან ნაზიარები, ორგანულად აერთიანებს წარსულის მდიდარ გამოცდილებას და თანამედროვეობის მრავალფეროვან მხატვრულ ძიებებს“ [7, 5]. მიუხედავად ისტორიის ქარტეხილებისა, რაც პოეზიის ბუნებრივ განვითარებას აფერხებდა, მისი მაჯისცემა არათუ არ განელებულა, არამედ წინსვლის პროცესიც არ შეწყვეტილა. როგორც გალაკტიონი აღნიშნავდა: „იყო მრავალი განადგურება, / ლექსთა სიკვდილი კი – არასოდეს“ [11, 58].

ქართული სიტყვიერების საძიებო გზები ძლიერ დაისერა XX საუკუნის 10-იანი წლებიდან (ვფიქრობთ, დღემდე). ახალი უღერადობები სიმფონიური ორკესტრის სხვადასხვა ინსტრუმენტისთვის პარტიების განაწილებას ჰგავდა. ეს ორიგინალურობისაკენ ჯანსაღი მისწრაფება მოგვიანებით შესანიშნავ ჰარმონიაში გადაიზრდება და გაამდიდრებს ეროვნული მწერლობის ისედაც ძვირფას საღაროს. მოდერნისტული ეპოქის ქართველი პოეტები წარმატებით ახერხებენ რუსთველის, გურამიშვილის, ბარათაშვილისა და აკაკის პოეზიის საუკეთესო ტრადიციების გაერთიანებას და საკუთარი ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბებას. გასული საუკუნის დასაწყისში პოეტურ ცვლილებებს, „ქართული ლექსის გამართვას ევროპულ რადიუსზე“ (ტიციან ტაბიძე) ბუნებრივად მოჰყვა ვერსიფიკაციული ძიებები. XX საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო „უახლესი ქართული პოეზიის ფორმირების პროცესი, რომელიც ეროვნული პოეტური კულტურის, ქართული ლექსის თანამედროვე პოეტურ ძიებათა მაგისტრალურ გზაზე წაყვანის ცდას წარმოადგენდა. როგორც თ. დოიაშვილი წერს: „არ დარჩენილა სალექსო სტრუქტურის არც ერთი ელემენტი, რომელსაც თვისებრივი ცვლილება არ განეცადოს“ [7, 8].

უახლესი ქართული პოეზიის სათავეებთან დგას რამდენიმე პოეტი, რომელთა შემოქმედებაში ყველაზე ადრე გამჟღავნდა დროისმიერი იდეურ-ესთეტიკური ძიებანი. მათგან გამოვარჩევი ალექსანდრე აბაშელს (ისაკ ჩოჩია, 1884-1954), რადგანაც თანამედროვე პოსტსაბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა ერთხმად აღიარებს მას ახალი ლექსის შემქმნელად, მეოცე საუკუნის დასაწყისის პოეზიის რეფორმატორად და ჩვენც ვფიქრობთ, რომ უპირველესად სწორედ მისი შემოქმედებით დაქროლა უცხო თემებისა და მოტივების სიომ ქართულ პოეზიაში. როგორც თეიმურაზ დოიაშვილი წერს: „ახალი

პოეზიის ნიშანდობლივი ელემენტები გამოჩნდა ა. აბაშელის ლირიკაში, რომლის შემოქმედებითი ძიებანი მიმართული იყო არა მარტო ახალი თემატიკის დაუფლებისაკენ, არამედ ახალი პოეტური სტილის, გამოსახვის ნოვატორული ფორმების აღმოჩენისაკენ... დეგრადირებული, ეპიგონური ლექსის ფონზე განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამოჩნდა მისი ლექსის რიტმულ-ეფფონიური დახვეწილობა“ [7, 13]. ასევე მიიჩნევს ალ. აბაშელს ქართული ლექსის რეფორმატორად, მოდერნისტად სოსო სიგუა და მის ჟურნალ „ხომალდს“ მოდერნისტების პრესას მიაკუთვნებს. „თითქმის ერთი წელი იარსება „ხომალდმა“, რომელსაც, რედაქტორის რწმენით, როგორც ნოეს კიდობანს, უნდა გადაერჩინა ნამდვილი ხელოვნების ცოცხალი სული ბოლშევიკური წარდგინისაგან, შეჯახებოდა ავადმყოფი ევროპის ბნელ ქარებს, ბარაბანისა და საყვირის ხმებს და ქართული ზეცის ნათელით მომავლისაკენ გზა გაეკვთა“ [10, 122].

ამგვარ სულისკვეთებას ყველაზე მეტად გამოხატავს ლექსი „პოეტებს“, რომელიც, მართლაც, ნამდვილი ხელოვნების გადარჩენის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ლექსი დაწერილია 1929 წელს; მაშინ, როდესაც ყოველი ცოცხალი სული და არამარტო პოეტისა და ხელოვანის, ბოლშევიკური ქარიშხლისა და „სისხლიანი ანგელოზის“ პირისპირ აღმოჩნდა. ჭეშმარიტი ხელოვნება თვითგადარჩენის ინსტინქტით გამსჭვალულ მამებლურ ყალბ პოეზიას ქმნიდა. ლექსი კარგად გამოხატავს მისი ავტორის დამოკიდებულებას ამგვარ შემოქმედთა მიმართ. თუმცა პოეტი ცდილობს კრიტიკის საგნად მის თანამედროვე თანამოკალმეთა ლექსების შინაარსი კი არა, მათი ფორმა, გარსი, ძველი რითმების უარყოფა წარმოაჩინოს. ლექსს ავტორმა ქვესათაურად „თვითკრიტიკა“ მიაწერა. კრიტიკისა და, უპირველეს ყოვლისა კი, თვითკრიტიკის, მიზეზი ისაა, რომ პოეტისთვის ძვირფასია ძველი რითმები და მათ დაღატკს არც სხვებს აპატიებს და არც საკუთარ თავს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს: „რითმა არ არის მხოლოდ სამკაული, როგორც ბევრს ჰგონია... როცა სტრიქონებში რითმები შემოდის, მათ შემოაქვთ, გარდა მუსიკალური ეფექტებისა, სახეთა და იდეათა ფერისცვალება“ [2, 28].

ტრადიციული, კონვერსიული ლექსის ერთგული პოეტი, რომელიც შემოქმედების დასაწყისში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ლექსის გარეგნულ მხარეზე, თანამოკალმეებს მიმართავს და აღნიშნავს, რომ 20 წელია, მათთან ერთად ეზიდება პოეტის უღელს, თუმცა ამჯერად მკითხველის პოზიციიდან სურს მიმართოს მათ და საკუთარ თავსაც; გვერდიდან შეხედოს თავის ნაღვაწს, რომელშიც არ შეიძლება, ბევრი ხინჯი არ აღმოაჩინოს, რითაც თავისთავად ექნება „განცდა თვისთა ცოდვათა“ (ეფრემ ასური). ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედებისადმი მხოლოდ გამორჩეული შემოქმედისთვისაა დამახასიათებელი. ეს, ეგრეთ წოდებული, თვალის გადავლება, ერთგვარი სარკეში ჩახედვა, თამამი და ღირსეული საქციელია, როგორც ქვესათაურშია გაცხადებული, პოეტის თვითკრიტიკაც:

ერთ დროს მომწონდა ლექსი უძლურ ცრემლთა ნაბანი,
მხიბლავდა მწუხრის პოეზიის შავი მანტია.
ახლა კი ვამბობ: როცა ირგვლივ ცეცხლი ანთია,
ბრძოლის მაგივრად ატირდება მხოლოდ ჯაბანი [1, 126].

როგორც ჩანს, პოეტური ფორმის ძიება, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ჩხრეკა, ღამის, მთვარის, მწუხრის აჩრდილების დევნა აბაშელს მოჰპყრებია, უფრო ზუსტად, ის ფორმაზე მუშაობას ახალგაზრდა შემოქმედების საქმედ მიიჩნევს, ისეთებისა, როგორებზეც რუსთველი წერდა, „ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთაო“ და, რომელთაც დიდი ნადავლის მოხელთება, ანუ დიდ თემებთან შერკინება არ ხელეწიფებათ. საგულისხმოა, რომ მკვეთრი და გამჭვირვალე მეტაფორით – „მწუხრის პოეზიის შავი მანტი“ და გაპიროვნებული მეტაფორით: „ლექსი უძღურ ცრემლთა ნაბანი“ პოეტი ადრეულ შემოქმედებას, პესიმიზმით გაჯერებულს, იმედმიხილი ადამიანის ამონაკენესად მიიჩნევს და სულ სხვა გამოწვევებს უსახავს ქართულ პოეტურ სიტყვას. ლექსი რომ „პოეტური აპოთეოზია“, ეს კარგა ხნის გარკვეული აქვს შემოქმედს, ისევე, როგორც პაოლოსა თუ ტიციანს, მაგრამ რას გულისხმობს ფრაზაში – „ირგვლივ ცეცხლი ანთია“, თუ არა ბოლშევიკურ-სოციალისტური იძულებით გაწითლებული საქართველოს რევოლუციურ შემართებას?! ამ კითხვის პასუხს თავადვე გვეტყვის მომდევნო სტროფებში, რომლებშიც, ისევე როგორც აბაშელის თითქმის ყველა ლექსში, გამოანათებს ქართული პოეზიის დიდი ნათელი მზე:

დატენეთ მზიურ ენერგიით ყოველი სტროფი,
რომ წაკითხვის დროს სიხარულით გავარდეს თოფი
და სტრიქონებმა დაიყეფონ გულის თეოზე... [1, 126].

შთამბეჭდავი მეტაფორა „მზით დატენილი თოფი“ და მეტაფორული გაპიროვნება „სტრიქონების დაყეფვა სიმართლის ძახილად“ მართლის თქმის პრინციპად იკითხება, რაც პოეტის უმთავრეს მოვალეობადაა მიჩნეული. აბაშელი მოუწოდებს მესიტყვეებს დაივიწყონ სიტყვები: სევდა, ქვითინი, ნიაფი, სიო. როგორც ილია მიმართავდა „აჩრდილში“ იმედმიხილ ქართველს, რომ „უიმედო, შეწუხებული, უქმისა დრტვინით, გულის წვით, ცხარე ცრემლის ღვრით“ ვერაფერს გახდებოდა. ილიას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გასულიყო, მაგრამ ისევე „ბედითი ბნელით“ (შოთა) იყო შეპყრობილი ქართველი, დამარცხებულ და უძღურ ნაკაცრად ქცეულიყო, რომელსაც სამშობლოს გადარჩენის კი არა, საკუთარი თავის პატრონობის უნარიც დაჰკარგოდა. იმდროინდელ „ყოფა-წუთისოფელში“ ცხოვრება იძულებით კონიუქტურაში ფერხულს აიძულებდა საქართველოს პოეტებს. ბევრს არ ჰყოფნიდა სულიერი ძალა „ახალი გრიგალე ბისტვის შეეწირათ სიცოცხლე“. ეს იყო მდიქვნელობის, ფარისევლობის, ორმაგი მიდგომებისა და სახელ-დიდებას გამოკიდებული მედროვეების ხანა – „ლოჟა-პარტერს“ (გალაკტიონი) დანატრებული, „მდიდრად დიდგული“, „მოსყიდული“ (გალაკტიონი) პოეზიის ეპოქა. შეგნებულად არ დავასახელებთ „ვაი-პოეტებს“, იმუამად მეტად დაფასებულებს, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და ჩვენს მიზანსაც სცდება, თუმცა მოვიყვანთ პოეტის უცილობლად მართალსა და შთმბეჭდავ სტრიქონებს:

მაგრამ სტრიქონებს ნუ აკუწავთ ჰონორარისთვის,
თორემ არა ჩანს ლექსში ზომა არის თუ არა [1, 126].

შემდეგ სიტყვებს ავტორი ვიზუალურად გამოსახავს და მიმოფანტულადაც დაწერს, რათა რითმის რღვევისა და აჩეხ-დაჩეხვის სურათი უკეთ წარმოაჩინოს, ერთგვარი ვიზუალური ხატი შემოგვთავაზოს:

ცაღკე
გარბის

სიტყვა,
დამფრთხალ
ჯოგვიით... [1, 127].

შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს „უმსგავსო და შორი-შორი“ ლექსები, რომლებსაც ჯორჯიო ჯიუტი ფსევდონიმები წერდნენ რუსთაველის ეპოქაში. იქნებ, მათ მლიქვნელობასაც არ ჰქონდა ზომა, როგორც აბაშელის დროს ჰონორარისტების დაწერილ რითმას. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ მოყვანილი სტროფის მეორე ტაქტში სიტყვა „ზომა“ ზმაა და ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ლექსის სარითმო ზომად და მლიქვნელობის ზომა-წონად.

ქართულ პოეზიაში იმ დროს მლიქვნელობა „უსაზომო“ (შოთა) იყო „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ მიმართ. აქედნენ პარტიას, ლენინს, სტალინს, ასე განსაჯეთ, იმ ბოლშევიკებსაც კი, რომლებიც უსასტიკეს დანაშაულებს სწადიოდნენ პარტიის სახელით, აბეზლებდნენ მშობლებს და სიკვდილისთვის იმეტებდნენ უდანაშაულო ადამიანებს. სამწუხაროდ, ამგვარი სახოტბო პოეზიის მოტივებით აღფრებდნენ კარის პოეტები თავიანთ „ჩანგებს“, ნაცვლად იმისა, რომ დაკარგული „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვანი“ (აკაკი) მამული ეგლოვათ. ცხადია, მწერალი, სათნო კაცი და კარგი პოეტი, რომელმაც ადამიანური ღირსებები საკუთრი ბიოგრაფიით დაამტკიცა, არ შეიძლებოდა ბოროტების მეხოტბე და „მავანთა მდიდრად-დიდგული“ პოეზიის მომწონებელი ყოფილიყო, პროტესტი არ გასჩენოდა „მოთვინიერებული მწერლობის“ მიმართ. ამიტომაც სავარაუდოა, რომ ზომის განსჯაში, მლიქვნელობის ზომის მასშტაბებზე მიანიშნებს თანამოკალმეებს, სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ პოეტური სახე – მხატვრული შედარება – „კუტივით წაჩოქილი რითმა“, ესე იგი, მუხლებზე დაცემული სიტყვა, „ქედდრეკილი, მადლიერი“ (ილია) მოთვინიერებული პოეტის შესაბრაღისი მანერა. ან ეს ფრაზა: „თითქოს სტრიქონებს ორთქმავალმა გადაუარა“; „რევოლუციის საღეწავ მანქანაში“ (მ. ჯავახიშვილი) გაატარა. ორთქმავალი ბოლშევიკური საქართველოს პოეზიის სახე-ხატი, სიმბოლოა, ამ ლოკომოტივს იოლად შეეძლო გადაეთელა ყველა მართალი სტროფი, რომლებსაც ცენზურა დაიწუნებდა.

შემდეგ სტრიქონში პოეტი გამჭვირვალედ, ნათლად, პირდაპირ გამოხატავს თავის გულის წუხილს:

რად გინდათ მკითხველს აურიოთ განგებ გზა-კვალი
და ყასაბივით კეპოთ ლექსი გულისამრევად!
მოდუნეთ სიტყვა ძარღვიანი, როგორც ბზაკალი,
მაგრამ სტრიქონმა დე, იფრინოს მჭრელ ისარივით [1, 127].

ყურადღებას იქცევს სიტყვები „გულისამრევი“ და „მჭრელი“. გულისამრევია მლიქვნელური სიტყვა, მჭრელი კი სიმართლის ეპითეტია, სწორედ იმ მარილისა, რომელიც სახარებისეულად ვინმემ, თუნდაც პოეტმა, უნდა მოაფრქვიოს სოფელს, რათა „სიმართლე არ განქარდეს“. სწორედ პოეტები უნდა იყვნენ „მარილნი ამა ქვეყნისა“. აბაშელს სძულს „მეტიჩრული მკვეხარობის“ საცოდლობა, რადგან ამპარტავნება და მეტიჩრობა უნიჭობის ნიშანია, უნიჭობა თავისთავად საცოდლობაა, როგორც შემოქმედებითი, დეტაბრივი ენერჯის ანტითეზა. ამიტომაც საცოდავია ამპარტავანი, როგორი მიწიერი პრივილეგიებითაც არ უნდა სარგებლობდეს ის:

გაზომეთ სიტყვა, ჯობს ქადილი მორიდებული.

ვის უნდა ლექსში ანაყვირი „აღმშენებლობა“,
თუკი თვით ლექსი ბანალობის ლაფში ეფლობა
და თავს აბეზრებს მკითხველს ურიცხვ შორისდებულთ? [1, 127].

არ შეიძლება, არ დაეთანხმო პოეტს ამ პირუთენელი ნათქვამის ჭეშმარიტებაში. ბანალობის ლაფი გურამიშვილის სიტყვებს გაგვასხენებს უნებურად: „ცოდვის ღიას უკუვევარდი, ღრმად შიგ დავეფალო“ [5, 120]. ლაფი სირცხვილთან ერთად ცოდვასაც უნდა გამოხატდეს. პოეტიც ამ ცოდვის გაცნობიერებისა და მისგან თავის არიდებისაკენ მოუწოდებს თანამოკალმეთ. ორიგინალური და მოულოდნელია სინტაგმა: „ქადილი მორიდებული“, რომლის ახსნაც მხოლოდ პოეტური ლოგიკით შეიძლება. ქადილი თვისთავად ბაქიაობაა, მაშასადამე, ქადილსა და ბაქიაობას არაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო მორიდებულობასთან, ეს თვისება მხოლოდ თავმდაბლობასა და კდემას ახასიათებს, მაგრამ „მორიდებული ქადილი“ აქ დამორცხვებული, კუთხეში მიეყუებული და არც თუ იშვიათად გაძევებული სიმართლის ეპითეტია, სიმართლისა, რომელსაც ალტერნატივა არც ცხოვრებაში აქვს და არც პოეზიაში.

ზემოთ მოყვანილ სტროფში ყურადღებას იქცევს გრამატიკულად არასწორი ფორმა „ანაყვირი“. აბაშელი კარგი მოქართულეა, მისი დამოკიდებულება სიტყვისადმი განსაკუთრებით ფაქიზია. ეს ყველა ლექსში ჩანს. მაშ, რატომ გამოიყენა მიმდევობა „აყვირებულის“ ნაცვლად იმერულ-კუთხური „ანაყვირი“ (მსგავსი პოეტური ლიცენცია არაერთ პოეტთან, მათ შორის, ამ ეპოქის ავტორთან გვხვდება: გალაკტიონი: „მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის“, პაოლო: „პატარა ჩერო ადგია ეზოს“). ვფიქრობთ, იმიტომ, რომ ზედმეტი მოწუქურთმების, ხატოვანი რიტორიკის გარეშე, შეუღამაზებლად, პირდაპირ უთხრას ადრესატს სათქმელი. ამავე ლექსს თუ დავიმოწმებთ, ბევრი შორისდებული, ანუ გაპრანჭულად თქმა, ზედმეტია, ამასთან ხუთმარცვლიანი „აყვირებული“ თოთხმეტმარცვლიან საღექსო საზომში დისბალანსს გამოიწვევდა.

ლექსი გამორჩეულია არა მხოლოდ სათქმელის თვალსაზრისით, არამედ არქიტექტონიკითა და მხატვრული მახასიათებლებით. პოეტი სხვადასხვა რითმებს მიმართავს: 1-4; 2-3; 6-7 სტრიქონთა რითმები მოსაზღვრეა, შემდეგ კი გვხვდება სემანტიკურად მოსაზღვრე რითმა (სტროფი/თოფი, 10-11); უფრო ქვემოთ თითქმის ურითმო, კონსონანსურ სტროფს ვხვდებით (სიო/გარშემო/არ შევა/დასწიოს). ლექსის შუაში პოეტმა, მეტი ეფექტისთვის, ვიზუალიზაციას მიმართა (მიმოფანტულად დაწერილი სტრიქონები, შესაძლოა, ალუზიაა ფუტურისტებთანაც, სიმბოლისტებთანაც), შემდეგ კი ლექსის რიტმს ჯვარედინი რითმა ცვლის (1-3, გზა/კვალი/ ბზაკალი), ამას მოჰყვება ისევ მოსაზღვრე რითმა (აღმშენებლობა/ეფლობა). მიუხედავად იმისა, რომ ალაგ-ალაგ თვალშისაცემია დისონანსურობა, ლექსი მაინც რითმიანია და არაკონვერსიულობა მასში არ იკვეთება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეტაფორების მრავალფეროვნება: პოეზიის ნათელი ტვირთი; „დატენეთ მზიურ ენერგიით ყოველი სტროფი, / სტრიქონებმა დაიყვფონ გულის თეოზე“...; მეტაფორასთან ერთად მშენიერი ალიტერაციაც: „ლექსი ბანალობის ლაფში ეფლობა“ ჭეშმარიტი პოეზიის ღირსებების წარმოჩენას ემსახურება. პოეზია მძიმეა, მწერლის კალამი „ორეულია გოლგოთის ჯვრისა, ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე აღმავალ მაცხოვარს“ [12, 138]. ამიტომაც იგი მადლიანი ტვირ-

თიცაა, მისი მსახურება მარადიული ნათლის მსახურების ტოლფასია. ლექსისთვის აუცილებელია არატრავიალური, ახალი ხედვა, ნოვაციები, პოეტი კი თავისი ინდივიდუალობით უნდა გამოირჩეოდეს; მოწოდება: დატენეთ „მზიურ ენერჯით ყოველი სტროფი“ პოეტის გამოცდილების გაზიარებისკენ მოწოდებას უნდა შეიცავდეს. განსაკუთრებით საინტერესო, თუმცა სხვა პოეტის მიერ უკვე გამოყენებული მეტაფორაა „სტრიქონებმა დაიყეფონ“. მოდერნისტულ პოეზიაში „პოეტის ყეფა“ (გრ. ცეცხლაძე) პოეტის ძახილს ნიშნავს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, ყურს ვერ მოარიდებ, მყეფარს აუცილებლად შეხედავ, მიხეზით დაინტერესდები. მოდერნისტი პოეტი მოკრძალებულად, ჩუმად კი არ გამოხატავს თავის სათქმელს, რომანტიკოსი პოეტით კი არ დასდევს ჩვენს სურვილებს (ალ. ჭავჭავაძე – „ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა, / მისმინეთ ჭირში ფლობილს“), არამედ გაიძულებს, რომ მოუსმინო, რადგან იგი, რომანტიკოსით, სატრფო-სამშობლოს ტყვეობას არ აუკენებს, ამ ქაოსურ, დაუნდობელ დროებას აუყეფებია. ამ ყეფამ კი მკითხველის გულამდე, როგორც მოსასვენებელზე, თეოზე, უნდა აპოვნინოს ბინა.

„რითმა კუტივით წამოჩოქილი“ ლექსის დამორჩილებაზე მიუთითებს; ლექსის დანაწევრება, დაშლა პოეტისთვის ისეთივე სისასტიკეა, როგორც ყასაბის საქმიანობა; ბზაკალივით მოღუნული სიტყვა კი რითმისა და რიტმის მოქნილობაზე უნდა მიუთითებდეს. შედარება: „ცალკე გარბის სიტყვა დამფრთხალ ჯოგით“ რუსთველის „ცაღცაღკე და შორი-შორი“ ლექსის დამწერ უხეირო პოეტებს გაგვახსენებს. შეიძლება ითქვას, რომ ლექსის ავტორი აფრთხილებს თანამოკალმეებს, იმ პოეტების მსგავსად მათაც არ უნდა ეგონოთ თავი „მელექსეთა კარგთა სწორი“ და არ უნდა დაიჟინონ „ჩემი სჯობსო“. ალ. აბაშელი მშვენიერი შედარებებით არა მხოლოდ უარყოფითის, პოეზიაში მიუღებლის ჩვენებას ცდილობს, არამედ „გულის გასაგმირი“ (შოთა) ლექსის შექმნისაკენ მოუწოდებს ძმებ პოეტებს და ამგვარი ლექსის მიმზიდველობას მფრინავ მჭრელ ისარს აღარებს: „მაგრამ სტრიქონმა დე, იფრინოს მჭრელ ისარივით“.

ლექსის ბოლო სტროფი ტაქტიან რევერანსსაც გულისხმობს და სიმბოლური სახეებითაც იპყრობს ყურადღებას:

ნუ ჩამომართმევთ ამას, ძმებო, ჭკუის სწავლებად.
რჩევას უბედავს ცხრამეტ არწივს ერთი მერცხალი!
მე თქვენზე მეტად დამიდვრია ლექსების წყალი,
და მეხერხება დამპალ შტოზე ხელის წავლება... [1, 127].

ვფიქრობთ, რიცხვი ცხრამეტი მწერალთა კავშირის წევრების იმჟამინდელ რაოდენობას მიუთითებს. „ერთი მერცხალი“ კი, რომლის ჭიკჭიკსაც ზოგჯერ იქნებ, მოჰყავს გაზაფხული, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მართლის თქმის მცდელობაში, ამ სახიფათო გამბედაობაში, აბაშელი ჯერ მარტო გრძნობს თავს. მოცემული სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპებში გამოყენებული მეტაფორებით პოეტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მისი კრიტიკა, პირველ ყოვლისა, მას ეხება, ის სხვებზე მეტად არის ცოდვილი მკითხველის წინაშე. წყლის დაღვრა ახლის დაბადებასთან (მშობიარობა) არის დაკავშირებული, ისევე როგორც ხელმოცარულობის, უნიჭო შემოქმედების წყალივით გადაღვრასთან. აქ ორივე საგულისხმოა, რადგან ალექსანდრე აბაშელი, შემოქმედის უშუალობისა და გულწრფელობის უიშვიათესი უნარის პოეტი, კორექტულობისგანაც

შორს იჭერს თავს და თავის წინამორბედ სიმართლის დიდ ტრუბადურებსაც ეთაყვანება.

ამგვარად შეიძლება შეფასდეს ეს ჩვენ მიერ განხილული ლექსი, რომლითაც ალ. აბაშელი თავის თანამოკალმეებს პირდაპირ და, ამავე დროს, მოკრძალებით შეახსენებს პოეზიის, როგორც მართალი და „წმინდა სიტყვის“ უმთავრესი დანიშნულების შესახებ.

ლიტერატურა:

1. აბაშელი ა., რჩეული, თბ., 1968;
2. აბაშელი ა., „პოეტი და რითმა“, ჟურნ. „ხომალდი“, №3, 1922;
3. აბაშელი ა., წერილები.
<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4326/3/Cerilebi.pdf>;
4. გამსახურდია კ., თხზულებანი 10 ტომად, ტ. მე-7, თბ., 1983;
5. გურამიშვილი დ., დავითიანი, თბ., 1992;
6. დოიაშვილი თ., XX საუკუნის პოეზია, წინასიტყვაობა, თბ., 1982;
7. დოიაშვილი თ., ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, თბ., 1982;
8. რუსთაველი შ., კეფხისცვაოსანი, თბ., 2011;
9. სიგუა ს., ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1994;
10. სიგუა ს., ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002;
11. ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1989;
12. ჯავახიშვილი მ., ჯაყოს ხიზნები, თბ., 1985.

Shorena Jishkariani

***Analysis of One Poem by Alexander Abasheli
("To poets" – criticism and self-criticism)***

Summary

Georgian literature and especially poetry was imbued with the idea of eternal renewal. This process became particularly irreversible at the beginning of the twentieth century. New themes and forms in poetry were well revealed in Alexander Abasheli's work. It continues the Georgian poetic traditions and at the same time tries to introduce new ones. This kind of spirit was revealed in the poem "Poets". It contains both criticism and self-criticism and urges fellow poets to care more about the preservation of true art than the form of the poem. To create honest, sincere and true poetry. Such a call in itself meant confrontation with the Bolshevik regime and commitment to classical Georgian poetry instead of pursuing socialist realism as a creative method. The author advises not to reject the old verse. At the same time, they should repel sadness, pain, "powerless tears" and offer the reader a speech saturated with the principle of telling the truth. Flattering and flattering poetry is especially unacceptable for the poet. The poet advises everyone not to create such poetry, especially a praise poem, which is hidden in banality and contains a false "construction" sermon. Along with the content, the poem is distinguished by its artistic diversity. Although the dissonance is striking, it is still rhythmic, and non-conventional is not visible in it.

Шорена Джишқариани
Анализ одного стиха Александра Абашели
(«Поэтам» – критика и самокритика)
Резюме

Грузинская литература и особенно поэзия проникнуты идеей вечного обновления. Особенно необратимым этот процесс стал в начале XX века. В творчестве Александра Абашели хорошо раскрываются новые темы и формы поэзии. Он продолжает грузинские поэтические традиции и в то же время пытается привнести новые. Такой дух раскрылся в поэме «Поэты». Он содержит как критику, так и самокритику и призывает коллег-поэтов больше заботиться о сохранении подлинного искусства, чем о форме стихотворения. Создавать честную, искреннюю и истинную поэзию. Такой призыв сам по себе означал конфронтацию с большевистским режимом и приверженность классической грузинской поэзии вместо социалистического реализма как творческого метода. Автор советует не отвергать старый стих. В то же время они должны отталкивать грусть, боль, «бессильные слезы» и предлагать читателю речь, пропитанную принципом говорить правду. Особенно неприемлема для поэта льстивая поэзия. Поэт советует всем не создавать подобных стихов, тем более хвалебное стихотворение, скрытое в банальности и заключающее в себе восхваление ложного «построения». Наряду с содержанием стихотворение отличается художественным разнообразием. Хотя диссонанс бросается в глаза, он все же ритмичен.

მამა მიქაელი (მიხეილ ხუციშვილი)
(საქართველო)

„აბიბოს ნეკრესელის წამება“

აბიბოს ნეკრესელი ცამეტ ასურელ მამათაგან ერთადერთია, ვინც წამებით აღესრულა. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, აბიბოს ნეკრესელის „მოქალაქეობა და წამება“ არის თუ არა მეტაფრასული ძეგლი. კ. კეკელიძე იგი მეტაფრასულად მიაჩნია, რადგან ტექსტი გავრცობილია პროლოგით, ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკით; ამასთან, იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის „ცხოვრებებიდან“ ავტორს ადგილები დამატებით შეუტანია და ა.შ. [2, 49]. ი. აბულაძე, შ. ნუცუბიძე, ს. მეტრეველი არ მიიჩნევენ თხზულებას მეტაფრასულ ნაწარმოებად. ჩვენი აზრით, მართებულია კ. კეკელიძის მოსაზრება. ჩვენი კვლევა, რომელიც გულისხმობს ბიბლიური პარადიგმების გამოვლენას, ადასტურებს, რომ ტექსტი შემდგომშია „გამწვენიერებული“ და ბიბლიური ეპიზოდებით გაღრმავებული.

ასურელ მამათა ცხოვრებების ქარგას „აბიბოს ნეკრესელის წამება“ ითვალისწინებს, მაგრამ როგორც კ. კეკელიძე მიიჩნევს, ყველაზე არქაულ ტექსტს მისდევს. ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ უძველესი მოკლე ტექსტი, რომელიც წმინდანის მარტვილობას აღწერდა, შემდგომ გაამეტაფრასა არსენ კათალიკოსმა, რომელიც არის, ასევე, „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ავტორი. მას წყაროდ უნდა გამოეყენებინა მეექვსე-მეშვიდე საუკუნის მომცრო რედაქცია.

ასურელ მამათა ცხოვრებების ქარგას „აბიბოს ნეკრესელის წამება“ მისდევს შესავლის, წმინდანის გამორჩეულობის, სიმტკიცის თხრობით. ამას ემატება მოწამეობის წყურვილი. ამასთან, „წამება“ არ აღწერს აბიბოსის წარმომავლობას, იოანე ზედაზნელთან დამოწაფებას, ნეკრესში დამკვიდრებასა და სხვა ეპიზოდებს. ამ ნაკლულობას მთლიანად ავსებს მოწამეობის სურვილი და მისი აღწერა.

შესავალი სიტყვა აგიოგრაფს წმინდანის ერთგვარ „შესხმად“ აქვს გააზრებული. აბიბოს ნეკრესელი ესახება მას, როგორც „საყდარი უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მის სიწმიდისა თვის, უმეტესად ყოველთა მიერ წამებულ. ჭეშმარიტებისათვის დამამტკიცებელ სისხლითა თვისითა, რომელმან იგი შეწირა მსხვერპლად თავი თვისი მისა, რომელმან იგი თვისითა სისხლითა მისხნა ჩუენ, დაიდგა გვირგვინი ძლევისა“ [213].

აგიოგრაფი შესავალშივე წარმოსახავს წმინდანს ქრისტეს მიმსგავსებულად. იგი მოწამეობით ემსგავსა უფალს. ვფიქრობთ, რომ ნეკრესის ეპისკოპოსის წამება დაიწერა ამ ეკლესიისთვის, რასაც ეს სიტყვები მოწმობს: „ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვისი, ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი მშუენიერი მხიარულებისა ჩემდა მომღებელი“ [213].

აგიოგრაფი წმინდანს „ამკობს“ ბიბლიურ-სახარებისეული და ჰიმნოგრაფიისათვის ნიშანდობლივი სახეებით: სპეტაკი, ვარდი, სანთელი და უშრეტელი, რომელიც მალაღმთაზე „აღანთო“ წმინდანმა და ა.შ.

აბიბოს ნეკრესელმა ცეცხლთაყვანისმცემლობის სარწმუნოების სამხილებლად წყალი დაასხა და დაშრიტა ცეცხლი, რის გამოც ის სპარსელებმა გვემეს შეუბრალებლად და მარზპანთან დაასმინეს.

სვიმეონ საკვირველმოქმედი-მესვეტე

აგიოგრაფი ასურელ მამათა ცხოვრების კვალად, სვიმეონ საკვირველმოქმედ-მესვეტეს ასხენებს. ამასთან, დასძენს, რომ იგი პირადად არ იცნობდა წმინდანს, მხოლოდ სულიერად:

„ნეტარი იგი ეპისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სვიმეონ მესვეტისა ანტიოქელისა, არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანეთი, არამედ სულიერითა მით სიყვარულითა, რომლითა იხილვების შორიელი, ვითარცა მახლობელი და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავება“ [214].

აგიოგრაფი დასძენს, რომ სვიმეონ მესვეტემ აბიბოსს ევლოგიად გამოუგზავნა წიგნი, ანუ წერილი და თავისი კვერთხი. აბიბოსმა წაიკითხა წერილი და „განმტკიცდა“.

ვფიქრობთ, რომ სვიმეონ საკვირველმოქმედის სახე და „ევლოგია“ აგიოგრაფს სწორედ ასურელ მამათა ცხოვრების ტრადიციით აქვს თხრობაში დამოწმებული. „კვერთხი“, ასევე, ასურელ მამათა ცხოვრებების ერთი უმთავრესი სახე-სიმბოლოა და თითქმის ყველა თხზულებაში დასტურდება. ამასთან, ვფიქრობთ, რომ აგიოგრაფი წყაროდ გულისხმობს ასკეტურ გამოცდილებას, როდესაც შორს მყოფი უფრო ახლოს არის წმინდანთან, ვიდრე გვერდით მყოფი ადამიანი და მათ შორის დასტურდება ურთიერთგაგება. იგი იცნობს და სარგებლობს წმინდანთა ცხოვრებებში აღწერილი მსგავსი ეპიზოდებით. კონკრეტულად, ჩვენ ვგულისხმობთ იოანე მოსხის „ლიმონარს“, სადაც მოთხრობილია წმინდანთა სულიერი, ანუ არაფიზიკური მეგობრობა, „მოგზაურობა“ და „საუბრები“. მაგალითად, სენაკში მყოფი ბერი გიორგი, რომელსაც სურდა იერუსალიმის პატრიარქისგან ზიარება და უფლის საფლავთან მისვლა, „სულიერად“ ესწრება იერუსალიმის ტაძარში ღოცვას, ეზიარება პატრიარქის ხელით, მაგრამ არ ესწრება სერობას. ის ყველამ იხილა ტაძარში, მაგრამ ირკვევა, რომ რეალურად ის არ გასულა თავისი სენაკიდან... ვფიქრობთ, რომ აგიოგრაფი ამგვარ თხრობას ეფუძნება წმინდანთა ცხოვრებებიდან და ამის მსგავსად ქმნის ეპიზოდს სვიმეონ საკვირველმოქმედთან აბიბოს ნეკრესელის „სულიერი“ მეგობრობისა და თანადგომისა. თუნდაც ეს ეპიზოდი გულისხმობს „წამების“ „გარდაკაზმას“ და მეტაფრასს, რომელიც აგიოგრაფს უწარმოებია. ამასთან, მიგვაჩნია, რომ გრიგოლ ფერადის მიერ წარმოებული კვლევა ასურელ მამათა ცხოვრებებში სხვადასხვა ეპიზოდების წარმომავლობისა არის სწორი და აუცილებელი [21]. რაკიდა მეცნიერი საქართველოში არ მოღვაწეობდა და მისი კვლევები დიდხანს იყო მიუწვდომელი ქართველ მეცნიერთათვის, ის აუცილებელი გზა ასურელ მამათა ცხოვრებების შესასწავლად, რომელიც მან დასახა, ჩვენში არ გაგრძელებულა. საინტერესო აღმოჩნდა ჩვენთვის ამ მხრივ ლ. წერეთლის კვლევა [16], რომელსაც ვიმოწმებთ და, ფაქტობრივად, ვცდილობთ ეს მიმართულება კვლევისა შეძლებისდაგვარად განვაგრძოთ. სწორედ ამგვარ მოსაზრებას წარმოადგენს ჩვენი დაკვირვება აბიბოს ნეკრესელისა და სვიმეონ საკვირველმოქმედის „სულიერი“ მეგობრობის თაობაზე. რაც შეეხება იოანე მოსხის „ლიმონარს“, საინტერესოა, რომ ეს თხზულება სწორედ VI-VII საუკუნეებში არის შექმნილი და მოიცავს დიდ არეალს – სირიას, ეგვიპტეს, პალესტინას, მცირე აზიას, სადაც თხზულების ავტორს, იოანეს და მის მოწაფე სოფრონს უმოგზაურიათ და მეუდაბნოე ბერებისაგან ჩაუწერიათ მათი სულიერი გამოცდილებისა და სასწაულების თხრობა. „ლიმონარი“ ისტორიულ პირებსა და ცნობილ წმინდანებზე მოგვითხრობს, რაც მას ისტორიული დამაჯერებლობისა და ჭეშმარიტების ძალას მა-

ტებს. უძველესი ქართული ნუსხები ამ ტექსტს „სამოთხედ“, „მდებლოდ“ მოიხსენიებს და არსებობს ათონის მთის (977 წ.), სინას მთის (925 წ.) და სხვა ხელნაწერები. შ. ნუცუბიძეს მიაჩნდა, რომ მოსხი „მესხი“-ს ნიშნავს და ავტორის ქართველობის დასტურია. ჩვენნი მოსაზრებით, ასურელი მამები, უთუოდ, იცნობდნენ თავისი დროის ამ უდიდეს წმინდანთა შესახებ თხრობას. ასკეტური ღვაწლი გულისხმობდა დიდი მეუდაბნოე ბერებისა და წმინდანების ცხოვრების გაცნობას, „ბაძვას“. შესაძლოა, მათ სირიიდან თან ჩამოიტანეს წერილობითი ან ზეპირი გადმოცემები, რომლებსაც „ცხოვრებების“ აღწერისას ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა. სახისმეტყველური სიახლოვე და წმინდანთა ცხოვრებების სასწაულების მსგავსება თვალსაჩინოა (ჩვენ ვხელმძღვანელობდით იოანე მოსხის „ლიმონარის“ 2004 წლის გამოცემით, რედ. ა. მინდიაშვილი).

„აბიბოს ნეკრესელის წამების“ „სულიერი“ მეგობრობა სვიმეონ მესვეტესთან სწორედ ამგვარ მოსაზრებას განამტკიცებს, რომ ავტორი სარგებლობს იოანე მოსხის თხზულების „გამოცდილებით“ და თხზულებაში რთავს მსგავს ეპიზოდს. ამგვარად მან განავრცო უწყება, რომ ასურელ მამებს წინამძღვრად ჰყავდათ და ჰბაძავდნენ სვიმეონ საკვირველმოქმედ-მესვეტეს.

„საცთური ეშმაკისა“

ასურელ მამათა ცხოვრების ერთი უმთავრესი მახასიებელი დიალოგის ჩართვაა ტექსტში.

„აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“ დიალოგებით არის განვრცობილი. დიალოგი იმართება მარზპანთან, სადაც აგიოგრაფი ანტინომიურ პრინციპს ეფუძნება. სრულიად საპირისპიროა დიალოგი შიო მღვიმელთან.

მარზპანთან დიალოგში წარმოდგება აბიბოსის მტკიცე სარწმუნოება, მქადაგებლობის მაღლი. წმინდანი არის პოლემიკოსი და მჭევრმეტყველი, აღჭურვილი ცოდნითა და მხნეობით; ამასთან, მლოცველი, რომელიც უცხო სარწმუნოების ადამიანებისთვის ღვთის წინაშე ლოცულობს მათი განათლებისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების აღქმისათვის.

დიალოგში აგიოგრაფი ლუკას სახარების სიტყვებს აცოცხლებს:

- „რაისათვის უვარ-ჰყავ უფლებათ მეფეთ-მეფისათ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი?“ მიუგო აბიბოს და ჰრქუა:

- „მე არა ვინ ვიცი მეფედ მეფე, გარნა უფალი იესო ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე, რაითამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისა, ხოლო გლოცავ, რათა განეყენნეთ, უნდოსა ამას მსახურებასა და ღმერთი მხოლო იცანთ, რომლისა მიერ დაიბადა ყოველი, და მას მხოლოსა მსახურებდით, რამეთუ წერილ არს: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-ეც და მას მხოლოსა მსახურებდე“.

ჰრქუა მას მარზპანმან:

- „მე გკითხავ, რაისათვის მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რაითამცა შენისა ღმრთისა წაგვიყვანე“.

ხოლო ნეტარმან მან აბიბოს ჰრქუა:

- „უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დავშრიტე, არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგან

მცირედი ნაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ესე ...ერთი მცირე წყალი დაეასხ, მძლე ექმნა და მოჰკლა იგი“ [215].

„მას მხოლოსა მსახურებდე“ – არის ლუკას სახარებიდან სიტყვები, რომლებსაც ბიბლიიდან იმოწმებს იესო ქრისტე: „რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა თაყვანისსცე და მას მხოლოსა მსახურებდე“ [4, 8]. აგიოგრაფი სახარებისეულ პარადიგმას სრულქმნის თხრობაში – მაცხოვარი ამგვარად მიმართავს ეშმაკს, რომელიც მის ცთუნებას ცდილობდა, ხოლო აბიბოსი მიმართავს მარზპანს, რომელიც, ასევე, ეშმაკისგან ცთუნებულად ესახება, ცეცხლის თაყვანისცემა ბოროტის მსახურებად მიაჩნია.

ასურველ მამათა ცხოვრებების ეპიზოდი ყოველთვის გულისხმობს ეშმაკის წინააღმდეგ ბრძოლას, მის ძლევას. შესაძლოა ითქვას, რომ ამ ეპიზოდში აბიბოსი მარზპანის წინაშე სძლევს ეშმაკს, აჩვენებს მას „საცთურს“, უხსნის, რომ არ შეიძლება ცეცხლი იყოს ღმერთი. მართალია, აბიბოსის ქადაგებას არავინ უსმენს, მას წამებას გადაუწყვეტენ, მაგრამ ეს ეპიზოდი მქადაგებლობის ფუნქციას ასრულებს თხრობაში.

ამრიგად, აბიბოსის საცთურის განმქარებელი და ეშმაკის დამთრგუნველია. ამგვარად წარმოსდგება იგი თხზულებაში.

„დედა რაქელ“ და „შვილი შენი იოსებ“

ბიბლიური პარადიგმები, რომლებიც „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ დასტურდება, არც ერთი ასურელი მამის ცხოვრებაში არ გვხვდება. ეს არის ბიბლიური რაქელი, რომელსაც სახარებაც იხსენიებს, ასევე – იოსები და მისი ეგვიპტეში წასვლა.

„ვითარ მოიწივნეს მახლობლად ჩუენსა ამას სამეფოსა ქალაქსა მცხეთისასა, ჰხადოდა იგი დედასა თვისსა რაქელს, რომელ არს ერთი კათოლიკე ეკლესია სამოციქულო და ვიდრედა თუ იტყოდაცა, ვითარმედ „დედაო, აჰა, ესრეთ შვილი შენი იოსებ, წარჰყავთ ეგვიპტედ კრული, ვითარცა ტყუე და ვინ ჰრქუა რა ეგრე, არამედ სუფევად განემზადები ნაყოთა მათგან შეუნიერთა საუნჯეთა თვისთა მთნავს შენი ეგე გზა და ვიდოდე მას ზედა“ [214].

ვგიქრობთ, ეს არის ერთი რჩეული ადგილი ასურელ მამათა ცხოვრებებიდან. აგიოგრაფი ითვალისწინებს ცხოვრებების ტრადიციას, რომ მცხეთა არის სრულიად განსაკუთრებული, საკრალური ადგილი და მას უდიდეს თაყვანს სცემენ ასურელი მამები. ამრიგად, დატყვევებული აბიბოსი, რომელიც მცხეთას მიუახლოვდა, ხმამაღლა გოდებს, როგორც ბიბლიური რაქელი სახარების თხრობიდან: „ხრმაი ჰრამაით ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისაი მრავალი, რაქელ სტიროდა შვილთა თვისთა“ [18].

სახარების განმმარტებელნი ხაზს უსვამენ იმას, რომ ბიბლიური რაქელი თავის შვილებს არ დასტიროდა: „რაქელის საფლავი მდებარეობდა ქალაქ რამას მახლობლად, ბეთლემის სანახებში. წინასწარმეტყველი იერემია უყურებდა, თუ როგორ მიჰყავდათ ბაბილონელებს დატყვევებული ებრაელები ქალაქ რამადან, რომელიც ბეთლემთან ახლოს არის. რაქელის გოდებაში მან ასახა დედების მწუხარება დატყვევებულთა გამო. ის, რასაც თავის დროს იგლოვდა წინასწარმეტყველი იერემია, იყო ბეთლემში მოწყვეტილ ჩვილთა გლოვის პირველსახე“ [13, 60].

თხზულებაში წარმოსდგება სამი განზომილება – პირველი, როცა რაქელი გოდებდა ებრაელთა დატყვევებას; მეორე, როცა იესო ქრისტეს შობისას ბეთლემში დაბადე-

ბული ყრმების ამოწყვეტას სახარება რაქელის გლოვას ადარებს და მესამე – აბიბოს ნეკრესელი დატყვევებული მიჰყავთ და მცხეთასთან იგი გოდებს, როგორც დატყვევებული და წამებისათვის გამზადებული. რაქელი მოიხსენიება, როგორც სახე კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა, ანუ აგიოგრაფი განავრცობს სახარებისეულ თხრობას და რაქელის, როგორც მგლოვიარე დედის, ფუნქცია ფართოვდება, ის უკვე ქრისტიანული ეკლესიის სახე-ხატია. ამჯერად ის დატყვევებულ აბიბოსს დასტირის.

ბიბლიური პარადიგმა რაქელის გარდა იოსებს გულისხმობს, რომელიც, ასევე, ტყვედ წაიყვანეს ეგვიპტეში, მაგრამ ეგვიპტეში იოსები უფლის წყალობით განდიდდა, ძმების დალატი სიკეთედ დაუბრუნა მათ. აბიბოსი „მშენიერთა საუნჯეთაში“ სწორედ იოსების სიმდიდრესა და ღვთივგონიერებას, მოწყალებასა და სიკეთეს გულისხმობს. იოსების ბიბლიური პარადიგმა ათვალსაჩინოებს, რომ მართალია, ტყვედ წაიყვანეს იოსები, მაგრამ დიდ საუნჯედ ექცა მას ეგვიპტეში წასვლა. ასევე, აბიბოსი, მართალია, დაატყვევეს და საწამებლად მიჰყავთ, მაგრამ „მთნავს შენი ეგე გზა“; „ნაყოფი“ უნდა გამოიღოს ამ ტყვეობამ. როგორც იოსებისათვის აღსრულდა ღვთის ნება, ისე აბიბოსს სწადია წამება და მოელის მოწამებორივ გვირგვინს, რომელიც მისთვის უფლის წყალობა და სამკვიდრო სასუფეველია.

სრულიად ორიგინალურია ამ თხზულებაში ეს პარადიგმა, რაქელისა და იოსების დაწყვილება, რაც მოწმობს აგიოგრაფის განსწავლულობასა და ხატმეტყველურ სიღრმეს.

„სეხნა ზაქარიასი“

„აბიბოს ნეკრესელის წამების“ ერთი პარადიგმა, რომელიც, ასევე, არ დასტურდება ასურულ მამათა ცხოვრებებში, არის ზაქარია – იოანე ნათლისმცემლის მამა.

„სეხნა არს იგი ზაქარიასი, მამისა იოანესსა, არა თუ სახელითა, არამედ სახითა, რომელსა იგი წილი ხუედრებულ იყო მღვდელთმოდურებისა და მისებრ სისხლიცა წმიდაი მისი დაითხია უფლისა ჩუენისათვის“ [216].

იოანე ნათლისმცემელი ასურულ მამათა თხრობაში ცხადდება, ცხოვრებების ქარგა გულისხმობს მის გამოცხადებას ღვთისმშობელთან ერთად, მაგრამ მამამისი ზაქარია სხვა ტექსტში არ იხსენიება. აბიბოს ნეკრესელი აგიოგრაფს ზაქარიასთან „სახით“ ჰყავს შედარებული, ანუ ღვაწლით, საქმითა და სარწმუნოებით.

ბიბლიური თხრობის თანახმად, ზაქარია და ელისაბედი დიდხანს უშვილოდ იყვნენ, რის გამოც წუხდნენ. ერთხელ ტაძარში მსახურებისას ზაქარიას ანგელოსმა აუწყა, რომ მისი მეუღლე უშობდა ძეს, რაც ზაქარიამ არ დაიჯერა, რადგან ელისაბედი შუაახნის ასაკში იყო.

ზაქარია ურწმუნობის გამო დაისაჯა – დადუმდა. მართალია ელისაბედმა შვა ძე და სულიწმინდის მიერ შერჩეული სახელი – იოანე – უწოდეს. სახარების მიხედვით, მშობლებმა იცოდნენ ანგელოსისგან, რომ მათი ძე იქნებოდა „დიდ წინაშე უფლისა“ [18]. როდესაც ელისაბედი შვილთან ერთად მთაში გაიხიზნა, უფალს შესთხოვა, რომ მღვერისგან დაეცვა და მის თვალწინ კლდე შუაზე გაიპო და დედა-შვილი შეიფარა. ზაქარიას არ მიუტოვებია იერუსალიმის ტაძარი. ჰეროდეს ბრძანებით, ზაქარია მახვილით „განგმირეს შორის ტაძრისა და საკურთხეველისა“ [18].

აგიოგრაფი თხრობაში აცოცხლებს ელისაბედს: „ვითარ დედაკაცსა მას უწინას-წარმეტყველა შემდეგ მისსა, მოსვლა ბერძენთა და დაპყრობა ქუეყანისა ამის ჩუენისა, რომელიცა იქმნა მსწრაფლ მისვე დედაკაცსა ზედა, მოვიდეს ბერძენნი და განასხეს უსჯულონი იგი სპარსნი“ [216]. საუბარია წინასწარმეტყველებაზე, რომელიც ელისაბედსა და აბიბოსს წინასწარ ეუწყათ.

აბიბოს ნეკრესელს აგიოგრაფი ადარებს ზაქარიას მღვდელმოდვრების „სახის“ გამო. აბიბოსიც, მის მსგავსად, იყო მღვდელთმოდვარი და მღვდელთმთავარი. „სახე“ ამ მსგავსებას გულისხმობს და მოწამეობრივ ხვედრსაც. როგორც ზაქარია აღესრულა მოწამეობრივად, ისე – აბიბოს ნეკრესელი მარზპანის ბრძანებით – „საკვირველითა სატანჯველთათისა ქვით განტყინული“ [215].

ამრიგად, „სახნა“ გულისხმობს მღვდელთმსახურების „სახით“ მსგავსებასა და მოწამეობრივ აღსასრულს; ელისაბედთან მსგავსება – წინასწარმეტყველებას. ამასთან, ზაქარიას პარადიგმა ცხადდება სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და მხნეობის წარმოჩენით.

„სამნი ყრმანი“

ასურელ მამათა ცხოვრებები მოიხსენიებენ „სამთა ყრმთა ბაბილონს“, სახელე-ბით – ანანია, აზარია და მისაელი. ბაბილონის ტყვეობის უამს ნაბუქოდონოსორ მეფის მიერ სარწმუნოების სიმტკიცის გამო ცეცხლის სახმილში ჩაყრილი ყრმები ღვთის წინაშე ლოცვის ძალით უვნებლად გადარჩნენ უფლის ანგელოზის დახმრებით, რომელმაც ისინი ზეციური ცურის მოფენით დაიფარა. ეს სასწაული რწმენის სიმტკიცისა და ერთგულების, ღვთის მიერ აღსრულებული სასწაულის გავრცელებული სახისმეტყვე-ლებაა აგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში. ჰიმნოგრაფიის კანონში მას მეშვიდე გალო-ბა ახსენებს:

„ჰიმნოგრაფიული კანონის მეშვიდე ოდის ეგრეთწოდებული მოღუსი არის ქალ-დეველთა სახმილის განქარვება, წმიდა ყრმთა გალობა და უფლის კურთხევა“ [5, 48].

აბიბოს ნეკრესელი სამ ყრმას ედარება მტკიცე სარწმუნოებითა და მტრის მიმართ უშიშარი, მხნე შემართებით, სარწმუნოების ქადაგებითა და მოწამეობრივი აღსასრუ-ლის მოლოდინით.

ამასთან, ცეცხლთაყვანისმცემლობა აგიოგრაფს სახისმეტყველურად ესახება ბა-ბილონის კერპების გაღმერთების მსგავს თაყვანისცემად. ცეცხლის განქარვებით აბი-ბოსმა აჩვენა, რომ არ შეიძლება მისი გაღმერთება. მან ისევე განაცხადა რწმენა და დაგმო უსჯულოება, როგორც სამმა ყრმამ. ცეცხლის ძალა უფლის შემწეობით განქარ-და. აბიბოსის მიერ ცეცხლის დაძლევა, ცეცხლის უძღურების ჩვენება მარზპანის წინა-შე ამ პარადიგმით ცხადდება თხრობაში.

შეხვედრა და საუბარი შიო მღვიმელთან

ასურელ მამათა ცხოვრებები, როგორც აღვნიშნეთ, დიდ ყურადღებას უთმობს თხრობაში შეხვედრის აღწერას, დიალოგის წარმართვას. ორივე ეპიზოდს საღვთო გან-გების წარმოჩენის ფუნქცია აკისრია.

„აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ გამორჩეულია შიო მღვიმელთან შეხვედრისა და მათი დიალოგის თხრობა. მცხეთის სანახების გავლით უსჯულოების მიერ დატყვევ-

ბული აბიბოსი შიო მღვიმელთან შეხვედრას ითხოვს და მტარვალები მას თანხმდებიან. აბიბოსი შიომღვიმელს თავის სავანეში სტუმრობს. მათი საუბარი ღვთივსულიერია:

„ლოცვა ჰყავ, მამაო, რამეთუ უსჯულონი ესე სპარსნი განძვინდეს ჩუენ ზედა ამპარტავენებითა თვისითა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი, შენ უწყი, რამეთუ ბაბილოვანი მარადის კერპთ მაწვეველ არს და ღონისა მეძიებელ არიან, რათამცა ყოველნი კაცნი თაყუანისაცემინეს კერპთა... და აწცა მათ უსჯულოთა მისთა სახედ ეგულვების, რათამცა კუალად განაგდეს ბადე და შეაყენნ კაცნი და თაყუანის აცემინეს ცეცხლსა“ [214].

ცეცხლთაყვანისმცემელთა უამი ქართლში გულისხმობს შუშანიკისა და რაქდენ პირველმოწამის ეპოქებს. დროის კონტექსტიდან ამოვარდნილად მოჩანს აბიბოს ნეკრესელის წამების ჩართვა ასურელ მამათა ეპოქაში, მით უფრო – შიო მღვიმელთან შეხვედრა, რომელსაც „მტარვალები“ დათანხმდნენ და დატყვევებული აბიბოსი „განუტყვევს“. აქ დროისა და ვითარების ისეთ „აღრევასთან“ გვაქვს საქმე, რომელზეც გრიგოლ ფერაძე საუბრობს. აგიოგრაფი თავისი სურვილისამებრ „ალაგებს“ მათ. ერთი მხრივ, მას წამების აღწერა სურს და ამასთან, შიო მღვიმელთან შეხვედრის, დიალოგის წარმართვა რეალობად სურს ასახოს. მანამდე „სულიერი“ სიახლოვე აღწერა სვიმეონ მესვეტესთან „შორეული, ვითარცა მახლობელი“. სწორედ ამგვარად წარმართულ თხრობასა და ერთმანეთს მიდევნებული ეპიზოდების ჩართვასა და აღწერაში ვხედავთ მეტაფორას ხელს, ვიდრე თხრობის „გარდაკაზმვაში“, რომლის გამო მიჩნეულია, რომ აბიბოს ნეკრესელის წამება არ შეიძლება ჩაითვალოს მეტაფორასულ ძეგლად (როგორც ს. მეტრეველის კვლევა წარმოადგენს).

აგიოგრაფს ასურელ მამათა ცხოვრებების ტრადიცია აქვს გათვალისწინებული და ამასთან, კიმენურ ტექსტს ან მხოლოდ გადმოცემას ეფუძნება, რომელიც გულისხმობს, რომ აბიბოს ნეკრესელი ეწამა სპარს ცეცხლთაყვანისმცემელთაგან. მთელი თხრობა, თითოეული ეპიზოდი და დიალოგი, ბიბლიური პარადიგმები და სურათხატები ერთ მიზანს ემსახურება, რომ სრულქმნილად წარმოსახოს წმინდანის მოწამებობრივი გზა. შესავალი და თითოეული ეპიზოდი მის მიერ არის „გამშვენებული“, ეპოქათა და ტრადიციათა „აღრევა“ ატყვია თხზულებას. ეს ჩვენი მოსაზრებაა და იგი ასურელ მამათა ცხოვრებების ერთიანმა შესწავლამ გვაფიქრებინა.

აგიოგრაფს შიო მღვიმელი ასურელ მამათა შორის გამორჩეულად მიჩნია და მასთან შეხვედრა-დიალოგი თხზულების იდეურ ძარღვად აქვს გააზრებული. წმიდა შიოს პასუხი გულისხმობს თანადგომასა და განმტკიცებას მოწამებობრივი აღსასრულის წინ:

„ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ უფალმან, რათა აღტკინებულიცა იგი უჩინო ცეცხლი, რომელი აღუგზნიეს შენთვის ეშმაკსა განსაცდელად დაშრიტო აღვილად. არა უმეცარ არს სიწმიდე შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გვიღირს შესვლად სასუფეველსა ღუთისასა. ხოლო ნუ შესძრწუნდები მათისა მისგან მოძღურებისა, ვინადგან იტყვის მოციქული, ვითარმედ „მაჭირვებელთა თქუენთა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ლხინი“. უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალ და ჭირი ეგე შენი მათი დაცემა და განბნევა“ [214].

შიო მღვიმელი საუბრობს ხილულ და უხილავ ცეცხლზე. ხილული ცეცხლი დაშრიტა აბიბოსმა, უხილავ ცეცხლს წმინდანის მოწამეობა დაამარცხებს. მოციქულის

სიტყვების მოხმობაც ამას ადასტურებს. პავლეს ეპისტოლედან ეს ამონარიდი განმარტებულია, როგორც მოციქულის მიერ ათენელთა „ნუგეშისცემი ჭირთა მოთმინებისათვის“ [14, 256]. მოციქულის მსგავსად, შიო მღვიმელი აბიბოსს მარადიულ ღვინს, ხოლო მის მწამებლებს წარუვად ჭირს, დაცემასა და განადგურებას უქადის.

ს. მეტრეველი შიო მღვიმელის ამ სიტყვებზე წერს:

„წმიდა შიოს პასუხი ერთდროულად შეიცავს თანადგომის, თანაგანცდის, გამხსნელების ინტონაციას. რთულია ქრისტიანად ცხოვრება, თუმცა არც არასოდეს ყოფილა ადვილი. ვიწროა სასუფეველისაკენ სავალი გზა: „მრავლითა ჭირითა გვიღირს შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“. ასეთი შესავალი ერთგვარი შესხენებაა იმისა, რომ მასაც ტკივილი და „ჯვარცმა“ ელოდება“ [17, 176].

„აბიბოს ნეკრესელის წამება“ საინტერესოა ასურელ მამათაგან თითოეულის გახსენებით და, ამავე დროს, ყველას ერთიანობის აღნიშვნით. ერთი დროისა და ერთი სულის ადამიანები ქმნიან ერთობას, რომელსაც აგიოგრაფი სახისმეტყველურად უწოდებს *ოქროს ჯაჭვს*, ანუ ცალკეულთა ერთიანობასა და მათ მთლიანობას უსვამს ხაზს. აგიოგრაფი მათ ასე მოიხსენიებს: „ქუეყანისა ანგელოსნი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი სავსენი ნელ-საცხებლითა, რომელთა თვისითა მით სიმხნითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი, ერთსა უამსა შინა იყვნეს, ვითარცა ჯაჭვი ოქროსა მოკიდებული ერთი ერთსა“ [216].

ამრიგად, „აბიბოს ნეკრესელის წამება“ ერთ ცალკე რგოლად წარმოდგება ასურელ მამათა ცხოვრებების ერთიანი თხრობის ჯაჭვში. იგი მეტაფორასულ ძეგლად მიგვაჩნია, მოგვიანებით შექმნილი აბიბოს ნეკრესელის ტაძრისა და ეკლესიისათვის ქართველ მოწამეთა შორის მისი წამების აღწერისა და ხსოვნის მიზნით.

ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ., ბარამიძე აღ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969;
2. კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბ., 1956;
3. კიკნაძე ზ., ხუთწიგნეულის თარგმანება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, თბ., 2004;
4. კუჭუხიძე გ., „წმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ უძველესი სახის აღდგენისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, XXXI, თბ., 2005;
5. კვირიკაშვილი ლ., ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982;
6. მამისიძედაშვილი ხ., „ნათლის სიმბოლო საკულტო ტექსტებში“, კლდეკარი, 1998, №1;
7. იოანე მინჩხის პოეზია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვეთა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბ., 1987;
8. ჩხარტიშვილი მ., „წმ. აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ტექსტის ისტორიისათვის, კრ. „არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის შრომები“, 1994, №1;

9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), დასაბუჟდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964;
10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს.), ტექსტები დასაბუჟდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი II, თბ., 1967;
11. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, რედაქტორი ი. აბულაძე, IV, თბილისი, 1968;
12. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.), დასაბუჟდად მოამზადეს ილია აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1971;
13. მათეს სახარების განმარტება, 1998;
14. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, 2003;
15. იოანე მოსხი, ლიმონარი, თბ., 2004;
16. წერეთელი ლ., „ესე არს ნათესავი ქართველთაი, ასურელ მამათა „ცხოვრებათა“ სახისმეტყველების პარადიგმები, ლიტერატურული ძიებანი, XXVIII, თბ., 2007;
17. მეტრეველი ს., წმინდა ასურელ მამათა „წამება-ცხოვრებანი“, ნეკერი, თბ., 2010;
18. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ., 1963;
19. აღექსიძე ზ., „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები, „მრავალთავი. ფილოლოგიური და ისტორიული ძიებანი“, თბ., 1999;
20. ჯავახიშვილი ი., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1947;
21. ბერმონაზვნობა საქართველოს ეკლესიაში, წიგნში: გრიგოლ ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, თბ., 2006 (თარგმნა თ. ჭუმბურიძემ).

Padre Michael (Mikhail Khutsishvili)
"The Torture of Abibos Nekresel"
Summary

In the presented work, biblical hypodigms and paradigms are discussed, which are found in this work. The hagiographer mentions the saint with the words: "Spetak, rose, unburnt candle", etc. – these names are often found in the Bible and also in hymnography.

The work shows in the "The torture of St. Abibos of Nekresel" many biblical parallels are found that distinguish the mentioned work from the hagiographic monuments dedicated to other Assyrian nuns. We think that this fact should be taken into account during the artistic analysis of the text.

In our paper, attention is focused on the fact that, the hagiographical monument in question, Abibos of Nekres fights against the fire-worshipping tradition, he extinguishes the fire on the Mazdean festival in order to show the Mazdean's fire is not God (Saint Abibos was tortured for this reason); The preserved work is from the period when the problem of fighting against fire worship was no longer present in Georgia (it is considered that researches shows it from the 9th century; the metaphorical monument belongs to the 11th-12th centuries) and the presence of anti-Mazdean polemics in the "life" exists. In our opinion, an additional evidence of the fact that Once upon a time (during the rule of Mazdean Iran in Kartli), there really was a work dedicated to Saint Abibos of Nekreseli, which has not conducted out yet and fortunately, historical monument was written.

Отец Микаэль (Михаил Хуцишвили)
«Мученичество преподобного Абибоса Некресельского»
Резюме

В представленной работе автор ищет библейские парадигмы, которые в изобилии встречаются в рассматриваемом памятнике. Агиограф упоминает святого такими словами: «Чистейший, роза, несгоревшая свеча» и т. п., – эти образы часто встречаются в Библии и в гимнографии.

В работе показано, что в «Мученичестве преподобного Абибоса Некресельского» обнаруживаются такие библейские параллели, которые отличают упомянутое произведение от агиографических памятников, посвященных другим ассирийским монахам. Этот факт следует учитывать при художественном анализе текста.

В представленной статье внимание акцентируется на том, что, как показано в рассматриваемом агиографическом памятнике, Абибос Некресский борется с огнепоклонской традицией, он тушит огонь на маздейском празднике, чтобы показать маздеанам, что огонь не Бог (святой Абибос был замучен за это). Сохранившаяся работа относится к периоду, когда в Грузии уже не было проблемы борьбы с огнепоклонством (Святой принимает за это мученическую смерть). Сохранившаяся работа относится к периоду, когда в Грузии уже не существовало проблемы борьбы с огнепоклонством (считается, что она относится к IX веку, метафорический памятник относится к XI-XII векам). Следы антимаздейской полемики в «Житии», на взгляд автора, являются дополнительным свидетельством того, что когда-то давно в Картли, в период правления маздейского Ирана, действительно существовало произведение, посвященное святому Абибосу Некресскому, не дошедшее до нас и на основе которого был написан сохранившийся памятник.

ციცინო ანთაძე
(საქართველო)

**სკოლის კონცეფცია რეზო ინანიშვილის მოთხოვნაში:
„ღამრიბეპელი“ და „შორი თეთრი მწვერვალი“**

რევაზ ინანიშვილი მწერალია, რომელსაც მინიატიურებით, მცირე ზომის ნაწარმოებებით შეუძლია შეძრას ადამიანის გრძნობათა ყველაზე ბნელი კუნჭულები, გააცინოს და მწარედ აატიროს მკითხველი ან საფიქრალი დაუტოვოს, რათა თავად განსაჯოს და გადაწყვიტოს, რა არის ადამიანის მთავარი მისია მიწიერ ყოფაში, რომელიც ხშირად ტკივილითა და ცრემლით არის სავსე. ეს ავტორი ერთდროულად არის ძალიან ბავშვური და დიდი, მისი ნაწარმოებები განკუთვნილია როგორც პატარებისთვის, ასევე ზრდასრული ადამიანებისთვისაც.

მისი შემოქმედება შეუძლებელია ერთ წერილში ჩაატო, ამოწურო და იპოვო ყველა საჭირო სიტყვა ამ მწერლისადმი უსაზღვრო მადლიერების გამოსახატავად. მისი ყველა მოთხრობა თუ ნოველა ცალკე უნდა განიხილო, რადგან ყველაზე მცირე ზომის თხზულებაშიც კი დიდი სათქმელია ჩატეული. მისასალმებელია, რომ ამ ავტორს ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და, რაც მთავარია, როგორც დაწყებით საფეხურზე, ისე მაღალ კლასებში, რაც მკაფიო დასტურია იმისა, რომ ინანიშვილის შემოქმედება მოზარდს პიროვნული სიმწიფის ასაკამდე უნათებს გზას და ასწავლის, როგორ დარჩეს ადამიანად ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი.

მწერლის შესახებ თამაზ ჭილაძე წერდა: „მას ორი ცხოვრება ჰქონდა. ერთი მისი საყვარელი ოჯახი იყო, მეგობრები და საზოგადოება, სამსახური, მეორე კი მის მიერვე გამოგონილი, თავშესაფარივით საიმედო ქვეყანა. იქ გრძნობდა თავს თავისუფლად, ლაღადაც კი, რამდენადაც იქ ითქვამდა სულს, ყოველდღიური ერთფეროვნებისგან შეწუხებული“ [5, 344]. ასეთივე განცდა ეუფლება მკითხველსაც, რომელიც ინანიშვილის შემოქმედებას ღრმად სწვდება. შეეფარება იმ სიკეთის მარცვალს, რომელიც სამუდამოდ ჩაიმარხება გონიერი მკითხველის გულში. რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებები სიხარულისა და სიყვარულის ის თესლია, რომელიც ფესვს ღრმად გაიდგამს.

მწერალი ყოველდღიურობითა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობითაც იცნობა. საინტერესოა, რომ ინანიშვილის მოგონებებში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არის აღწერილი შეხვედრა გიორგი ლეონიძესთან, თანაც ეს უბრალო შეხვედრა როდი იყო – ყველაფერი ნამდვილი ქართული სუფრითა და ღვინით დასრულდა. იქვე იგონებს მწერალი იტალიაში მოგზაურობას: 1978 წელს ქართველ ხელოვანთა ჯგუფი ევროპაში გაემგზავრა საბავშვო წიგნის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. მწერალი მოკრძალებულად შენიშნავს, რა მრავალრიცხოვანი იყო ევროპული ლიტერატურა და მის გვერდით რა დარიბულად გამოიყურებოდა ქართული (საბჭოთა კავშირის) მხარე. ამაზე საუბარი არ შეიძლებოდა – ვინ გაბედავდა ასეთი სიმართლისთვის თვალის გასწორებას, მაგრამ ქართული საბავშვო მწერლობა არც მას შემდეგ გამდიდრებულა – ძირითადად ნათარგმნი წიგნები სჭარბობს.

მწერალი ამბობდა, რომ ბავშვებს სიყვარული და სიბრალული პატარაობიდანვე უნდა გავუღვივოთ, რათა მათ სულში სხვა ღირებულებები თავისთავად ჩამოყალიბდეს.

მისი ყველა მოთხრობა ამ მოსაზრების დასტურია. ამასთან, თამაზ კვაჭანტირაძე, თავის სტატიაში „ოცნების მასწავლებელი“ წერდა: „ამ დროს სჭირდება ყმაწვილს ისეთი სულის პური, კეთილშობილური ოცნებით ნაგები კოშკისკენ მიმავალს საგზლად რომ გამოადგება“ [3].

ღალი დათაშვილიც თავის საავტორო წიგნში – რევაზ ინანიშვილი „ქართველი მწერლები სკოლებში“ – რევაზ ინანიშვილის მარტივ თხრობას უსვამს ხაზს: „თავის მსუბუქად თხრობა, მკითხველისათვის სევდისა და არა კაემნის მოგვრა, დამახასიათებელია რევაზ ინანიშვილის სტილისათვის, რაც ქრისტიან მოაზროვნეთა წუთისოფელთან დამოკიდებულებას გვაგონებს...“ [4, 144].

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, როდესაც საბჭოთა კავშირში დიდი რეპრესიები მიმდინარეობს, ქვეყანა კიდევ ერთ მსოფლიო ომში ჩაბმისთვის ემზადება; რიგით მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრება მეტად მძიმეა – გაჭირვება, ეკონომიკური კრიზისი, დემორალიზებული საზოგადოება და დიდ რეპრესიებს შეწირულ ადამიანთა ბედი ყველა მოქალაქეს თან დაყვება. ამ პირობებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც გარდატეხის ასაკს მიუახლოვდნენ და მათ გონებაში სამყაროზე საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესიც დაიწყო, პიროვნებად ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს გზას დაადგნენ. მოცემულ ვითარებაში, თბილისის ერთ-ერთ უბანში მცხოვრები ახალგაზრდები ეჭიდებიან ბავშვურ გულწრფელობას და ამავდროულად კოლიზიაში მოდიან ზრდასრულობის თანმდევ სირცხვილის გრძნობასთან, რომელიც მათი ყოფიერების ანარეკლია.

მისი მცირე ზომის მოთხრობები „დამრიგებელი“ და „შორი თეთრი მწვერვალი“ მოზარდის ყველაზე აქტიური ცხოვრების მომენტებს ასახავს. ესაა სკოლა, საკლასო ოთახი, სადაც მასწავლებელი, როგორც წარმმართველი ძალა, ხშირად მთავარ როლშია. ის სწავლებასთან ერთად აღმზრდელობით გავლენას ახდენს მოზარდზე და ორივე მოთხრობაში მათი სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებებია წარმოჩენილი.

„დამრიგებელში“ თუ მასწავლებელი მოსწავლის უხერხულობას სახეზე კითხულობს და ცდილობს მოსწავლეს ემოციურად მძიმე ეკონომიური მდგომარეობით გამოწვეული განცდა გაუადვილოს, რომელიც სირცხვილითა და დამალვით ვლინდება, „შორი თეთრი მწვერვალი“ პირიქით ხდება – მასწავლებლის უგულო, არაემპათიური დამოკიდებულება მოზარდის სულიერ ტრავმას იწვევს. ნაწარმოებში „დამრიგებელი“ რევაზ ინანიშვილი ფარულად გვანიშნებს „პატარა“ ადამიანების როლზე ჩვენს ცხოვრებაში, რომლებიც ჩვენი თვალთახედვის საზღვრებს აფართოებენ და სამყაროს განსხვავებულად აღქმაში გვეხმარებიან, ხოლო ნაწარმოებში „შორი თეთრი მწვერვალი“ მწერალი აღწერს იმ არასწორ დამოკიდებულებას, რამაც შესაძლოა დააზიანოს მოზარდის ფსიქიკა მასწავლებლის არასწორი ქმედებების მეოხებით. ორივე მოთხრობაში ხაზგასმულია დამრიგებლის და, ზოგადად, მასწავლებლის მნიშვნელოვანი როლი მოზარდის ღირებულებების ჩამოყალიბების საქმეში, რომელიც ზოგჯერ ავად, ზოგჯერ კი სასარგებლოდ ვლინდება.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობები მცირე ზომისაა და, ერთი შეხედვით, არ იძლევა შესასწავლი მასალის განვრცობისა და დაკვირვების შესაძლებლობას, მათში აღწერილი სოციალური გარემოს გათვალისწინებით, ისინი გვაძლევენ საშუალებას ჩა-

ვუღრმავდეთ მათ სტრუქტურას და ბევრი საინტერესო ნიუანსი აღმოვაჩინოთ. ნაწარმოებებში ეპოქის შესაფერისი, სკოლებისა და ოჯახების რეალობაა აღწერილი, ტექსტებში სრულიად აშკარად ჩანს იმ დროინდელი მოსწავლის ყოფითი ცხოვრება.

მოთხრობაში „დამრიგებელი“ მწერალი სიფრთხილით მიაჩვენებს მკითხველს, თუ როგორ შეიძლება მოზარდი, უნებლიედ, უფროსების უყურადღებობით სრულიად დაუცველ გარემოში აღმოჩნდეს. 12 წლის მოზარდი ტყეში მიდის და იქ ემალება რეალობას. ფაქტი, რომელმაც მისი ტყეში წასვლა განაპირობა, იყო სირცხვილი საკუთარი ოჯახური პირობების გამო, მაგრამ ამ ამბავს პერსონაჟი ხსოვნაში შემორჩენილ ღამაზ მოგონებად მოგვითხრობს. ის მოსწავლეობის პერიოდს იხსენებს და ცხადია, რომ დამრიგებლის ქცევამ მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

მწერალი მსუბუქად, მარტივი ენით გვაგებინებს მოზარდის სულში დატრიალებულ ქარბორბალას. „*მე მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, (მერე გავიგე) დამრიგებელი ოცდაშვიდის ყოფილა*“ [1, 134] – იხსენებს პერსონაჟი. ნაწარმოები პირველ პირშია მოთხრობილი და უნებლიედ მწერლის ბიოგრაფიადაც აღიქმება. თუ რეალურად შევხედავთ, ასეთი დამრიგებელი ბევრი სკოლის პროტოტიპად შეიძლება ჩავთვალოთ. მოზარდის მიერ ჩადენილ მცირე დანაშაულს (გაკვეთილების გაცდენას), საბჭოთა ოჯახი ტიპური, დამკვიდრებული რეაქციით პასუხობდა: „*გადარეული იყო ბებიას; ხმადაბლა, მაგრამ ცუდად მწყევლიდა დედა – მე ქვასავით ვღუმი*“ [1, 132] და მოზარდიც ჩვეული დუმილით იცავს თავს.

საბჭოთა სკოლა, ჟურნალი, საკლასო ოთახი, თითო სიტყვა ნათლად და ცოცხლად გადმოსცემს, როგორც საკლასო ოთახის აღწერილობას, ასევე მთელ სასკოლო ცხოვრებას. ეს ხდება პატარა ნოველაში, სადაც ყველაფერი გასაგებია. მოთხრობა „დამრიგებელი“ ნარატიულია, მოხრობელიცა და ავტორიც ერთი და იგივე პირია. იგი რეტროსპექტიულად მოგვითხრობს განცდილ ამბავს, მართალია, მოქმედების სივრცე მცირე რაოდენობითაა გადმოცემული, მაგრამ განმცდელის სივრცე იმდენად მძაფრია, რომ გაერცობის საჭიროება აღარ არის. დამრიგებლის საცხოვრებელიდან, რომელიც მოზარდის ბინასთან შედარებით ბევრად პატარა იყო, დაბრუნებული მოზარდის გრძნობა მძაფრი განცდითა და გულწრფელი ცრემლით არის გადმოცემული. იმ წამშივე ხდება მისი ტრანსფორმირება, რეალურ ცხოვრებასთან მოულოდნელი შეჩეხებით: „*წამოვედი. ვაშლის ჭამა არ მინდოდა. მერე მაინც ფრთხილად ჩაკეტიხე. თავს ვიკავებდი, მაგრამ ერთი მწარე ცრემლი მაინც მოვიწმინდე მაჯით*“ [1, 133]. მოზარდმა ზუსტად გაიგო, თუ რატომ გააგზავნა დამრიგებელმა მის ბინაში ბიდონის მისატანად, მოთხრობის დასასრულს ამბობს კიდევ: „*იმ დღიდან დამრიგებელი ძალიან შემეყვარდა*“ [1, 133].

მცირე ზომისაა მოთხრობა „შორი თეთრი მწვერვალიც“. აქაც სასკოლი ნარატივია ისევე, როგორც „დამრიგებელში“, თუმცა აქ მწერალი ამბავს მესამე პირში მოგვითხრობს. მოთხრობა იმდენად მცირე ზომისაა, დაწყებული არ გაქვს რომ მთავრდება, ამიტომაც მკითხველს უკმარისობის განცდა ეუფლება.

ეს პატარა მოთხრობა ბუნების აღწერით იწყება, მოქმედება სოფელში ხდება, მოთხრობაში აღწერილია სხვადასხვა სახეობის მცენარეები... შედარებები ისე ხატონადაა მორგებული მოთხრობის სიუჟეტს, რომ მოლოდინებით განაბული მკითხველი, თითქოს, იქაა და თავისი თვალთ ხედავს ყველაფერს; ხედავს გულაბების ფიქრიან

ტოტებს, რომლებსაც ჩხართვები ესევიან და ხედავს იმ გულაბების უკან, გაქუცულ სერზე თუ როგორი „არქაული სიმშვიდით დაფამფალებენ ჭუჭყიანი, მატყლში ძურწა-ჩაკრული ცხვრები“ და ხედავს როგორია „რიყეში ჩაკარგული იორი, იორს იქით, გორაზე – უჯარმა და მუხროვანი, ქვემოთ – მუდანლო – თათრების სოფელი, – იმის ქვემოთ – სართიჭალა, იმის ქვემოთ – სასიანო, თეთრქვა, ქოჩორა... დასცქერი მაღლიდან და ასე გგონია, ამოდენა მიდამოს ბატონ-პატრონი შენ ხარ, გაიქნევ ხელს და ჯადოქარივით შენს ნებაზე აამოძრავებ ყველაფერს“ [2, 3-4] – აი, ასე დასცქერის მკითხველი ყველაფერს მწერალთან ერთად სერზე შემდგარი. მკითხველს კითხვა გებადება, ნეტავ, რა უნდა მოხდეს საინტერესო, რომ ეს პატარა მოთხრობა შინაარსს შეიძენს ასე მოკლე დროში, ასე პატარა გვერდებზე; მიჰყვები სიტყვებს, წინადადებებს, მიჰყვები ავტორს და მასთან ერთად იქნევ ჯოხს, ხელს წაავლებ ჩხველეთა წიწვებიან ტოტს და ღვინის სუნს იგრძნობ, თითქოს, აღწერთ შთაგონებულს. „იღლიაში სახრეამოჩრილ ბიჭებს ჯიბეები ზღმარტლით აქვთ სავსე, თან რაღაცას მოლაპარაკობენ და თან იმ ზღმარტლს ჭამენ. შეხვდები, გამოგლიძებენ და მეგობრობის ნიშნად გვერდულად შემოგიდრენენ: „პა, ვერან!“ თანაც ზღმარტლს გამოგიწვდიან: „აჰა, ჭამე“ [2, 4] – და აჰა, ამ პატარა მოთხრობის გმირებს სახელიც კი არ აქვთ... არ აქვს სახელი მთავარ პერსონაჟ ბიჭს, რომელიც შემთხვევით, თითქოს, სრულიად არსაიდან შემოდის თხრობაში. ბიჭი საგანგებოდ ამ მწვერვალის დასანახავად ამოდის ხოლმე (თან წაღლი მოაქვს, თითქოს, ფინსზე ან წნელზე იყოს წამოსული).

„დგას და გაჰყურებს გულისცემით. ასე რომ ვედარ უძლებს, ჯდება, ზოგჯერ წვება კიდევ და ხან თვალებგადიდებული იყურება, ხან თვალებმოჭუტული. ჯიბეში ვაშლები აქვს, ამოიღებს და მაღიანად ჩაკბენს...“ [2, 5]. თხრობა უეცრად საკლასო ოთახში გრძელდება – „არ გესმის, შინდელაშვილო?!“ დაუძახებს მასწავლებელი: „გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება“ [2, 6]. ბიჭი წამოდგება, ხელს მერხის კალთების ქვეშ ამოაწვობს, თვალში ისევ გაურკვეველობის ბურუსი აქვს ჩადგმული.

„– ვაი, შენს პატრონს, უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგვზავნა შენც!“ – ზიზღით იტყვის მასწავლებელი და მაგიდიდან ბლოკნოტ აიღებს, სადაც წითელი კალმით რაღაცას ჩაინიშნავს. „– გაიკარ ორიანი, ბიჭო?!“ [2, 6]. კახურ კილოზე გადმოსძახებს უკანა მერხიდან ყველაზე დიდი ზომის კლასელი, კლასი ახარხარდება, მასწავლებელი მათ აჩუმებს. ბიჭი, რომლის გვარიც შინდელაშვილია, თავს ჩაღუნავს და ნერვიულობისგან ქვედა ტუჩს კენეტას დაუწყებს. მის გვერდით მჯდარი კლასელი გოგონა შეამჩნევს, რომ ბიჭს ხელები უკანკალებს. უეცრად კი ქუჩაში ტრამვაის ბუგელი კაშკაშა, ბრაზიან ცეცხლს გაუჩენს მავთულს.

ბიჭი, მასწავლებელი, კლასი და გოგონა – პერსონაჟები. თითქოს ბიჭის მხარეს არავინ დგას, არავის უნდა მისი თანაგრძნობა, მისი გაგება. მხოლოდ ბუნებაშია ის თავისუფალი და ბედნიერი. მის თანატოლებსა და უფროსებში, რომელთა სახე-ხატსაც მასწავლებელი წარმოადგენს, ის დაცინვის ობიექტია, რადგან სხვებს არ ჰგავს, რადგან სურს ის, რაც სხვებს ავიწყდებათ, რადგან ენატრება ის, რაც სხვებს აღარ უნდათ; ერთადერთი კლასელი გოგონას მზერა რჩება მისადმი თანაგრძნობის სიმბოლოდ – გოგონა და მავთულზე მიბმული ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია.

მოთხრობის დაწერის თარიღი უცნობია. ბევრი ფიქრი არ სჭირდება იმას, რომ ამ-ბავი საბჭოთა კავშირის წყობის პერიოდში მიმდინარეობს. ტიპური მასწავლებლის სა-ხეც ამას განაპირობებს – ცივი, შეუბრალებელი და ზედმეტად მკაცრი. ეს არის ოდა თავისუფლებასა და ბუნების სიყვარულზე, მასთან განშორების სევდაზე, რომელიც პა-ტარა ბავშვშიც კი ბუდობს.

ორივე მოთხრობის ორივე პერსონაჟი მოზარდი ბიჭია. მათ განსხვავებულ პედა-გოგიური მიდგომების პირობებში სრულიად „მარტო“ უწევთ ყოფნა, მაგრამ ორივეს სუფთა გული, ძლიერი მგრძობელობა და დიდი ემოცია აქვთ. ძლიერი განცდისგან ერ-თი მაჯით ცრემლს იწმენდს, მეორე კი – ტუნს იკვნეტს. მათი სახეები მკითხველის გო-ნებაში მკაფიოდ, ფოტოპორტრეტივით ისახება. სწორედ მათი სახე გამოხატავს სკო-ლის ინანიშვილისეულ კონცეფციას და კითხვას – თუ რატომ ისწავლება რევაზ ინა-ნიშვილის ამდენი მოთხრობა სკოლაში – ზუსტად სცემს პასუხს. და მაინც, რატომ?! იმიტომ, რომ მწერალი ბავშვის, მოზარდის აღზრდის საოცარ მეთოდს გვთავაზობს, ის თავის მოთხრობებში გადმოსცემს იმ მაგალითებს, რაც მრავალფეროვანი ბუნებით, ცხოვრებისეული და ადამიანური გამოცდილებით, გვაძლევს ფორმულას, თუ როგორ უნდა ვიურთიუერთოთ მოზარდებთან.

ლიტერატურათმცოდნეები მწერლის შემოქმედებას „სულის პურს“, „სულის ქუ-რაში“ გამოწრთობილს უწოდებენ. მისი ხელისგულისოდენა მოთხრობები, თითქოს, თვალს გვიხელს და ჯადოსნური სიცხადით გვიჩვენებს ჩვენი სამშობლოს ავ-კარგიან ცხოვრებას, გვაძლავს ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნეველ ღირიკულ სამყა-როში და იქ ყოფნით ბედნიერ წუთებს გვჩვენებს. თავად წერდა: „ჩემი ნაწერები ნამცე-ცებად გაბნეული სიკეთის ამოკენკვის ცდაა“ [6]. მან მართლაც ნამცეცებად გაბნეუ-ლი სიკეთეები შეაგროვა და ეს საგანძური შთამომავლობას სამარადქამოდ დაუტოვა.

ინანიშვილის სკოლის კონცეფცია, ამომწურავად წარმოაჩენს სასკოლო, საგანმა-ნათლებლო ცხოვრების თეთრსა და შავ ფერებს. ცხოვრების ამ გზას ყველა ადამიანი გადის, თუმცა – სხვადასხვაგვარად. გადალახული დაბრკოლებები, სამწუხაროდ, ზო-გისთვის ტრავმულ მესხიერებად იღეჭება, ზოგისთვის კი ღამაზე მოგონებად რჩება. ცხოვრების ამ გზაზე, ანუ მოზარდობისას ურთიერთობა პედაგოგებთან, დამრიგებ-ლებთან, აღმზრდელებთან გვიწევს, რომლებიც ხშირად, ზოგჯერ თავისდა უნებურად, ხდებიან ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელები. ამ უკანასკნელთათვის კი ეს მოთხრობე-ბი საჩვენებელი მაგალითებია, გააკეთილებია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ან/და რო-გორ არ უნდა მოიქცნენ სკოლის მოსწავლესთან.

ლიტერატურა:

1. ინანიშვილი რ., წიხვილი ქალაქის გარეუბანში მოთხრობების კრებული, ტ. 5, გა-მომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2012;
2. ინანიშვილი რ., შორი თეთრი მწვერვალი, მოთხრობების კრებული, ტ. 3, გამომცემ-ლობა „პალიტრა L“, თბ., 2012;
3. კვაჭანტირაძე თ., განსჯანი, გამომცემლობა „თბილისი“, თბ., 2021;
4. დათაშვილი ლ., რევაზ ინანიშვილის „ქართველი მწერლები სკოლებში“, გამომცემ-ლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2010;

5. ჭილაძე თ., უკვდავების ათინათი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2014;
6. სიკეთის ნამცეცები, კვირის პალიტრა.
<https://kvirispalitra.ge/article/4273-sikethis-namcecebi/>.

Tsitsino Antadze
Conception of the School According to Novels – "Tutor" And
"Far Away White Pick" of Revaz Inanishvili
Summary

Revaz Inanishvili is a writer who can make a reader very emotional, make them laugh or cry with his novels, or make them think about the subject, and more importantly, he gives readers the possibility to judge and continue thinking about their existence.

His work is dedicated not only to children but also to adults. His small novels, such as "Damrigebeli" and "Far away white pick" shows the most important moments of teenagers' life.

There is a reality of school, family, and personal life, which is described as it should be according to the time. The novels show the everyday life of the pupils. In both of these novels, the main character is a teenage boy.

Those two boys are facing everyday life but the teaching methods of the teachers are different. However, they still have their kind heart, strong empathy, and big emotions.

Those two boys are the icons of Inanishvili's concept of school and also answer the question: why there are so many novels being taught by Revaz Inanishvili in schools?

And still why? Because the writer suggests us some great ways to teach children and he samples the subjects in his novels, which he already knew because of his life experience. He shows us a formula for how to communicate or how not to communicate with teenagers.

Цицино Антадзе
Концепция школы в рассказах Резо Инанишвили «Классный руководитель»
и «Дальняя белая вершина»
Резюме

Реваз Инанишвили – писатель, который своими небольшими произведениями может потрясти самые тёмные уголки человеческих чувств, заставить читателя смеяться и горько плакать, или оставить место для размышлений, чтобы он сам мог судить и решать: в чём главная миссия человека в его земном существовании. Его работы предназначены как для детей, так и для взрослых.

В его малых рассказах «Классный руководитель» и «Дальняя белая вершина» запечатлены самые активные моменты жизни подростка. В произведениях описывается подходящая эпохе реальность школ и семей. В текстах отчётливо видна бытовая жизнь школьника того времени.

В обоих произведениях оба персонажа – мальчики – подростки. В условиях разных педагогических подходов, им приходится быть совершенно «одними», но у них чистое сердце, сильная чувствительность и большая эмоциональность. Именно эти лица выражают

концепцию Инанишвили о школе и дают точный ответ на вопрос – почему именно в школе преподаётся так много рассказов Реваза Инанишвили. И всё же почему? А потому что писатель для воспитания ребёнка, подростка предлагает нам удивительную методику воспитания. Он передаёт в своих рассказах те примеры, которые своей разнообразной натурой, жизненным и человеческим опытом дают нам формулу, как нужно и как нельзя быть в отношениях с подростками.

ქეთევან ყველიაშვილი
(საქართველო)

ქართული მონუმენტული მინიატურა
(ნიკო ლორთქიფანიძისა და ბასილ მელიქიშვილის
შემოქმედების მაგალითზე)

როსტომ ჩეიძის რედაქტორობით გამოცემულ ქრესტომათიულ კრებულში „ქართული მინიატურული პროზა“ (1992) მინიატურად გააზრებულია მხატვრული ტექსტები ვაჟა-ფშაველასი, ეკატერინე გაბაშვილისა, ვასილ ბარნოვისა, დავით კლდიაშვილისა, შიო არაგვისპირელისა, ანდრია დეკანოზიშვილისა, იროდიონ ვედოშვილისა, შალვა დადიანისა, ჭოლა ლომთათიძისა, ნიკო ლორთქიფანიძისა, გრიგოლ რობაქიძისა, ჯაჯუ ჯორჯიკიასი, დავით თურდოსპირელისა, ვალერიან გაფრინდაშვილისა, აკაკი პაპავასი, დია ჩიანელისა, კონსტანტინე გამსახურდიასი, პაოლო იაშვილისა, გალაკტიონ ტაბიძისა, პოლიკარპე კაკაბაძისა, სერგო კლდიაშვილისა, მიხეილ ბოჭორიშვილისა, სანდრო ცირეკიძისა, ტიციან ტაბიძისა, ნიკოლო მიწიშვილისა, ტერენტი გრანელისა, გიორგი ლეონიძისა, „მთის ნიავისა“, ბასილ მელიქიშვილისა, ნიკო სამადაშვილისა, ლადო ბაღიაურისა, გიორგი შატბერაშვილისა, რევაზ ინანიშვილისა, ედიშერ ყიფიანისა, შოთა ჩანტლაძისა, გურამ რჩეულიშვილისა, მერაბ კოსტავასი.

მოდერნისტულ ლიტერატურაში, ზემოთ ჩამოთვლილ გამორჩეულ ქართველ მწერალთა პარალელურად, მინიატურის საუკეთესო ნიმუშები შექმნა ნიკო ლორთქიფანიძემ, ასევე – შედარებით ნაკლებად გახმაურებულმა ავტორმა – ბასილ მელიქიშვილმა, რომელთა ტექსტების რეფლექსია-რეცეფციებზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გავამახვილებთ ყურადღებას, რათა მინიატურის ჟანრისადმი ქართული კრიტიკის მიმართება წარმოვაჩინოთ (ლაპიდარული ესკიზის სახით).

ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სამყარო მრავალ ავტორიტეტულ ლიტერატურათმცოდნეს უკვლევია (გ. ასათიანი, ბ. ბარდაველიძე, ა. გაწერელია, გ. აბრამიშვილი, გ. ბეჟანიშვილი, ბ. ჟღენტი, დამბაშიძე, ს. ცაიშვილი, ა. მირიანაშვილი, ვ. ცისკარიძე, ა. ნიკოლეიშვილი, ს. ჭილაია, მ. ჯოსაძე, მ. ჯალიაშვილი...).

რაფინირებული, დახვეწილი შემოქმედის მინიმალისტურ სტილთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ოციან წლებში წერდა კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძეს „კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მწერალი ისე მომჭირნედ უნდა ხარჯავდეს სიტყვას, როგორც ძუნწი – ოქროს, რადგან სიტყვაა ჩვენი სიმდიდრე, ტონისა და ფერის ეკვივალენტი“ [1, 152].

მწერლის მინიმალისტურ მონასმებს მიაპყრობს ყურადღებას სერგი ჭილაია და გამოთქვამს უადრესად საინტერესო მოსაზრებას, რომ იმპრესიონისტ ავტორს „ერთი გარკვეული წერის მანერა აქვს რომანსა და მინიატურაში“ (*ხაზი ჩვენია – ქყ.*) [9, 323].

მკვლევარი მონოგრაფიაში „ოცწლეული. 1921-1940: წლები და პრობლემები“ მოცულობით სივრცეს უთმობს ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების ანალიზს. იმპრესიონისტს კრიტიკოსი „*ელექტრონის და სინქარის ნამდვილ შვილად*“ ნათლავს და, იმოწმებს რა სანდრო ცირეკიძის წერილს, დაბეჭდილს „*მეოცნებე ნიამორების*“ 1919 წლის

პირველ ნომერში, ლორთქიფანიძის მხატვრულ სტილს ადარებს ფრანგი მოდერნისტი მხატვრის – ტულუზ-ლოტრეკისა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართველმა მოდერნისტებმა ევროპულ მიმდინარეობებს ქართული ნიადაგი მოუძებნეს, გააქართულეს.

ამავე ასპექტს გამოკვეთს ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების კონცეპტუალურ თავისებურებად მაკა ჯოხაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ იმპრესიონისტები: ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, არტურ შნიცლერი, პეტერ ალტენბერგი აუჯანყდნენ ცხოვრებისეულ დრამებს, უარი თქვეს ფაქტების, მოვლენების შემოქმედებით კვლევაზე და განიზრახეს მხატვრული მზერით მომენტის, ჩქამის, წარმავლობის დაჭერა. ხაზგასმულია დასახელებულ მწერალთა ინტერესი მცირე ფორმებისადმი, ჩამოთვლილთაგან თითოეულს არცთუ უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის გერმანულენოვანი მინიატურის განვითარებაში. ლიტერატურათმცოდნის დაკვირვებით, „რა თვალისმომჭრელი ელვარებითაც არ უნდა ბრწყინავდეს მათი პროზაული ესკიზები, მინიატურები, ნოველები, მათი მგრძობელობა, მეტწილად, ძვირფასი თვლების სიცივეს ასხივებს, ნიკო ლორთქიფანიძესთან კი აბსოლუტურად განსხვავებული რამ ხდება – მწერალი სულის დეკემური სტილით, კოდებით, მინიშნებებით, ლექსიკური მომჭირნეობით, სიძუნწით, ლაკონიურობით ქართველი იმპრესიონისტი, მართლაც, ჰგავს თავის ავსტრიელ ძმებს, მაგრამ „თავისი ქართული, ღრმადეროვნული სატკივრის გამო არ შეუძლია სიტყვებით ჟონგლიორობა“ [11, 227].

სერგი ჭილაია საგანგებოდ აქცენტირებს ფაქტს, რომ ქართველ მოდერნისტთა არსებაში მძლავრად სცემდა ეროვნული ძარღვი. მათ ისევე აქციეს ეროვნულ ლიტერატურულ მოვლენად სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, როგორც ქართველმა კლასიკოსებმა – სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, სცადეს რუსთველის, სულხან-საბას, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის სატკივრისათვის *ახალი მოდელი (სინტაგმა კრიტიკოსისეულია – ქყ)* მოერგოთ, ფორმალისტური ძიებებით, იქნებ, კიდევ დაუპირისპირდნენ ილიასა და აკაკის მოქალაქეობრივ პოზიციას, საგანგებოდ აქცენტირებს ლიტერატურათმცოდნე და გვთავაზობს საგულისხმო თვალსაზრისს – მოდერნისტთა „ცდა ნოვატორობის გამარჯვებით იქ მთავრდება, სადაც მოდერნიზმს კოსმოპოლიტური ჩენხო და უცხო იდეური სახე მოაშორეს. ეს მხოლოდ რჩეულებმა შეძლეს“ [9, 323].

ნიკო ლორთქიფანიძე მკვლევარს სავსებით დამსახურებულად მიაჩნია სწორედ ასეთ რჩეულად და თავადვე აღნიშნავს ამ რჩეულობის უარსებითეს ასპექტს – სიტყვიერი მომჭირნეობის კულტურას, მოსაბეზრებელი აღწერის ჩანაცვლებას ფსიქოლოგიური ხატვით, მზის დაბნელებასავით ერთხელ ნანახის (*მეტაფორა მკვლევრისეულია – ქყ*), შემთხვევით შენახვედრის, ყურმოკრული ხმების, წუთიერი შთაბეჭდილებების ფიქსირებით.

ლიტერატურათმცოდნეს საგანგებოდ მოჰყავს ამონარიდი ნიკო ლორთქიფანიძის ლირიკული ინტერმეცოდან, სადაც მწერალი საგანგებოდ უსვამს ხაზს საკუთარი ნარატივის ფრაგმენტულობას, ლაპიდარულობას, ლაკონიურობას, მიმართავს რა მკითხველს: „მე *სხვადასხვა სურათს (იგულისხმება მინიატურა – ლაპიდარული მონასში – ქყ)* მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია.

მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის“ [13, 28].

ლიტერატურათმცოდნე აქცენტირებს, რომ მოდერნისტი მცირე ფორმას (ეტიუდს, ესკიზს, სურათს, მინიატურას) ერთიანი სიუჟეტის გამორიცხვით, ესთეტიზებული, პლასტიკურ დეტალებზე, ფრაგმენტებზე აგებს, არისტოკრატიულად მიიჩნევს ესკიზ-მინიატურათა ერთ დაწერილ იმპრესიონისტულ პროზას, მინიატურა-ესკიზი ანაცვლებსო დაშლილ კლასიკურ სიუჟეტს და ხაზს უსვამს მწერლის სტილის უარსებითეს თავისებურებას – ღრმა ჰუმანიზმის, ფსიქოლოგიზმის შერწყმას უდახვეწილეს, უფაქიხეს იუმორთან, აზრის გამოხატვას ქვეტექსტებით, მინიშნებებით, აზრობრივი სიმკვრივით, შინაარსობრივი სიმსუბუქით, მკაცრად რეგლამენტირებულ ფორმას რომ მოითხოვდა, რამაც განსაზღვრა მწერლური სტიქიის გამოვლენა არა მოცულობით, არამედ – მცირე ფორმებში. კრიტიკოსი გეთავაზობს მწერლის სტილის საკუთარ დეფინიციას – *აბზაცებად დატეხილი ესკიზები*.

სწორედ ასე ამოიხატავდნენ ცალკეულ სურათებს ფრანგი იმპრესიონისტები (გავიმეორებთ მრავალთაგან ერთის – ზემოთ დასახელებული ტულუზ-ლოტრეკის სახელს, რომ არაფერი ვთქვათ მონეს, მანეს, რენუარის... იმპრესიონისტულ შედეგებზე).

ლეო ქიჩელიც, თავადაც დიდოსტატი ე.წ. *მცირე პროზისა (გურამ გვერდწითელი „მარგალიტებად“ ნათლავს „ჰაკი აძბას“, „თავადის ქალ მაიას“, „აღმსვირ კიბულანს“ – ქყ)*, ნიკო ლორთქიფანიძის სტილის ანალიზისას, სვამს კითხვას, რა ახასიათებდა ნიშანდობრივად ლორთქიფანიძის ნოველებსა და მინიატურებს და თავადვე უპასუხებს, რომ: „შინაარსის მხრივ, ისინი შეიცავენ ავტორის სულიერ განწყობილებასა და ემოციებს, ფორმის მხრივ კი – ახასიათებთ აზრისა და სიტყვის ნიუანსი, დახვეწილ, ესთეტიზირებულ დეტალებზე აგებული ლირიკულ-იმპრესიონისტული სტილი, კომპოზიციურად – ლექსისმაგვარი აღნაგობა“ [7, 264].

საგანგებოდ შევჩერდებით ციტატის ფინალურ სინტაგმაზე – *ლექსისმაგვარი აღნაგობა*. მკვლევარი ხაზგასმით წარმოაჩენს ნიკო ლორთქიფანიძის ერთგულებას ჯერ კიდევ ბოდლერის მიერ დეფინირებული ჟანრისადმი – მინიატურისადმი, რომელსაც ფრანგმა სიმბოლისტმა მოხდენილი სახელი – „ლექსები პროზად“ უწოდა.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურებზე საინტერესოდ მსჯელობს სარგის ცაიშვილი, რომელიც უახლესი ქართული ლიტერატურის მიჯნად მეოცე საუკუნის ათიან წლებს დებს, როდესაც ასპარეზზე გამოდის მწერლის ახალი, განსხვავებული ტიპი – ევროპულ კულტურას ნაზიარები, ფართო მასშტაბის სააზროვნო ამოცანებს შეჭიდებული თაობა, მიზნად დამსახველი მხატვრული სიტყვის ტოტალური განახლებისა. ნიკო ლორთქიფანიძეს ს. ცაიშვილი ამ დიადი მოძრაობის სათავეებთან მდგარ შემოქმედად იხსენიებს, ავტორად, რომლის თითოეულ ტექსტს მხატვრული ოსტატობის ნიმუშად მიიჩნევს და ჟანრს განსაზღვრავს, როგორც *პოეტურ პროზას*.

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მწერალი მინაველული წარსულის ხატვის დიდოსტატია, ჩურჩულით ნათქვამი სიტყვის ფასის მცოდნე: „როგორი მკაცრი სელექციით ექცეოდა იგი სიტყვას, სისადავისა და უბრალოების რა სიმალდეებს სწვდებოდა! „ყეფდა ძაღლი, ამოდიოდა კვამლი და იყო პატარა ოჯახი“ – რამდენი ინტიმია ამ სამიოდე ლაკონიურ ფრაზაში! დიდი ლირიზმით დამუხტული *მინიატურები* თუ მცირე მოთხრობები

ნიკო ლორთქიფანიძის თანამედროვე ქართული პროზის უპირველესი ნიმუშებია არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ – მხატვრული ღირსებითაც [8, 348].

უკანასკნელი ფრაზა არ აღიქმება გადაჭარბებულ შეფასებად. ნიკო ლორთქიფანიძე, ქრონოლოგიურადაც და მხატვრული ღირსებებითაც, უახლესი ქართული პროზის გამორჩეულ მესაძირკვლეთაგანია, რის დასტურადაც, ალბათ, იკმარება თუნდაც კლასიკური, ქრესტომათიული მინიატურების – „გულისა“ და „საქართველო იყიდებას“ გადაკითხვა. „გულის“ ანალიზისას სარგის ცაიშვილი წერს, „უსაგნოდ იფერფლება სამშობლოს მიღმა დარჩენილი კაცის გული“ [8, 349], „საქართველო იყიდებას“ კონცეფციის განხილვისას კი, სერგი ჭილაია იმოწმებს თავად მწერლის მიერ გახეთ „ნიშადურის“ 49-ე ნომერში 1908 წელს მოყვანილ ციტატას გერმანელი ავტორისა (*დაუკონკრეტებლად – ქყ.*), „მე ჩემი სამშობლოს ავადობით ვარ ავად, მორჩება ის და მეც მოვრჩები“, თავის მხრივ კი, ლორთქიფანიძე დასძენს: „განა ყოველი ჩვენგანი არ განიცდის სხვადასხვა ძალით და სიღრმით ამავე ავადმყოფობას?! ხელიდან გვეცლება მიწა, იკარგება ენა, თავს გვენგრევა ციხე-ტაძარი... სული დაკნინდა. სული აშენებს ციხესიმაგრეს, სული ქმნის ენას, სული იძენს და აპოხიერებს მიწას. ეს სული დაიკარგა“ [9, 327], „ჩემს მწუხარებას შემოდგომის ცაც კი ვერ გამოიტირებდაო“, მოჰყავს მკვლევარს მწერლის ციტატა ესეს სხვა პასაჟში.

ლიტერატურათმცოდნე აღნიშნავს, რომ საყოველთაოდ ცნობილი, ქრესტომათიული მინიატურების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „რიტმული პროზით, გაღეჟილი თხრობით“ (*ეგლავ მინიშნება მინიატურის ნაზავ – ერთდროულად, პოეტურ-პროზაულ ბუნებაზე (ქყ.)*) წარმოდგენილი კონტრაპუნქტი – „დავით აღმაშენებელი“, რომლის გასრულებაც მწერალმა ვერ მოასწრო და წარმოდგენილია ათ ესკიზ-მინიატურად.

დავიმოწმებთ რამდენიმე ესკიზ-მინიატურის კონცეფციას.

პირველ ესკიზ-მინიატურაში წარმოდგენილია დავითის მიერ გაერთიანებული (!) საქართველოს ბუნება – მთები, გორაკები, თვალუწვდენელი მუხა, წაბლი, ძელქვა, რცხილა, ურთხელი და, აქა-იქ, ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის ეპოქის ნაშთი – გავლურებული ლეღვი, მალღარი ვენახი...

მეორე მინიატურაში დავითი ჰყვება ზღაპარს – „მყინვარის ამბავს“ – მტერს უპყრია სიონი (*შდრ.: ტიცვიანის კონცეპტუალურ ლექსში ფიქსირებული: „სიონში მღერიან ქონდრისკაცები არ შინ-მაღალად“ („ცხენი ანგელოსით“)* – ქყ), არ გუგუნებს ზარი, აღარც გალობა ისმის. დამწუხრებული ბერი მთას მიაშურებს, რათა ერისა და მეფისათვის ილოცოს. უფალი შეისმენს ბერის ვედრებას და დელგმა მოზღვავებულ მტერს წაღეკავს, ბერი კი გაიყინება. ამ ადგილს ხალხი *მყინვარს* უწოდებს. როცა სიონი აღდგება, მყინვარიც დადნება. ყრმა მეფე ეტყვის ძიძას, მე ავხსნი ამ საღტესო. ძიძაც სიყვარულით მიუგებს, შენთვის ღოცულობს მთელი ერიო.

მორიგ ესკიზ-მინიატურაში ილანდება ურჯულთაგან გათავისუფლებული, ხარაჩოებში ჩასმული საქართველო – აღმაშენებელს თითქოს ნაძლევი ჰქონდეს დადებული, ყოველ უდაბნოში მონასტერი, ყოველ გორაკზე – ეკლესია აავოს...

უკანასკნელ მინიატურაში აღმაშენებლის ცხედარს ბზის კუბოთი შეასვენებენ გელათში. გოდებს ერი – ემშვიდობება სიმშვიდეს, კაცთ გაკითხვას, ბედნიერებას, აღ-

დგომას ქვეყნისას... მინიატურა მთავრდება დიდებული, ანტიციპაციური ფრაზით: „საქართველოს ცა ტიროდა, მიწა ძაძით იმოსებოდა, იმედი ჯერ არავის ჩასახვოდა, რომ სადღაც ქანდაკდებოდა დიდი თამარი“ [9, 373].

ანდრო მირიანაშვილი აღნიშნავდა, რომ ნიკო ლორთქიფანიძე არასოდეს მიჰკედლებია არც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას, არასოდეს დაუწერია ესთეტიკური ტრაქტატები, არც საკუთარი ნაწარმოებებისათვის გაუკეთებია კომენტარი, არც სხვისი ტექსტები გაუხდია მსჯელობის საგნად. მწერლის შემოქმედებაში ხაზგასმულია მწერლის მინიმალისტური ბუნება და ადამიანისადმი განსაკუთრებული ინტერესი, რაც მინიმალისტურსავე მხატვრულ ტექსტებში აირეკლა [3, 68].

ლორთქიფანიძის მინიატურების დიდებული სამყაროს გასაღებად აკაკი გაწერელია მიიხნევს მინიატურას „ეს იყო ძველად“. ტექსტის ჟანრად თავად მწერალი „ლეგენდას“ განსაზღვრავს. ლეგენდა-მინიატურაში ფიქსირებული „წვევლაკრულიანი საკითხავი“ იმდენად ყავლგაუსვლელი და აქტუალურია, ტექსტს სრულად მოვიყვანთ, რათა წარმოვაჩინოთ არა მხოლოდ უზუსტესი ხედვა წარსულისა, არამედ – მწერლის ანტიციპაციური უნარი.

ბეჟან ბარდაველიძე ნიკო ლორთქიფანიძესა და დავით კლდიაშვილს ქართულ ლიტერატურაში „იმერეთის მითის“ შემქმნელებად სახელსდებდა – „იმერი – ზოგან წითელი, ზოგან – ალისფერი, ზოგან ყვითელი“ ფრიადი საქართველოს გადმოსახედია მწერლისათვის. პაოლო იაშვილიც სწერდა ლექს-მიძღვნაში დიდ მწერალს – „საყდარში არავის ელი, დარჩება ლოცვა გაუმართველი, ხარ დიდებული ქუთაისელი და შენ ბრძანდები დიდი ქართველიო“ [2, 416].

მინიატურის სათაური – „ეს იყო ძველად“ – ტრაგიკულ-გროტესკულია და, გავიმეორებთ, თანაბრად მიემართება საქართველოს წარსულსაც, აწმყოსაც, მერმისსაც – დროის სამივე ჰიპოსტასს, იქნებ, მწერლის თანადროულ ეპოქას – ყველაზე მეტადაც: „შემოდგომა ზე, სიკვდილის წინ, აირევა ბუნება, ქარი აზუზუნდება, აქ აიღებს კორიანტელს, იქ მიაყრის, ყავარს ხეზე გადებს, ხის ფოთოლს მაგიდას დააყრის, ისლი წყაროს ფარავს, წყლით ივსება აივანი. ასეთ წამს, რა მახვილი თვალიც არ იყოს, ვერ გაივებს, რა ვის ეკუთვნის, რა საიდან არის მოტანილი. ასე იყო მაშინ საქართველოშიც – არავინ იცოდა, როცა ეხვეოდა მეორეს, ხვალ საწამლავს მიაწოდებდა თუ ხანჯალს ჩაჰკრავდა. ყოველ კუთხეს, მეტი თუ არა, ორი მეფე ჰყავდა, ოთხი-ხუთი მთავარი, ათი-თორმეტი მოურავი, გამგე და სარდალი. ერთ მეფეს ნიშნავდა ყენი, მეორეს – ხვანთქარი (ტარნსლიტერაცია ავტორისეულია - ქყ), მესამე რომელიმე მათგანის მიერ აღრე იყო დანიშნული. მეოთხეს შთამომავლობით ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა ტახტზე. დიდებულითა მიერ კახეთში მიწვეულს იმერეთში ჰქონდა უფლება, კანონიერ მეფედ ყოფილიყო, მაგრამ სამღვდელოება ეწინააღმდეგებოდა. მეფის მიერ დანიშნულ სარდალს არ ემორჩილებოდა ყენის მიერ დანიშნული ათასისთავი, ხვანთქარის მიერ მდივანბეგად გამოვ ხაენილი ცდილობდა, საერისთავო ხელში ჩაეგდო, გურიელი ქართლის მეფესთან დებდა ხელ შეკრულებას, ქართლის დიდებულები – ყენის სარდალთან.

ვინ იყო მართალი, არავინ იცოდა. ტყუილია, თითქოს ყველა თავისკენ იზიდებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო, ნათლად გამოერკვია კაცს, როგორ მოქცეულიყო – ხში-

რად რაც ღალატს ჰგავდა, სწორედ მამულის ბედნიერებისათვის იყო ნამოქმედარი“ („ეს იყო ძველად“).

„ვინ იყო მართალი?!“ იმპრესიონისტის რიტორიკულ კითხვას ლაპიდარული პასუხი გაესმის ოთარ ჩხეიძის კონცეპტუალურ, ქრესტომათიულ „ბორიაცში“ – „გმირობის დრო ყოველთვისაა. გმირები არ არიან ყოველთვის“.

ლაპიდარული მონასმებით იხატება მარადიული „ქართლის ჭირი“ თუ „ბედი ქართლისა“. ზემოთ ციტირებული მინიატურული ტექსტით დავასრულებთ ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების დიდებულ სამყაროზე ლაპიდარულ საუბარს, რადგან, ვფიქრობთ, ტექსტის მინიმალისტურ მხატვრულ ქსოვილში ილანდება „რა ნესტრით ნახვლეტი“ წერდა დიდი იმპრესიონისტი აღნიშნულ თხზულებას, რას ნატრობდა „ჩემის ნატვრითა ქართველი“.

მწერლის უზუსტესი, უფაქიზესი განაზრებით, „ღმერთმა ნუ ქნას, სიტყვას გრძობა მთლად დაეხატოს“. ამონარიდითაც გაესმის ხაზი მწერლის მინიმალისტურ ბუნებას, ერთგულებას მინიმალისტურივე მხატვრული მონასმისადმი. გალაკტიონის კონცეპტითაც, „ფრაზაა ნაწყვეტი გამოგვიცხადებს უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა“.

„დიდი გოდების მცირე ნაკადი“ – მოთხრობის „შელოცვა რადიოთი“ მწერლისეული მინაწერი ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების ავტოდეფინიციად შეიძლება გავიანზოთ.

ნაკლებად შესწავლილი, თუმც უაღრესად საინტერესო ავტორის – ბასილ მელიქიშვილის (1904-1930) შემოქმედებაშიც საინტერესო შრედ იკვეთება მინიატურა. ქრესტომათიულ კრებულში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ადრე გარდაცვლილი ავტორის შვიდი მინიატურული ტექსტია შესული: „ჟამი მწუხრისა“, „ბეთანია“, „ღრუბელი ხევსა ზედა“, „ხევები თითქოს ჩამოხეულან“, „უფლისციხე“, „სამზეო“, ქვირინაი“.

„უსამართლოდ მიჩქმალული, ოღონდ მეტად კოლორიტული“ (რ. ჩხეიძე) მწერლის შემოქმედება მონოგრაფიულად შეისწავლა მკვლევარმა მარინე რევიშვილმა. ბასილ მელიქიშვილის მინიატურ(ებ)ის შესახებ ლაპიდარული ესკიზის წარმოჩენისას სწორედ მის მოსაზრებებს დავეყრდნობით. როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით გამოცემულ მონოგრაფიას ახლავს რედაქტორისეული წინათქმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მელიქიშვილი იყო *შესანიშნავი სტილისტი, ლიტერატურის განახლებისა და ძვრების უშუალო მონაწილე, რომლის შემოქმედების გათვალისწინების გარეშე სრულყოფილად ვერ გავიანზრებთ ქართული მწერლობის მოდერნისტულ პროცესს... მწერლის ცხოვრება დაღდასმულია სასტიკი დროის სუსხით, შემოქმედება კი ეპოქის სულიერ კრიზისს აირეკლავს. მწერლის ცხოვრება მის მოთხრობებში, მინიატურებსა და ბარათებში აისახა არა მხოლოდ ბიოგრაფიულად, არამედ – როგორც ტრაგიკული დროის გამოძახილი* [5, 2].

მკვლევრის თვალსაზრისით, ზოგადად, ქართული მოდერნიზმისა და, კონკრეტულად, ბასილ მელიქიშვილის შემოქმედება, ოციანი წლების კონცეპტუალური თხზულებები, რომლებიც დღეს სამართლიანად მიიჩნევა ქართული ლიტერატურის კლასიკად, „უშუალო პირმშოა 1918-1921 წლებისა და იმდროინდელი ჰუმანისტური იდეალები ვერც 1921 წლის 25 თებერვალმა, ვერც 1924 წლის აგვისტო-სექტემბერმა ვერ დააკნინა, პირიქით – სიმძაფრე და ტრაგიკული სიღრმე შესძინა“ [5, 5]. ლიტერატურათმცოდნე

მთიული მელიქიშივილის (*მწერალი სოფელ ზირბითიდან/წვერიდან იყო წარმოშობით – ქ.ყ.*) სულიერ წინაპრებად მიიჩნევს ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვს, რომელთა შემოქმედებაშიც „განხორციელდა ბუნებრივი მოდერნიზაცია ქართული მწერლობისა“ (*ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ ქართული მინიატურის ანთოლოგიას რედაქტორი რ. ჩხეიძე სწორედ ვაჟა-ფშაველას მინიატურული ტექსტებით ხსნის და იქვე მოადევნებს ვასილ ბარნოვის სიმბოლისტური პროზის ლაპიდარულ ნიმუშებსაც – ქ.ყ.*).

მონოგრაფიის ავტორი ხაზგასმით გამოკვეთს ბასილ მელიქიშივილის სტილურ არტისტიზმს (*სინტაგმა მკვლევრისეულია*), რასაც მარინე რევიშივილი ბასილ მელიქიშივილის დიდი მოძღვრის – ერეკლე ტატიშივილის გავლენად მიიჩნევს (იმავე გავლენას მკვლევარი მართებულად გამოკვეთს ნიკო სამადაშივილის – ასევე ერეკლე ტატიშივილის მოწაფის შემოქმედების არსებით თავისებურებად).

ბასილ მელიქიშივილის მინიატურების (ისევე, როგორც ზოგადად, მთელი ნარატივის) უარსებითეს მახასიათებლად მკვლევარი მიიჩნევს ზნეობრივ არჩევანს, ქვეყნის ტრაგიკული ყოფის გაცნობიერებას, სატკივრის გააზრებას – *გაცხადებულს უნატიფეს პოეტურ სიმბოლოებსა და მეტაფორებს*.

მარინე რევიშივილი ამგვარად ახასიათებს ბასილ მელიქიშივილის მინიატურების სტილისტიკას: „ორიგინალური ხედვა მოვლენისა, მხატვრული სახის პლასტიკურობა, დინამიკურობა, რასაც იგი რიტმის ღრმა განცდით, ემოციური აქცენტებით აღწევს, გამძაფრებული დრამატიზმი, ღვედვიით მოქნილი სიტყვა, სხარტი, ტევადი შედარებები, მისტიკური ხილვები და პოეტური შედარებები. მწერალი არა მხოლოდ ვიზუალურად ხატავს მოვლენას, არამედ აკუსტიკურადაც განგვაცდევინებს მას, რადგან სიტყვის ხმიერება, მუსიკალობა მისი სტილის მნიშვნელოვანი მხარეა“ [5, 9].

ბასილ მელიქიშივილის მეგობარი, ქუჯი ძიძიშივილიც იგონებს, როგორი კრძალვით წარმოდგენია მწერალს მეგობართათვის „მცირე ფორმის ნაწერები, ლექსები, მინიატურები“: „ლიტერატურით უფრო იყო სწეული, ვიდრე ფილტვების მღრღნელი სენით... თვალნათლივ ხედავდა მომავალ გმირთა აჩრდილებს, სიცოცხლე ელეოდა და მაინც სიცოცხლისაკენ იწვდიდა მოცახცახე ხელებს – პოეტური პროზის (*ხაზი ჩვენია – ქ.ყ.*) ახლებურ კონტურებს ხედავდა, თვალვებდაბინდული“ [12]. ქუჯი ძიძიშივილისეული კონსტრუქცია – „პოეტური პროზის ახლებური კონტურები“, ვფიქრობთ, ბასილ მელიქიშივილის მინიატურების სტილური განსხვავებულობის ხაზგამსმელი დეფინიციაა.

ევგენი ხარაძის მოგონებით კი, ტერენტი გრანელის პოეზიისა და მინიატურების შესახებ სწორედ ბასილ მელიქიშივილისაგან შეუტყვია – გრანელის მეღანქოლიური პოეზია ძლიერ უყვარდა, ალბათ, სულიერ სიახლოვეს გრძნობდა მასთან.

მარინე რევიშივილი მინიატურა „ქვირინაის“ (ქვირინაი – დაუგეშავი კვიცი) ანალიზისას უმჭიდროეს სულიერ კავშირს ნიკოლოზ ბარათაშივილთან დაძებნის. პოეტური პროზის (მინიატურის), ფილოსოფიური განაზრებ(ებ)ის ბრწყინვალე ნიმუშად აღიქმება ლექსო ივანიშვილისადმი მიწერილი ბარათი („ხანდახან ვფიქრობ...“). რიტორიკულ კითხვათა თაიგულია წერილი-მინიატურა, რომლის გრაფიკული ფორმა მარინე რევიშივილს ტიცინ ტაბიძის ზოგიერთი ბარათის გრაფიკასაც მოაგონს.

მარინე რევიშივილი ბასილ მელიქიშივილის რიტმული პროზის ანალიზისას, მრავალ თემასთან ერთად, ერთ უმნიშვნელოვანესსაც აღმოაჩენს – ბასილ მელიქიშივილის (ისევე, როგორც ნიკო სამადაშივილის) პოეტური ხატების აღსაქმელად, სტილის გასა-

გებად ერეკლე ტატიშვილის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებათა გაცნობიერება იქნება თავისებური გასაღები.

რად ღირს თუნდაც მოძღვრისეული წერილის ფრაგმანტი შევირდისადმი – „ბნელს ჩვენ ველაპარაკებით, ნათელი ჩვენ გველაპარაკება“, ან ერთობლივ რიტუალურ მოხილვას ქართული საწმინდარებისა (ბეთანია, ატენი...). შემთხვევითი არ არის, რომ ბასილ მელიქიშვილი სწორედ ერეკლე ტატიშვილს აირჩევს მოთხრობა „თურმანის“ პროტაგონისტის პროტოტიპად.

„ბეთანია“ „ზირბითის ღამეების“ რკალში მოქცეული ერთ-ერთი უმშვენიერესი მინიატურაა, რომელიც, მკვლევრის დაკვირვებით, *პოეტური ხატია ამბღლებული ლირიკული განცდისა, რომელსაც მასში აღძრავს ტაძარი... უფრო მწერლის ამბღლებული განცდის ხატი, ვიდრე რეალური ტაძრისა, ხაზგასმულია მინიატურაში რეალური და წარმოსახვითი დროის თანაარსებობა, დრო-სივრცის მიჯნათა წანისღვა, ქრონოტოპის ფაქტობრივი ნიველირება – „ბეთანიასთან მისასვლელი ბილიკები უთუოდ სულიერ პლანში მოაიზრება“ [5, 69].*

მონოგრაფიის მერვე თავი ეძღვნება მწერლის სტილურ თავისებურებებს. განიხილავს რა ზემოაღნიშნულ საკითხს „ზირბითის ღამეებზე“ დაყრდნობით, მკვლევარი აღნიშნავს, რომ მინიატურების ციკლის ზოგადი მოხილვითაც იკვეთება შთაბეჭდილება, რომ ბასილ მელიქიშვილის სახეობრივ აზროვნებას პოეტური იდუმალება, ნისლოვანება გასდევს, პოეტურ სამყაროს მძაფრი, თითქოს წარმართული აღქმა და პირველქმნილი განცდები აცოცხლებს, მკვეთრი პოეტური მეტყველება განაპირობებს თხრობის პათეტიკურ, ეგზალტირებულ მანერას, ქმნის სევდის, იდუმალების, ამბღლებულის განწყობილებას.

ზემოთ ციტირებულმა ამონარიდებმა ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურის სტილისტიკის მაკა ჯოხაძისეული (ასევე ზემოთ დამოწმებული) შეფასება მოგვაგონა – ლიტერატურათმცოდნევი გამოკვეთენ სტილის ლაპიდარულობას, ლაკონიზმს, როგორც მინიატურის უპირველეს მახასიათებელს. აკაკი ხინთიბიძის დეფინიციით, რიტმი მთავარი განმასხვავებელია ლექსსა და პროზას შორის. რიტმულობა პროზასაც ახასიათებს, მაგრამ ლექსის რიტმი უფრო მოწესრიგებულია – დამახასიათებელია ბგერათა მკაცრი ორგანიზაცია, მელოდიურობა, მუსიკალურობა, ბგერათა განმეორება, ეფფონიურობაო, აღნიშნავს მარინე რევიშვილი და აგრძელებს, რომ აღნიშნული თვალსაზრისით, ბასილ მელიქიშვილის პროზაში სრულიად განსხვავებული სურათია – „მძაფრი ემოციურობით, ლირიზმით, გამოკვეთილი რიტმით, განმეორებით, მუსიკალობით, ეფფონიით ბასილ მელიქიშვილის პროზა სწორედ პოეზიასთანაა წილნაყარი – მოვლენათა წარმოსახვა, აზრის წყობა, განცდა ლირიკული, ღრმად პოეტურია... გარეგნულ რიტმს აძლიერებს ეპიკური თხრობიდან ლირიკულზე გადასვლა, რეალური აღქმის ირეალურით შეცვლა, უპიროვნო დიალოგების ჩართვა, შესანიშნავადაა ათვისებული ალიტერაციული ბგერწერის ტექნიკა... ტენდენცია სიტყვათქმნადობისა არ არის ნასაზრდოები თეორიული კონცეფციებით (როგორც, მაგალითად, გრიგოლ რობაქიძესთან), არამედ – უფრო ინტუიციურია, ამდენად, მწერლის სიტყვათქმნადობა ძალდაუტანებლად გადადის სახეთქმნადობაში... პოეტური ფრაზა მუსიკალური პრინციპით იგება – თავისებურ კონტრაპუნქტს ქმნის სიტყვის, ფრაზის ხმოვანება, ალიტერაციული ბგერწერა, რიტმულობა და, უპირველესად, სახეობრივი აზროვნება“ [5, 167-177].

პასაჟში ლაპიდარულად წარმოვანინეთ მოდერნიზმის ლიტერატურული სკოლის გამორჩეული ავტორის – ნიკო ლორთქიფანიძისა და „უსამართლოდ მიჩქმალული, ოღონდ მეტად კოლორიტული“ მწერლის – ბასილ მელიქიშვილის მინიატურულ პროზაზე ქართველ მწერალთა და ლიტერატურათმცოდნეთა (ბ. ბარდაველიძის, კ. გამსახურდიას, ა. გაწერელიას, პ. იაშვილის, ი. მილორავეას, ა. ნიკოლეიშვილის, მ. რევიშვილის, ლ. ქიაჩელი, რ. ჩხეიძის, ს. ჭილაიას, მ. ჯოხაძის...) განაზრებანი.

ქართული მოდერნიზმის ეპოქაში შექმნილმა მინიატურამ, რომლის სტილურ-შინაარსობრივი თავისებურებანი მრავალ მკვლევარს ექცევა შთაგონების წყაროდ, შექმნა უმკვიდრესი ლიბო-წანამძღვარი ქართული პოსტმოდერნისტული მინიატურის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია კ., ნიკო ლორთქიფანიძე, წიგნში: თხზულებანი ათ ტომად, ტ. 8, თბ., 1985;
2. იაშვილი პ., ნიკო ლორთქიფანიძეს, წიგნში: ქართული პოეზია 15 ტომად, ტ. 12, თბ., 1982;
3. მირიანაშვილი ა., მამულიშვილი (ნიკო ლორთქიფანიძე), წიგნში: „თანამედროვეობა მხატვრულ სახეებში“, თბ., 1987;
4. ოთხმოცდათექვსმეტი ესსე (ქართული ლიტერატურული ესსე), თბ., 1988;
5. რევიშვილი მ., ქვირინაი (ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი), თბ., 1998;
6. ქართული მინიატურული პროზა, წ. 1, შემდგ.: რ. ჩხეიძე, გ. აღსახიშვილი, თბ., 1992;
7. ქიაჩელი ლ., ნიკო ლორთქიფანიძე, წიგნში: თხზულებანი 4 ტომად, ტ. 4, თბ., 1985;
8. ცაიშვილი ს., სიტყვა ნიკო ლორთქიფანიძეზე, წიგნში: ქართული მწერლობა - წერილები, ნარკვევები, ესეები, თბ., 1990;
9. ჭილაია ს., ნიკო ლორთქიფანიძე, წიგნში: ოცწლეული. 1921-1940 წლები და პრობლემები, თბ., 1986;
10. ხუსკივაძე ი., ქართული საერო მინიატურა, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნე, თბ., 1976;
11. ჯოხაძე მ., არქაული მხრებით (ნიკო ლორთქიფანიძე), წიგნში: მზერის გადანაცვლება, თბ., 1986;
12. ძიძიშვილი ქ., მოგონებები, 1952;
13. ლორთქიფანიძე ნ., რჩეული მოთხრობები ერთ ტომად, თბ., 1981.

Qetevan Kveliashvili Georgian Miniature of Modernism Summary

Twentieth century Georgian literature is remarkable for a great diversity of artistic values and methods. The present age being what it is – a welter of contradictions, conflicts and confrontations.

Literature of Modernism naturally responds to the spirit of the Age and presents an unprecedented variety of social, ethic and aesthetic attitudes.

Fundamental political, social and economic changes on the Georgian scene deeply affected the creative writing of the new century – the age of Modernism.

Niko Lortkipanidze worked in the best traditions of Georgian prose. In the miniature genre the art of the writer was a significant contribution to the enduring tradition of Georgian Modernism. His miniatures are expressive of a vast range of moral and social problems as well as miniatures of not well-known young writer Basil Meliqishvili who achieved a high degree of excellence in the text of atmosphere, emotional experience, which is still dominant in the work of Georgian Postmodernism miniature writers such as Leila Beroshvili, Olessia Tavadze, Zaal Samadashvili, Rostom Chkheidze.

Кетеван Квелишвили
Миниатюра грузинского модернизма
Резюме

Двадцатый век в грузинской литературе отмечен множеством литературных методов. Это был век противоречий, конфликтов, конфронтаций. Литература Модернизма отвечала требованиям времени и отражала беспрецедентное множество социальных, этических, эстетических проблем.

Фундаментальные политические, социальные и экономические изменения на грузинской политической сцене повлияли на художественную литературу Нового Века – века Модернизма.

Нико Лорткипанидзе работал в лучших традициях грузинской прозы. В жанре миниатюры работы писателя были весомым вкладом в развитии традиции грузинского модернизма. В миниатюрах отражены моральные и социальные проблемы столетия, также как в прозе малоизвестного молодого модерниста – Басила Меликишвили. Писатели внесли огромный вклад в развитие жанра миниатюры, изображении эмоциональной атмосферы, которая является доминантной и в прозе авторов постмодернистской миниатюры – Лейлы Берошвили, Олессии Тавадзе, Заала Самадашвили, Ростом Чхеидзе.

LANGUAGE AS A MEANS OF MANIPULATION IN EMPLOYEE RELATIONS

I. Introduction

The phenomenon of language manipulation in employee relations occurs in the scientific literature [12, 86-96; 16, 231-262; 17, 235-256; 19, 241-253; 27, 658-672; 32, 197-228]. Research on the subject mentioned above has been partly replaced with the development of communication technologies, in favor of language manipulation in the context of electronic communication [35, 319-346; 11; 28, 253-265; 34, 3-43; 18, 1123-1134; 36, 852-860; 9, 1143-1168; 14, 595-598; 15, 177-192; 2, 71-80]. Therefore, research in this area is up-to-date and aims to understand the impact of these new forms of communication on employee relations. It cannot be unequivocally stated that research on language manipulation in employee relations is out of date. Scientific texts treat the subject differently. These are both empirical studies, links with various aspects of work or employee behavior. The very concept of language manipulation in employee relations does not have a specific definition, but rather a description of specific behaviors that refer to the deliberate use of words and phrases to influence the behavior or attitudes of employees, so that the person using such a procedure achieves its goal. Linguistic manipulation can take many forms, such as the use of suggestive language, hiding information, exploiting emotions, and rhetorical tricks of various kinds [33, 333-348]. The purpose of language manipulation may be, for example, to increase work efficiency, change the opinions or attitudes of employees, as well as to influence decisions made by employees [8, 251-271]. Although some research on language manipulation in employee relations may be outdated, research on this subject is still being conducted, and many of them are up-to-date and take into account new trends and phenomena in the workplace.

The purpose of this article on language manipulation in employee relations is to indicate what techniques of language manipulation are used in various workplaces and how they affect relations between employees. The article also focuses on how language manipulation affects work efficiency and well-being of employees, as well as on the possibilities of counteracting this phenomenon in the organization. At the same time, it indicates the forms of counteracting language manipulation in workplaces.

II. Theoretical foundations of language manipulation

Interpersonal communication concept

Irwin Altman, an American social psychologist along with Dalmás Taylor [1], they created the concept of the interpersonal field, which assumed that interpersonal communication takes place in the context of a field of interactions between people in which each person plays a role. The concept of interpersonal communication refers to the process of exchanging information, feelings and thoughts between two or more people in order to establish, maintain or terminate a relationship. Interpersonal communication is based on interaction, mutual acceptance, empathy and understanding [10].

* WSG University.

According to the concept of interpersonal communication, it covers all forms of communication between people, including verbal and non-verbal aspects such as facial expressions, gestures, tone of voice and body posture. In addition, this concept assumes that each of the communication participants has their own experiences, needs, values and expectations that affect the way of interpreting and reacting to the information communicated. The concept of interpersonal communication also emphasizes the importance of the context in which communication takes place, such as place, time, situation, culture and relationships between interlocutors. According to this concept, this context influences the way communication is received and interpreted.

The concept of interpersonal communication is important in the context of both private and professional life, because it affects the quality of our relationships, and thus our well-being and effectiveness at work.

Persuasion and manipulation in communication

Persuasion and manipulation in communication are two concepts closely related to each other, but at the same time separate. Persuasion is an action aimed at convincing the recipient to one's position, belief or behavior, while manipulation is deliberately misleading or influencing the emotions and behavior of another person in order to achieve one's own gain.

Due to the similar character of these two issues, special attention should be paid to their differences.

Robert Cialdini in *Influence: The Psychology of Persuasion* Claims that: *Persuasion is persuading others to accept our views using logical arguments and facts. Manipulation is the process of misleading or deceiving others in order to gain an advantage. The difference between the two lies in the intentions and the way they act [6].* David Myers in *Social Psychology* points out that right ideas serve persuasion, while manipulation is built on intentions that are unfavorable for the recipient [25]. Willia L. Wilkie in *Consumer Behavior* also agrees with the above-mentioned assumptions, extending it with the statement that: *Persuasion is the art of persuading others to our perspective, while manipulation is the process of using others for personal gain, regardless of whether whether it is according to their will or not [37].* Another interesting observation by Georg Yul included in *The Study of Language* is the indication that manipulation is additionally enhanced by special techniques. In his article, he writes (...) *manipulation is the process of influencing others in a hidden way or without their knowledge, using manipulative techniques such as lying, deceit or blackmail [39].* A summary of the above-mentioned content can be found in the work of Daniel J. O'Keefe *Persuasion: Theory and Research*. The author introduces a key phrase for understanding the differences between the issues with words: *Persuasion is based on respect for the free will of others, while manipulation is the attempt to limit this free will by applying pressure or manipulating emotions [26].*

The language of manipulation

პოლიტიკური ეკონომიკის ყველა მიწერილობა ეფუძნება ზოგად მსჯელობას მეტ ან ნაკლებ სარგებელზე, ან ნაგულსისმევი, რომ არის გამოკვეთილი განსაკუთრებული მიმართება ერთდროულად მზარდ ან კლებად ელემენტებს შორის და ის მათ ქმედით ერთეულებად განიხილავს: შრომა, კრედიტი, ფასეულობები და მსგავსი. ცხადია, ეს რეალური ოდენობა არაა, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი რაოდენობრივი აღნუსხვა რაღაცგვარად შესაძლებელია. გაბრიელ ტარდი იგივეს იმეორებს ყველაფერზე, რაც არაა ავთენტური, მაგრამ კლასიფიცირება რიცხვებში არის მეტნაკლებად მიღწევადი. სასაუბრო ენაში, ყოველდღიურ ენას ვგულისხმობთ, არის ტენდენცია კლების და მატების, არის რაღაც ნიშნული და არის რაღაც მოძრაობა ზემოთ და ქვემოთ, ანუ იქმნება ბინარული ოპოზიცია, აი თუნდაც ასაკთან მიმართებაში, მასთან მიმართებაში კი ძალა და ენერჯია, გამჭრიახობა, ხიბლი. ყოველ ჯერზე, როცა ეკონომისტი იძულებულია გამოიყენოს ფრაზები *კრედიტის შეკვეცა* და *გაფართოვება*, *კეთილდღეობა*, *მოღვაწეობის პროგრესი* გამოდის, რომ ის საუბრობს მიმდინარე ცვლილებებზე. არის ელემენტების ზღვა, ისინი გარეგნულად სრულიად განსხვავდებიან, შეიძლება იყონ ფიზიკური ან გონებრივი ძალისხმევის შედეგი, კაპიტალი შეიძლება იყოს ჯამი რეზერვის ნებისმიერი სახეობისა, კრედიტი შესაძლებელია იყოს ნაკრები რწმენის აქტისაც კი და ა.შ. ჩვენ ვლაპარაკობთ შედეგებზე მსგავსი და ერთმანეთთან შეფარდებითი საგნებისა, რომელთა განვითარების შედეგები უნდა დაჯამდეს, ფორმულირდეს რეზულტატის სახით, ანუ რა ბედი ეწიათ რაოდენობრივად. სირთულე რაში მდგომარეობს, მათი კატეგორიების კლასიფიცირება როგორ მოვხადინოთ და რა იქნება კლასიფიცირების კრიტერიუმი. რა გამოფყოთ ამასთან ცალკე – დონე, ხარისხი სიამოვნების, ძალისხმევის, გონებაში რა როგორ აღიბეჭდებოდა – კლება/მატება თანმიმდევრულად, ემოციის დონეზე, ასევე... უტილიტარისტული ანალიზი იქნება ამომწურავი, ანუ ამოსული უშუალოდ სარგებლიანობიდან, როცაა ტკობის ხარისხი. იურიდიულ პროცედურებთან ხომ ეს ყველაფერი ნეკლებადაა დაკავშირებული, არადა იურიდიული წყვეტს სწორედ შედეგებს, რომ კომბინაცია ინსტიტუციურ ჩარჩოში მიმდინარეობს. იურიდიულიდან არის ასეთი ფრაზები კრედიტთან მიმართებაში, როგორებიცაა: უსაფრთხო, უზრუნველყოფილი და მსგავსი. ასევე გასათვალისწინებელია ძალისხმევა გაცვლის მწარმოებელ კომუნიკანტთა მხრიდან დახარჯული. პოლიტიკურ ეკონომიკაში არის ორი სიტყვა როგორც ათვლის წერტილი, *სიამოვნება* და *ტანჯვა*, როცა ჩვენ გამდიდრების ან გაკოტრების შედეგებთან გავქვს საქმე, შეძენისა და დანაკარგის კალკულაციას როცა ვახდენთ შეფასებით მსჯელობა-

ში. ტანჯვის მინიმუმით თუ სიამოვნების მაქსიმუმს მიიღებ, ეს ალბათ იდეალური ფინანსური გარიგებაა [2].

ჩვენ ყველა თავისებური ვართ და ეს თავისებურებები რომ ჭარბობს მახასიათებლებში, არ უნდა გამოგვრჩეს. ისინი გაზომვას ძნელად ექვემდებარებიან. ტკობა მხოლოდ შეგრძნების მახასიათებელია? ტკობა არის სასურველი. ტანჯვის არიდებას მუდმივად ცდილობენ, ესეც შეგრძნების მახასიათებელია მხოლოდ? ტანჯვაში რა იგულისხმება, იდეის დონეზე თუ ფიზიკური. ტკობაში ანალოგიურად, იქნებ, ეს მორალურის კატეგორიაა. ტკობა მუდმივ და არაცნობიერ დონეზე შეიძლება იყოს მიმდინარე? იქნებ, როცა ადამიანის რწმენა საკუთარი თავისადმი იცვლება, ეს ამ ორ განცდაზე ზემოქმედებს საბანკო ოპერაციების მიუხედავად? ადამიანის რწმენა საკუთარ ღირსებაში, ძლიერებაში, საკუთარ ფიზიკურ, მორალურ, ინდივიდუალურ და სოციალურ უნარებში განა მართლა თანხებით იზომება?

რწმენა და სურვილი რაოდენობრივ მახასიათებლებში გვეძლევა და თვისებრივიც გვაქვს გასათვლასიწინებელი? თუკი ეკონომიკური მეცნიერება თვისობრივს გამორიცხავს, მას სრულიად სამართლიანად დაუძახებენ ცუდ ლიტერატურას. პოლიტიკური ეკონომიკა ამ პუნქტში არ მოიკოჭლებს, მან დაძლია, ვინაიდან გააცნობიერა ეს დილემა. პოლიტიკური ეკონომიკა ეფუძნება კუმტად ორაზროვან გაგებას და ინტერპრეტაციას ფინანსური მომსახურებისაგან დაკმაყოფილების. აქ ორი ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს, ამბობს გაბრიელ ტარდი, სურვილი და რწმენა. ისინი კომუნიკებული არიან ერთმანეთთან, თუმცა არცთუ ჰარმონიულად. ეს პოლიტიკური ეკონომიკის ფილოსოფიურად განვითარებასაც კი უდევს საფუძვლად, ცხადია, ზომიერების ფარგლებში. აქსიოლოგია, მოძღვრება ღირებულებებზე, თუკი ფილოსოფიაზეა ლაპარაკი, ხომ არ შეიძლება არ გქონდეს დამუშავებული და გათვალისწინებული, როცა რწმენაზე საუბრობ? კამათი უნდა გააგრძელონ სპეციალისტებმა თეორიულ, დედუქციურ, განზოგადოებულ ჭრილში, ეკონომისტებმა უნიტარული სკოლისა, ისინი ახლოს არიან რიკარდოსთან, სტიუარტ მილთან და უმეტეს ფრანგებთან. მეორე მხრივ, არის ინდუქციური, პარტიკულარისტული ფრთა; ხანაც ძლიერდებიან, ხანაც სუსტდებიან, ვერასოდეს ანადგურებენ თავიანთ ოპონენტებს და მაინც არ წყვეტენ ბრძოლას. რაშია ამ ბრძოლის საჭიროება? ისევ და ისევ, დადგინდეს ტანჯვისა და სიამოვნების ზუსტი გაგება და მახასიათებლები ფიზიკურია თუ მორალური? როდესაც ანალიზებენ სიტყვას „სიმდიდრე“, პოლიტიკურ ეკონომიკაში ეს ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც მექანიკაში „სიმძლავრე“. საჭიროა ძირითადი, დარგის საგანი, წარმოება იყოს შესწავლილი, მისი მიმართულება და მოხმარება და მაინც რაღაა ეს *სიმდიდრე*? მესაქონლის ნახირი, გლეხის დამუშავებული მიწა, ვაჭრის სკივრი, ქალის გარდერობი და ა.შ. რამდენი სახეობაცაა საქმიანობის, იმდენივე განსაკუთრებული საგანი და ტკობის მიზეზია, მათ ერთმანეთთან არ აქვთ მიმართება, არც საზომი არსებობს რამე.

თუკი ეს მსჯელობა მართებულია, მაშინ პოლიტიკური ეკონომიკა ეფუძნება ფლატუს ვოცის, რომელიც უცხოა მეცნიერებისათვის, იმდენად რამდენადაც მეცნიერება ვერ მოიხელთებს იმას, რაც თვისებრივ საწყისებზეა აღმოცენებული. ამ დროს უნდა დავეთანხმოთ *კურნოს*, რომ ნიშნული ზოგადი ღირებულებისა, ფული, გინდა ქალაქის ან მეტალის, არის სრულიად ფიქტიური და პირობითი. თუკი ჩვენი მოსაზრების შესატყვისად თითოეულს ამ ორი სკოლიდან გავითვალისწინებთ,

გავიგებთ, რომ პირველი დარჩა თავის პოზიციაზე შეუვალი, მიუხედავად იმ ერუდიციისა, მახვილგონიერებისა და ჯანსაღი აზრისა, რაც მეორისათვის იყო ნიშანდობლივი. უკეთესი ის იქნებოდა, მისი ჭეშმარიტი რაისონ დ'ეტრე გაეცნობიერებინა, კერძოდ კი, თეორიული შესაძლებლობა რწმენისა და სურვილის გაზომვისა. გაბრიელ ტარდი თვლის, რომ თეორეტიკულადაც თუკი ამას უზურნველყოფენ, ეს იქნება საკმარისი, რომ ეკონომიკურმა მეცნიერებამ თავისი არსებობა გაამართლოს. რაც შეეხება პრაქტიკული გაზომვის შესაძლებლობას, რწმენა, სურვილი რომ დაიყვანო გაზომვა მოვლენის შეუფარდებელ ნიშნულზე, დააბრკოლებს ყოველ ჯერზე დისციპლინას საბოლოოდ გაიდგას ფესვი და ფორმულირდეს ზუსტი კანონების მაფორმირებლად [1].

ეკონომისტები სურვილის იდეას რომ შემთხვევით ეყრდნობოდნენ, მოხმარება იქნებოდა საცოდავი შესახედი. წარმოების წყაროდ სიმდიდრის სორვილი ხომ არ შეიძლება დაუშვა? შრომის დანაწილების აუცილებლობა არის წარმოების წყარო და ის, რომ საზოგადოება ერთიანი მთელი და ემერჯენტული რეალობაა. მორალში ბედნიერების სურვილი იგივეა, რაც პოლიტიკონომიკაში სიმდიდრის სურვილი.

II

გაბრიელ ტარდის შეხედულებით, პოლიტიკური ეკონომიკის პრობლემები ვრცელია და აშკარა, თუმცა ამაზე შეჩერებას დიდხანს არ აპირებს. მას მრავალი ნასესხები ფაქტორი აქვს და, სამწუხაროდ, დაივიწყა მიბაძვის როლი. ტარდი ფსიქოლოგიზმის წარმომადგენელია სოციოლოგიაში და ამიტომ პოლიტიკონომიკასაც არ პატიობს ადამიანის არაცნობიერი სურვილის უგულვებელყოფას მიბაძოს თავის მსგავსს, ანუ სხვა ადამიანს, როცა ის შრომობს, აწარმოებს ან სულაც მართლა ესწრაფვის გამდიდრებას და მიაჩნია ეს წარმატების ინდიკატორად. წარმოვიდგინოთ, რომ ბაზარი შედგება სრულიად თვითკმარი მყიდველებისაგან, თითოეულს აქვს გემოვნება განსხვავებული სხვისაგან, მოთხოვნილებები, ასევე მანერები, საგნების შეძენის ჩვეულებები. დავუშვათ, არიან ეროვნებითაც სხვა, ინგლისელი, ჩინელი, ინდუსი, იროკეზი, არაბი, პერიკლეს ეპოქის ბერძენი, რამზესის პერიოდის ეგვიპტელი და სხვა. შეგვიბოთ ისინი ერთად და ცვლიან პროდუქტებს. გაცვლა შესაძლებელი აღმოჩნდება, მაგრამ გაცვლას ეკონომიკური მნიშვნელობით ჩვენ ვერ შევაფასებდით. უკანასკნელი მოითხოვს პოსტულატის სახით მსგავსებას, იდენტურ მოთხოვნილებებს. ამ პრინციპზე მუშაობს რეკლამაც. ეს არის აღიარებული ფაქტი. ფასიც არის ფიქსირებული. ფასი არაა მობილური ცვლადი. **რიკარდოს** ამოსავალი ასეთია, რენტის თეორიაში, რომელიც შესანიშნავი გზამკვლევაა ჩვენთვის, არის საჭიროებები მწირი და სასიცოცხლო. მდიდარი მყიდველი ცივილურ სამყაროში ჩათვლის ძალდატანებად, თუკი მისი შემოსავლის რაოდენობის პროპორციული ციფრი არ იქნა გათვალისწინებული. მდიდრები კრედიტორების სისტემით, ფაქტობრივად, არ სარგებლობენ. სურვილი ხშირად გამომდინარეობს შემოსავლის ოდენობიდან, მიუხედავად საქონლის სტატუსისა. აი, მაგალითად, მეორე და მესამე სამყაროს ქვეყნებში, მით უმეტეს, ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტებისა და სოციალური სახელმწიფოს ბერკეტების გაუმართაობის გამო, რაღაც ასაკიდან ადამიანებს სტომატოლოგიური საჭიროებები არ აქვთ მოწესრიგებული და ვერ ვიტყვით, რომ უგულვებელყოფენ ან არაა იგი გასათვალისწინებელი, როგორც აუცილებლობა.

ის, რომ ადამიანი მთელი ცხოვრება თავის თავს ადარებს სხვებს და, ასევე, თავის თავსაც შედარებით წარმატებული პერიოდებიდან, არის ფაქტი. რატომღაც, რომ გვხვდება დასავლეთ საქართველოში ლამის წვეთი წყალივით მსგავსი საცხოვრებელი ნაგებობები, გაზონებიც კი ეზოს ირგვლივ, ე.წ. ტალავარები და დეკორიც კი. ეს მიბაძვის პროდუქტია. ჩვენ ნიმუშად ვიღებთ სხვას, ეს არის დაუძლეველი მისწრაფება, ჩვენ გვგონია საკუთარი თავის მიმართ სამართლიანი იგივე საგნებით ჩვენი სივრცის ჩახერგვა, რითაც არის სხვისი პრივატული სივრცე. ეს გვგონია მოხერხებულებაც, პრაქტიკული. არის გაბრიელ ტარდისთან განხილული კანონები მოთხოვნისა და შეთავაზებისაც. როცა ადამიანი გარკვეულ ფასად ნივთის შეძენაზე ორიენტირებულია, აქ წინა პლანზეა ნივთის შეძენის სურვილი, მან შესაძლოა უფრო მაღალ ფასადაც შეისყიდოს ეს ნივთი თქვენთან. საქმე იმაშია, გაარკვიოთ, რა არის მაქსიმალური თანხა, რასაც ეს პირი გადაიხდიდა. აუქციონის პრინციპი მოქმედებს სურვილის გამძაფრების წყალობით. მიმბაძველობის მომენტი აუქციონზე კიდევ მეტად ცხადად შიშვლდება. ადამიანი არის ორი კონკურირებადი სურვილი, ერთდროულად ორი შენაძენის გაკეთება უნდება, არადა ბიუჯეტი აძლევს ერთის შეძენის შესაძლებლობას და მაშინ იგი იწყებს ანგარიშს, სინანული, რომელზეც უარის თქმის შემთხვევაში ექნება ნაკლები, ან ამ ორი შენაძენიდან განსაზღვრავს პრიორიტეტებს. რეკლამა უნდა ასევე, გაითვალისწინო, თუკი ვთანხმდებით, რომ იგი პრიორიტეტების განსაზღვრაში დაეხმარება ან მეორე, რომელი შენაძენი წარმოადგენს აუცილებლობას, აუცილებლობა სურვილზე ძლიერი ვერ იქნება. საკვები პროდუქტი, ან მედიკამენტი და გარდერობი კონკურენციაში ვერ იქნება. აქ ლაპარაკია, როცა ბაზისური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია და სხვა საჭიროებები თანდათან პერიოდულად ამოტივტივდება. არის მოვაჭრე, რომელიც მოწოდებულია გაყიდოს და პირი, რომელსაც აქვს მისწრაფება შეიძინოს. შეძენის სურვილის სიმძაფრის იმედად საქონელზე ფასის აწვევა კეთილსინდისიერი მორალის ჩარჩოში არაა, თუმცა ეს ბაზრის წესი და საქონლის ბრუნვის ხელშემწყობია მოვაჭრესა და კლიენტს შორის.

პოლიტიკის ეკონომიკაში **მიბაძვის** გარდა აინტერესებთ მეორე საკითხი, რაც **გამოგონებებს** შეეხება. ნებისმიერი ხელობა, მოღვაწეობის სფერო, მანერები, უნარ-ჩვევები, წარმოების სურვილი არის რისი ზოგადი შედეგიც, ჩვენ ამას შეიძლება სიმდიდრის შინაარსის შესწავლის მოტივით ვიკვლევთ, მაგრამ წარმოიშვა ეს ყველაფერი თანამედროვე ადამიანის ნიჭის ხარჯზე. როცა ყიდულობ ჩაის ან არაყს, აგემოვნებ პურეულ პროდუქტს, ჯირითობ ცხენით, ეტლით მგზავრობ, თამბაქოს ეძალები, საჭიროა გარკვეული ჯგუფის მიერ ამ პროდუქტებისა და მომსახურების უზრუნველყოფა. ჩაის სჭირდება გადამუშავება, სპირტს ჩამოსხმა, საფუარსაც ამოყვანა, ცომი ხომ თავისით ვერ მომზადდება, გამოცხოვამდე ჯერ რამდენი ოპერაციაა, ეტლს მეეტლის დახელოვნება სჭირდება, ცხენს გახედვნა, ინსტრუქტორი, ანუ ეს მთელი ინდუსტრიაა და ხელოვნება, რომელიც ენ რაოდენობით ადამიანს უწყვეტ თანმიმდევრულ ფერხულში ჩააბამს. ემილ დიურკემი საბოლოოდ ამას დაიყვანს შრომის დანაწილებამდე და აქ ხედავს საზოგადოების მდგრადობის ფუნდამენტს. ერთად ცხოვრება, ანუ საზოგადოებად ყოფნა გულისხმობს შრომის სოციალურ დანაწილებას [2].

გამოგონებებს რაც შეეხება, ისინი ორი გვარისაა, ერთნი (ლიტერატურული, მხატვრული, ხანდახან – საწარმო, მაგალითად, კულინარიული) კაცობრიობას აძ-

ლევან ხატებების ახალი კომბინაციების მოსინჯვის შესაძლებლობას. დრამატურ-გების მისწრაფება თეატრისაკენ ბუნებრივია, მაგრამ დრამატურგიაში ახალი სტილისადმი თეატრის მაყურებლის დახარბება, უკვე სათეატრო ხელოვნების ევოლუციაზე მოასწავებს, ან ყოველ შემთხვევაში, სათეატრო ტექნიკის დახვეწა-გამრავალფეროვნებაზე. მწერალი ჟანრს პირადად ირჩევს, ისტორიული რომანი, დეტექტივი, ბიოგრაფიული რომანი, ან რაიმე სხვა, თუნდაც ბულვარული. ჟანრს იშვიათად იცვლიან, მაგრამ შერჩეული ჟანრის შიგნით ზრდა, თუ გინდა მკითხველი მეტნაკლებად შეინარჩუნო, გარდაუვალია, ანუ სამწერლობო ოსტატობაში თავისთავად იზრდებიან მეტნაკლებად ნიჭიერი სახელები. თექსტილი, ფოტოგრაფია, აქაც და ზოგადად ყველგან, საგამომცემლო საქმეშიც იგივე პრინციპი მუშაობს. ავიღოთ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თავიდან სანაპიროს გასწვრივ, თამარ მეფის გამზრითან მიმდებარედ, 40 კვადრატულ მეტრზე ოდნავ მეტი ეკავათ სივრცე და სასკოლოდ განკუთვნილ, დაწყებითი კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოებით დაწინაურდნენ ბაზარზე, მაღალი ხარისხის, ასევე, სასწავლო თვალსაჩინოებები ჰქონდა მორგებული მაგნიტურ დაფას. აკა მორჩილაძე, ეს საყოველთაოდ აღიარებული უნიჭიერესი ავტორი და სულაკაურის გამომცემლობა განუყოფელია, საგამომცემლო სამწერლობო საქმეში ათწლეულები ერთად გამოიარეს... არამარტო; ასევე უნდა დავასახელოთ ერთ-ერთი ყველაზე კითხვადი მეცნიერი, ორიგინალური ტექსტებით ცნობილი პროფესორი თევაძე (მიმართულება ფილოსოფია, სოციოლოგია). დღეს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას მაღაზიათა, სახელგამების მთელი ქსელი აქვს და აშკარად ჩანს, რომ ათწლეული კონკურენციას ვერ გაუწევინ იდენტური საქმიანობის წრიდან. სულაკაურში წიგნის დაბეჭდვა ყოველთვის იყო გარკვეულად ასოცირებული კარგ გემოვნებასთან. ესაა მათი ძირითადი ფსონი, ორიგინალობა და ხარისხი, დახვეწილი ინტელექტუალური გემოვნება.

გამოგონებები და ფასები არის მობილური, ასევე – სურვილის სიმძაფრე. მობილური ტელეფონის ან კომპიუტერული პროგრამის ყოველი ახალი ვერსიის გამოჩენა ამას მარტივად გასაგებს ხდის. ჟან ბოდრიარს აქვს წიგნი სახელმწოდებით „საგანთა სისტემა“, სადაც მსუბუქი ავტომობილებისა და გაჯეტების ახალი მოდელების ბაზარზე გამოჩენსა და მათი ფლობის სურვილის მნიშვნელობაზე საუბრისას ფსიქოანალიზის მეთოდსაც კი იყენებს. ამ წიგნში ვინაიდან არის მიმოხილული კრედიტირების სისტემა და რეკლამა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი, ასევე, პოლიტიკური ეკონომიკის საკითხებსაც მოიცავს, ისევე როგორც როლან ბარტის „მითოლოგიები“, რადგან ბარტი აქ რეკლამის თემას უძღვნის რამდენიმე ვრცელ მითს, სარეცხი საშუალებებისა და კანის დამატენიანებელი საშუალებების რეკლამა, „ჟაველის ხსნარი“ და სარეცხი საშუალება „ომოც“ კი არაა გამორჩენილი ყურადღების ველიდან.

გაბრიელ ტარდი გამოგონებების ჩვენში შექმნის სურვილთან დაწყვილების მიზეზებში უთითებს სოციალურ ზეგავლენას. ნეილ სმელზერი ამერიკულ ღირებულებებში ჩამოთვლის მანერას საგნები იყოს ინდიკატორები, რომ ხარ შენ წარმატებული, სოციალიზირებული და თანამედროვე. აქ სწორედ ტექნიკის უახლესი მიღწევები იგულისხმება და არამარტო. ლაპარაკია ნეილ სმელზერის მონოგრაფიაზე „სოციოლოგია“, რაც სამაგიდო წიგნად მსახურობდა წლების წინ თითოეული დარგის სპეციალისტისათვის და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ხშირად ციტირებადი. ტერმინალთან მუშაობის უნარ-ჩვევებზე როცა ჟან ფრანსუა ლი-

ოტარი წერდა განათლების სისტემის მოდერნიზირებისას, ცხადია, ტერმინალთან სამუშაოდ გარკვეული ტექნიკის საკუთრებაში ქონა როგორც აუცილებლობა იგულისხმებოდა. წარმოვიდგენიათ სტუდენტი ანდა ლექტორი ე.წ. ჭკვიანი ტექნოლოგიების გარეშე? ცხადია, არა, რადგან სხვაგვარად სწავლების პროცესში ინტეგრირება სრულიად იქნებოდა შეუძლებელი!

დოვლათი არის ნაზავი რწმნისა და სურვილის. დოვლათი არის მიზეზი სიმშვიდის, რადგან იწვევს ნდობას, ისევე როგორც აცრა ვირუსზე, ანდა მინდობილობა უძრავ ქონებაზე. წიგნის ზეგავლენაც ასეთივეა და აკადემიურ ჩარჩოებში საუბრის, რადგან გგონია, რომ ჭეშმარიტებას ეზიარე. უნდა გამოვყოთ პირველი, რწმენის ინტენსიურობა. აქ გათვალისწინებულია უნარი მისი გადაჭრის საჭიროებისა; მეორე არის საჭიროება, რომელიც გახდა ზრუნვის საგანი.

წარმოვიდგინოთ სანატორიუმი, ორი ერთდროულად და დავის საგანია ორიდან ერთში გამგზავრება. ბილეთები, ცხადია, მოითხოვს ანაზღაურებას და იქ ყოფნის ხარჯები. ყელის ტკივილი და ქრონიკული ბრონქიტი, აი, რისი პრევენციის საშუალებაა ამ დაწესებულებებში. ჩვენ სადაც, რომელ შემთხვევაში – ყელ-ყური თუ ფილტვები და სასუნთქი გზები – ვართ უფრო მოწყვლადი, ავირჩევთ მას და ფასების მეტ-ნაკლები ვარირება იქნება მეორეხარისხოვანი.

გამოგონებას რაც შეეხება, თუ გამოგონების ავტორს მხოლოდ სარგებლიანობის სურვილში დავდებთ ბრალს, ნიჭის ფასი არ გვეცოდინება რიგიანად. გამოგონებას ხანდახან გამომგონებლისთვის იმდენი ფინანსური მხარდაჭერა არ მოუტანია, რამდენიც შემდეგი თაობისათვის და, ზოგადად, სოციუმის ამათუიმ სფეროსათვის დროის ხანგრძლივ ინტერვალში. თან, ცხადია, გამოგონებასაც გააჩნია, მაგალითად, წარმოების მექანიზაცია დაიწყო და ავტომატიზაცია გაიზარდა, პირველი კონვეიერი ჰერნი ფორდმა შექმნა, წარმოების კომპიუტერიზაცია და შემდეგ სულაც – რობოტიზაცია შრომითი პროცესის...

ადმოჩენებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვანია, არის მრავალი გაჯეტი, რომელიც იმდენად ეგზოტიკური ჩანს, რომ მათი ფლობა ყველაზე მცირე და მოხმარება სნობობად ითვლება. არაა აუცილებლობა მათი მეშვეობით ჩვენი ყოველდღიურობა შევივსოთ, რადგან მათ გარეშედაც იოლად გავდივართ ფონს. არის საინტერესო, თუმცა აუცილებელი არაა. გამომდინარე ყოველივე აქედან, ეს საგნები რომ მასობრივი მოხმარების ბაზარს ვერ აითვისებს, სრულიად ცხადია.

უპირატესად განიხილება სამეცნიერო აღმოჩენები, თუმცა ადმინისტრაციული იდეები, სიახლეების სახით დანერგილი; ასევე, ანგარიშგასაწევია საკანონმდებლო, სამხედრო და სასამართლო სექტორები. ასტრონომია, ფიზიკა და ქიმია, ბიოლოგიის სფეროებია, სადაც ჩვენი შიშები და ცრურწმენები დღითიდღე, რაციონალიზაციის ხარჯზე, რომლის მიზეზი სწორედ პერიოდული აღმოჩენებია, სუსტდება. ისეთი მოვლენა, როგორც არის მზისა და მთვარის დაბნელება, ადრინდელ ეპოქაში იწვევდა ადამიანებში ძრწოლას. როდესაც ადამიანი აუმჯობესებს ცოდნის ხარისხს და პრაქტიკაში მას პერმანენტულად ნერგავს, ვრცელდება სიკეთე და ესაა განმანათლებლობის ავ-კარგი, უმაღლესი პრინციპი. ჯერ ცვლილებები სასიკეთო ეხება მოსახლეობის მაღალ ფენებს, ელიტურ ჯგუფებს, შემდეგ კი, გარკვეულ დროში, მთელს სოციუმზე ვრცელდება და საყოველთაო მოხმარებაში მარტივად მკვიდრდება. პოლიტიკური ეკონომიკა არანაკლებ ინტერესს იჩენს იმ ცვლილებებისადმი, რაც მოდის სფეროებიდან კანონმდებლობის, ადმინისტრირების, შეიარაღება

გნებავთ ან თუნდაც სახელმწიფო სტრატეგიის შეცვლა, საყოველთაო დაზღვევა, რაც სოციალური სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ბერკეტია განათლებასთან და ჯანდაცვასთან ერთად. ქალაქი კლასსა და პროფესიულ ჯგუფებს ახალ შანსებს სთავაზობს და ურბანიზმის განვითარებაც არის ინტერესის საგანი ამ მხრივ. გარანტიების ზრდა, როცა ეს სტაბილურობას ეხება ეკონომიკურს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ქალაქში არის მეტნაკლებად ჯერაც რეალური. თუმცა იზრდება მოდა, ტენდენცია სოფელში დაბრუნების. რეგიონში წასვლა გახსოვთ ალბათ ფიოდორ დოსტოევსკის „ეშმაკნი“, როცა ნიკოლას სტავროგინმა დაშასთან ერთად კანტონა ურიში დასახლება ჩაიფიქრა, ის თავისებური ჯვარცმა იყო, ან კნუტ ჰამსუნის „პანში“ ლეიტენანტ გლანის მხრიდან ცივილიზაციისათვის ზურგის შექცევა, ისევე როგორც სომერსეტ მოემთან „თოვარე და პენიანში“ ჩარლზ სტრიკლენდის ტაიტიზე გამგზავრება. დღეს ბევრი საავტორო გადაცემა კეთდება ქალაქიდან სოფელში წასვლაზე და არის სატელევიზიო არხი „ბალტიკა“, რომელიც ამ ტიპის გადაცემებით ტენდენციური გახდა ბოლო დროს და ეს არათვითგვემად, კულტურისა და შინაგანი სიმწიფის მაღალ ინდიკატორად გამოიყავთ გადაცემის ავტორებს, პერსონაჟებზე კი გვიყვებიან გზნებით და ლამაზად, როგორც გმირებზე და ხაზს უსვამენ, რომ ჯერ კიდევ ეს პირველადმომჩენლობაა, რაღაც ახალი და ნოუ ჰაუ, მისაბაძი და გასათვალისწინებელი ამავე დროს.

რომის სამართალი თავდაპირველად იტალიაზე ვრცელდებოდა, შემდეგ კი – მთელს იმპერიაში. ასეთივე იყო რუსეთში გლეხების თავისუფლება. 4 აგვისტოს დამე, რამაც შეღავათები ყველსათვის მოიტანა და გლეხების თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

სამეცნიერო აღმოჩენა თუ სამრეწველო დანადგარი, მეხამრიდი, რამდენი სიკეთე იყო მისგან ასევე. გემები, რომელთაც ხორბალი გადაჰქონდათ ქვეყნიდან ქვეყანაში, ხომ შიმშილის პრევენცია იყვნენ თავისებური. წყალუხვი მდინარეების გამოყენება ელექტროენერჯის მისაღებად.

გაბრიელ ტარდი ცდილობს პოლიტიკური ეკონომიკა აზიაროს ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას და აშკარაა, რომ იგი ეკონომიკის მეცნიერებისათვის მახასიათებელ ხინჯს, დავიდეს რაოდენობრივ ცვლადებზე, ამის ხარჯზე თვისებრივი ცვლადებით აღჭურავს. იკვრება წრე, ასეთი სახით წაკითხული პოლიტიკური ეკონომიკა უკვე სოციოლოგიის დამხმარე დარგია და სოციალურ მოვლენათა, ეპოქათა და თაობათა ახსნაში, გაგებაში გვეხმარება.

ლიტერატურა:

1. Тард Г., Социальная логика, Слоиально психологический центр, Санкт Петербург, 1996;
2. კორტავა შ., სოციალური ცვლილებების თეორია, თბ., 2021.

Shorena Kortava
Interpretion of Political-Economy by Gabriel Tarde
Summary

Gabriel Tarde in French sociology represents the psychological side. This article presents his research on political economy. Since these studies are purely sociological, Tarde uses terms that are not standard for economics, such as desire, and thinks that this is a category of psychology and morality. Tarde talks about the importance of research for the progress of civilization as well as for the advancement of the economy. Tarde also touches on the meaning of wealth and makes sure that gain, wealth correlates psychologically and socially with stability.

Шорена Кортава
Интерпретация политэкономии Габриелем Тарда
Резюме

Габриель Тард в французской социологии предствалает психологическую сторону. В данной статье представлены его исследования по политической экономии. Поскольку эти исследования сугубо социологические, Тард использует нестандартные для экономики термины, например желание и думает что это категория психологии и морали. Он говорит о значении исследования для прогресса цивилизации, а также для продвижения экономики. Тард касается также значении богатства и делает вывод что прибыль, богатство состоят в корреляции на психологическом и социальном уровне со стабильностью.

გიორგი ჭოჭუა
(საქართველო)

**მდგრადი და შემოქმედებითი ინიციატივები ტურიზმში
როგორც გარემოზე შემოქმედების პოზიტიური ფაქტორი**

შესავალი

ტურიზმი განსაკუთრებით სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, რომელსაც აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას, კულტურულ გაცვლასა და გარემოს მდგრადობას. თუმცა ტურიზმის შემოქმედება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. მისი პოზიტიური ექტორი უზრუნველყოფს, რომ ტურიზმის განვითარება შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების მიზნებსა და პრინციპებს. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზაა მდგრადი, ნარჩენებისგან თავისუფალი და შემოქმედებითი ტურისტული ინიციატივების წახალისება ბიზნესსა და საზოგადოებაში, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, იქონიონ გარემოზე შემოქმედების პოზიტიური გავლენა და შექმნან ხიდეები ახალ, ნარჩენებისგან თავისუფალ კულტურულ კომუნიკაციებს შორის.

ტურიზმის მნიშვნელობა გლობალურ ინდუსტრიაში იმით განისაზღვრება, რომ ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას მრავალ ქვეყანაში. თუმცა ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა, ასევე, იწვევს გარემოზე უარყოფით შემოქმედებას, რაც აისახება ნახშირბადის ემისიების მატებაში, ნარჩენების ჭარბ წარმოებასა და ბუნებრივი რესურსების არამდგრად ექსპლუატაციაში. ამ გამოწვევებით მდგრადი და შემოქმედებითი ტურისტული ინიციატივები დაეხმარება როგორც ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის პოპულარიზაციას, ისე ტურიზმის უარყოფითი შემოქმედების შერბილებას.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ანგარიშის თანახმად, „მდგრად ტურიზმს ძალუძს ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას, კულტურის შენარჩუნებასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო ტურისტებისთვის – ახალი და მნიშვნელოვანი გამოცდილების შეთავაზებას“ [5]. გარდა ამისა, ვითარდება შემოქმედებითი ტურისტული ინიციატივები, რათა ტურისტებს ჰქონდეთ წვდომა უნიკალურ და კულტურულად მდიდარ გამოცდილებაზე, ასევე მხარი დაუჭიროს ადგილობრივ თემებსა და ეკონომიკას. მდგრადი ტურიზმი გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ განსაზღვრულია, როგორც „ტურიზმი, რომელიც სრულად პასუხისმგებელია მიმდინარე და მომავალ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოზე შემოქმედებზე, ითვალისწინებს ვიზიტორების, ინდუსტრიის, გარემოსა და მასპინძელი თემების საჭიროებებს“ [4].

ეს განმარტება ხაზს უსვამს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების დაბალანსების მნიშვნელობას ტურიზმის მდგრადი განვითარების თეორიაში. ამავდროულად, უზრუნველყოფს, რომ ადგილობრივ თემებსა და გარემოზე უარყოფით

ფითი ზემოქმედება აღიკვეთოს. მდგრადი ტურისტული ინიციატივები მიზნად ისახავს გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებლის მიწოდებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ასევე, ხელს უწყობს გარემოს დაცვას, კულტურულ კონსერვაციასა და სოციალურ კეთილდღეობას.

ვინაიდან ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში, მას ეს პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს მინიჭებული. ამით ის წარმოადგენს ერთ-ერთ გზას, რომლითაც მდგრადი ტურიზმი მიხნეულია პოზიტიურ ხიდად კულტურებს შორის, არის კულტურათაშორისი გაგებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების ხელშემწყობი. მაგალითად, მდგრადი ტურისტული ინიციატივები, რომლებიც მიმართულია კულტურულ მემკვიდრეობაზე, როგორცაა ეკო-კულტურული ტურები და საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმი, შეიძლება დაეხმაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ტრადიციების შენარჩუნებას. ამავდროულად, ტურისტებს შესაძლებლობას აძლევს გაეცნონ ადგილობრივ კულტურას და ჩაერთონ კულტურულ გაცვლაში.

ამ სტატიაში მიმოვიხილავთ მდგრადი და შემოქმედებითი ტურისტული ინიციატივების როლს გარემოზე დადებითი ზეგავლენის კონტექსტში. უფრო კონკრეტულად, შევეხებით ისეთ გამოცდილებებს, სადაც მცირე ზომის დასახლებები და დიდი ქალაქები პოზიციონირდებიან როგორც „ნარჩენებისაგან თავისუფალი“ სივრცეები. ამით ისინი ხელს უწყობენ ადგილობრივი რესურსების კონსერვაციას, ნახშირბადის კვალის შემცირებას, ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობასა და ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერას. ასევე, განვიხილავთ მდგრადი და შემოქმედებითი ტურიზმის საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების ინიციატივების სარგებელს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომავალი თაობები ტურისტული მიმართულებებით ისარგებლებენ და ამით გარემოსა და ადგილობრივ თემებს გააძლიერებენ. მთლიანობაში, მდგრადი და შემოქმედებითი ტურისტული ინიციატივები გუთავაზობს მთელ რიგ სარგებელს გარემოსთვის, ადგილობრივი თემებისა და მოგზაურებისთვის. რადგან ტურიზმის ინდუსტრია აგრძელებს ზრდას, მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს მდგრადობასა და შემოქმედებითობას ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული პრაქტიკის პოპულარიზაციისთვის.

შემოქმედებითი ტურიზმის მოდელები და მდგრადი ქალაქები

შემოქმედებითი ტურიზმი ეხება მოგზაურობის გამოცდილებას, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს შესაძლებლობას განავითარონ თავიანთი შემოქმედებითი უნარები ან გაეცნონ ადგილობრივ კულტურასა და ხელოვნებას. კონცეფცია პირველად შემოიღეს კრისპინ რაიმონდმა და გრეგ რიჩარდსმა 2000 წელს (Raymond C. & Richards G., 2000) და მას შემდეგ მოიპოვა პოპულარობა, როგორც კულტურული მდგრადობის ხელშეწყობისა და ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერის საშუალებამ. როგორც რიჩარდსი და ვილსონი თავიანთ წიგნში – „ტურიზმის მენეჯმენტი“ აღნიშნავენ, „შემოქმედებითი ტურისტული ინიციატივები გუთავაზობს მრავალ სარგებელს როგორც ტურისტებისთვის, ასევე მასპინძელი მოსახლეობისთვის; მათ შორისაა ეკონომიკური განვითარება, კულტურის შენარჩუნება და სოციალური გაცვლა“ [3, 661].

შემოქმედებითი ტურიზმის მოდელები ორ ნაწილად იყოფა:

პირველი – ეს არის შემოქმედებითი დანიშნულების მოდელი, რომელიც ხაზს უსვამს შემოქმედებითი მიმართულებების განვითარებას. ეს არის ადგილები, რომლებსაც აქვთ ძლიერი კულტურული და შემოქმედებითი იდენტობა და ტურისტებს სთავაზობენ კულტურულ და შემოქმედებით გამოცდილებას. მოდელის მიზანია, ხელი შეუწყოს მდგრადი ტურიზმის განვითარებას რეგიონის კულტურული და შემოქმედებითი აქტივების გამოყენებით ტურისტების მოსაზიდად და ადგილობრივი ეკონომიკური დოვლათის შესაქმნელად.

მეორე კი შემოქმედებითი გამოცდილების მოდელია. ეს მოდელი ხაზს უსვამს ტურისტებისთვის შემოქმედებითი გამოცდილების განვითარებას, როგორებიცაა სემინარები, კლასები და მონაწილეობითი აქტივობები, რაც საშუალებას აძლევს ტურისტებს, ჩაერთონ ადგილობრივ კულტურულ და შემოქმედებით დონის ძიებებში. მოდელი მიზნად ისახავს მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, ტურისტებისთვის უნიკალური და ავთენტური გამოცდილების შეთავაზებასა და კულტურული გაცვლის ხელშეწყობას.

თითოეულ ამ მოდელს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები; არჩევანი დამოკიდებული იქნება რეგიონის კონკრეტულ კონტექსტსა და მიზნებზე. თუმცა ყველა მოდელი მიზნად ისახავს მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების გზით და მათი ინტეგრირება შესაძლებელია ყოვლისმომცველი მდგრადი ტურიზმის კონცეფციის ჩარჩოში. არსებობს მსოფლიოში რამდენიმე დიდი ქალაქის გამოცდილება, რომლებიც ამ მოდელის გამოყენებით ცდილობენ ან უკვე შეძლეს დაემკვიდრებინათ ისეთი ტერმინი, როგორც არის „ნარჩენებისგან თავისუფალი“ ტურიზმი და მასთან ასოცირებული სერვისები.

ჯერ არ არსებობს საყოველთაოდ შეთანხმებული „ნარჩენებისგან თავისუფალი“ ქალაქის განმარტება, მაგრამ არის ქალაქები, რომლებიც ახლოს არიან ნარჩენების ნულოვანი სტატუსის მიღწევასთან. ისინი, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებენ ნარჩენების წარმოების შემცირებაზე, მასალების ხელახალ გამოყენებაზე (upcycle), გადამუშავების გაზრდასა და ნარჩენების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე. აქ წარმოდგენილია ზოგიერთი ქალაქი, რომლებიც ლიდერობენ ნარჩენების შემცირებასა და მდგრადობაში:

1. **სან-ფრანცისკო, აშშ:** სან-ფრანცისკოს დასახული ჰქონდა მიზანი, ნულოვანი ნარჩენებისთვის მიეღწია 2020 წლისთვის და ამ მიმართულებით არაერთი პროგრამა განახორციელა, მათ შორის, ყოვლისმომცველი გადამუშავებისა და კომპოსტირების პროგრამა, პლასტიკური ჩანთების აკრძალვა და ფოკუსირება [6; 7];

2. **ფრაიბურგი, გერმანია:** ფრაიბურგი ცნობილია თავისი მდგრადი პრაქტიკით და მიზნად ისახავს ნულოვანი ნარჩენების მიღწევას 2030 წლისთვის. ქალაქს აქვს კარგად განვითარებული გადამუშავებისა და კომპოსტირების სისტემა და მან, ასევე, გაატარა ზომები ერთჯერადი გამოყენების შესამცირებლად, მაქსიმალურად შეუწყო ხელი მდგრადი ტრანსპორტირების ვარიანტების გამოყენებას [8];

3. **კამიკაცუ, იაპონია:** კამიკაცუ არის პატარა ქალაქი იაპონიაში, რომელმაც მიზნად დაისახა 2020 წლისთვის ნულოვანი ნარჩენების მიღწევა. ქალაქმა განახორციელა გადამუშავებისა და კომპოსტირების ყოვლისმომცველი პროგრამა და აკრძალა ისეთი

ერთჯერადი პროდუქტების გამოყენება, როგორებიცაა პლასტიკური ჩანთები და კონტეინერები [9];

4. კურიტიბა, ბრაზილია: კურიტიბა არის ქალაქი ბრაზილიაში, რომელიც აღიარებულია ნარჩენების მართვის ინოვაციური პრაქტიკით, მათ შორის, ყოვლისმომცველი გადამუშავების პროგრამით. ქალაქმა განახორციელა მასშტაბური ღონისძიებები ნარჩენების შესამცირებლად და ორგანული ნარჩენების კომპოსტირების სისტემით [10; 11];

5. მალმო, შვედეთი: მალმო არის ქალაქი შვედეთში, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ნულოვანი ნარჩენების მიღწევა 2030 წლისთვის. მას აქვს კარგად განვითარებული გადამუშავებისა და კომპოსტირების სისტემა. მალმომ განახორციელა ზომები ერთჯერადი პლასტმასის გამოყენების შესამცირებლად და მდგრადი ტრანსპორტირების ვარიანტების გამოყენების ხელშესაწყობად [12; 13].

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ქალაქებისა, რომლებიც პროგრესირებენ ნულოვანი ნარჩენების მიღწევისკენ. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნარჩენების შემცირება რთული და მიმდინარე პროცესია და მოითხოვს მთავრობების, ბიზნესისა და კერძო პირების ერთგულ ჩართულობას.

ნარჩენების გარეშე ტურიზმი ეხება ტურიზმს, რომელიც ამცირებს ნარჩენების წარმოებას, ზრდის მასალების ხელახლა გამოყენებასა და გადამუშავებას და აუმჯობესებს ნარჩენების მართვის სისტემების ეფექტურობას. ნარჩენებისგან თავისუფალ ტურისტულ ინიციატივებსა და ბიზნესებს შეუძლიათ იმოქმედონ როგორც პოზიტიური ხიდი კულტურებს შორის გარემოს მდგრადობის ხელშეწყობისა და ადგილობრივ გარემოზე ტურიზმის უარყოფითი ზემოქმედების შემცირების კუთხით. მაგალითად, უნარჩენო სასტუმროებსა და რესტორნებს, რომლებიც იყენებენ მრავალჯერადად გამოყენებად და კომპოსტირებად პროდუქტებს და ხელს უწყობენ ერთჯერადი პლასტმასის შემცირებას, შეუძლიათ ხელი შეუწყონ ნარჩენების შემცირებასა და ეკოლოგიურ მდგრადობას; ასევე, შექმნან პოზიტიური, მისაბაძი მოდელები სხვა ბიზნესებისა და თემებისთვის. „ეკოლოგიურად სუფთა სასტუმროები და კვების ცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდგრადი ტურიზმის პოპულარიზაციაში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებითა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში წვლილის შეტანით“ [2, 17-30].

ეკოლოგიურად სუფთა სასტუმროები და რესტორნები. მათი საქმიანობის პრინციპები

ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებლები და რესტორნები შეიძლება ეწოდოს ისეთ სივრცეებს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ გარემოს მდგრადობას და ხელს უწყობენ პასუხისმგებლიანი ტურიზმისა და სასაღილო პრაქტიკის პრინციპებს. ისინი ხშირად იყენებენ განახლებადი ენერჯის წყაროებს, ამუშავებენ და ამცირებენ ნარჩენებს, ზოგავენ წყალს, იყენებენ ბუნებრივ და მდგრად მასალებს მშენებლობისათვის; მათი საქმიანობის ბენეფიციარები თანაბრად არიან როგორც მოსული სტუმრები, ისე ადგილობრივი საზოგადოება. არსებობს ძირითადი საქმიანობის რამდენიმე ტიპი, რომლებსაც იყენებენ ეკომეგობრული რესტორნები და სასტუმროები:

ხის სახლები: ეს არის საცხოვრებლები, რომლებიც აშენებულია ხეებზე ან საყრდენებზე, ხშირად ადგილობრივად მოპოვებული, მდგრადი მასალების გამოყენებით.

ისინი სტუმრებს სთავაზობენ უნიკალურ გამოცდილებას გარემოზე მათი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მცდელობით.

ეკო-სახლები: ეს არის ლოკები და კურორტები, რომლებიც შექმნილია და აშენებულია გარემოს გათვალისწინებით, ეკოლოგიურად სუფთა მასალების, განახლებადი ენერჯის წყაროებისა და მდგრადი პრაქტიკის გამოყენებით, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ მათი გავლენა გარემოზე.

მდგრადი სასტუმროები: ეს არის სასტუმროები, რომლებმაც მიიღეს ვალდებულება მდგრადობაზე გამოიყენეს ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, წყლის კონსერვაციის ზომები და ნარჩენების მდგრადი მართვის პრაქტიკა, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ მათი გავლენა გარემოზე.

ქსელის მიღმა (off-grid): ეს არის დისტანციური, ქსელიდან დამოუკიდებელი საცხოვრებლები, რომლებიც მთლიანად იკვებება ენერჯის ისეთი ალტერნატიული წყაროებით, როგორებიცაა მზის ენერჯია, ქარის ენერჯია ან ჰიდროენერჯია, რაც სტუმრებს უნიკალურ და მდგრად გამოცდილებას სთავაზობს.

ადგილობრივ მაცხოვრებლებზე დაფუძნებული ტურიზმი

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მართული ტურიზმის მიზანია აკონტროლოს მდგრადი ტურიზმის ინდუსტრია. ეს კონცეპტი მოიცავს რამდენიმე ძირითად ნაბიჯს. მათ შორისაა:

1. თემის ჩართვა დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში: მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემების ჩართვა მდგრადი ტურისტული ინიციატივების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს შეიძლება გაკეთდეს გამოკითხვების ჩატარებით, საჯარო შეხვედრების გამართვითა და ადგილობრივი მოსახლეობისგან გამოსხაურების შეგროვებით;

2. პარტნიორობის დამყარება ადგილობრივ ბიზნესებთან: პარტნიორობა ადგილობრივ ბიზნესებთან, როგორებიცაა ტუროპერატორები, რესტორნები და სახელოსნოები, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერასა და მდგრად განვითარებას მოგზაურებს შორის ავთენტური კულტურული გამოცდილებით;

3. თემზე ორიენტირებული ტურიზმის პროექტების შემუშავება: თემზე დაფუძნებულ ტურისტულ პროექტებს, როგორებიცაა ეკოტურიზმი და აგროტურიზმი, შეუძლიათ უზრუნველყონ ადგილობრივი თემების შემოსავლის წყარო; ასევე, ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას და შეინარჩუნონ ადგილობრივი კულტურები და ბუნებრივი გარემო;

4. ტრენინგისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა: ადგილობრივი თემების ტრენინგებითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მარკეტინგი, სტუმართმყოფარება და მდგრადი ტურიზმის პრაქტიკა, შეიძლება დაეხმაროს მათი შესაძლებლობების განვითარებასა და ინიციატივების წარმატებით განხორციელებას;

5. სამართლიანი და პასუხისმგებელი ტურისტული პრაქტიკის წახალისება გულისხმობს მოგზაურთა წახალისებას, ჩაერთონ ისეთ სამართლიან და პასუხისმგებელ ტურისტულ პრაქტიკაში, როგორებიცაა ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა, ნარჩენების შემცირება და ადგილობრივი კულტურისა და გარემოს პატივისცემა. ეს შეიძლე-

ბა დაეხმაროს მდგრადი ტურიზმის პოპულარიზაციასა და ადგილობრივი თემების გაძლიერებას;

6. კულტურული გაცვლის ხელშეწყობა: მოგზაურებსა და ადგილობრივ საზოგადოებებს შორის კულტურული გაცვლის წახალისება ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებისა და პატივისცემის გაღრმავებას; ასევე, ადგილობრივ თემებს შესაძლებლობას მისცემს გაუზიარონ თავიანთი უნიკალური კულტურები და ტრადიციები მსოფლიოს.

ადგილობრივი თემები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მდგრადი ტურისტული ინიციატივების განვითარებასა და მართვაში. ადგილობრივი საზოგადოებების უფლებამოსილებას, აიღოს კონტროლი საკუთარი მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიაზე, აქვს მრავალი სარგებელი, მათ შორის, გაზრდილი ეკონომიკური შესაძლებლობები, გაუმჯობესებული სოციალური და კულტურული მდგომარეობა და გაძლიერებული გარემოს დაცვა. მდგრადი განვითარებისა და მსოფლიო ეკოლოგიის საერთაშორისო ჟურნალის (IJSWE) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ „საზოგადოებრივ ტურისტულ ინიციატივებს შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ თემებს, მათ შორის, გაზრდილი შემოსავლი, დასაქმებისა და საზოგადოებრივი იდენტობის გაძლიერების გრძნობა“ [1].

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თემების ჩართვით, ისინი უკეთესად მოემზადებიან საკუთარი პრიორიტეტებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის; ამასთან, შეძლებენ უზრუნველყონ, რომ ტურიზმის განვითარება შეესაბამებოდეს მათ ღირებულებებსა და მიზნებს. ეს მიდგომა, ასევე, ხელს უწყობს ადგილობრივ თემებს შორის საკუთრებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, რაც იწვევს მდგრადი ტურისტული ინიციატივების უფრო ეფექტურ განხორციელებასა და მართვას.

დასკვნა

როგორც სტატიიდან ჩანს, მდგრად და შემოქმედებით ინიციატივებს ტურიზმში შეიძლება ჰქონდეს დადებითი გავლენა გარემოსა და ადგილობრივ თემებზე. შემოქმედებითი ტურიზმის მოდელის, ნარჩენებისგან თავისუფალი ქალაქების, ეკოლოგიურად სუფთა სასტუმროებისა და რესტორნების და ადგილობრივ საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურისტული ინიციატივების მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ კულტურის შენარჩუნებას, შევამციროთ მოგზაურობისას გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და მხარი დაუჭიროთ ადგილობრივ ეკონომიკას. მდგრადი ტურისტული პრაქტიკის გატარებით, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ უფრო პასუხისმგებლიანი და მომგებიანი ტურისტული ინდუსტრია. ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, ტურისტებს, მომსახურეობის ინდუსტრიის პროფესიონალებსა და ადგილობრივ საზოგადოებებს ევალებათ ერთად იმუშაონ მდგრადი და შემოქმედებითი ტურიზმის პოპულარიზაციისთვის და უზრუნველყონ, რომ ჩვენი ბუნებრივი რესურსები და კულტურული მემკვიდრეობა დაცული იყოს მომავალი თაობებისთვის.

ლიტერატურა:

1. Buckley R. & Huang B., Community-based tourism development: Issues and challenges facing rural communities in Australia. *International Journal of Sustainable Development & World Ecology*, 2009, 16 (3);
2. Murphy P. E. & Scholz R. W., Achieving sustainable tourism through eco-friendly accommodations and food centers. *Sustainability*, 2015, 7(1);
3. Richards G. & Wilson J., Developing creativity in tourist experiences: A solution to the serial reproduction of culture? *Tourism Management*, 2007, 28(3);
4. Sustainable Tourism – Key to Development. Madrid, Spain: UNWTO, 2017;
5. Tourism and sustainable development: 2018 madrid, Spain: UNWTO, 2018;
6. San Francisco Zero Waste Program. <https://sfenvironment.org/zero-waste>;
7. San Francisco Plastic Bag Ban. <https://sfenvironment.org/plastic-bag-ban>;
8. Freiburg Zero Waste Plan. <https://www.freiburg.de/pb/1610979>.
Freiburg Sustainable Mobility.
https://www.freiburg.de/pb/site/Freiburg/node/782101/Lde/zmdetail_3728092/Sustainable_mobility;
9. Kamikatsu Zero Waste Plan.
https://www.city.kamikatsu.lg.jp/soshiki/31/zero_waste.html.
Kamikatsu Zero Waste Program. <https://www.youtube.com/watch?v=3XbDjVqiLV0>;
10. Curitiba Recycling Program.
<https://www.recyclingtoday.com/article/curitiba-brazil-sustainable-solid-waste-management/>;
11. Curitiba Waste Management System.
<https://www.citylab.com/life/2016/03/curitiba-brazil-recycling-sustainable-city/474589/>;
12. Malmo Zero Waste Strategy.
<https://malmo.se/Uppleva-och-gora/Miljo-och-hallbarhet/Malmos-klimatstrategi.html>;
13. Malmo Sustainable Transportation.
<https://www.malmo.se/Klimat-och-miljo/Hallbart-resande-och-transporter.html>.

Giorgi Tchotchua

Sustainable and Creative Initiatives in Tourism as a Positive Impact on Environment
Summary

Sustainable and creative initiatives in tourism are proving to have a significant positive impact on the natural environment and local communities. Creative tourism models, which offer visitors opportunities to learn about and engage in local arts and culture, can be an effective way to support local economies and promote cultural preservation. In this article, we review the role of sustainable and creative tourism initiatives in the context of positive environmental impact. More specifically, we will overview the experiences where small settlements and large cities are positioned as "waste-free" spaces. In doing so, they conserve local resources, reduce their carbon footprint, engage the local community and support the local economy. we will also discuss the benefits of sustainable and creative tourism education and awareness initiatives to ensure that future generations enjoy tourism destinations and thereby strengthen the environment and local communities.

Георгий Чочуа

Устойчивые и творческие инициативы в туризме как положительный фактор воздействия на окружающую среду

Резюме

Устойчивые и творческие инициативы в области туризма доказывают, что они играют важную роль, влияя на природную среду и местные сообщества. Модели креативного туризма, которые позволяют посетителям больше узнать о местном творчестве и культуре, могут быть эффективным способом содействия местному экономическому развитию и сохранению культуры. В статье рассматриваются инициативы устойчивого и креативного туризма как воздействие в контексте позитивной среды. Более того, мы рассматриваем опыт малых поселений и крупных городов как «безотходных» пространств. Это часто позволяет сохранить местные ресурсы, уменьшить углеродный след и поддержать местную экономику. Также обсуждаются устойчивое и творческое образование в области туризма и инициативы, которые повысят удовольствие будущих поколений от туристических направлений, поддержку окружающей среды и местных сообществ.

ნანა ჯანაშია
(საქართველო)

**საგამოძიებო ჟურნალისტიკის ამერიკული
ბაკვეთილები**

„თუ დედა გეუბნება მიყვარხარო, გადაამოწმე!“ – ასე ზრდიან მომავალ ჟურნალისტებს აშშ-ის უნივერსიტეტებში! ამა თუ იმ ინფორმაციის მოპოვებისას, სშირადაა ჟურნალისტი სხვებზე დამოკიდებული. ასეთ დროს კი, სკეპტიკური მიდგომა მას განსაკუთრებით სჭირდება. სწორედ ამიტომ, ზემოთ მოცემული მთარეული გამოთქმა ძალიან სწორად უნდა იყოს გაგებული და გამოყენებული.

ნავარაუდევია ფაქტების შემოწმებისას, ჟურნალისტიკის პროფესორი, ამერიკელი დევიდ პროტესი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს შემდეგ წესებს ასწავლიდა: „არ ენდო ოფიციალურ პირებს ან ახალი ამბების მიმოხილვებს, რაც შეიძლება ახლოს მიდი პირველწყაროსთან, იყავი თანმიმდევრული, დაადასტურე!“

ამერიკელი პროფესორი დევიდ პროტესი თავის სტუდენტებთან ერთად სიკვდილმისჯილთა საქმეებს თავიდან სწავლობდა დოკუმენტებისა და წყაროების ჯვარედინი შემოწმების სისტემატური მიდგომით. მან და მისმა სტუდენტებმა 1999 წლის 19 მარტს სიკვდილმისჯილი ენტონი პორტერი გაანთავისუფლეს. პროფესორმა პროტესმა და მისმა სტუდენტებმა ჟურნალისტური გამოძიებისას ყურადღება გაამახვილეს ამ საქმეში ეჭვიმტანილ სხვა პირზე, კერძოდ კი, ალსტორ საიმონზე, რომელიც პოლიციამ მალევე მიივიწყა. პროფესორმა და მისმა სტუდენტმა ჟურნალისტებმა იპოვეს საიმონის ძმისშვილი, რომელმაც, თურმე, მკვლელობის დამეს ყური მოკრა ბიძამისის საუბარს იმაზე, რომ ვიღაც მოკლა! ამ ინფორმაციას ჩაეჭიდანენ და სიმართლეც გაარკვიეს. განთავისუფლებულმა უდანაშაულო სიკვდილმისჯილმა ენტონი პორტერმა კი, ციხიდან გამოსვლისთანავე, ხელში აიტაცა ჟურნალისტიკის პროფესორი დევიდ პროტესი და მისი სტუდენტები სათითაოდ! ეს საოცარი სიხარულის სცენა მასმედიის საშუალებით იხილა მთელმა მსოფლიომ! ამ დღიდან მოყოლებული, ილინოისის შტატში მორატორიუმი დაწესდა სიკვდილით დასჯაზე.

აი, ასეთი პროფესორები ჰყავთ ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე ამერიკელებს!

შეერთებული შტატები საგამოძიებო ჟურნალისტიკის სამშობლოა. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჟანრი შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნეში განვითარდა.

პირველად სწორედ იმ დროს დაიწყო საგამოძიებო ხასიათის მასალების მოპოვება და ბეჭდვა, რამაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია.

საგამოძიებო ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკის ანალიტიკური ჟანრია და ერთ-ერთი ყველაზე რთული მედია ჟანრიც, რომელიც მოიცავს ყოველისმომცველ და სიღრმისეულ შესწავლას ცუდად შესწავლილი ან საგულდაგულოდ დამალული თემის. მუშაობის პროცესში ჟურნალისტმა ნებისმიერი კანონიერი საშუალებით უნდა მოიპოვოს და გაასაჯაროს დამალული – საჯაროდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შეერთებულ შტატებში ჟურნალისტური გამოძიება პირველი დღიდანვე გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი

ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების. ამერიკულმა საგამოძიებო ჟურნალისტიკამ ხელი შეუწყო კორუფციის, ნარკომოვაჭრების გამოვლინებას, ემიგრანტების ექსპლუატაციისა და სხვადასხვა სახის სამართლებრივი თუ ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტების გამოვლინებას.

იმავდროულად, საგამოძიებო ჟურნალისტიკა, როგორც ჟანრი, ასრულებს უამრავ მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას, ასახავს საზოგადოების ინტერესებსა და განწყობას. სამეცნიერო წრეებში ეს ჟანრი ნაკლებად არის შესწავლილი.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის მთავარი და ყველაზე აშკარა მიზანია საზოგადოებისგან მიმალული ფაქტების გასაჯაროება. თემატური შინაარსი შეიძლება იყოს განსხვავებული: უმნიშვნელო, ტრივიალური მოვლენებისგან (მაგ., ჩოგბურთელის საიდუმლო რომანი, რომელიც ახლახან გაშუქდა ახალ ამბებში...) სახელმწიფო ორგანოების არასწორი ქმედებების გამოაშკარავების ჩათვლით.

ამჟამად აშშ-ში ყველაზე ცნობილია ბოსტონის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრი.

2011 წლამდე კი ზეპოპულარული იყო ზემოთ ნახსენები ჩიკაგოს ნორთვესტერნის უნივერსიტეტის საგამოძიებო ჟურნალისტიკის სკოლა პროფესორ დევიდ პროტესის ხელმძღვანელობით. ჩიკაგოს ნორთვესტერნის უნივერსიტეტის საგამოძიებო ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორი დევიდ პროტესი, სანამ პროფესორი გახდებოდა, მუშაობდა Chicago Lawyer Magazine-ის დამხმარე რედაქტორად, სადაც მან დაიწყო წერა მართლმსაჯულების შეცდომების შესახებ.

მისმა საგამოძიებო პროექტებმა გაანთავისუფლეს ოთხი აფროამერიკელი (სახელწოდებული Ford Heights Four), რომლებმაც თვრამეტი წელი გაატარეს ციხეში რასობრივი მკვლელობებისთვის, რაც არ ჩაუდენიათ და დაეხმარა ენტონი პორტერის გათავისუფლებას მხოლოდ ორი დღით ადრე, სანამ ის სიკვდილით დაისჯებოდა. ენტონი პორტერს ბრალდებოდა მკვლელობა, რისთვისაც უსამართლოდ იყო გასამართლებული. ამ ფაქტის შემდეგ, 2011 წელს, ილინოისში სიკვდილით დასჯის კანონი გააუქმეს.

მიუხედავად ამ დამსახურებისა, მოხდა ისე, რომ ჩიკაგოს ნორთვესტერნის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლის ეს პატივცემული პროფესორი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაანთავისუფლეს პოპულარული საგამოძიებო ჟურნალისტიკის კლასიდან. ინფორმაცია ამის შესახებ გაავრცელა Daily Northwestern-მა. გაზეთი გაკვირვებას ვერ მალავდა და წერდა: „დევიდ პროტესს, რომელიც 29 წლის განმავლობაში ასწავლიდა მედიის ჟურნალისტიკის სკოლაში და ხელმძღვანელობდა სკოლის ცნობილ Innocence Project-ს, ამ გადაწყვეტილების შესახებ აცნობეს ელექტრონული ფოსტით“. Daily-ის თანახმად, დევიდ პროტესი კვლავ უხელმძღვანელებს Innocence Project-ს, თუმცა ჯგუფის მომავალი გაურკვეველია, რადგან ის მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული უნივერსიტეტთან.

პროტესსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა ბოლო დროს დაიძაბა, რაც გამოწვეულია „უდანაშაულობის პროექტის“ ფარგლებში ეთიკის შესაძლო დარღვევების გამოძიებით, რომელიც დაკავშირებულია ენტონი მაკკინის საქმესთან, რომელიც ჯგუფის თქმით, უსამართლოდ იყო გასამართლებული და ბრალად ედებოდა მკვლელობა. გაზეთში Chicago Tribune პროტესმა დაადანაშაულა უნივერსიტეტი მის წინააღმდეგ „ომის“ წარმოებაში. თურმე, უნივერსიტეტმა პროფესორის გაუფრთხილებლად მის

სტუდენტებს აცნობა, რომ პროტესი წყვეტდა თავის საგამოძიებო რეპორტაჟების კურსს გაზაფხულის სემესტრიდან. სტუდენტებმა, რომლებსაც ამ კურსის გავლა გადაწყვეტილი ჰქონდათ, ხელი მოაწერეს პეტიციას, რომლითაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სთხოვდნენ, გადაეხედათ პროტესტის საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ უნივერსიტეტის დატოვებით.

72 წლის ასაკამდე პროტესი წარმატებით ასწავლიდა საგამოძიებო ჟურნალისტიკას ნორთვესტერნის ჟურნალისტიკის სკოლაში. მან დააარსა Medill Innocence Project, რომელმაც ხელი შეუწყო 11 უსამართლოდ მსჯავრდებული მამაკაცის განთავისუფლებას, რომელთაგან ხუთი იყო სიკვდილმისჯილი. დევიდ პროტესმა ჟურნალისტიკის სკოლა დატოვა 2011 წელს. სავარაუდოდ, მისი სტუდენტების მიერ გამოყენებული ტაქტიკის გამო, როცა ისინი იძიებდნენ ენტონი მაკკინის მკვლელობაში მსჯავრდებულის საქმეს და დაბრალდათ, რომ გამოყენებული ჰქონდათ ვინაობის შესახებ ტყუილი და რომ მათ მიმართეს მოწმებთან ფლირტს. მეთოდები, რომლებსაც სტუდენტები იყენებდნენ აღიარების მისაღებად, უცნაურია, მაგრამ იმ დროს, ჩაითვადა დანაშაულად. შტატის პროკურორის მსგავს ბრალდებებს პროტესმა „სრულიად არაკეთილსინდისიერი“ უწოდა. ამ დაპირისპირებამ საბოლოოდ გამოიწვია ის, რომ პროტესმა დატოვა უნივერსიტეტი. დევიდ პროტესმა მედიასაშუალებებთან შემდეგი რამ განაცხადა: „პროკურატურა მიყენებს „ველურ“ ბრალდებებს, რათა გაამართლოს ჩემი იმ სწავლების შეჩერება, რომელიც არღვევს მათ წესებს“. უნივერსიტეტიდან წასულმა დევიდ პროტესმა დააფუძნა „ჩიკაგოს უდანაშაულობის პროექტი“ – არაკომერციული საგამოძიებო უწყება, რომელშიც ჩართულები იყვნენ ამ თემით დაინტერესებული ჩიკაგოელი სტუდენტები.

აშშ-მა დევიდ პროტესი, საზოგადოებისთვის გაწეული სამსახურისა და განსაკუთრებული პროფესიული წვლილისთვის, ედიტ აბბოტის ჯილდოთი დააჯილდოვა. პროტესს პატივი მიაგეს, ასევე, პრეზენტაციით Crown Family School-ის ყოველწლიურ კურსდამთავრებულთა ასამბლეაზე, რომელიც გაიმართა როკფელერის მემორიალურ ცენტრში, სადაც ითქვა, რომ „დევიდ პროტესი არის გამოჩენილი ლიდერი ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობისა და სისხლის სამართლის სფეროში“.

